საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№39 (226)
23 – 29 ოქტომბერი, 2013

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

3 მიშა, ყველასგან მიტოვებული, ანუ სააკაშვილი კაპუტ!



ალექსანდრე ჭაჭია:

## ყველა ამ დაჯგუფების, პარტიისა თუ მოძრაობის ფესვები «მოქალაქეთა კავშირსა» და სოროსის სტრუქტურებშია 2

ნიკოლოზ მჟავანაძე:

## გვაქვს ვიდეომასალა, რომელშიც ახალაიებისა და ალასანიას კავშირი იკვეთება 9

აკადემიკოსმა ძაძამიამ სააკაშვილს 2 ღირსების ორდენზე უარი უთხრა

8 «თუ ქუდის აგენტმა საგანელიძემ არჩევნები მოგვაგებინა, ბარაქალა მაგას, ქუდს მისთვის კარგი დავალება მიუცია»

დროა, შეიქმნას ახალი, ალტერნატიული ეროვნული პოლიტიკური ძალა 13

## «კეზერაშვილი და თემურ ალასანია იარაღს უკრაინაში ყიდულობდნენ და ირანში ყიდდნენ» 7



თურქეთი – საქართველოს 12 ახალი მფარველი?

6 ჯერემი როზნერის რჩევა გიგა ბოკერიას – «გადაეცით დავით ბაქრაძეს, თავი დაანებოს მეგრელების სახალხოდ ლანძღვას»!

## 5 დავით ბაქრაძე

«ერთად ვაკონტროლოთ მთავრობა»



«მან (ბაქრაძემ – რედ.) ისინი (მეგრელები – რედ.) რამდენიმეჯერ მოიხსენია ყველაზე ჩამორჩენილ, თითქმის კანიბალებთან გათანაბრებულ ეთნიკურ ჯგუფად. სასაცილო ისაა, რომ ამ რეგიონში მას ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს»

ნინო ბურჯანაძე:

## აღვადგენ სოფლის მეურნეობის ძირძველ დარგებს! 15

11 «გეტყვით, «ოცნებას» მეორე ადგილზე ბაქრაძის გასვლა რატომაც აძლევს ხელს»

საქართველო და მსოფლიო
პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„პოლიტიკიდან ივანიშვილის წასვლისთანავე ამ პარლამენტის ლეგიტიმურობა ნულოვანი გახდება. ასევე ნულოვანია ამ არალეგიტიმური პარლამენტის მიერ დამტკიცებული მთავრობის ლეგიტიმურობაც. ამიტომ საჭიროა და აუცილებელიც, პრეზიდენტი მაინც იყოს მოსახლეობის უმრავლესობის მიერ არჩეული და გააჩნდეს მყარი ლეგიტიმურობა.“**

# ალექსანდრე ჭაჭია: ყველა ამ დაჯგუფების, პარტიისა თუ მოძრაობის ფესვები «მოქალაქეთა კავშირსა» და სოროსის სტრუქტურებშია...

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია.**



**«ხელისუფლებას ვთავაზობდი, პრეზიდენტი კანონით დაევალდებულებინათ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით დაკავებულიყო აფხაზებთან, ოსებთან და რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების დარეგულირებით, მაგრამ ხელისუფლებამ ბუტაფორიული პრეზიდენტი არჩია»**

**— ბატონო ალექსანდრე, კვირას პრეზიდენტის არჩევნები შედგება. წინასაარჩევნო კამპანიამ სამი ძირითადი კანდიდატი გამოკვეთა — მარგველაშვილი, ბურჯანაძე, ბაქრაძე და ბრძოლაც, როგორც ჩანს, მათ შორის გაიმართება. ბევრს აინტერესებს თქვენი აზრი — მათგან რომელი იმსახურებს ხალხის მხარდაჭერას, რომელს ენდოს საზოგადოება?**

— ამ არჩევნებს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. პრეზიდენტის თანამდებობა ერთი ადამიანისა და მისი უახლოესი გარემოცვის კომფორტულად ცხოვრების ბუტაფორიულ ადგილად აქციეს. თუ გახსოვთ, **ხელისუფლებას ვთავაზობდი, პრეზიდენტი კანონით დაევალდებულებინათ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით დაკავებულიყო აფხაზებთან, ოსებთან და რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების დარეგულირებით, მაგრამ ხელისუფლებამ ბუტაფორიული პრეზიდენტი არჩია.** ამ თანამდებობაზე შესაბამისი უნარებისა და შესაძლებლობების მქონე პირიც რომ მოხვედრილიყო, ის ქვეყნისთვის ვერაფერს გააკეთებდა, ვინაიდან რეალური ძალაუფლება ისეთ სტრუქტურებს ეკუთვნით, როგორიცაა რესპუბლიკური პარტია, „თავისუფლების ინსტიტუტი“ და სხვა სოროსული ორგანიზაციები, რომლებიც ივანიშვილმა პარლამენტში შეიყვანა, ხელისუფლებაში მოიყვანა და მათ უტოვებს საქართველოს. ეს იგივე ძალებია, რომლებიც საქართველოს ბოლო წლების მანძილზე მართავდნენ. **„ნაციონალური მოძრაობა“ ამ ძალების ერთ ფრთას წარმოადგენს, ხოლო ივანიშვილის კოალიცია — მეორე ფრთას. სწორედ ასე გამოეყო თავის დროზე სააკაშვილი-ჟვანია-ბურჯანაძის ფრთა „მოქალაქეთა კავშირს“. ყველა ამ დაჯგუფების, პარტიისა თუ მოძრაობის ფესვები „მოქალაქეთა კავშირში“ და სოროსის სტრუქტურებშია, ხოლო საერთო ხელმძღვანელად მათ ამერიკის საელჩო ჰყავთ. ამ ადამიანებს არ ძალუძთ დამოუკიდებელი პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმა.**

**— ყველა კანდიდატი დარწმუნებით აცხადებს, რომ გადაწყვეტს საქართველოს მთავარ პრობლემებს — დაამყარებს ნორმალურ ურთიერთობას რუსეთთან, გაიყვანს რუსეთის სამხედრო ბაზებს აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან, აღადგენს ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, ააღორძინებს ეკონომიკას...**

— ძალიან მინდა იმ ადამიანის თავში ჩავიხედო, რომელსაც ამ ყველაფრის სჯერა. თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი მზადაა, დაიჯეროს ნებისმიერი სიცრუე, რადგან დაკარგა ანალიზის უნარი. თითქოს ძალიან ადვილია ამ დაპირებების შედარება მათი ავტორი დემაგოგების წარსულ საქმიანობასთან და სათანადო დასკვნების გამოტანა, მაგრამ ბევრს ურჩევნია, უბრალოდ, დაიჯეროს ლამაზი სიტყვები.

**არც ერთ თქვენ მიერ ჩამოთვლილ კანდიდატს რუსეთის ხელმძღვანელობასთან არანაირი საკითხის გადაჭრა არ შეუძლია, მათთან რამენაირი სერიოზული პრობლემის განსახილველადაც კი არავინ დაჯდება. არაფერს ვამბობ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობასა და პოლიტიკურ წრეებზე, ვისთვისაც ეს ადამიანები აბსოლუტურად მიუღებელნი არიან.**

**— 27 ოქტომბერს ამომრჩეველი საარჩევნო უბანში მივა, მან რომელიმე გვარი უნდა შემოხაზოს?..**

— ამომრჩეველთა აქტივობა, ალბათ, ძალიან დაბალი იქნება. ვფიქრობ, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი თავს შეურაცხყოფილად გრძნობს იმის გამო, რომ ქვეყნის პოლიტიკური კლასი საზოგადოებას თავს ახვევს არჩევანს ესოდენ უუნარო კანდიდატებს შორის. ეს, ერთის მხრივ, იმით არის გამოწვეული, რომ თავად საქართველოს პოლიტიკური კლასი არის დეგრადირებული და უუნარო, ხოლო მეორე მხრივ, იმით, რომ მათ უკან მდგომი მესვეურები დარწმუნებულნი არიან, რომ მოსახლეობა აუცილებლად მივა და მისცემს ხმას, ვინაიდან, მათი აზრით, სრულიად აქვს დაკარგული ფიქრის, ანალიზისა და ეროვნული ინტერესების აღქმის უნარი. კოლონიზატორი ხომ კოლონიის მოსახლეობას ყოველთვის ბრიყვად აღიქვამს, რომელსაც ადვილად შეიძლება თავს მოახვიო შენი ნება.

დღეს საქართველოს რეალური პატრონების წინაშე დგას ქვეყნის ხელისუფლების ლეგიტიმაციის პრობლემა. ცხადია, პარლამენტის ამჟამინდელი შემადგენლობისთვის ხმა არავის მიუცია, ხმა მისცეს ივანიშვილს, რომელმაც პარლამენტში შეიყვანა ის ძალები, რომელთა მოყვანაც დაავალეს — „მოქალაქეთა კავშირის“ მესამე ეშელონი, რომელსაც დამოუკიდებლად პარლამენტში არჩევის არანაირი შანსი არ ჰქონდა. **პოლიტიკიდან ივანიშვილის წასვლისთანავე ამ პარლამენტის ლეგიტიმურობა ნულოვანი გახდება. ასევე ნულოვანია ამ არალეგიტიმური პარლამენტის მიერ დამტკიცებული მთავრობის ლეგიტიმურობაც. ამიტომ საჭიროა და აუცილებელიც, რომ პრეზიდენტი მაინც იყოს მოსახლეობის უმრავლესობის მიერ არჩეული და გააჩნდეს მყარი ლეგიტიმურობა.** საქართველოს პატრონებისთვის აბსოლუტურად სულერთია, თუ კონკრეტულად ვინ იქნება ეს პრეზიდენტი, რადგან ძირითად პრეტენდენტთაგან ნებისმიერი მათთვის მისაღებია. მთავარია, რომ იგი იყოს ლეგიტიმური და ხალხის სახელით ხელი მოაწეროს საჭირო ქაღალდებს, ამიტომაც მათ სჭირდებათ, რომ ამომრჩეველთა აქტიურობა იყოს მაღალი.

**— მოსახლეობის ნაწილი არჩევნებზე მაინც წავა, რას ურჩევთ, ვის მისცენ ხმა?**

— მისცენ ხმა იმას, ვისთვისაც უახლოესი ხუთი წლის მანძილზე კომფორტი და ფუფუნება არ ენანებათ. მაგალითად, კანდიდატებს შორის არის ერთი სიმპათიური პენსიონერი, მისი გვარი არ მახსოვს, იგი პირობას დებს, რომ იქნება ბავშვების პრეზიდენტი და ყველა უმუშევარს სიგარეტის ფულს დაურიგებს. დაე, იცხოვროს ამ კაცმა სიბერეში თავის გემოზე. მოსახლეობას მაინც მოუწევს პრეზიდენტის შენახვა, ამ პენსიონერს კი დიდი მოთხოვნილებებიც არ ექნება და არც ისეთი გაუმაძღარი გარემოცვა ეყოლება, როგორც ძირითად პრეტენდენტებს.

**ესაუბრა**
**ირაკლი თოდუა**

# ცნობილმა ენათმეცნიერმა მამანტი ძაძამიამ პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებულ ღირსების ორდენზე უარი განაცხადა

**გამოჩენილ ენათმეცნიერს, მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და მონოგრაფიის, მათ შორის „მეგრული ენის ლექსიკისა და სიტყვა წარმომავლობის“ შვიდტომეულის ავტორს, აკადემიკოს მამანტი ძაძამიას თავის სახლში, წალენჯიხის რაიონის სოფელ ეწერში, ეახლნენ ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან კონჯარია და საკრებულოს ერთ-ერთი კომიტეტის თავმჯდომარე გელა თოლორაია (ორივე „ნაციონალური მოძრაობის“ წევრია) და გადასცეს სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის თენგიზ გუნავასა და საქართველოს პრეზიდენტის — მიხეილ სააკაშვილის შეთავაზება მისთვის ღირსების ორდენის გადაცემის შესახებ.**

მამანტი ძაძამია, რამდენიმე წელია, მძიმედ ავადმყოფობს და ხელისუფლებისგან არანაირი მხარდაჭერა და დახმარება არ მიუღია. არც მისი მეცნიერული ცოდნით დაინტერესებულან ისინი და ძალიან გაუკვირდა, ახლა რატომ გაახსენდათ. მას განუცხადეს, რომ ყოველგვარ დახმარებას გაუწევდნენ, თუ თბილისში ვერ შეძლებდა წამოსვლას, პრეზიდენტი სააკაშვილი მას თავადვე ეწვეოდა სახლში, მაგრამ ცნობილმა ენათმეცნიერმა მათ ყოველგვარი ყოყმანისა და დაფიქრების გარეშე განუცხადა: **„მე ყოველთვის მიკვირდა ბატონების — მუხრან მაჭავარიანისა და გურამ დოჩანაშვილისა, თუ რატომ გადადგეს ის ნაბიჯი, რომელიც არ უნდა გადაედგათ. მე ერთი სიტყვაც არ მჯერა მიხეილ სააკაშვილის. მე იმ პრეზიდენტისგან, რომელიც ხალხს ქუჩაში სცემდა და ხოცავდა, ორდენს არ ავიღებ“.**

მეორე დღეს მამანტი ძაძამიას პრეზიდენტის ადმინისტრაციიდანაც დაურეკეს და იგივე გაუმეორეს — მიხეილ სააკაშვილს ძალიან დიდი სურვილი აქვს, ღირსების ორდენით დააჯილდოოსო. მამანტი ძაძამიამ მათ კიდევ უფრო მკვახად უპასუხა: **„მე ძალიან მინდა, ის, რასაც ახლა გეტყვით, გადასცეთ მიხეილ სააკაშვილს: ადამიანისგან რომელმაც ქვეყანა დააქცია და დაღუპვის პირამდე მიიყვანა, კაცისგან, რომელმაც ქვეყანას ამდენი უბედურება მოუტანა, ღირსების ორდენის აღება ჩემგან ულირსი საქციელი იქნება“.**

**ზურაბ კვარაცხელია, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარე:** „მამანტი ძაძამია არის ნამდვილად ღირსეული პიროვნება და მას ღირსების ორდენი ნამდვილად ეკუთვნოდა, მაგრამ მან ულირსი პრეზიდენტისგან ღირსების ორდენის მიღებაზე უარი განაცხადა, რაც არის გმირობის ტოლფასი“.

რაც შეეხება ამერიკიდან ბოკერიასადმი გაგზავნილ ინსტრუქციებს, რომ **„ბაქრაძე მეგრელებს ქართველების ყველაზე ჩამორჩენილ კანიბალებთან მიახლოებულ ეთნიკურ ჯგუფს უწოდებდა“**, მამანტი ძაძამიას განმარტებით: **„მეგრელები კანიბალები კი არა, ძირძველი კოლხები და მსოფლიო ცივილიზაციის მოთავენი არიან და საკითხავია, როდემდე არ შეწყვეტენ მეგრელების დისკრიმინაციას შოვინისტური და ფაშისტური ძალები საქართველოში“.**

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი**

**საუბარი სააკაშვილზე საზოგადოების დიდ ნაწილს, უბრალოდ, არ სურს... სააკაშვილს ივიწყებენ უფრო სწრაფად, ვიდრე ამის წარმოდგენა შეიძლებოდა. ბევრ ადამიანს სურს, უბრალოდ, ამოშალოს მეხსიერებიდან ეს მოუქნელი სილუეტი და მთელი ნეგატივი, რომელიც მას უკავშირდება.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მიშა, ყველასგან მიტოვებული, ანუ სააკაშვილი კაპუტ!

**ზეგ, 25 ოქტომბერს, 5 საათზე ავლაბრის რეზიდენციასთან სააკაშვილის მომხრეები აწყობენ გამოსამშვიდობებელ აქციას სახელწოდებით „ნახვამდის, ბატონო პრეზიდენტო!“. „ინტერპრესნიუსის“ ცნობით, აქციის ორგანიზატორები აპირებენ მადლიერების გამოხატვას „სააკაშვილის 9-წლიანი მმართველობის პერიოდში მიღწეული პროგრესისა და წარმატებებისთვის როგორც საშინაო, ისე საგარეო კუთხით, იმ დადებითისთვის, რაც ამ ადამიანის მმართველობამ ქვეყანას მოუტანა“. ჯერჯერობით უცნობია, მივლენ თუ არა ამ დროს რეზიდენციასთან სააკაშვილის ოპონენტები ცოცხებითა და სხვა შესაბამისი აქსესუარებით, თუმცა ფაქტია, დამშვიდობების დღე სწრაფად და ულმობლად ახლოვდება და მიხეილ სააკაშვილი, ძალიან დიდი ალბათობით, ბოლო მელოდრამატულ მონოლოგებსა და ჟესტებს ისეთივე მონდომებით გეგმავს, როგორც ნერონი თავის დაუნდობლად უნიჭო დეკლამაციებს; ჩვენ წელთაღრიცხვამდე რომ იტყოდნენ,
— ო, რა დიდი არტისტი ილუპება!**



ფორმალური თვალსაზრისით, არც არავინ ილუპება და არც დიდი ხნით გვემშვიდობება — სააკაშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერად რჩება და, ერთი შეხედვით, პროცესებისგან დისტანცირებას არ აპირებს. თუმცა ეს სულ სხვა ისტორია იქნება, თავისი სასამართლო პროცესებით თუ საზღვარგარეთ გაქცევით, სულ სხვა ჟანრი, სხვა ესთეტიკა და პოეტიკა. **ამ „სულ სხვა“ ისტორიის ფინალი არც ისე რთული ამოსაცნობია — „ის ატირდება ვით მეფე ლირი, ლირი ყველასგან მიტოვებული“** (თუ სამსახიობო ნიჭი ეყოფა; თუ არ ეყოფა, მისი პრობლემაა, პრინციპში, თავის პროპაგანდისტულ სიუჟეტებში საკმაოდ დამაჯერებლად ტიროდა, ცხონებულ სტანისლავსკის მოეწონებოდა). **ამ დღეებში კი, ალბათ, უნდა გავიხსენოთ ფიგურანტის ნამოღვაწარი, ხოლო ყველაზე პრინციპულებს, ამასთანავე, შეუძლიათ, ყოველი შემთხვევისთვის, გადათვალონ ვერცხლის კოვზები ავლაბრის რეზიდენციაში მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილი მას დატოვებს.**

მაგრამ პრობლემა ისაა, რომ **საუბარი სააკაშვილზე საზოგადოების დიდ ნაწილს, უბრალოდ, არ სურს.** ყველაფერი უკვე ნათქვამია, ჩამოთვლილია ყველა ადამიანი, რომელმაც მისი პოლიტიკის გამო სიცოცხლე, ჯანმრთელობა ან ქონება დაკარგა, ყველა სოფელი, რომელსაც ამავე პოლიტიკიდან გამომდინარე საქართველო ვეღარ აკონტროლებს. ათასჯერ დატრიალდა ვიდეოფირები, რომლებიც გორში ცნობილ გაქცევა-გახოხვას თუ ჰალსტუხის ღეჭვას ასახავს და, კაცმა რომ თქვას, არც არავის აინტერესებს სააკაშვილის გამაოგნებელი განცხადებების გაფართოებული კოლექცია (შესაბამისი ციტატები მედიაში ბოლო დროს ძალიან იშვიათად გვხვდება). **სააკაშვილს ივიწყებენ უფრო სწრაფად, ვიდრე ამის წარმოდგენა შეიძლებოდა. ბევრ ადამიანს** (ეს არაერთგზის დადასტურდა კერძო საუბრებში თუ სოციალურ ქსელებში) **სურს, უბრალოდ, ამოშალოს მეხსიერებიდან ეს მოუქნელი სილუეტი და მთელი ნეგატივი, რომელიც მას უკავშირდება.**

მართალია, არსებობს უმცირესობაც, რომლის წარმომადგენლები საუბრობენ სააკაშვილის მმართველობის წლებში „მიღწეულ პროგრესსა და წარმატებებზე“, მაგრამ, რაოდენ უცნაურად უნდა გაიჟღეროს, მათ ნაკლებად აინტერესებთ სააკაშვილი-პოლიტიკოსი ან სააკაშვილი-ადამიანი, არამედ, უპირველესად, — სააკაშვილი მითოლოგიური გმირი, რადგან მათ მითოლოგიაში მისი მმართველობის წლები „ოქროს ხანის“ ადგილს იკავებს. **ზედმეტი კონკრეტიზაცია, კამათი დეტალებზე და დღევანდელი** (ანტიმითოლოგიური ანტიგმირი) **სააკაშვილი წინააღმდეგობაში შედის მათ მიერ დაწყებული მითოლოგიზაციის პროცესთან და, აქედან გამომდინარე, ისინი, შესაძლოა, რეალურ სააკაშვილს ოპონენტებზე სწრაფად დაივიწყებენ. ამასთანავე, მათ კვაზირელიგიურ სისტემაში ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს „მეორედ მოსვლის“ იდეა იკავებს, მაგრამ იმისთვის, რომ ის აქტუალური გახდეს, სააკაშვილი გარკვეული დროით უნდა გაქრეს, მარტივად რომ ვთქვათ, მეორედ მოსვლა დამაჯერებელი წასვლის გარეშე წარმოუდგენელია.**

სააკაშვილს კი არ სურს წასვლა და, შესაძლოა, ფიქრობს, რომ საზოგადოების ყურადღების ცენტრში ნებისმიერ ფასად უნდა დარჩეს, რადგან ეს მისი ხელშეუხებლობის (წარმოსახვით) გარანტიებს ამყარებს. მაგრამ მისი ყველაზე კოშმარული განცხადებებიც კი პირველ გვერდებზე, დიდი ხანია, არ ხვდება, „საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის“ მსგავს პროექტებზე რომ არაფერი ვთქვათ. სააკაშვილი ხსენებული ბიბლიოთეკის აშენებისთვის საზოგადოებას შემოწირულობას სთხოვს და ეს მაშინ, როდესაც **ბოლო დროს გამოქვეყნებული დოკუმენტების გაცნობის შემდეგ შეიძლება შეიქმნას მყარი შთაბეჭდილება, რომ მან და მისმა თანამეინახეებმა, ბიბლიოთეკის კი არა, ქალაქ ლაზიკის აშენებისთვის საკმარისი თანხა მოიპარეს.** პრობლემა ისაა, რომ ეს სიუჟეტი, რა მედია-ფორმატშიც არ უნდა შეფუთო ის, უკვე პრაქტიკულად აღარავის აინტერესებს. სხვათა შორის, რაც შეეხება ლაზიკას, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ის აღარ აშენდება, მაგრამ კონსტიტუციის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი კვლავინდებურად აშკარად გვამცნობს: „ქალაქ ლაზიკის სტატუსი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება ორგანული კანონით“. **სააკაშვილმა მოახერხა ის, რაც არც ერთ მანიაკ-დიქტატორს, ანასტასიო სომოსა დებაილიეს და ჟან-ბედელ ბოკასას ჩათვლით, აზრადაც არ მოსვლია და არარსებული ქალაქი კონსტიტუციაში უკვდავყო.** რა ვქნათ ახლა: ეს მუხლი ამოვიღოთ თუ 1 მუხლის მე-3 პუნქტი შემდეგნაირად ჩავასწოროთ: „საქართველოს სახელმწიფოს სახელწოდებაა „საქართველოს ფსიქიატრიული რესპუბლიკა“?

**სინამდვილეში, ეს ჩანაწერი ძირითად კანონში სააკაშვილის ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე სახასიათო სიმბოლოა. ერთის მხრივ, ქალაქი ლაზიკა არ არსებობს, მეორე მხრივ, კონსტიტუცია აპრიორი არ შეიძლება აღწერდეს რაიმე არარსებულსა და არარეალურს. ეს პარადოქსი აქტუალურია ბოლო ათწლეულის ნებისმიერ ეპიზოდთან დაკავშირებით; იმას, რასაც სააკაშვილის მცირერიცხოვანი მომხრეები „პროგრესსა და წარმატებებს“ უწოდებენ, საზოგადოების დიდი ნაწილი ვერ აღიქვამს, როგორც რაღაც რეალურს და მხოლოდ აღვირახსნილი პროპაგანდის ნაყოფად მიიჩნევს. და პირიქით, იმ რეპრესიებს, რომელზე წლების განმავლობაში კიოდნენ უფლებადამცველები, „მიშისტები“ რეალობის ნაწილად არ განიხილავენ.** ასეთ ვითარებაში შეუძლებელია ათვლის მყარი წერტილის პოვნა და მასზე დაყრდნობით (შეფასებისთვის აუცილებელი) კოორდინატთა სისტემის აგება. ყველაფერი, ერთის შეხედვით, რეალურია და ამავე დროს ვირტუალური, თითქოს სიზმარზე (კოშმარზე) და არა სავსებით რეალური ქვეყნის რეალური ცხოვრების ათ წელიწადზე ვსაუბრობდეთ. **2003-2013 წლების** (შესაძლოა, უფრო კორექტულია საუბარი 2003-2012 წლებზე, თუმცა, ალბათ, ინერციაც უნდა გავითვალისწინოთ) **ნებისმიერ მოვლენასთან დაკავშირებით, „რა იყო ეს?“ ტიპის შეკითხვებს ქვეტექსტში თან სდევს მეორე შიშნარევი კითხვა: „იყო თუ არა ეს საერთოდ?“. სად გადიოდა ამ წლებში ზღვარი რეალურ ცხოვრებასა და ფსიქიატრიული** (თუ ნარკოლოგიური? ერთი მეორეს არ გამორიცხავს; პირიქით) **ხასიათის ხილვებს შორის?** კოორდინატები ნებისმიერ შემთხვევაში დასადგენია, რადგან **შვილიშვილები აუცილებლად გვკითხავენ, თუ სად მდებარეობდა ქალაქი ლაზიკა, რომლის შესახებ კონსტიტუციის ძველი რედაქციიდან შეიტყობენ.**

ოდნავ უხეშად კი გაიჟღერებს, მაგრამ, შესაძლოა, სააკაშვილი იყო „პოლიტიკოსი-ნარკოტიკი“, ერთის მხრივ, მომაკვდინებელი და მეორე მხრივ, ჰალუცინაციების მომტანი, რომელსაც არაერთი ჩვენი თანამოქალაქე პრობლემებისა და ტკივილის დავიწყებისთვის იყენებს. ცხადია, ნორმალური ადამიანები ნარკომანებივით (ყოველ შემთხვევაში, დიდხანს) ვერ იცხოვრებდნენ.

„ლაზიკის პარადოქსი“ საკმაოდ ვრცელი იმპროვიზაციის შესაძლებლობას იძლევა, მაგრამ, ალბათ, ორიოდე სიტყვა ბიბლიოთეკაზეც უნდა ვთქვათ. **ჯერ ერთი, არავინ იცის, თუ სად გახდება სააკაშვილი მთავარი ბიბლიოთეკარი — წარმოსახვით „საპრეზიდენტო ბიბლიოთეკაში“ თუ სავსებით რეალურ ციხის ბიბლიოთეკაში; შანსები ორმოცდაათი ორმოცდაათზეა.** ამასთანავე, **იმ შემთხვევაშიც კი, თუ სააკაშვილი ციხის ბიბლიოთეკაში არ მოხვდება, მისი მუშაობა ერთსა და იმავე ადგილას** (ანუ სიტუაცია, როდესაც ყველას ეცოდინება, სად შეიძლება იპოვოს სააკაშვილი) **პრაქტიკულად წარმოუდგენელი ჩანს. მისი შეურიგებელი ოპონენტები შეიძლება ცუდ ხასიათზე დადგნენ ან ბანალურად დათვრნენ და იმ ახალაშენებულ ბიბლიოთეკაში საცემრად მიუვარდნენ, ერთხელ, ორჯერ... და ასე შემდეგ, წლების და ათწლეულების განმავლობაში.** ვინაიდან ფიგურანტს სახელმწიფოსგან სიცოცხლის ბოლომდე დაცვა ეკუთვნის, რომელიც თავის მოვალეობას ნებისმიერ შემთხვევაში შეასრულებს, ჩვენ, სავარაუდოდ, ვიხილავთ გაუთავებელ გაწევ-გამოწევას ამ ჰიპოთეტური ბიბლიოთეკის შენობასთან, დაცვის ობიექტის (მელო)დრამატული ევაკუირებით, გარბენებით, ჰალსტუხებით და ა. შ. **გვჭირდება თუ არა ეს ბიბლიოთეკა, როგორც მუდმივი დებოშის კერა?**

სააკაშვილის გამოსვლებიდან, რომლებიც ამ თემას ეძღვნება, კარგად ჩანს, თუ როგორ ებღაუჭება ის სიტყვას **„საპრეზიდენტო“;** ეს პრობლემა მას 2007 წლის 7 ნოემბრის და თანმდევი საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბების შემდეგ აქვს, როდესაც საზოგადოების დიდმა ნაწილმა უარი თქვა, ის პრეზიდენტად ეღიარებინა. ამის შემდეგ სახელისუფლო პროპაგანდამ ამ სიტყვის მომაბეზრებლად ხშირი გამოყენება დაიწყო, ხოლო **სააკაშვილი ცდილობდა, ის თითოეულ დეტალზე მიეწებებინა. მაგალითად, დააწესა „ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი“, რომელსაც ახლა თავისი ადმინისტრაციის თანამშრომლებს ურიგებს** (სხვათა შორის, დაჯილდოების შემდეგ თითოეულმა მათგანმა, ერთდროული ფულადი პრემიის სახით, ბიუჯეტიდან 1000 ლარი უნდა მიიღოს). ჯერჯერობით უცნობია, რა ორდენი გადაეცა სააკაშვილის ადმინისტრაციის უფროსს — ანდრო ბარნოვს, მაგრამ იმედია („არ დაიდარდო“-ს გმირები რომ იტყოდნენ), ის იქნება „ს მეჩამი ი ს ბანტომ“, რადგან (ხმლების რა მოგახსენოთ) ბანტი ანდროს უდავოდ მოუხდება. დებულების თანახმად, **„ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი ენიჭება კულტურის, განათლების, მეცნიერების, ხელოვნების, სპორტისა და სხვა დარგის გამოჩენილ მოღვაწეებს საზოგადოებრივი ცხოვრების შესაბამის სფეროში გამორჩეული მიღწევებისთვის და საქართველოს წინაშე აღმატებული ღვაწლისთვის“.** ვერ გამოვრიცხავთ, რომ სააკაშვილის ადმინისტრაციის ზოგიერთ თანამშრომელს მართლაც აღმატებული ღვაწლი მიუძღვის (მაგალითად) მრავალტანჯული სამამულო ფსიქიატრიის წინაშე, მაგრამ მთავარი სულ სხვა რამ არის, **რამდენი „საპრეზიდენტო ბრანზულეტკა“-ც არ უნდა დაარიგოს ამ დღეებში სააკაშვილმა, ასიათასობით მოქალაქე არასოდეს მოიხსენიებს მას „პრეზიდენტად“ და ეს, ალბათ, მისი მმართველობის ერთ-ერთი ყველაზე საგულისხმო შედეგია.**

საბოლოო ჯამში, მთელი ეს ჩინ-მედლები, არარსებული ბიბლიოთეკები და ა. შ. უმნიშვნელო დეტალებია და მათზე მხოლოდ იმიტომ ვსაუბრობთ, რომ **სააკაშვილზე სათქმელი აღარაფერი დარჩა; ამ ბრჭყვიალა აქსესუარების უკან მხოლოდ დიდი სიცარიელე დგას.** მოკლედ, ყველაფერი დასრულდა, ალეს კაპუტ, ან კიდევ XVII საუკუნეში რომ იტყოდნენ — ო, დუ ლიბერ ავგუსტინ, ალეს ისტ ხინ! ბევრს ჰგონია, რომ ეს მსუბუქი, მხიარული და ამავე დროს სენტიმენტალური სიმღერაა, სინამდვილეში კი ის 1678-1679 წლების შავი ჭირის ეპიდემიაზე მოგვითხრობს. ასე რომ, მისი გამოყენება მუსიკალურ ფონად მიხეილ სააკაშვილთან დამშვიდობების პროცესში, ნებისმიერ შემთხვევაში, ადეკვატური იქნება.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მიუხედავად იმისა, რა მოტივი იდგა ივანიშვილის განცხადების უკან — მარგველაშვილისთვის დამატებითი ხმების მოხვეჭის სურვილი თუ პრეზიდენტად სხვა კანდიდატის გაყვანის ფარული განზრახვა, რომელიც ხშირად განიხილება სხვადასხვა კონსპიროლოგიური თეორიის ფარგლებში (ბურჯანაძის თუ ბაქრაძის, ამ კონტექსტში მნიშვნელობა არ აქვს), მან, სავარაუდოდ, ძალიან სერიოზული შეცდომა დაუშვა, როდესაც საუბარი ამომრჩეველთან ასეთ ტონალობაში დაიწყო.**

# ყვითელი ბარათი ბიძინა ივანიშვილისთვის

**ბიძინა ივანიშვილის განცხადებამ იმის თაობაზე, რომ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის დანიშვნის შემთხვევაში მმართველი კოალიციის კანდიდატმა კანდიდატურა უნდა მოხსნას, და გიორგი მარგველაშვილის თანმდევმა კომენტარმა, რომელშიც მან ანალოგიური პოზიცია დააფიქსირა, საარჩევნო კამპანიას დასკვნით ეტაპზე დამატებითი ინტრიგა შესძინა. ბოლო წლის განმავლობაში ქართული საზოგადოება ასე თუ ისე მიეჩვია ივანიშვილის უცნაურ განცხადებებს, თუმცა ამჯერად არაერთმა კომენტატორმა ჩათვალა, რომ ახალმა ხელისუფლებამ ზღვარს გადააბიჯა და საკმაოდ შეურაცხმყოფელ ფორმებში საკუთარი ამომრჩევლების დაშანტაჟება დაიწყო. არსებობს თუ არა საფუძველი ასეთი შეფასებისთვის? რას მოუტანს ივანიშვილს ეს თამაში?**



## საბოტაჟიდან შანტაჟამდე

მიუხედავად იმისა, რომ გიორგი მარგველაშვილი ნამდვილად არ გახლავთ ყველაზე პოპულარული პოლიტიკოსი მმართველი კოალიციის რიგებში, ექსპერტები მის გამარჯვებას არჩევნებში ეჭვქვეშ ძალიან იშვიათად აყენებდნენ, რადგან ივანიშვილის რეიტინგი ყველა წარმოსადგენ ნეგატიურ ფაქტორს ასე თუ ისე ანეიტრალებდა. მაგრამ მისი გამარჯვება პირველ ტურში ყოველთვის ეჭვქვეშ იდგა და ამას რამდენიმე მიზეზი განაპირობებდა, მათ შორის — საიმიჯო პრობლემები, რომლებიც ამ კანდიდატს აშკარად აქვს, მისი ამომრჩევლების (სავარაუდოდ) დაბალი აქტიურობა კონკურენტების მიერ ჩატარებული ტოტალური მობილიზაციის ფონზე, უნიჭო წინასაარჩევნო კამპანია და ა. შ. **არავის გაუკვირდებოდა, თუ მარგველაშვილი პირველ ტურში 50%-იან ზღვარს ვერ გადალახავდა და** (მაგალითად) **45% მოაგროვებდა, რის შემდეგაც, მეორე ტურში დიდი სხვაობით გაიმარჯვებდა. თუ მეორე ტურში მასთან ერთად ბურჯანაძე გავიდოდა, ამ უკანასკნელის გაპრეზიდენტებით შეშინებული ბაქრაძის ამომრჩევლების დიდი ნაწილი იძულებული გახდებოდა, ხმა მარგველაშვილისთვის მიეცა** (ზოგიერთი მათგანი ისეთ პანიკაშია, რომ შეიძლება ეს პირველსავე ტურში გააკეთოს), **ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მეორე ტურში მარგველაშვილის პირისპირ ბაქრაძე დარჩებოდა, ბურჯანაძის ამომორჩევლების უდიდესი ნაწილი საყოველთაო „ანტინაციონალურ მობილიზაციას“ შეუერთდებოდა და მათი ხმები ისევ და ისევ მარგველაშვილთან წავიდოდა;** იყო სხვა ფაქტორებიც, რომლებიც მეორე ტურში „ქართული ოცნების“ კანდიდატის დამაჯერებელ გამარჯვებას უზრუნველყოფდა. მოკლედ, **ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა, ვიდრე ივანიშვილი და მარგველაშვილი თავის უპრეცედენტო, უაღრესად უცნაურ განცხადებებს გააკეთებდნენ.**

ამ ნაბიჯმა შესაძლებელი გახადა სცენარი, რომელიც 1 ოქტომბერს გამარჯვებულ ხალხს კოშმარულ სიზმარშიც ვერ მოელანდებოდა. გამოდის, რომ **იმ შემთხვევაში, თუ პირველ ტურში** (ციფრები, ცხადია, პირობითია) **მარგველაშვილი აიღებს 49%-ს, ბაქრაძე 21%-ს, ხოლო ბურჯანაძე 20%-ს** (დანარჩენი — სუსტ კანდიდატებს), **რის შემდეგაც „ქართული ოცნების“ ფალავანი, დაპირებისამებრ, თავის კანდიდატურას მოხსნის, საქართველოს პრეზიდენტი საზოგადოების დიდი უმრავლესობის ნების საწინააღმდეგოდ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი გახდება, რაც მნიშვნელოვან წინაპირობას შექმნის იმ დიქტატორული რეჟიმის რესტავრაციისთვის, რომელიც საქართველომ სულ რაღაც ერთი წლის წინ მოიშორა. ამას, დიდი ალბათობით, ტოტალური დესტაბილიზაცია და, შესაძლოა, სამოქალაქო ომიც კი მოჰყვეს.**

არსებობს უამრავი მაღალტექნოლოგიური და (ფარდობითად) სუფთა ხერხი იმისთვის, რომ კანდიდატის რეიტინგი გაზარდო, საკუთარი ამომრჩევლების მოტივაცია აამაღლო და საარჩევნო უბნებზე მათი მისვლა უზრუნველყო. **იმ შესანიშნავი სასტარტო პირობების გათვალისწინებით, რომელიც „ქართულ ოცნებას“ ჰქონდა, ალბათ, მხოლოდ უიმედო არაპროფესიონალებს შეეძლოთ მიეყვანათ საქმე იმ კრიზისამდე, რომელზეც დღეს ვსაუბრობთ.** გაჩნდა კოორდინატების უცნაური სისტემა, რომლის ფარგლებში 50,01% პირველ ტურში ახალი ხელისუფლების მიმართ საზოგადოების ნდობის საკმარის დადასტურებად ითვლება, ხოლო 49,99% რატომღაც არასაკმარისად, თითქოს ეს 0,02% მარგველაშვილის ლეგიტიმურობას ეჭვქვეშ დააყენებს. რეალურად საქმე სხვაგვარადაა — **რამდენიმე თვეში არავის ემახსოვრება ეს ციფრები, ყოველ შემთხვევაში, მათ განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ მიანიჭებს, მაგრამ ამომრჩევლები, სავარაუდოდ, არ დაივიწყებენ ფაქტობრივი შანტაჟის მცდელობას, რომელსაც მათ მიერ არჩეულმა ხელისუფლებამ მიმართა, თანაც მაშინ, როდესაც ამის აუცილებლობა არ არსებობდა.** ფორმალური თვალსაზრისით, არც კანონი დარღვეულა და არც კატასტროფა მომხდარა, მაგრამ **ივანიშვილისა და მარგველაშვილის განცხადებები, ალბათ, მაინც ეწინააღმდეგებოდა დემოკრატიის სულისკვეთებას და მიწასთან ასწორებდა იმ ნდობას, რომელიც „ქართული ოცნების“ ლიდერებსა და ამომრჩევლებს შორის 2012-ში ჩამოყალიბდა.**

**ივანიშვილისა და მარგველაშვილის განცხადებები, ალბათ, მაინც ეწინააღმდეგებოდა დემოკრატიის სულისკვეთებას და მიწასთან ასწორებდა იმ ნდობას, რომელიც „ქართული ოცნების“ ლიდერებსა და ამომრჩევლებს შორის 2012-ში ჩამოყალიბდა**

ალბათ, ყველას ახსოვს კადრები, რომლებიც 2012 წლის 1 ოქტომბრის საღამოს გავრცელდა და ის ადამიანები, რომელნიც შიშველი ხელებით იცავდნენ საარჩევნო უბანს სააკაშვილის ზონდერებისგან. ამ წერილის ავტორს იმ წუთებში შესაძლებლობა მიეცა, საკუთარი თვალით ენახა, თუ როგორი რეაქცია ჰქონდა ამ კადრებზე ერთ-ერთ უცხოელ, არცთუ დაბალი რანგის დიპლომატს, რომელიც ძალიან გაღიზიანდა, სასწრაფოდ დაუკავშირდა სააკაშვილის რეჟიმის წარმომადგენლებს და მალევე მათთან შესახვედრად გაემგზავრა. გარკვეული დროის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ მან ძალისხმევა არ დაიშურა, რათა იმ საღამოს რეჟიმის სიგიჟე შეეჩერებინა. ეს, სავარაუდოდ, არ იყო იდეალისტური აღმაფრენა, არამედ — სავსებით პრაგმატული ნაბიჯი; **ამ გამოცდილმა და საკმაოდ ჭკვიანმა უცხოელმა ძალიან კარგად დაინახა, რომ ეს ადამიანები, ჩვეულებრივი, რიგითი ქართველები** (ხაშურში და არა მხოლოდ ხაშურში), **უკან აღარ დაიხევდნენ და სააკაშვილის რეჟიმის შენარჩუნება** (2007 ან 2011 წლისგან განსხვავებით), **უბრალოდ, ველარ მოხერხდებოდა.** ყოველგვარი პათეტიკის გარეშე, **იმ საღამოს არაერთი ქართველი მზად იყო, ნამდვილი გმირობა გამოევლინა და თავი გაეწირა. ეს იგრძნეს როგორც უცხოელებმა, ისე მიხეილ სააკაშვილმა და მისმა გარემოცვამ; რეჟიმი იძულებული გახდა, უკან დაეხია.**

დღეს კი ივანიშვილი და მარგველაშვილი, ფაქტობრივად, ეუბნებიან ასეთ ადამიანებს, რომ შეუძლიათ მათი ხმები (თუ, სიტყვაზე, პირველ ტურში 49,99% და არა 50,01%-ს მიიღებენ) სანაგვეზე გადაყარონ და მეორე ტურზე უარი თქვან. საკუთარი ამომრჩევლის მიმართ ასეთი დამოკიდებულების ანალოგი არათუ საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიოს უახლოეს ისტორიაში არ მოიძებნება. **მიუხედავად იმისა, რა მოტივი იდგა ივანიშვილის განცხადების უკან — მარგველაშვილისთვის დამატებითი ხმების მოხვეჭის სურვილი თუ პრეზიდენტად სხვა კანდიდატის გაყვანის ფარული განზრახვა, რომელიც ხშირად განიხილება სხვადასხვა კონსპიროლოგიური თეორიის ფარგლებში** (ბურჯანაძის თუ ბაქრაძის, ამ კონტექსტში მნიშვნელობა არ აქვს), **მან, სავარაუდოდ, ძალიან სერიოზული შეცდომა დაუშვა, როდესაც საუბარი ამომრჩეველთან ასეთ ტონალობაში დაიწყო.**

**ძალიან რთულია დემოკრატიისკენ წინსვლის წარმოდგენა იმ პირობებში, როდესაც ერის ლიდერს აქვს იმის პრეტენზია, რომ მან უკეთ იცის, როგორ უნდა იმსჯელონ ექსპერტებმა, წერონ ჟურნალისტებმა და აღიზარდოს სრულიად საზოგადოება**

## ამასაც გაგებით მოვეკიდოთ?

ყოველივე თქმულის მიუხედავად, ბაქრაძის შესაძლო გაპრეზიდენტებაზე სერიოზულად, პრაქტიკულად, არავინ მსჯელობს. ჯერ ერთი, საკმაოდ მაღალია იმის ალბათობა, რომ მარგველაშვილი პირველ ტურში 50%+1 ხმას (და მეტსაც) მიიღებს, ამასთანავე, ნინო ბურჯანაძის შანსები, ამავე ტურში „ვერცხლი“ მოიპოვოს, საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურება. **არის სუფთა ფსიქოლოგიური ნიუანსიც — საზოგადოების დიდი ნაწილისთვის „ნაციონალების“ დაბრუნება მაღალ პოსტებზე აბსოლუტურად წარმოუდგენელია და საუბარს ამ თემაზე დროის ფუჭ ფლანგვად მიიჩნევს.**

მთავარი პრობლემა, ალბათ, სულ სხვა ხასიათისაა. **ის ამომრჩეველი, რომელმაც 2012-ში ხმა „ქართულ ოცნებას“ მისცა, შეიძლება გაგებით მოეკიდოს ბიძინა ივანიშვილის** (როგორც მინიმუმი, საკამათო) **გადაწყვეტილებას, პრეზიდენტობის კანდიდატად გიორგი მარგველაშვილი დაასახელოს, ან მის სურვილს — გადააქციოს მომავალი არჩევნები თავისებურ რეფერენდუმად თემაზე „ენდობით თუ არა ახალ ხელისუფლებას?“** (რეალურად კი — ბიძინა ივანიშვილს). **მაგრამ ეს საკმაოდ საშიში თამაშია, რადგან არ არსებობს გარანტია იმისა, რომ ახლო მომავალში ივანიშვილი რომელიმე სხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე** (მაგალითად, თბილისის მერის) **არ წამოაყენებს კალიგულას ცხენს ან, სოციალურ ქსელებში რომ იტყვიან, „პოლის ჯოხს“ და ამომრჩეველთაგან ორი მესამედის ან სამი მეოთხედის მხარდაჭერას არ მოითხოვს** („თორემ გაგებუტებით“ რიტორიკის გამოყენებით). სერიოზულ ექსპერტებსა და კომენტატორებს ჯერ კიდევ 2012 წლის ▶

„საპრეზიდენტო არჩევნებში ყველა ქართველმა უნდა მიიღოს მონაწილეობა, რომ „ნაცები“ საბოლოოდ გავაქროთ ამ ქვეყნიდან; არ უნდა მოვდუნდეთ, რადგან ხელისუფლებაში აღარ არიან, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერი დასრულდა და საშინელებამ ჩაიარა. დასრულება მაშინ იქნება, როდესაც 27 ოქტომბრის არჩევნებზე წინდახედულ ნაბიჯს გადავდგამთ. არ შეიძლება განმეორდეს ის, რაც ცხრა წლის მანძილზე გამოვიარეთ.“

სამართალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

არჩევნებამდე არ ჰქონიათ არანაირი ილუზია იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში „გასაოცარი დემოკრატია“ დამკვიდრდებოდა, მაგრამ ისინი იმედოვნებდნენ, რომ სააკაშვილის მართლაც რომ მანიაკალურ რეჟიმს ზომიერი და რაციონალური ავტორიტარული რეჟიმი შეცვლიდა. **ზოგადად, მდგომარეობა ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, მაგრამ ძალიან ძნელია, განცხადებას მარგველაშვილის მეორე ტურიდან მოხსნის თაობაზე ან, მაგალითად, ახალი ხელისუფლების საკადრო პოლიტიკას, 100%-ით რაციონალური უწოდო.**

კიდევ ერთხელ — **ეს არ არის დემოკრატია და ძალზე საეჭვოა, ქვეყანა დემოკრატიისკენ წავიდეს მაშინ, როდესაც პრემიერმინისტრის პოსტიდან წასული ბიძინა ივანიშვილი ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე განმსაზღვრელ ზეგავლენას მოახდენს** (პრაქტიკულად ამოუცნობი ფაქტორი, რომელიც წინასწარ შეფასებას ძალიან ძნელად ექვემდებარება). **ძალიან რთულია დემოკრატიისკენ წინსვლის წარმოდგენა იმ პირობებში, როდესაც ერის ლიდერს აქვს იმის პრეტენზია, რომ მან უკეთ იცის, როგორ უნდა იმსჯელონ ექსპერტებმა, წერონ ჟურნალისტებმა და აღიზარდოს სრულიად საზოგადოება**. ამომრჩეველს, იდეაში, შეუძლია ამ ამბიციებსაც გაგებით მოეკიდოს და გარდამავალ პერიოდში ჰიბრიდული რეჟიმის არსებობას შეეგუოს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხსენებული რეჟიმი მას თავის კეთილგონიერებასა და პატიოსნებაში (რამდენადაც ეს შესაძლებელია; იდეალური ამქვეყნად არაფერია) საბოლოოდ დაარწმუნებს.

საინტერესოა, რამდენად რაციონალური და პატიოსანი იყო განცხადება მარგველაშვილის მეორე ტურიდან მოხსნის თაობაზე?

### ბარათი თუ სიტყვიერი გაფრთხილება?

გულშემატკივრები, როგორც წესი, ღიზიანდებიან, როდესაც მსაჯი თამაშის დასაწყისში შედარებით მცირე დარღვევისთვის ფეხბურთელს ყვითელ ბარათს უჩვენებს, თუმცა არბიტრს თავისი ლოგიკა აქვს — ის შეიძლება მივიდეს დასკვნამდე, რომ ეს მოთამაშე ორიენტირებულია უხეშ ფეხბურთზე, სულ უფრო აგრესიულად იმოქმედებს და საქმე შეიძლება მძიმე ტრავმებამდე, წითელ ბარათებამდე, თამაშის გლადიატორების ბრძოლად გადაქცევამდე, მასზე კონტროლის დაკარგვამდე მივიდეს და ის ყოველივე ამის პრევენციას ახდენს. **ივანიშვილის განცხადება მეორე ტურის თაობაზე რაღაცით ჰგავს ამ მცირე დარღვევას, კონკრეტულ ეპიზოდში მოთამაშე თითქოს არ იმსახურებს ყვითელ ბარათს, მაგრამ მთელი თამაშის კონტექსტში მოედანზე უკვე მომხდარი მოვლენების და სავარაუდო პერსპექტივის გათვალისწინებით, ყვითელი ბარათის ჩვენება შეიძლება სავსებით ადეკვატური ზომა იყოს, რომელიც მომავალში უარესი პრობლემებისგან დაგვიცავს.** უნდა უჩვენოს თუ არა ქართულმა საზოგადოებამ (ამ შემთხვევაში იგულისხმება ყველა, მიხეილ სააკაშვილის სახელობის ტოტალიტარული სექტის წევრების გარდა) ამ ეპიზოდში ყვითელი ბარათი ბიძინა ივანიშვილს, რომლის როლი შეიძლება საარჩევნო ბიულეტენმა შეასრულოს?

**არავინ აყენებს ეჭვქვეშ ივანიშვილის უდიდეს დამსახურებას სააკაშვილის რეჟიმის დემონტაჟის საქმეში და, ზოგადად, მის ღვაწლს საქართველოს წინაშე, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ბოლო წლის განმავლობაში მის მიმართ გარკვეული პრეტენზიები დაგროვდა.** ზოგი კოჰაბიტაციისთვის აკრიტიკებს, ზოგს მისი საკადრო პოლიტიკა არ მოსწონს, ზოგი მიიჩნევს, რომ მან მომავალში შეიძლება დემოკრატიას პრობლემები შეუქმნას, ზოგს მისი დიდაქტიკური მონოლოგები აღიზიანებს, ზოგმა ამ წერილში განხილული განცხადების გამო თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და ა. შ. რა გადაწყვეტილება უნდა მიიღონ ამ ადამიანებმა 27 ოქტომბერს: ივანიშვილის ნების წინააღმდეგ წავიდნენ და მას ყვითელი ბარათი უჩვენონ, რომელიც უსიამოვნოა, მაგრამ მომაკვდინებელი არაა და გონზე მოყვანის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს, თუ „ცოტაც აცალონ“, როგორც ეს საქართველოში ხდება ხოლმე იმ მომენტამდე, ვიდრე მოედანზე წითელი ბარათების ფრიალი, ხელჩართული ბრძოლა და ქაოსი დაიწყება? **არის შემთხვევები, როდესაც ყველაზე კარგ, ყველაზე პოპულარულ და პატივსაცემ ფეხბურთელს, თვით პელესაც კი** (თვითონ ამბობს, რომ სახელისუფლო გუნდში პელეს ეძახიან), **ყვითელი ბარათი უნდა უჩვენო, რათა სავარაუდო გართულებების პრევენცია მოახდინო.**

ყოველივე ამასთან დაკავშირებით, ქართულ საზოგადოებას, როგორც მთავარ მსაჯს, 27 ოქტომბერს საარჩევნო უბნებზე პრინციპულად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება მოუწევს.

**დიმიტრი მონიავა**

**ძალიან ძნელია, განცხადებას მარგველაშვილის მეორე ტურიდან მოხსნის თაობაზე ან, მაგალითად, ახალი ხელისუფლების საკადრო პოლიტიკას, 100%-ით რაციონალური უწოდო**

გიორგი აბდალაძე:

# ბოდიშს შემსრულებლისგან მივიღებ და არა დამკვეთისგან

**2012 წლის წლის 1 ოქტომბრის შემდეგ ყველაზე კარგი და მისასალმებელი რაც გაკეთდა, იყო ის, რომ ციხეებიდან უამრავი უდანაშაულო ადამიანი გაათავისუფლეს. ცხრაწლიანი რეჟიმის დროს აპატიმრებდნენ განურჩევლად ყველას, ვინც ოდნავ მაინც აზროვნებდა და საკუთარი შეხედულება გააჩნდა. რამდენიმე დღის წინ საქართველოს პარლამენტმა 3-მილიონიან ქვეყანაში რამდენიმე ასეულ ადამიანს პოლიტპატიმრის, ხოლო ათეულობით ადამიანს პოლიტდევნილის სტატუსი მიანიჭა. „ნაციონალური“ ხელისუფლება არ ერიდებოდა არც ჟურნალისტების დაპატიმრებას, მათ შორის ისეთების, რომელთა საქმიანობაც საქვეყნოდ იყო ცნობილი. „საქართველო და მსოფლიო“ „ნაცების“ უმოწყალო რეჟიმის მსხვერპლს, ფოტოკორესპონდენტ გიორგი აბდალაძეს ესაუბრა, რათა გაერკვია, აღდგა თუ არა სამართლიანობა და როგორი იყო ივანიშვილის ერთი წელიწადი.**




**— გიორგი, როგორ გაიარა ერთმა წელიწადმა, შენ რისი მოლოდინიც გქონდა გაგიმართლდა?**

— ქვეყანას გაუმართლა. ერთი წლის თავზე ვგრძნობ, რას ნიშნავს „ნაცების“ ხელისუფლებაში არ ყოფნა. 2012 წლის წინასაარჩევნო პერიოდი და ახლანდელი არჩევნები სულ სხვადასხვაგვარია. ხალხის ძალიან დიდი ძალისხმევის შედეგად „ნაციონალური“ მონსტრი თავიდან მოშორებულია. **მჯერა, რომ 27 ოქტომბრის შემდეგ ეს მახინჯი კოჰაბიტაციაც დასრულდება და საერთოდ „ნაციონალები“ დასრულდებიან. ისინი კი, ვინც პარლამენტში სხედან, ვფიქრობ, სწორ გადაწყვეტილებას მიიღებენ და იქ დადგებიან, სადაც ხალხია, მიუხედავად იმისა, რომ შოკში არიან და ვერ ხვდებიან, ქართველმა ერმა რა განაჩენი გამოუტანა.**

**— თავს რეაბილიტირებულად გრძნობ? თვლი, რომ სამართლიანობა აღდგა?**

— ვანო მერაბიშვილი სასამართლო დარბაზში განსასჯელის სკამზე რომ დავინახე, თითქოს შინაგანად შვება ვიგრძენი.

**— ვარაუდობენ, რომ შესაძლოა, მერაბიშვილი არჩევნების შემდეგ გამოუშვან.**

— თუ მერაბიშვილი გამოუშვეს, ე. ი. ქვეყანაში სამართლიანობამ ვერ იზეიმა. მე მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ის დაისჯება.

**— ის გამომძიებლები და პროკურორები, რომლებმაც შენი საქმე შეკერეს, დაისაჯნენ?**

— რამდენიმე მათგანს ქალაქში შემთხვევით შევხვდი. სამსახურებიდან გაათავისუფლეს. ისინი ძირითადად შავი საქმის შემსრულებლები იყვნენ, მიუხედავად ამისა, მაინც არ ეპატიებათ ის, რაც ჩაიდინეს. ყველა მათგანმა სამართლებრივად პასუხი უნდა აგოს. **მე იმ კატეგორიას არ განვეკუთვნები, ქუჩაში რომ უსწორდებიან ადამიანებს, მაგრამ ხომ არიან ნაწამები ადამიანები, რომელთაც თავის მოთოკვა არ შეუძლიათ? საშინელება გამოვიარეთ.** სააკაშვილმა ისეთი სისტემა ჩამოაყალიბა, რომ ოჯახებს მთელი ნათესაობითა და ახლობლებით ანადგურებდნენ. ამის ატანა და მოთმენა ძალიან ძნელია, მაგრამ ასეთ დროს, ალბათ, სახელმწიფოზეც უნდა იფიქრო.

**საპრეზიდენტო არჩევნებში ყველა ქართველმა უნდა მიიღოს მონაწილეობა, რათა „ნაცები“ საბოლოოდ გავაქროთ ამ ქვეყნიდან; არ უნდა მოვდუნდეთ, რადგან ხელისუფლებაში აღარ არიან, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერი დასრულდა და საშინელებამ ჩაიარა. დასრულება მაშინ იქნება, როდესაც 27 ოქტომბრის არჩევნებზე წინდახედულ ნაბიჯს გადავდგამთ. არ შეიძლება განმეორდეს ის, რაც ცხრა წლის მანძილზე გამოვიარეთ.** ხალხს ძლიერი ხელი აქვს, სხვას არ უნდა ველოდოთ. ხალხის ძალა, ციხეში რომ ვიჯექი, მაშინ ვიგრძენი. ჟურნალისტებთან ერთად ხალხიც რომ გამოვიდა და ჩვენს დაჭერას აპროტესტებდა, მთელი შინაგან საქმეთა სამინისტრო შეშინებული იყო, ერთი სული ჰქონდათ, ყველაფერი დამთავრებულიყო.

ამ არჩევნებში ჩვენ ყველამ ერთად უნდა დავანახოთ „ნაცებს“, თუ სინამდვილეში რამდენი პროცენტი აქვთ.

ეს ერთი წელიწადი იმით გამოირჩევა წინა 9 ჯოჯოხეთური წლისგან, რომ არავინ არავის აძალებს, გინდა თუ არა, ხმა ამას და ამას მიეცითო, სამსახურებიდან დათხოვნით არ ემუქრებიან, თავისუფალი არჩევანის საშუალება გვაქვს და ეს უკვე დიდი წინსვლაა.

**— გიორგი, როგორ შეაფასებ ივანიშვილის ერთ წელიწადს?**

**— ეს ჩვენი ერთი წელიწადია და არა ივანიშვილის. ჩვენი თავისუფლების ერთი წელიწადი, როდესაც ტელეფონს არ შლი, ელემენტს არ აცლი და გვერდით ოთახში არ გადიხარ სალაპარაკოდ.** რაც შეეხება სამართლიანობის სრულყოფილად აღდგენას, მჯერა, ესეც მალე დაიწყება, ცოტა დრო სჭირდება, ალბათ. ციხეში მოძღვარმა მითხრა, ადამიანები ვჩქარობთ, თორემ ღმერთს არაფერი ეჩქარება, ადრე თუ გვიან ყველას თავისი მიეზღვებაო. თითოეული ის ადამიანი, რომელიც ხალხს სისხლს სწოვდა, დაისჯება, არავის არაფერი შერჩება. იმას არ ვამბობ, რომ ჩამოახრჩონ, დახოცონ. **პირადად მე საჯაროდ ბოდიშიც რომ მომიხადონ, საკმარისი შეიძლება იყოს, ოღონდ ეს ყველას არ ეხება, ბოდიშს შემსრულებლისგან მივიღებ და არა დამკვეთისგან. სასტიკი რეჟიმის შემქმნელი ადამიანის ბოდიში არავის სჭირდება. ყველაფერს თავისი დრო აქვს და მეც, როგორც ყველა, ამ დროს ველოდები.**

მომწონს ისიც, რომ ხალხი თავისუფლად საუბრობს იმაზე, რასაც ფიქრობს, რომ იმედი გაუცრუვდათ და სამართლიანობა არ აღდგა. ამას ვინმე გაბედავდა? ვხედავ, რომ მიტინგებზე ხალხს აღარ სცემენ, მანქანებში აღარ ყრიან და გაურკვეველი მიმართულებით არ მიჰყავთ. ხალხი ჩურჩულით აღარ ლაპარაკობს და გვერდზე არ იხედება, ვინმე ხომ არ მისმენსო. ადამიანებს მოთხოვნები გაეზარდათ და ესეც ნათლად ჩანს.

**— და მაინც: როგორ ფიქრობ, აღდგა სამართლიანობა?**

— ხომ გითხარით, მერაბიშვილი განსასჯელის სკამზე რომ დავინახე, მივხვდი, სამართლიანობის აღდგენის ეტაპი დაწყებულია. მისი დაპატიმრებით ეს პროცესი კი არ დამთავრებულა, პირიქით, დაიწყო. როგორც ჟურნალისტი, ყველაფერს ცოტა სხვა თვალით ვუყურებ. **თუ პროცესები ისე არ წარიმართა, რა მოლოდინიც ხალხს ჰქონდა, ეს ქვეყანა დაიცლება. ბევრი რამ შეიცვალა, ყოველ შემთხვევაში, ასე ვხედავ და ვფიქრობ, მაგრამ შეიძლება ვცდები კიდეც.**

**— ნასამართლეობა მოგიხსნეს? მგონი, ეგ პროცესი დროში გაიწელა.**

— ნასამართლეობა მომიხსნეს და ჩამორთმეული პასპორტიც დამიბრუნეს.

**— ე. ი. ახალი ხელისუფლებით კმაყოფილი ხარ.**

— კმაყოფილი მაშინ ვიქნები, როდესაც ჩემს ქვეყანაში ხალხის ლაღ და ბედნიერ სახეებს გადავიღებ, იმ სურათებს გადავიღებ, რომლებზეც მთელი ცხოვრება ვოცნებობ.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**«ეს ჩვენი ერთი წელიწადია და არა ივანიშვილის; ჩვენი თავისუფლების ერთი წელიწადი, როდესაც ტელეფონს არ შლი, ელემენტს არ აცლი და გვერდით ოთახში არ გადიხარ სალაპარაკოდ»**

სკანდალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„გთავაზობთ, რომ ჩვენმა მეგობრებმა NDI-დან გამოაქვეყნონ კვლევის ისეთი შედეგები, რომლებიც არ დაუშვებს დაეჭვებას: 1. მეორე ტურის პერსპექტივაში; 2. დავით ბაქრაძის მეორე ადგილში; 3. ბურჯანაძის პოზიციების სრულ უპერსპექტივობაში“...**

# ჯერემი როზნერის რჩევა გიგა ბოკერიას — «გადაეცით დავით ბაქრაძეს, თავი დაანებოს მეგრელების სახალხოდ ლანძღვას»!

ამ დღეებში ინტერნეტსაიტებზე გავრცელდა ამერიკელი პოლიტტექნოლოგების სკანდალური ინსტრუქცია „ნაციონალურ მოძრაობის“, კერძოდ, მათი რუხი კარდინალის — გიგა ბოკერიასა და საპრეზიდენტო კანდიდატის — დავით ბაქრაძისთვის. წერილი წარმოადგენს ამერიკელი პოლიტტექნოლოგების ინსტრუქციას თავიანთი კლიენტის – პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატ დავით ბაქრაძისადმი. ამერიკელი ინსტრუქტორები ცნობილი კომპანიიდან, რომლის სპეციალობაა პიარი და რომლის ოფიციალური კლიენტი გახლავთ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, ჭკუას არიგებენ, თუ როგორ უნდა იმოქმედონ საპრეზიდენტო მარათონის განმავლობაში, რათა გადაუსწრონ მთავარ პრეტენდენტებს. კომპანია Greenberg Quinlan Rosner-ის ვიცეპრეზიდენტ Jeremy D. Rosner-ის წერილი, რომელიც მან მანამდე, ზუსტად ერთი თვით ადრე — 2013 წლის 15 სექტემბერს – მისწერა საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივან გიგა ბოკერიას. მნიშვნელოვან ამონარიდებს ამ წერილიდან აქვე გთავაზობთ.




„ჩვენ ვერ გვამშვიდებს ბოლო გამოკითხვის შედეგები. უეჭველია, რომ ბურჯანაძე მყარად ინარჩუნებს მეორე პოზიციას და თანდათან უახლოვდება პირველ პოზიციას, თან 10%-იან ჩამორჩენას, რომელიც უკავია მარგველაშვილს. აქედან გამომდინარე, გთავაზობთ, ჩვენმა მეგობრებმა NDI-დან გამოაქვეყნონ კვლევის ისეთი შედეგები, რომლებიც არ დაუშვებს დაეჭვებას:

— მეორე ტურის პერსპექტივაში;

— დავითის მეორე ადგილში;

— ბურჯანაძის პოზიციების სრულ უპერსპექტივობაში.

გარდა ამისა, აუცილებელია მარგველაშვილისა და განსაკუთრებით ბურჯანაძის წინააღმდეგ ნეგატიური კამპანიის მკვეთრი გაძლიერება. ოჯახის წევრების, ცოლების, შვილების, მშობლებისა და ქმრების მაკომპრომეტირებელი მასალების გავრცელებას. ამ მიმართულებით, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, დავითს, კონკურენტებისგან განსხვავებით, ნაკლებად მოწყვლადი სიტუაცია აქვს.

**სხვათა შორის, გადაეცით დავითს, თავი დაანებოს მეგრელების სახალხოდ ლანძღვას. ჩემი თანდასწრებით მან ისინი რამდენიმეჯერ მოიხსენია ყველაზე ჩამორჩენილ, თითქმის კანიბალებთან გათანაბრებულ ეთნიკურ ჯგუფად. სასაცილო ისაა, რომ ამ რეგიონში მას ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს.**

გამოკითხვების შედეგების შესწავლის შედეგად მე კიდევ ერთხელ დავრწუნდი, რომ ბურჯანაძის ძირითად სტრატეგიულ რესურსს წარმოადგენს „მეოცნებეებში“ იმედგაცრუებული ამომრჩეველი. მე გთავაზობთ, რომ უფრო ნაკლები რესურსი დახარჯოთ მთლიანად „ოცნების“ ნეგატიურ კამპანიაზე და ძალისხმევის კონცენტრაცია გააკეთოთ პირადად მარგველაშვილის და, პირველ რიგში, ბურჯანაძის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიაზე. გიორგი, **გაითვალისწინეთ, რომ ჩვენი მოკავშირეებია ამომრჩევლების გამოცხადების დაბალი მაჩვენებელი და თქვენი მომხრეების მაქსიმალური მობილიზაცია.**

რაც შეეხება ვაშინგტონში მომავალ ვიზიტებს, უკვე მიღწეულია რამდენიმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შეთანხმება. რა თქმა უნდა, ამას დიდი შრომა და დრო დასჭირდა, მაგრამ ამის შესახებ ჩვენ დავილაპარაკებთ ევროპაში ჩვენი შეხვედრისას. უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენი ევროპელი მეგობრების მხარდაჭერის მოპოვება. დამკვირვებელთა ჯგუფის შედგენა უკვე მიმდინარეობს. ჩვენი მოკრძალებული შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შევეცდებით, ორგანიზება გავუკეთოთ საქართველოში დაახლოებით 10 ევროპული მისიის, ასევე აშშ-დან დამკვირვებლების სოლიდური ჯგუფის ჩამოსვლას. ჯერჯერობით ვერ ავიღებ ჩემს თავზე ზუსტი რაოდენობის დასახელებას, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ შევძლებ უფრო კონკრეტული ციფრის დასახელებას.

**რაც შეეხება ევროპული მედიის ჩართვას, აქ ჩვენ ვაწყდებით დაუგეგმავ პრობლემებს. ჩვენი ბევრი მეგობარი სხვადასხვა საბაბით უარს ამბობს თანამშრომლობაზე. ჩემი აზრით, ჩვენ გვჭირდება საინფორმაციო სტრატეგიის შეცვლა, იმის გამო, რომ ახალი ხელისუფლების ძალისხმევა თანდათან ცვლის საქართველოს საგარეო პოლიტიკის აღქმის პარადიგმას.**

**ახლა უკვე ცოტა ვინმეს თუ შეაქვს ეჭვი ახლანდელი მთავრობის პროდასავლურ ორიენტაციაში. მე ინტუიციურად ვგრძნობ, თუმცა ზოგიერთი რამ შეიძლება აღმოვაჩინოთ ბოლო კვლევებშიც, რომ ხელისუფლების კრიტიკა უნდა გადიოდეს სამოქალაქო უფლებების, ძირითადად, რელიგიური, ეთნიკური და სექსუალური უმცირესობების უფლებების დარღვევის პარადიგმაზე.**

**ეს თემა იოლად პოულობს მხარდაჭერას ევროპულ და ამერიკულ მედიაში. იფიქრე ამაზე და მომწერე,“** — წერენ ამერიკელი ინსტრუქტორები გიგა ბოკერიას.

> **«მან (ბაქრაძემ — რედ.) ისინი (მეგრელები — რედ.) რამდენიმეჯერ მოიხსენია ყველაზე ჩამორჩენილ, თითქმის კანიბალებთან გათანაბრებულ ეთნიკურ ჯგუფად. სასაცილო ისაა, რომ ამ რეგიონში მას ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს»**

**„საქართველო და მსოფლიო“ გთავაზობთ კომენტარებს აღნიშნულთან დაკავშირებით.**

**ზაურ ნაჭყებია, სააგენტო „ივერიონის“ ხელმძღვანელი:**

— ამ „ინსტრუქციაში“ უჩვეულო არაფერია — ამერიკელი პოლიტტექნოლოგები შესაძლებლად მიიჩნევენ ქართველი ამომრჩევლის „დაბოლებას“ და მათთვის სასურველი კანდიდატის მეორე ადგილზე გათრევას. სხვათა შორის, მათ კარგად აქვთ შესწავლილი ჩვენი ფსიქოლოგია და ზუსტად იციან, როგორ „დაარტყან“ ჩვენს ცნობიერებას!

თუ ამ „ინსტრუქციებიდან“ გამოვალთ, ივანიშვილმა ბრწყინვალედ შეასრულა ეს დავალება, როცა ღიად დააფიქსირა, რომ დავით ბაქრაძე „ცოტათი უსწრებს“ ნინო ბურჯანაძეს. ამ განცხადებით მან ბაქრაძეს მეორე ადგილი უკვე „დაუბევა“ და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების ალბათობაც გამორიცხა. შესრულებულია მესამე ამოცანაც — „ნინო ბურჯანაძის სრული უპერსპექტივობა“.

**ძალიან საინტერესოა ისიც, რომ ბაქრაძეს ყველაზე დიდი მხარდაჭერა თურმე საქართველოში „ყველაზე მეტად ჩამორჩენილ“, „კანიბალიზმთან“ წილნაყარ სამეგრელოში ჰქონია. რამდენადაც ვიცი, იქ სიმპათიები უფრო ბურჯანაძის მხარეს იხრება. არა მგონია, ჩემი მშობლიური კუთხე კიდევ ერთხელ შეცდეს და ხმა „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატს მისცეს.**

ერთი სიტყვით, მათი „ინსტრუქციის“ მთავარი პირობა შესრულებულია — სახეზეა ანტიბურჯანაძისეული ისტერია და იმ „პერსპექტივების“ წინა პლანზე წამოწევა, რომელსაც ისინი „ნაციონალების“ საპრეზიდენტო კანდიდატს ურჩევენ (პრობლემები რელიგიურ, ეთნიკურ და სექსუალური უმცირესობებთან დაკავშირებით).

**ეჭვი მეპარება, რომ, მიუხედავად ასეთი „ინსტრუქციისა“, ქართველ ამომრჩეველთა ტვინის გამორეცხვა იმდენად შეძლონ, რომ ბაქრაძე მეორე ადგილზე გავიდეს.** ეს მხოლოდ „ქართული ოცნების“ „კეთილი ნების“ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, რისი ალბათობაც ძალიან დიდია.

**თემურ შაშიაშვილი, პოლიტიკური პარტია „თეთრების“ ლიდერი:**

— ბატონი ბიძინა ივანიშვილი, სარგებლობს რა ხალხის კეთილგანწყობით და მიიჩნევს, რომ, რადაც უნდა დაუჯდეს, შეასრულოს დასავლეთის გარკვეული დაჯგუფებების დავალება მარგველაშვილის გაპრეზიდენტების თაობაზე, მიდის დემოკრატიული აზროვნებისა და დემოკრატიულ პრინციპებისთვის აბსოლუტურად მიუღებელზე, როდესაც ამბობს, რომ, თუ მისი პროტეჟე პირველივე ტურში ვერ გიმარჯვებს, მან მეორე ტურში მონაწილეობა არ უნდა მიიღოს. ეს უკვე შანტაჟის გზაა, რაც შეურაცხმყოფელია საქართველოსთვის, საქართველოს მოსახლეობისთვის, ქართული აზროვნებისთვის.

**დამაფიქრებელია, რომ ამ ანტიდემოკრატიულ გამოთქმას მყისიერი შეფასება არ მოჰყვა ამერიკაში, საერთოდ, დასავლეთის პოლიტიკურ წრეებში.** გავიხსენოთ, როგორი მომენტალური და მკვეთრი შეფასებები მოჰყვა ბიძინა ივანიშვილის გამონათქვამს პრეზიდენტ სააკაშვილის საპრეზიდენტო ვადის 20 იანვარს დასრულებასთან დაკავშირებით. კანონიერ მოთხოვნას დასავლეთის პროტესტი მოჰყვა, უკანონო და ანტიდემოკრატიულ განცხადებას — ოფიციალური წრეების სრული დუმილი. **სწორედ ეს ადასტურებს, რომ მარგველაშვილის გაპრეზიდენტება დიდი შეთქმულებაა საქართველოს წინააღმდეგ.**

ამ აზრს გვიძლიერებს ამერიკელი პოლიტტექნოლოგების სკანდალური ინსტრუქცია „ნაციონალურ მოძრაობის“ NDI-ის მომავალ კვლევებთან დაკავშირებით. ნახეთ, რა მზაკვრეული რჩევა და ჩანაწერია: **„გთავაზობთ, რომ ჩვენმა მეგობრებმა NDI-დან გამოაქვეყნონ კვლევის ისეთი შედეგები, რომლებიც არ დაუშვებს დაეჭვებას: 1. მეორე ტურის პერსპექტივაში; 2. დავით ბაქრაძის მეორე ადგილში; 3. ბურჯანაძის პოზიციების სრულ უპერსპექტივობაში“...**

შექმნილი სიტუაცია კიდევ ერთხელ ადასტურებს „თეთრების“ პოზიციას, რომ პრეზიდენტი არ უნდა იყოს არჩეული ბიძინა ივანიშვილის კოალიციიდან, მით უფრო — „ნაციონალების“ დამნაშავე პოლიტიკური ორგანიზაციიდან და უნდა დავიწყოთ დიდი სახალხო მოძრაობა საქართველოს გადასარჩენად „ოცნებისა“ და „ნაცების“ გარეშე. ეს ბიძინა ივანიშვილის მიერ დეკლარირებული მიზნების გადარჩენაც იქნება!

მოამზადა
**კოტე ჩიკვილაძემ**

**P.S. ამ წერილის წაკითხვის შემდეგ, სამეგრელოში ალბათ არ მოიძებნება თავმოყვარე ამომრჩეველი, რომელიც ხმას მისცემს მეგრელთმოძულე პრეზიდენტობის კანდიდატს, ვინც ამ კუთხის მკვიდრთ „ყველაზე ჩამორჩენილ, თითქმის კაციჭამიებთან გათანაბრებულ ეთნიკურ ჯგუფად“ მოიხსენიებს.**

**მსგავს შეურაცხყოფას და დამცირებას თავმოყვარე მეგრელები არავის შეარჩენენ; ეს განცხადება აშკარად არაჯანმრთელი ჰაბიტუსის მქონე ბაქრაძისთვის ნამდვილი განაჩენია – როგორც ჩანს, მას არაქართული გენეტიკა აყეფებს, თორემ წარმოუდგენელია, ადამიანმა, ვისაც იოტისოდენა წარმოდგენა მაინც აქვს საქართველოს ისტორიაზე, ქართველობასა და სამეგრელოზე, მეგრელებზე ასეთი სიძულვილით ისაუბროს. რაც შეეხება ინსტრუქციის ავტორის გაკვირვებას „სასაცილო ისაა, რომ ამ რეგიონში (სამეგრელოში. — რედ.) მას (ბაქრაძეს. — რედ.) ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს“, — ეს თუ სიმართლეა, მაშინ საქმე არათუ სასაცილო, სამარცხვინო პარადოქსთან გვაქვს. შავი და თეთრი არჩევნებზე გამოჩნდება, თუმცა ეს ცალკე თემაა.**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„კეზერაშვილის მინისტრობის დროს ნაყიდია: 6 ერთეული ბუკ-ი (ჩვენამდე გაფუჭებული მოვიდა), 41 ერთეული რაკეტა (თვალით არ გვინახავს), 82 ცალი ტანკი (საქართველოს საერთოდ ამდენი ტანკი ჰყავს?), საზენიტო სარაკეტო კომპლექსები (არ ვიცით, სად არის), ბოლოს კიდევ 25 ცალი ტანკი უყიდიათ, ტყვიამფრქვევები და ვინ მოთვლის, კიდევ რა, მაგრამ ეს ყველაფერი სად იყო და სად წაიყვანეს, წარმოდგენა არავის აქვს, მხოლოდ კეზერაშვილს ან სააკაშვილს შეუძლიათ ამაზე პასუხის გაცემა.“**

გოდერძი ორმოცაძე:

# კეზერაშვილი და თემურ ალასანია იარაღს უკრაინაში ყიდულობდნენ და ირანში ყიდდნენ

**საქართველოს მთავრობის ძალისხმევის შედეგად თავდაცვის ყოფილი მინისტრი საფრანგეთში დააკავეს. ყველამ იფიქრა, ნუთუ სამართლიანობის აღდგენა დაიწყო და 2008 წელს ქართველების თავს გადამხდარი უბედურების შემოქმედთა დასჯა-გასამართლება მოხდებაო, მაგრამ, ასე ვთქვათ, „კოვზი ნაცარში ჩაგვივარდა“, ამჯერადაც იმედი გაგვიცრუვდა — კეზერაშვილი ჯოზეფ ქეის საჩივრის გამო დააკავეს. ეს ის საჩივარია, რომლის საფუძველზეც თბილისის მერი გიგი უგულავა დაკითხვაზე ძლივს მიიყვანეს. ნეტავ, თუ მართლა სჯერა წულუკიანს, რომ გაურკვეველი რეპუტაციის მქონე პიროვნების, ჯოზეფ კეის, საჩივრის საფუძველზე საფრანგეთი ისრაელის მოქალაქე დავით კეზერაშვილს გასასამართლებლად საქართველოს გადმოსცემს?! არადა, რა მარტივი იყო კეზერაშვილისთვის იმ ბრალის წაყენება, რომლის ხელის დაფარებასაც ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეძლებს. სამწუხაროა, მაგრამ დღეს ეს არავის უკვირს, რადგან ახალაიას ვაშლის გაფრცქვნისთვის აკავებენ, მერაბიშვილს — სამსახურეობრივი უფლებამოსილების მსუბუქი გადამეტებისთვის და კეზერაშვილს — სპირტის უკანონო ბიზნესისა და ჯოზეფ ქეის გაცუცურაკებისთვის. ამის შემდეგ იმის იმედი, რომ სააკაშვილს რამეს დაუშავებენ, სულ ტყუილად გვაქვს. უკვე რამდენი ხანია, ჟურნალისტებს თავი გვაქვს გადადებული იმისთვის, რომ როგორმე მთავარ პროკურორ კბილაშვილს კომპრომატების მოძიებაში დავეხმაროთ და არც თუ ურიგო მასალები იდება. „საქართველო და მსოფლიო“ ამჯერადაც კიდევ ერთხელ შეეცადა პროკურორის დახმარებას და თადარიგის კაპიტან გოდერძი ორმოცაძეს დაუკავშირდა.**

**— ბატონო გოდერძი, დავით კეზერაშვილი სპირტის უკანონო ბიზნესისა და ჯოზეფ ქეის საჩივრის საფუძველზე დააკავეს. როგორ ფიქრობთ, მხოლოდ ეს არის კეზერაშვილის დანაშაული?**

— დავიწყოთ იმით, რომ **წაგებული ომის შემდეგ ყველა პირველი და პასუხისმგებელი პირი ისჯება. კეზერაშვილი სამშობლოს ღალატისთვის არის დასაკავებელი. ბრალდება, რომელიც წაუყენეს, სასაცილოა.** მოგაწვდით ინფორმაციას, რომელიც ჯერ მხოლოდ პროკურატურას მივაწოდეთ, მაგრამ რატომღაც ამ დრომდე რეაგირება არ არის. კეზერაშვილის დაპატიმრების დროს მათ უკვე ჰქონდათ ჩვენ მიერ მიწოდებული მასალა — 8 ოქტომბერს პროკურატურას ყველა ჩვენს ხელთ არსებული ფაქტი გადავეცით.

ომის წინა პერიოდის ბიუჯეტს გაგაცნობთ. თავდაცვის სამინისტროს თავდაპირველად გამოყოფილი ჰქონდა 513 მილონ 270 ათასი ლარი, შემდეგ დაამატეს 442 მილიონ 100 ათასი ლარი. ყველა ეს თანხა განსაზღვრულ ვადაშია გახარჯული. რაში დაიხარჯა ფული? — გაფუჭებულ ტექნიკაში, საჰაერო თაცდაცვის საშუალებებში გადახდილია 50 მილიონ 343 ათასი ლარი, ჭოგრიტებში — 2 მილიონ 700 ათასი ლარი, თავსებადი რადიოსადგურების შესაძენად — 23 მილიონ 800 ათასი ლარი, ვერტმფრენებისა და ტანკებისთვის – 106 მილიონი ლარი, არსებული ტანკების NATO-ს სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად გადახდილია 64 მილიონ 200 ათასი ლარი.

**2008 წლის ომის დროს ზემოჩამოთვლილი არც ერთი ტექნიკა გამოყენებული არ ყოფილა, რადგან უვარგისი გამოდგა. თანხები გაწერილია ასევე ყაზარმების მშენებლობაში, მაგრამ აშენებული არ არის, მხოლოდ გარემონტებულია. ის შენობები მათ არ აუშენებიათ, რუსების დანატოვარი იყო, თავდაცვის სამინისტრომ მხოლოდ შეღება და შეაკეთა.** სენაკში რეზერვისტთა ბაზა გავაკეთეთო, უწერიათ. რა ბაზა გააკეთეს?! რუსებმა ბომბი რომ ჩამოაგდეს, რეზერვისტებს თავშესაფარი არ ჰქონდათ და 17 ბიჭი დაიღუპა. გახარჯულ თანხებში საავიაციო ანგარების მშენებლობა უწერიათ, ესეც სისულელეა, ანგარებიც რუსების დანატოვარი იყო. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სამინისტროში მკვდარი სულები არსებობდნენ. თანხების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მთავარია, რომ ყველა დოკუმენტური მასალა პროკურატურაში მიტანილია და ყველაფრის საქმის კურსში არიან.

აღნიშნული ბიუჯეტიდან გამომდინარე, **შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ მთავარსარდალი და თავდაცვის მინისტრიც ომის დაწყების ინიციატორები იყვნენ, რადგან ხელს აძლევდათ, — 1 მილიარდი ლარი გასათეთრებელი ჰქონდათ. ომი თანხის ჩამოსაწერად საუკეთესო საშუალება იყო...**

**— ვაჭრობდა თუ არა იარაღით კეზერაშვილი?**

— ვაჭრობდა, აბა, რა! **დოკუმენტებში, რომლებიც პროკურატურას წარვუდგინეთ, იარაღის ისეთი სახეობებია შესყიდული, საქართველოში თვალითაც არ გვინახავს.**

ისინი ტექნიკას ნამდვილად ყიდულობდნენ, ეს ინფორმაცია ზუსტად ვიცით, რადგან **შესყიდულ საუკეთესო ტანკებს უკრაინიდან წარმომადგენელი გამოჰყვა; აქ რომ დაინახა ეს გადასაყრელად გამზადებული ტანკები, კაცი კინაღამ გაგიჟდა, — ეს რა არისო, კითხულობდა. ქართველებიც და უკრაინელებიც სახტად დარჩნენ.**

თანხები, რომლებიც დოკუმენტებში წერია, ნამდვილად საუკეთესო ტექნიკაშია გადახდილი, ოღონდ ჩვენამდე არ მოუღწევია.

**კეზერაშვილის მინისტრობის დროს ნაყიდია: 6 ერთეული ბუკ-ი (ჩვენამდე გაფუჭებული მოვიდა), 41 ერთეული რაკეტა (თვალით არ გვინახავს), 82 ცალი ტანკი (საქართველოს საერთოდ ამდენი ტანკი ჰყავს?), საზენიტო სარაკეტო კომპლექსები (არ ვიცით, სად არის), ბოლოს კიდევ 25 ცალი ტანკი უყიდიათ, ტყვიამფრქვევები და ვინ მოთვლის, კიდევ რა, მაგრამ ეს ყველაფერი სად იყო და სად წაიყვანეს, წარმოდგენა არავის აქვს, მხოლოდ კეზერაშვილს ან სააკაშვილს შეუძლიათ ამაზე პასუხის გაცემა.**



საბუთებში წერია ისიც, რომ თავდაცვის სამინისტრო ყიდულობდა საბრძოლო იარაღს, რომელიც შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს ეწერებოდა, ეს ისეთი იარაღია, რომელსაც მხოლოდ ტერორისტები გამოიყენებენ. ეს უკვე ახალაიას დროს ხდებოდა. მეცინება, როდესაც ვისმენ, რომ ახალაიას ამ დრომდე ბრალი ვერ წაუყენეს და ვითომ რაღაცას ეძებენ, ახალიას, კეზერაშვილისა და სააკაშვილის საქმეები ხელისგულზე დევს. ვგულისხმობ იმ სფეროს, რომელშიც ვიყავი და რისი მომსწრეც ვარ.

**«კეზერაშვილს C-200 ნაყიდი აქვს, ფოთის პორტში ჩამოვიდა, ამის დამადასტურებელი დოკუმენტები არსებობს, მაგრამ თავდაცვის სამინისტრომდე არ მოუღწევია. ამ ყველაფრის გამომჟღავნება ალასანიასაც არ უნდა»**

ჩვენ, თავდაცვის სამინისტროს ყოფილმა თანამშრომლებმა ხელში ჩავიგდეთ დოკუმენტური მასალა, რომელიც უკრაინასთან საქართველოს იარაღით ვაჭრობის ფაქტს ადასტურებს. **2008 წელს ამ საქმის წარმატებით განხორციელებისთვის სააკაშვილმა იუშჩენკოს კომპენსაციის სახით ორი ცალი ახალთახალი „ლენდ როვერი“ აჩუქა. ჩვენ გვაინტერესებს, თუ იცოდა ამერიკამ, რომ სააკაშვილი ამდენ იარაღს ყიდულობდა და, თუ იცოდა, ხმას რატომ არ იღებდა? გვინდა ჩვენს ხელთ არსებული მასალა ვთარგმნოთ და საელჩოებს დავურიგოთ, სააკაშვილი ყველას ატყუებდა.**

საბრძოლო ტექნიკა უკრაინიდან ფოთის პორტში შემოდიოდა, ყველა გემის სახელი ვიცით. ჩვენი ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს ხელშეკრულება ჰქონდა დადებული შუამავალ ფირმა „ბელ ტრეიდინგთან“, რომელიც ორ ქვეყანას შორის მოლაპარაკებას აწარმოებდა. ფული ამ ფირმის ანგარიშზე ირიცხებოდა, ქართული მხარე შეკვეთასაც მას აძლევდა. აღნიშნულ ფირმას ხელმძღვანელობდნენ ვინმე კისელი და ანტონენკო.

საბუთები გენერალმა წითელაშვილმა მოიპოვა და მაშინვე პროკურატურაში შევიტანეთ. გვეუბნებიან, რომ საქმის ძიება მიმდინარეობსო, ვერაფრით ვიფიქრებდი, თუ კეზერაშვილის დანაშაული მხოლოდ სპირტის უკანონო ბიზნესით შემოიფარგლებოდა. **საქმეში ფიგურირებს თავდაცვის სამინისტროს საფინანსო სამმართველოს უფროსი ბერძენიშვილი, ასევე შესყიდვების უფროსი — მუჯირი, ამ ადამიანებს დღეს არავინ ახსენებს. არადა, სწორედ მათი ხელიდან გადიოდა ყველა თანხა.**

ამბობენ და ეჭვიც არ მეპარება, რომ **საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ შეძენილი ძვირადღირებული ტექნიკა ირანში მიჰქონდათ. სააკაშვილის ბიძა — თემურ ალასანია ამ საქმეებს აგვარებდა. ცხვრის ბიზნესს რომ ახსენებდნენ, სწორედ იქ არიან ადამიანები, რომლებიც ამ საქმის მოწმეებად გამოდგებიან. კეზერაშვილი და თემურ ალასანია იარაღს უკრაინაში ყიდულობდნენ და ირანში ყიდდნენ. საქართველოში თვალის ასახვევად უვარგისი საბრძოლო ტექნიკა შემოჰქონდათ.**

ომი მოწყობილი იყო, რაც იმით დასტურდება, რომ უკანდახევისას არც ერთი საბრძოლო იარაღი არ განადგურებულა. ომის წესია, თუკი რამ გაგაჩნია, უნდა გადამალო, რომ მოწინააღმდეგეს ხელში არ ჩაუვარდეს, მაგრამ, თუ გაყვანას ვერ ახერხებ, მაშინ უნდა ააფეთქო, ჩვენებმა ყველაფერი ადგილზე დატოვეს და მოწინააღმდეგეს საშუალება მისცეს, წაეყვანა. **მაშინვე ითქვა, — ურიდიას ტექნიკის აფეთქების ბრძანება არ გაუციაო. ასეთი ფაქტები ომის დაწყების დიდ სურვილზე მეტყველებს. მათ ხელს აძლევდათ, რომ ტექნიკა რუსებს გაეტანათ. ასე იყო დაგეგმილი. გახსოვთ, მერე ამბობდნენ, რუსებმა უნიტაზები წაიღესო, უნიტაზები კი არა, გაფუჭებული ტანკები წაიყვანეს. ეს ურიდია ახლაც, ალასანიას მინისტრობის დროსაც, საპასუხისმგებლო თანამდებობაზეა.**

მაიორმა ხვიჩა ლეკვეიშვილმა თვითნებურად მიიღო გადაწყვეტილება, თვითმფრინავები სენაკიდან ააფრინა და წყალტუბოში, ტყეში გადამალა. დღეს რომ თვითმფრინავები გვყავს, სწორედ მისი დამსახურებაა, მაგრამ მაშინ ის სამსახურიდან გამოუშვეს დამოუკიდებელი მოქმედებისთვის, ალბათ, ის თვითმფრინავებიც რუსებისთვის იყო გამზადებული. საქმე ისაა, რომ მაშინ კი გამოუშვეს, მაგრამ დღეს ეს ადამიანი ჩვენთან ერთად იბრძვის და არავინ ეკითხება, ომში რა მოხდა და რისთვის გაგათავისუფლესო... და რამდენი ასეთი ადამიანი ზის სახლში. ხოლო **კეზერაშვილის დამქაშები ალასანიას გვერდით მუშაობენ. მაგალითად, ფერაძე — მეტსახელად „ბულბულა“, ურიდია, ფოჩხუა, შენგელია. ეს ხალხი დღესაც მუშაობს და დარწმუნებული ვარ, იმავე დანაშაულს სჩადიან.**

კომისია უნდა შექმნილიყო, 15 თავდაცვის ნაწილი უნდა შემოწმებულიყო, ვცდილობდით, ფაქტები დაგვედო — რა გაკეთდა, რა იყო და დანაშაული გამოგვეკვეთა, მაგრამ დაგეგმარების უფროსებმა — ძნელაძემ და ჯანჯღავამ უარი გვითხრეს, თუმცა თავიდან ამ კომისიის შექმნა გადაწყდა. რაღაცას ბოდიალობენ, ვითომ ტექნიკას ნაწილებს უცვლიან, სისულელეს აკეთებენ. ზედაპირულად არემონტებენ, რაღაცის გადაფარვას ცდილობენ, მაგრამ **არ ვიცი, როდემდე დამალავენ იმას, რომ საქართველოს C-200 არ აქვს, რუსებს ორი ცალი C-300 აქვთ — ერთი ცხინვალში და ერთიც აფხაზეთში, რომლითაც მთელ საქართველოს აკონტროლებენ და, თქვენ წარმოგიდგენიათ, ჩვენთვის C-200-ის ქონა რას ნიშნავს? სინამდვილეში საბუთებიდან ჩანს, რომ კეზერაშვილს C-200 ნაყიდი აქვს, ფოთის პორტში ჩამოვიდა, ამის დამადასტურებელი ფაქტი არსებობს, მაგრამ თავდაცვის სამინისტრომდე არ მოუღწევია. ამ ყველაფრის გამომჟღავნება ალასანიასაც არ უნდა,** ყველა ინსტანციაში გვაქვს საბუთები შეტანილი, ყველაფერს ვამბობთ, მაგრამ არავის აინტერესებს. თქვენ რომ ის პასუხები ნახოთ, რომელსაც თავდაცვის სამინისტრო გვიგზავნის, გაგიჟდებით. არადა, უმარტივესი პროცესია, საქართველოს პროკურატურამ უკრაინას უნდა მისწეროს და ისინი ყველაფერს გამოუგზავნიან, მაგრამ, როგორც ჩანს, ან მართლა არ აძლევთ ხელს, ან უნდა ვაცადოთ... პროკურატურაში დაგვპირდნენ, რომ ზემოჩამოთვლილი ყველა დანაშაულისთვის ყველას შესაბამის ბრალს წავუყენებთო.

**«შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მთავარსარდალი და თავდაცვის მინისტრიც ომის დაწყების ინიციატორები იყვნენ, რადგან ხელს აძლევდათ, — 1 მილიარდი ლარი გასათეთრებელი ჰქონდათ. ომი ამისთვის საუკეთესო საშუალება იყო...»**

ესაუბრა
**ეკა ნაყიდაშვილი**

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენ გამარჯვებისთვის ვიბრძვით და ვემზადებით, რადგან მიგვაჩნია, რომ „ქართულ ოცნებას“ დიდი მხარდაჭერა აქვს და პირველივე ტურში გავიმარჯვებთ, მაგრამ, როგორც ჩანს, მეორე ადგილისთვის ბრძოლა იმითაა განპირობებული, რომ მეორე ადგილზე გასულმა პოლიტიკურმა პარტიამ ქვეყანაში მთავარი ოპოზიციური ძალის ადგილი დაიმკვიდროს.“**



**მანანა კობახიძე:**

# თუ კუდის აგენტმა საგანელიძემ არჩევნები მოგვაგებინა, ბარაქალა მაგას, კუდს მისთვის კარგი დავალება მიუცია

**მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებსა და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი, უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი — მანანა კობახიძე ესაუბრა.**

**— საპრეზიდენტო არჩევნები ახლოვდება. ხელისუფლება აცხადებს, რომ საქართველოს ისტორიაში უპრეცედენტო არჩევნები ჩატარდება, გასულ წლებში კი ყველა არჩევნები გამუდმებით ყალბდებოდა. რატომ არ დგება ე.წ. გამყალბებლების სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი?**

**— შარშანდელი არჩევნები, პირდაპირ გეტყვით, იყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა და, საერთაშორისო მხარდაჭერა რომ არ გვქონოდა, არავინ იცის, რა მოხდებოდა.**

არჩევნების გაყალბება, ცხადია, სისხლის სამართლის დანაშაულია და მართალია, მე სტატისტიკური კვლევა არ ჩამიტარებია, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, პროკურატურა ამ საქმეებს იძიებდა, თუმცა მე არ მაქვს ინფორმაცია, ამ ეტაპზე რამდენ საქმეზე დასრულდა გამოძიება. პროკურატურას აქვს თავისი საქმე და უნდა ინებონ და გამოიძიონ. **იცით, რომ ძალიან მძიმე ტვირთი დააწვა პროკურატურას. პროკურატურა პოლიტიზებული იყო, ჩვენ მივეჩვიეთ, რომ 9 წლის მანძილზე მუშაობა ჰქონდათ დავიწყებული და პოლიტიკურად დაშანტაჟებული და დატერორებული პროკურატურა, რასაც „ნაცმოძრაობა“ უბრძანებდა, იმას აკეთებდა.**

ხელისუფლებაც ყოველთვის ცდილობდა, საარჩევნო კანონმდებლობა საკუთარ თავზე მაქსიმალურად მოერგო, რათა მმართველ პარტიას დიდხანს ჰქონოდა ძალაუფლება. დღეს არსებობს პოლიტიკური ნება, ჩავატაროთ არჩევნები და, ვინც რამდენ ხმას მიიღებს, დაე, ისე გადაწყდეს. დღეს სულ სხვა საარჩევნო გარემოა და ხედავთ, რომ პოლიტიკურ ოპონენტებს აღარავინ ატერორებს და აჯარიმებს. დღეს არავინ იძლევა დირექტივას, მმართველ პარტიას რამდენი პროცენტი უნდა ჰქონდეს, ან მეორე ადგილზე მაინცდამაინც დავით ბაქრაძე უნდა გავიდეს თუ ნინო ბურჯანაძე.

**— რატომ გახდა ასე მნიშვნელოვანი მეორე ადგილისთვის ბრძოლა, საპრეზიდენტო არჩევნებში ხომ მხოლოდ ერთი გამარჯვებულია?**

**— ჩვენ გამარჯვებისთვის ვიბრძვით და ვემზადებით, რადგან მიგვაჩნია, რომ „ქართულ ოცნებას“ დიდი მხარდაჭერა აქვს და პირველივე ტურში გავიმარჯვებთ, მაგრამ, როგორც ჩანს, მეორე ადგილისთვის ბრძოლა იმითაა განპირობებული, რომ მეორე ადგილზე გასულმა პოლიტიკურმა პარტიამ ქვეყანაში მთავარი ოპოზიციური ძალის ადგილი დაიმკვიდროს.**

**— ჟურნალისტმა ელისო კილაძემ გამოაქვეყნა დოკუმენტები, რომლებშიც „ქართულ ოცნებაში“ ჩანერგილ აგენტებზეა საუბარი, რაც, დამეთანხმებით, საკმაოდ სერიოზული ბრალდებებია თქვენი თანაგუნდელების მიმართ. რატომ დუმს ხელისუფლება, რატომ არ ხდება ამ ყველაფრის ან უარყოფა, ან დადასტურება?**

— მე ზოგადად ძალიან საეჭვოდ მიმაჩნია, როდესაც ასეთი დოკუმენტები ხვდება ვინმეს ხელში, თუ კავშირი არ გაქვს კუდის თანამშრომლებთან, ასეთი დოკუმენტების მოპოვება მარტივი არ არის. ცხადია, ჟურნალისტი ყოველთვის ცდილობს მსგავსი დოკუმენტების ხელში ჩაგდებას, მაგრამ მე ამ დოკუმენტების ავთენტურობას ეჭვქვეშ ვაყენებ. **არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ უმრავლესობა მოიპოვა და, თუ კუდის აგენტმა საგანელიძემ არჩევნები მოგვაგებინა, ბარაქალა მაგას, კუდს მისთვის კარგი დავალება მიუცია. ვერაფრით დავიჯერებ იმ აბსურდს, თითქოს ის მეგის ქარდავასა და სამხედრო პოლიციას აწვდიდა ინფორმაციას. ასევე ვერ დავიჯერებ ელისო ჩაფიძესა და ზაქარია ქუცნაშვილზე გამოქვეყნებულ ინფორმაციას,** ზაქარიამ თიანეთი მოიგო, ელისომ კი კუბლაშვილების, ამ მართლა მონსტრების, კლანი დაამარცხა ტყიბულში. მე არ ვიცი, ეს რა დოკუმენტებია ან საიდან აქვს ელისო კილაძეს, შესაძლოა, ხვალ ჩემზეც გამოაქვეყნონ მსგავსი დოკუმენტი.

**— თქვენ შესახებ რომ დაბეჭდილიყო მსგავსი ბრალდება, როგორ მოიქცეოდით, რეაგირების გარეშე დატოვებდით?**

— ხელისუფლებამ რატომ უნდა უარყოს ან დაადასტუროს ეს ინფორმაცია? ელისოს ან ზაქარიას თუ სურვილი ექნებათ, პასუხს გასცემენ. დავით საგანელიძემ, ვიცი, სარჩელი შეიტანა და, მგონი, დანარჩენებიც იმავეს აპირებენ. როცა მიდიხარ პოლიტიკაში, შეიძლება ისეთი ჭორი გაიგო საკუთარ თავზე და ისეთი რამ გამოგიქვეყნონ, რომ არც დაგესიზმრება. როგორც ჩანს, ჩვენს სახელმწიფოში ასეთი რაღაცებისგან პოლიტიკა ჯერ თავისუფალი არ არის. მე ვერც ერთ მათგანზე ვერ დავიჯერებ, რომ ოდესმე რომელიმე კუდთან იყო შეკრული, მით უმეტეს, თუ მათ წარსულ საქმიანობას გავიხსენებთ.

**— წარმოდგენილი დოკუმენტების მიუხედავად, მაინც არ გჯერათ?**

— არ მჯერა. დედანიც რომ ვნახო, ვერ დავიჯერებ, რადგან იმ დედნის დამზადებაც არ არის რთული. ადამიანმა თავისი საქმით უნდა შეგატანინოს ეჭვი მის პიროვნებაში, თორემ ჭორების გავრცელების ხელოვნება ხომ ყველამ ვიცით. მაგალითად, **ამ წუთას მომაწოდეს ინფორმაცია ჩვენი გუნდის ერთ-ერთ წევრზე, რომელიც პროფესიონალი და ღირსეული კადრია, თითქოს ის „ნაციონალებთან“ და ბურჯანაძესთანაა შეკრული. ხმებს უვრცელებენ, სურთ, რომ მის წინააღმდეგ განვეწყო. 1937 წელს მეტი კი არაფერი უკეთებიათ. ჭორების გავრცელება უშიშროების სამსახურის ნაცადი ხერხია და ამას არ უნდა ავყვეთ.**

**— ზემოთ საერთაშორისო მხარდაჭერა ახსენეთ. დასავლეთი, ევროკავშირის ქვეყნები ჩვენი მეგობრები არიან, თუმცა ახლახან იტალიელმა სამართალდამცავებმა დააკავეს „თბილისის განვითარების ფონდის“ ყოფილი თავმჯდომარე გიორგი საბანაძე, მაგრამ, საქართველოსთვის გადმოცემის ნაცვლად, გაათავისუფლეს, ხოლო რამდენიმე დღის წინ უნგრეთმა პოლიტიკური თავშესაფარი მისცა. არის თუ არა ეს ერთგვარი არამეგობრული ჟესტი ამ სახელმწიფოების მხრიდან და საქართველოს ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს თუ არა რეაქცია ამ ყველაფერზე?**

— რეაქცია, რა თქმა უნდა, გვექნება და ყველაფერი უნდა გადაწყდეს დიპლომატიური ურთიერთობების ფარგლებში. ახლა ამის გამო ჩვენ ისტერიკას ვერ ავტეხთ და საბანაძის ან სხვა „ნაციონალების“ გამო მეგობრებს ვერ გადავიმტერებთ, ვინაიდან ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ევროპული საგარეოპოლიტიკური კურსი. სხვა გამოსავალი ქვეყანას არ აქვს. „ნაციონალური მოძრაობა“ უცხოეთში მხოლოდ ჩვენ საწინააღმდეგოდ მუშაობს. ამის შედეგია ის, რომ ამ ადამიანმა თავშესაფარი მიიღო. **საგარეო კუთხით ძალიან ბევრი სამუშაო გვაქვს, რათა უცხოეთი დავარწმუნოთ, რომ არანაირი პოლიტიკური დევნა საქართველოში არ მიმდინარეობს.**

**— მოგეხსენებათ, ევროსაბჭოს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა შეიმუშავა პროექტი, რომლის მიხედვით, საქართველოში პოლიტპატიმრების არსებობა აღიარა, ნახსენებია კონკრეტულად ვანო მერაბიშვილი. რატომ ვერ არწმუნებს საერთაშორისო საზოგადოებას ახალი ხელისუფლება ბრალდებული მაღალჩინოსნების დანაშაულში?**

— როდესაც მოქმედ პრეზიდენტს, წლების განმავლობაში, ევროპასა და ამერიკაში, სამწუხაროდ, როგორც დემოკრატიის მამას, ისე იცნობდნენ, როდესაც მოქმედი პრეზიდენტი ამბობს, რომ მერაბიშვილი პოლიტპატიმარია, ამ ყველაფერს ლობისტური კომპანიებიც ამყარებენ, ეს პროექტიც ამის შედეგია. თუმცა ეს არ არის საბოლოო რეზოლუცია, არამედ ეს არის მხოლოდ საგარეო კომიტეტის მიერ მომზადებული პროექტი და იყო შემთხვევები, როცა ევროსაბჭოში მათი მოთხოვნები არ იქნა გათვალისწინებული და გარკვეული ჩანაწერები მუშაობის შედეგად შეცვლილა. **შემთხვევითი არც ისაა, რომ მერაბიშვილი „ნაცმოძრაობის“ გენერალური მდივანია. მათ იცოდნენ, რომ მერაბიშვილს მოუწევდა სასამართლოს წინაშე წარდგომა და მათ ზუსტადაც სჭირდებოდათ მერაბიშვილის პოლიტპატიმრად აღიარება, რადგან ამით უცხოეთში კარგად ივაჭრებდნენ.**

**— ბუნებრივია, „ნაციონალური მოძრაობა“ თავისას ცდილობს, მაგრამ რას აკეთებს ხელისუფლება?**

— რა თქმა უნდა, ჩვენი მხრიდან მუშაობას ნამდვილად არ ვაკლებთ. **ჩვენი ბრძოლა „ნაციონალებთან“ მარტო ქვეყნის შიგნით კი არ მიმდინარეობს, ეს ბრძოლა ქვეყნის გარეთ გაათმაგებულია. რეალურად ისინი „ქართული ოცნების“ კი არა, ქვეყნის წინააღმდეგ მუშაობენ.**

შემთხვევითი არც ის არის, სააკაშვილი რომ პარტიის თანათავმჯდომარე გახდა. ეს თავად ბევრი „ნაციონალისთვისაც“ გაუგებარი და მიუღებელი აღმოჩნდა, რასაც პირად საუბრებში არ მალავენ. თავად დავით ბაქრაძესაც არანაირად აძლევდა ხელს სააკაშვილის თავმჯდომარეობა. სააკაშვილმა ძალიან კარგად იცის, რომ არჩევნების შემდეგ, შესაძლოა, მისი პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს თუნდაც ჟვანიას საქმის გამო, თუნდაც ბიუჯეტის თანხების უკანონო ხარჯვის გამო, როცა საკუთარი შვილის სწავლის გადასახადებს ბიუჯეტიდან აფინანსებდა. მე არ მინდა, მოვლენებს წინ გავუსწრო, მაგრამ მარტო ეს არის იმის საფუძველი, რომ ეს კაცი სასამართლოს წინაშე წარსდგეს. ამიტომ ცხადია, თუ ის იქნება პოლიტიკაში და იქნება პარლამენტში მყოფი ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის თანათავმჯდომარე (თუმცა მე „ნაციონალებს“ არ მივიჩნევ ოპოზიციად), ცხადია, ამას უცხოეთში კარგად გაყიდის და აყვირდება, რომ პოლიტიკური დევნილია, მაგრამ **დარწმუნებული ვარ, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო არ არის „ნაციონალური მოძრაობის“ გავლენისგან თავისუფალი, მინდა, მჯეროდეს, რომ პროკურატურა მოახერხებს და მერაბიშვილის ბრალეულობას დაამტკიცებს.**



## «სააკაშვილმა ძალიან კარგად იცის, რომ არჩევნების შემდეგ, შესაძლოა, მისი პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს»

**— მიხეილ სააკაშვილმა რამდენიმე ხნის წინ განაცხადა, რომ 26 მაისის აქციას ეფ-ბი-აის თანამშრომლები შს სამინისტროდან აკვირდებოდნენ. რატომ მიივიწყა ეს საკითხი ხელისუფლებამ და რატომ არ ეცადა, გაერკვია აშშ-ის ხელისუფლებასთან, რა სტატუსით აკვირდებოდნენ ისინი მოვლენების განვითარებას?**

— 26 მაისთან დაკავშირებით, რამდენადაც ცნობილია, მერაბიშვილს აქვს ბრალი წარდგენილი და დარწმუნებული ვარ, ეს საკითხი გამოძიების პროცესში ამ კუთხითაც გაირკვევა. პროკურატურა, ალბათ, ამ კითხვას დაუსვამს მოწმეებსაც და მერაბიშვილსაც, თუ ვინ აძლევდა მას რჩევებსა და განკარგულებებს, ამ ფორმით დაერბია აქცია. ეს ყველაფერი პროკურატურამ და სასამართლომ უნდა გაარკვიოს.

**— მიხეილ სააკაშვილმა რამდენიმე ათას თურქეთის მოქალაქეს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა, რითაც გარკვეული პრეცედენტი შეიქმნა. ხვალ რომ ასი ათასობით კაცმა მიმართოს მოქალაქეობის თხოვნით ხელისუფლებს, როგორ უნდა მოვიქცეთ? უარის თქმა არამეგობრული ჟესტი იქნება, დადებითი პასუხი კი ქვეყნის რელიგიურ და დემოგრაფიულ ვითარებაზე აისახება...**

— სააკაშვილი როგორი არაადეკვატურიცაა ყველა სხვა საკითხში, ისეთივეა ამ საკითხშიც. მე პროფესიით ისტორიკოსიც ვარ, თურქეთის ნაწილი, ტაო-კლარჯეთი, ჩვენი ქვეყნის ტკივილიანი ისტორიაა და თითოეულ იმ ქართველს ვცემ პატივს, რომელმაც ქართული ენა არ დაკარგა და საქართველოსთან კავშირს არ წყვეტს. ეს ხალხი მართლა დასაფასებელია და აბსოლუტურად სწორად მაქვს ყველაფერი გააზრებული. **ბევრი ეთნიკურად ქართველი, ღირსეული ადამიანი მონდომებულია, მიიღოს საქართველოს მოქალაქეობა. მე მესმის მათი, მაგრამ არ შეიძლება პრეზიდენტმა მოქალაქეობა ასე მარტივად ჩამოარიგოს. თითოეული მათგანის საკითხი ინდივიდუალურად უნდა შეისწავლოს, სანამ მოქალაქეობას მიანიჭებს.** ძალიან დელიკატური საკითხია, მაგრამ სააკაშვილი მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობს. მას ყოველთვის პოპულიზმი ახასიათებდა და შესაბამისად, ის არ ფიქრობს, ხვალ და ზეგ რა იქნება. მისი დევიზია, თუ თავად კარგად არ იქნება, ქვა-ქვაზეც ნუ დარჩენილა ამ ქვეყანაში. ამ დევიზით ცხოვრობს ეს ადამიანი და მე როგორ უნდა შევაფასო მისი ქცევები?!

**ესაუბრა შორენა ციქარაშვილი**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „გვაქვს ვიდეომასალა, რომელშიც ახალაიებისა და ალასანიას კავშირი იკვეთება“



ნიკოლოზ მჟავანაძე:

# გაუგებარია, როგორ შეიძლება, ადამიანი იყოს ბოკერიას მეგობარი და მან აღადგინოს სამართლიანობა...

**გასულ კვირას პრემიერმინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ცენტრალური ტელევიზიებისა და გაზეთების მთავარ რედაქტორებთან გამართულ შეხვედრაზე კიდევ ერთხელ ღიად განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის ულტერნატივობაში დარწმუნებულია. მეტიც, მისი თქმით, თუ კი მარგველაშვილი არჩევნებს დამაჯერებლად ვერ მოიგებს, მეორე ტურში მონაწილეობაზე უარის თქმას ურჩევს. პრემიერის ეს განცხადება ექსპერტების ნაწილმა ამომრჩეველზე ზეწოლად შეაფასა, ნაწილმა კი მას პროცესების სწორად შეფასებისკენ მოუწოდა. მიუხედავად ამისა, ხელისუფლების რიტორიკა უცვლელია და კოალიციის ლიდერი საკუთარი კანდიდატის 70-პროცენტიან გამარჯვებას ვარაუდობს. რამდენად ჯანსაღია დღეს საარჩევნო გარემო და რას უნდა ველოდოთ 27 ოქტომბრის შემდეგ — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე.**

**— ბატონო ნიკოლოზ, არჩევნებამდე ხუთი დღე დარჩა, პოლიტიკური ვნებათაღელვა პიკს უახლოვდება. ყველას აინტერესებს, რა იქნება და როგორ დამთავრდება ეს პროცესი. თქვენი აზრით, რამდენად ჯანსაღია ჩვენი საარჩევნო გარემო, რას უნდა ველოდოთ მომავალი არჩევნებისგან?**

— ვფიქრობ, ის განცხადებები, რომ, თუკი 60 პროცენტზე ნაკლები ექნება მარგველაშვილს და დამაჯერებლად ვერ მოიგებს, მეორე ტურში მონაწილეობაზე უარი უნდა თქვას, სხვა არაფერია, თუ არა ზეწოლა ამომრჩეველზე. ჩემი აზრით, **ქართველ ხალხთან ასეთი ტონით საუბრის უფლება არ აქვს ხელისუფლებას, ვინაიდან ის ძირითადი დანაპირები, რომელიც ეხებოდა სამართლიანობის აღდგენას, არ შესრულებულა. როგორც ჩანს, ამათ ჰგონიათ, საზოგადოება კმაყოფილია. ამ დროს განწყობა „ქართული ოცნების“ მიმართ რადიკალურად შეცვლილია.** ერთადერთი, რაც მოსახლეობას აკავებს და მოქალაქეები ქუჩაში არ გამოდიან, ისაა, რომ კიდევ რაღაც მოლოდინი არსებობს. ბევრს ისევ სჯერა ივანიშვილის, მაგრამ სანამდე გაგრძელდება ეს, კაცმა არ იცის.

**— ესე იგი, ივანიშვილის ავტორიტეტი რომ არა, თქვენი აზრით, საპროტესტო გამოსვლები იქნებოდა?**

— რა თქმა უნდა. გაიხსენეთ, რა მოხდა ოცი წლის წინ: ზვიად გამსახურდიას, რომელსაც არავისზე ნაკლები ავტორიტეტი არ ჰქონდა, 6 თვე არ აცალეს. ამის მიზეზი ის იყო, რომ ხალხს იმედი გაუცრუვდა. არადა, 6 თვეში რა უნდა გაეკეთებინა ხელისუფლებას?!

**— „ქართულმა ოცნებამ“ დაპირებების უმრავლესობა ვერ შეასრულა, ეს კი, გამსახურდიას ხელისუფლების მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, ალბათ, საკმარისი მიზეზია საზოგადოებრივი მღელვარებისთვის.**

— ზუსტად ამას ვამბობ. ჩვენ რას ველოდით? — რომ დაისჯებოდა დამნაშავე რეჟიმი, ხალხს დაუბრუნდებოდა წართმეული ქონება და აღდგებოდა სამართლიანობა. ამ კუთხით არაფერი გაკეთდა. **რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას, აქაც იგივე პოლიტიკა მიდის, ისევ ორმაგი სტანდარტია და გვესმის საუბარი, ერთის მხრივ, ნატოზე; მეორე მხრივ კი — კრემლთან საერთო ენის გამონახვაზე. ასეთი რამე თანამედროვე გეოპოლიტიკურ ასპარეზზე არ ხდება, კურსი უნდა იქნეს არჩეული ან აქეთ, ან იქით...**

**— შეუსრულებელ დაპირებებზე რადგან ვსაუბრობთ, გავიხსენოთ, რა იყო „ქართული ოცნების“ მთავარი გზავნილი ხალხისადმი 1 ოქტომბრის არჩევნებამდე, — რეჟიმის მოშორება. ამას მივაღწიეთ, ახლა გვეუბნებიან, რომ დანარჩენი დაპირებები შემდეგ წლებში შესრულდება.**

— კი, ბატონო, ძალიან კარგია, რომ რეჟიმი მოვიცილეთ, ხალხს აღარ იჭერენ და თავისუფლად შეგვიძლია გავლა, მაგრამ რეალურად დღეს ამის აუცილებლობა არ არსებობს. ასე თუ ისე, „ოცნებას“ მაინც საკმარისი მხარდაჭერა აქვს, ამიტომ მათ არ სჭირდებათ რაიმე სახის ზემოქმედება მოსახლეობაზე. სხვათა შორის, პირველი ერთი და ორი წელი სააკაშვილის ხელისუფლების დროსაც არ იყო რეპრესიული მანქანა ამოქმედებული. ეს მერე მოხდა, როცა საზოგადოების მხარდაჭერა დაკარგეს და მათი რეიტინგი, ფაქტობრივად, განულდა. ამით რის თქმა მინდა: **რატომ უნდა ვუმადლოდეთ ჩვენ ვინმეს, რომ რეჟიმის წნეხისგან გავთავისუფლდით? ან რატომ უნდა გველაპარაკებოდეს ვიღაც ასეთი კატეგორიული ტონით?** თუ 60 პროცენტზე ნაკლებს მომცემთ, ასე და ასეო; მაშინ მე ვუსვამ მათ შეკითხვას: **რატომ უნდა მისცეს „ქართულ ოცნებას“ ხმა ამომრჩეველთა უდიდესმა ნაწილმა? რა დაიმსახურეს ასეთი? ენერგომატარებლებზე ფასი შემცირდა? არ შემცირდა. რუსეთთან პოლიტიკა დათბა? არ დათბა. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ? რაც ხელისუფლებაში არიან, რამე გაკეთდა? რა შეიცვალა, გამოვიდნენ და გვითხრან.**

**— თქვენ თქვით, რომ „ნაცმოძრაობამ“ რეპრესიები დაიწყო მას შემდეგ, რაც მისი რეიტინგი დაეცა. დღეს „ქართული ოცნების“ რეიტინგიც ვარდნას განიცდის. როგორ ფიქრობთ, რამდენად მოსალოდნელია, მომავალში კოალიციამაც ისეთივე ძალადობრივი პოლიტიკა გაატაროს საზოგადოებასთან მიმართებაში, როგორიც მის წინამორბედს ჰქონდა?**

— შეკითხვის არსი და პათოსი გასაგებია, ასეთი განცდა დღეს, შესაძლოა, ბევრს უჩნდებოდეს, მაგრამ იმაზე მკაცრი რეპრესიების გატარება, რომელსაც „ნაციონალები“ აკეთებდნენ, უბრალოდ, ვერ წარმომიდგენია. ადამიანებს აუპატიურებდნენ და ქუჩაში ხვრეტდნენ, უარესი რა უნდა მოხდეს?! თუ ესენი ამაზე წავლენ, მაშინ აქ მართლა საშინელება მოხდება. ხალხი უკვე აღარ მოითმენს იმას, რაც სააკაშვილის რეჟიმს ცხრა წელი უთმინა.

**— პოლიტიკას მთლიანობაში გულისხმობთ თუ კონკრეტული ასპექტები გაქვთ მხედველობაში?**

— პლიუსები და მინუსები ყველა ხელისუფლებას აქვს, ასე კატეგორიულადაც ვერ იტყვი, რომ ამათში ყველაფერი ცუდია, მაგრამ, კოჰაბიტაციაზე როცა ვსაუბრობ, ჩემთვის გაუგებარია, **როგორ შეიძლება ადამიანი იყოს გიგა ბოკერიას მეგობარი და მან აღადგინოს სამართლიანობა?! პირდაპირ გეტყვით, მე არ მჯერა, რომ მარგველაშვილის გამარჯვების შემთხვევაში საქართველოში კოჰაბიტაცია დასრულდება...**

**— ისე, ივანიშვილმაც განაცხადა, ადეიშვილი ნიჭიერიაო...**

— ჰოდა, ვსვამ შეკითხვას: იმ 28 ათას ფაილზე რომ საუბრობენ დღეს, წამებებსა და გაუპატიურებებზე, ვინ იდგა ამ ყველაფრის უკან, ვისგან მოდიოდა ბრძანებები?! **ივანიშვილის ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, ჰიტლერიც ნიჭიერი კაცი იყო და მთელი მისი იდეოლოგიური გარემოცვაც... ადეიშვილზე ძებნაც არაა გამოცხადებული. ის კი არა, ლამის თვითონაც რეჟიმის მსხვერპლად შერაცხონ. დარწმუნებული ვარ, კეზერაშვილსაც მალე გამოუშვებენ, იმიტომ, რომ ესენი არასაკმარის მტკიცებულებებს წარადგენენ...**

**— „ნაცმოძრაობის“ აკრძალვის მოთხოვნით კობა დავითაშვილიც გამოვიდა. თქვენ როგორ და რა მექანიზმებით მიგაჩნიათ, რომ ეს შესაძლებელია?**

— თავის დროზე, როცა 28 ათასი ფაილი აღმოაჩინეს, ჩვენ მივმართეთ პროკურატურას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილიყო სარჩელი. მერე, თუ კი პროკურატურა ამ 28 ათას ფაილში გამოკვეთდა „ნაცმოძრაობის“ მაღალი თანამდებობის პირთა დანაშაულებებს, სასამართლოს ექნებოდა სამართლებრივი საფუძველი, აეკრძალა ეს პარტია. ამის დამთავრება შეიძლებოდა და ახლაც შეიძლება ძალიან მარტივად, მაგრამ კიდევ ვიმეორებ: **ხელისუფლებას სამართლიანობის აღდგენის ნება არ გააჩნია.**

**— დასაწყისში თქვენ რამდენიმეჯერ აღნიშნეთ, რომ ხალხი ჯერ კიდევ ენდობა ივანიშვილს და ბევრი არჩევნების შემდეგ ელოდება რეალურ ცვლილებებს. თუ ეს მოლოდინი არ გამართლდება, როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება მოხდეს?**

— პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ, **თუკი არჩევნების შემდეგ ორ-სამ თვეში რამე რეალურად არ შეიცვალა, ხალხი ქუჩაში გამოვა. ეს იქნება ძალიან დიდი საზოგადოებრივი მღელვარება და მერე ამას ვერავინ შეაჩერებს; ამიტომ ხელისუფლებას ურჩევნია, დროულად იმოქმედოს.**

**— ბოლო დროს იმაზეც საუბრობენ, რომ არჩევნების შემდეგ, შესაძლოა, კოალიცია დაიშალოს. თქვენ რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ეს?**

— მე არ ვიცი წინასწარ, რა იქნება არჩევნების შემდეგ, მაგრამ თვითონ კოალიციის შემადგენლობაა ძალიან არასაიმედო. ნახეთ, რა ხალხია: მედროვეები, რომლებიც ყველა ხელისუფლებასთან თანამშრომლობდნენ, პარტიიდან პარტიაში გადადიოდნენ; ესენი არიან პოლიტიკური პროსტიტუტკები და ეწევიან პოლიტიკურ მეძავობას, ამიტომ აქ ყველაფერი შეიძლება მოხდეს. თქვენ რა გგონიათ, „ნაცმოძრაობას“, რომელსაც ისევ ის ბიზნესები აქვს და უზარმაზარ ფულს ატრიალებს, გაუჭირდება, ვინმეს მოსყიდვა, 20-30 მილიონის „გამაზვა“ თუ რა?!

**— გინდათ, თქვათ, რომ კოალიციაში შემავალი ზოგიერთი სუბიექტი მომავალში, შესაძლოა, „ნაცმოძრაობას“ შეეკრას?**

— რა თქმა უნდა. ბიძინა ივანიშვილი უკვე გახდა იმ სიტუაციის მძევალი, რომელიც 1 ოქტომბრის შემდეგ შეიქმნა. აქედან გამომდინარე, ის ახლა ველარ აკონტროლებს ადრინდელივით ბოლომდე პროცესებს. **თქვენ გამორიცხავთ, რომ ალასანია და რესპუბლიკელები ერთად შეიკრან „ნაციონალებთან“? ვფიქრობ, ამის რეალური საფრთხე არსებობს და, თუ ეს მოხდება, მივიღებთ „ნაცმოძრაობის“ უმრავლესობას პარლამენტში.** რაც შეეხება მთავრობას, აქაც საქმე გვაქვს დიდ უმეცრებასთან და არაადეკვატურობასთან, იმიტომ, რომ კადრების მნიშვნელოვანი ნაწილი შერჩეულია აბსოლუტურად არასწორად.

**— კონკრეტულად ვის გულისხმობთ?**

— შეხედეთ თუნდაც სამინისტროების მუშაობას... **რუსეთთან ურთიერთობას დავალაგებთო, ხომ იძახიან... ფანჯიკიძე რომ გეყოლება საგარეო საქმეთა მინისტრად, რის იმედი უნდა გქონდეს? მისი გაკეთებული ერთი საქმე მანახეთ.** არის კიდევ ბევრი რამ, რასაც ვერ ვიტყვი და საჯაროდ ვერ გამოვიტან...

**— დასასრულს ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზეც გკითხავთ: თქვენი აზრით, რამდენად საჭიროა ეს და როგორ ფიქრობთ, მოხერხდება თუ არა ამის მიღწევა?**

— მარგველაშვილმა თქვა, რომ მისი მოსვლის შემთხვევაში ვადამდელი არჩევნები არ იქნება, თუმცა არ მიმაჩნია, რომ „ქართული ოცნების“ კანდიდატს გამარჯვება ხელში უჭირავს. ამას წინათ ივანიშვილის აღშფოთების საგანი იყო ის, რომ, როდესაც ზუგდიდში ჩავიდა, სულ რაღაც ხუთასი თუ ოთხასი კაცი დაახვედრეს მას; ასე რომ, აქ ჯერ გადაწყვეტილი არაფერია. ცალკე კითხვებს აჩენს კოალიციაში შემავალი ზოგიერთი სუბიექტიც. მაგალითად, **ჩვენ გვაქვს ვიდეომასალა, რომელშიც ახალაიებისა და ალასანიას კავშირი იკვეთება. ამას საუბრობს დაზვერვის ყოფილი თანამშრომელი და ეს ყველაფერი წარვადგინეთ პროკურატურაში. აწი დანარჩენი თვითონ გამოიძიონ. ისე, შემთხვევითი არაა, რომ პრემიერი ყოველთვის გარკვეულ კრიტიკულ დამოკიდებულებას იჩენს ხოლმე ალასანიას მიმართ.**

**— თქვენი აზრით, ხელისუფლების მხრიდან ჩარევა რამდენად იქნება მომავალ არჩევნებში? ბევრი თვლის, რომ ივანიშვილი მეორე ტურამდე არ მიიყვანს საქმეს.**

— სიმართლე გითხრათ, გოგორიშვილსა და იმერლიშვილს შორის დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ. ეს არის ერთი პროტოტიპი. ჩარევას რაც შეეხება, აქ გადაჭრით რამეზე საუბარი ძნელია. ნებისმიერ შემთხვევაში ყველაფერი ხალხზეა დამოკიდებული, თუკი სამოქალაქო საზოგადოება მოდუნდება, მმართველ ძალას, შესაძლოა, რაღაცებზე ხელი წაუცდეს. მოკლედ, რაც მეტი იქნება აქტივობა, მეტი შანსია, პროცესმა ნორმალურად ჩაიაროს, ამიტომ 27 ოქტომბერს არც ერთი მოქალაქე სახლში არ უნდა დარჩეს...

**«გამორიცხავთ, რომ ალასანია და რესპუბლიკელები ერთად შეიკრან «ნაციონალებთან»?»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ღალატის ანატომია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პატივცემულო ქვეყნის მამებო, ნუ გვაბოლებთ იმით, რომ თითქოს გვიფრთხილდებით და არ გსურთ ჩვენი „ცხელ“ კონფლიქტში ჩართვა. ჯერ ერთი, ქართველებს ომით ვერ შეგვაშინებთ და მეორეც — სწორი დიპლომატიური გზები ეძებეთ, რადგანაც ნამდვილად არ ხართ არც მეფე ერეკლე და არც გიორგი სააკაძე, ხალხი რომ ერთ დაძახილზე გამოგყვეთ.**

# როგორ ვიშოვოთ ერთი მილიარდი

**სათაურმა დაგაინტერესათ, არა?
მართალი გითხრათ, მეც. მაგრამ, სანამ მილიარდის შოვნის ერთ-ერთ ქართულ მეთოდზე გადავალ, მანამდე გასული კვირის მთავარ თემას შევეხები.
გასული კვირის ერთ-ერთი უმთავრესი განსახილველი თემა ბეჭდური მედიისა და რადიომაუწყებლების რედაქტორებთან ბიძინა ივანიშვილის შეხვედრა იყო. შეხვედრამ ჩვეული ფორმატით ჩაიარა, ანუ დაახლოებით ისე, როგორც ექსპერტებთან და ე. წ. „ცნობად“ ტელეწამყვანებთან. ამიტომ ამ შეხვედრაზე საინტერესოა არა თავად შეხვედრა, არამედ პრემიერმინისტრის მიერ ზოგიერთ პოლიტიკოსზე გამოთქმული მოსაზრებები, მათი წარსული საქმიანობების შეფასებები და შანტაჟი.
დიახ, თავს უფლებას მივცემ და ვიტყვი, რომ პირდაპირი შანტაჟი აღმოჩნდა.
მიუხედავად იმისა, რომ ეს მოსაზრებები უკვე თითქმის ყველა ბრუნვაში განიხილეს სხვადასხვა მედიასაშუალების, საპარლამენტო უმრავლესობა-უმცირესობის თუ ექსპერტთა გილდიის წარმომადგენლებმა, მეც გამიჩნდა ორიოდე გულუბრყვილო კითხვა, რომლებზეც პასუხს, ალბათ, ოდესმე კი მივიღებ, მაგრამ იმ დროისთვის მათი აქტუალურობა რატომღაც საეჭვო მგონია.
მოდი და პოლიტიკოსებზე გამოთქმულ მოსაზრებებს წერილის მეორე ნაწილისთვის გადავდებ, ხოლო პირველ ნაწილში შანტაჟზე ვისაუბრებ.**



**რაღა დაგიმალოთ და, სიტყვა „ავირჩიოთ“ ხანდახან ძალიან სასაცილოდ ჟღერს, რადგანაც ყველამ კარგად ვიცით, რომ, მიუხედავად ჩვენი დემოკრატიის „მაღალი ხარისხისა“, მაინც არავინ არაფერს გვეკითხება**

მაპატიეთ, მაგრამ ბუნებით ძალიან გულუბრყვილო ადამიანი ვარ, ძალიან გულუბრყვილო და ამიტომაცაა, რომ მჯერა, რასაც ხელისუფალი იტყვის. მჯერა და ამიტომაცაა, რომ მცირეოდენი დაფიქრების შემდეგ უცებ შემეშინდება ხოლმე.

**როდესაც ბიძინა ივანიშვილის საკმაოდ მკაცრი ნოტა იმის შესახებ, რომ, თუ საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ტური დაინიშნება, ის „ურჩევს“ მარგველაშვილს კანდიდატურის მოხსნას, შევჩქვიფდი** (იმერული სიტყვაა და არ შეგეშინდეთ). **ზუსტად რამდენიმე წუთში გიორგი მარგველაშვილმა მოსახლეობასთან შეხვედრის დროს იგივე გაიმეორა.**

ვერაფერს იტყვი. რაც მართალია, ლოჯისტიკის (ანუ კომუნიკაციის) სამსახური მაგრად მუშაობს.

კიდევ ერთხელ მაპატიეთ ჩემი გულუბრყვილობისთვის, მაგრამ **ბიძინა ივანიშვილის ამ განცხადებას და გიორგი მარგველაშვილის ამ „გამოხმაურებას“ შანტაჟის მეტს ვერაფერს დავარქმევ.**

რატომ?

ახლავე მოგახსენებთ!

როგორც გავიგე, ბატონმა პრემიერმინისტრმა ბრძანა:

— თუ მეორე ტური დაინიშნება და თანაც მეორე ადგილზე ჩვენი დათვლილი რეიტინგებით „ნაციონალების“ კანდიდატი დავით ბაქრაძე გავა, მაშინ მე ვუბრძანებ პლასტელინის კაც გიორგი მარგველაშვილს, თავისი კანდიდატურა მოხსნას და პრეზიდენტის პოსტი უბრძოლველად ჩააბაროს „ნაციონალებსო“.

**ეჰეჰეიიიი! რაიო? რაცხა ვერ გევიგე სწორად, ბატონო პრემიერმინისტრო, თუ რაფრაა საქმე? ვინცხა იმისი არ იყოს, გზაზე მარგალიტად მიმავალი, ისევლე „ნაცები“ მოგყავს რიკინ-რიკინით თუ გველადავები?**

გულზე ხელი დაიდეთ და თქვით, ეს სქემა ვინ დაგიხატათ?

იმათ ხომ არა, რომლებიც, „გამოსაძერწი“ პრეზიდენტის არჩევის შემთხვევაში, პედერასტებს წაახალისებენ? ხოლო როდესაც მათს „ცისარტყელურ“ აქციებს გაზაფხულამდე მივიღებთ, ხალხის პროტესტის შემთხვევაში უკვე თქვენ მიერ „არჩეული“ პრეზიდენტი უკანალ მოქიცინეთა უფლებების დარღვევასა და ლიბერალიზმის სიმცირეში დასდებს ბრალს საქართველოს მოსახლეობის აშკარა უმრავლესობას.

საზოგადოება კი კვლავ დაიწყებს წუწუნნარევ ყვირილს: „ჩვენ მაგიტომ არ მოგვიცია ხმა“, „მოგვატყუეს“, „ეს არაა ჩვენი ოცნება“ და სხვ.

არადა, მართლა ვინ უნდა ავირჩიოთ?

**რაღა დაგიმალოთ და, სიტყვა „ავირჩიოთ“ ხანდახან ძალიან სასაცილოდ ჟღერს, რადგანაც ყველამ კარგად ვიცით, რომ, მიუხედავად ჩვენი დემოკრატიის „მაღალი ხარისხისა“, მაინც არავინ არაფერს გვეკითხება.**

ძალიან საოცარია, მაგრამ უსუფაშვილი დავით ბაქრაძის სარეკლამო კლიპში მონაწილეობს.

რატომ?

**მე მგონი, ყველა მიხვდით იმას, რომ აქ იმაზე არაა საუბარი, თუ რა თანხა აიღო უსუფამ კლიპში გადაღებისთვის** („სტავკა“ 50-დან 100 ლარამდეა). **აქ მე მინდა ყურადღება გავამახვილო იმ „უყურადღებობაზე“, რაც „მეოცნებეებმა“ გაატარეს“** (შალვა ნათელაშვილის სარეკლამო კლიპში რომ გამოჩენილიყო პარლამენტის თავმჯდომარე, ნეტა რას იტყოდნენ?).

ჰო, შალვაზე გამახსენდა:

**„პრემიერმინისტრი შეშფოთებულია ჩემი მზარდი რეიტინგით. მან ძალიან კარგად იცის, რომ ამ სამეულს პულსიც არ ესიჯნებათ და ხალხში არანაირი მხარდაჭერა არ გააჩნიათ. მათი გაყვანა მხოლოდ მისი მილიარდებით, ტანკებით ან მასობრივი ფალსიფიცირებით შეიძლება და სწორედ ეს ჩემი რეიტინგი აწუხებს და იმიტომ მომიძღვნა დღევანდელი ბრიფინგი მე“,** — განაცხადა ნათელაშვილმა.

ვერაფერს იტყვი. ერთადერთი „დაუნ ვი დიქტეიტე“ აკლდა, თორემ სხვა ყველაფერი თქვა.

**რადგან სარეკლამო კლიპებს შევეხე, ვერაფრით ავუვლი გვერდს იმ მოსიარულე კაცს, რომელიც აქეთ-იქეთ დადის და თავისი ოჯახის მრავალრიცხოვნობაზე გვიყვება.** არადა, მინდა დავუზუსტო, რომ „მისი ოჯახის წევრთა“ რაოდენობა 4 მილიონ 438 კი არა, 4 მილიონ 500 ათას 438-ია.

**პრინციპში, მიხეილ სააკაშვილი აქტიურად „ზრუნავს“ ამ ლაფსუსის გამოსასწორებლად და თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, უკვე ვინ იცის, ათასმერამდენე თურქი გახადა სერგო ჯავახიძის ისედაც დიდი ოჯახის წევრი.**

შეფასებები პოლიტიკოსებზე ბიძინა ივანიშვილის დამოკიდებულება შალვა ნათელაშვილთან, ზურაბ ადეიშვილთან და მიხეილ სააკაშვილთან არ ახალია. ნინო ბურჯანაძეს „ლაითად“, ანუ მოკრძალებით შეეხო. ბაქრაძე პირდაპირ მეორე ადგილზე „გაიყვანა“, ამიტომ მათზე არ შევჩერდები და პირდაპირ გიორგი თარგამაძისა და მისი პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი „მოღვაწეობის“ შესახებ გამოთქმულ შეფასებაზე გადავალ.

**„ამ კაცს მუდამ ქვეყნის საწინააღმდეგო პოზიცია ეჭირა. მოღალატის ეტალონს ჰგავს ეს კაცი ჩემს თვალში. სულ ყოველთვის იქ იდგა, სადაც ქვეყანას არ სჭირდებოდა, და ქვეყნის საპირისპირო პოზიცია ეჭირა. იმასაც 1-2% აქვს. მე ამ მოსახლეობასაც გაგებით ვეკიდები. მესმის, რომ ბევრს არ აქვს სწორი ანალიზის გაკეთების უნარი და ისინი ახერხებენ საზოგადოების შეცდომაში შეყვანას“,** — განაცხადა ივანიშვილმა.

ძალიან საინტერესოა, რომ **ბიძინა ივანიშვილმა გიორგი თარგამაძეს „ნიჭიერის“ ან თუნდაც „კარგი მენეჯერის“ მსგავსი სტატუსი არ მიანიჭა და პირდაპირ მშრალად, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე „მოღალატის ეტალონი“ უწოდა.**

ამ საკითხზეც შეგვეძლო გვემსჯელა და ჩავკითხვოდით ბატონ ბიძინას, თუ რატომ არ არის ნიჭიერი ან კარგი მენეჯერი ადამიანი, რომელმაც ორთვიანი ისტორიის მქონე პარტიით, რომლის ლიდერებსაც წარსულში პოლიტიკური ბრძოლის არანაირი გამოცდილება არ ჰქონდათ, საპარლამენტო არჩევნებში წარმატებას მიაღწია, მაგრამ, რადგანაც დარწმუნებული ვარ, რომ ბატონი ბიძინა ამ შეკითხვასაც ჩვეულ სტილში გასცემს პასუხს, ამიტომ აღარ ჩავეძიები და ისევ „ღალატის თეორიის“ გიორგი თარგამაძისეულ კურსს დავუბრუნდები.

რაღა დაგიმალოთ და, **ამ შემთხვევაში მოცემული პოლიტიკოსის — ბიძინა ივანიშვილისეული დახასიათება აბსოლუტურად ემთხვევა საზოგადოების შეხედულებებს.**

ემთხვევა, რადგანაც **ყველამ კარგად ვიცით, თუ როგორ მოვიდა გიორგი თარგამაძე პოლიტიკაში. გვსმენია იმ ხმების შესახებაც, თუ როგორ „გადააგდო“ მან ასლან აბაშიძე თბილისის საკრებულოს არჩევნების დროს 2 მილიონ დოლარში. გვსმენია „იმედის“ ამბებიც.** ახლა დაწვრილებით არ მოვყვები, მაგრამ დაინტერესებულ პირებს ვაცნობებ, რომ შეუძლიათ იხილონ მედიაკავშირ „ობიექტივის“ გადაცემა, რომელშიც მანანა გიორგობიანი ჟურნალისტ მამუკა ბაკურიასთან დაწვრილებით საუბრობს „იმედში“ განვითარებულ მოვლენებზე http://obieqtivi.net/tv1.php?id=13393 (1.03 წთ-დან) და, ფაქტობრივად, ანადგურებს წინა საღამოს იმავე ტელეკომპანიის ეთერით გამოსულ გიორგი ახვლედიანს, რომელიც ყველანაირად ცდილობდა, თავისი პარტიული ლიდერის გაპრავებას.

**„ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერი პრემიერისგან მოითხოვს, მისი მოღალატეობის დამადასტურებელი მტკიცებულებების სასამართლოში წარდგენას.**

„აღარ ვიცი, ამ ყველაფერზე გამეცინოს თუ ნაწყენი დავრჩე. ეს არ არის მხოლოდ პოლიტიკური შეფასება, ეს არის სერიოზული ბრალდება. არ მინდა, ამ შეურაცხყოფას შეურაცხყოფითვე ვუპასუხო. ამ ადამიანს, როგორც ჩანს, ამ საქმეში ვერ გავეჯიბრები. მინდა გითხრათ, რომ, როგორც ჩანს, პრემიერს, უბრალოდ, კარგად არ ესმის ზოგიერთი სიტყვის შინაარსი. ეს აღარ არის ზოგადი შეფასება. ის ბრალდება, რომ მე სახელმწიფო მოღალატე ვარ, აბსურდია. თუ მას არ ესმის ამ სიტყვის შინაარსი, მივმართავ სასამართლოს, სადაც მას დეტალურად აუხსნიან, თუ რას ნიშნავს სახელმწიფო ღალატი და როგორ უნდა აგოს პასუხი ადამიანმა მსგავსი განცხადებისთვის, რაც არ უნდა ბევრი ფული და მაღალი თანამდებობა ჰქონდეს. მე არ ვაპირებ სახელმწიფო მოღალატის სტატუსით ვიარო პოლიტიკაში. თუკი ივანიშვილს ამ ბრალდების მტკიცებულებები გააჩნია, სასამართლოში წარმოადგინოს, თუ არა და მან პასუხი უნდა აგოს ცილისწამებისთვის, როგორც ჩემი, ასევე ჩემი ამომრჩევლის წინაშე“, — განაცხადა გიორგი თარგამაძემ.

აი, ის მეთოდი, თუ როგორ შეიძლება იშოვო მილიარდი.

რატომღაც ისევ ოსტაპ ბენდერი და მისი მეგობარი შურა ბალაგანოვი გამახსენდა. **თუ ბალაგანოვის „ოცნება“ ექვსი ათას ორას ოცდაოთხი მანეთი იყო, გიორგი თარგამაძის „ოცნება“ ერთი მილიარდი ყოფილა და ის ამ მილიარდის შოვნას დაახლოებით ისე აპირებს, როგორც დიდმა კომბინატორმა იშოვა ერთი მილიონი.**

**გასულ კვირაში კიდევ სხვა ბევრი ამბავი მოხდა — ზოგი ტრაგიკული, ზოგი კომიკური, ზოგიც კიდევ ტრაგი-კომიკური. ტრაგედიასა და კომედიას თავს დავანებებ და ერთ დაუზუსტებელ ტრაგი-კომიკურს ამბავსაც გეტყვით.**

რუს სამხედროებს ერთი ადამიანის ეზოშიც გაუბამთ მავთულხლართი, მაგრამ ბედის ირონიით, თუ არასწორი რუკების გამო ამ ადამიანის ტუალეტი საოკუპაციო ზოლს იქეთ მოხვედრილა. ეს ჩვენი მოქალაქე კი პროტესტის ნიშნად ტუალეტში არ მიდის, მე ჩემი ქვეყნის ტერიტორიაზე მინდა მოვისაქმოო.

ჩვენი მთავრობის პოზიცია ამ მოქალაქის მიმართ საკმაოდ მკაფიოდ გამოთქმულა, „ომს ხომ არ დავიწყებთ“ და „მორიგ პროვოკაციაზე არ წამოვეგებითო“.

ირონიას გვერდზე გადავდებ და ამჯერად ხელისუფლებას აბსოლუტურად სერიოზულად მივმართავ:

**პატივცემულო ქვეყნის მამებო, ნუ გვაბოლებთ იმით, რომ თითქოს გვიფრთხილდებით და არ გსურთ ჩვენი „ცხელ“ კონფლიქტში ჩართვა. ჯერ ერთი, ქართველებს ომით ვერ შეგვაშინებთ და მეორეც — სწორი დიპლომატიური გზები ეძებეთ, რადგანაც ნამდვილად არ ხართ არც მეფე ერეკლე და არც გიორგი სააკაძე, ხალხი რომ ერთ დაძახილზე გამოგყვეთ.**

ერთმა მეგობარმა მითხრა, რომ ამ პერიოდის ქართველები ისტორიაში „ოცნებით ილუზორულად მოხიბლული ერის“ სახელით შევალთო.

არადა, **საქართველო დღითიდღე პატარავდება, სუსტდება და, თქვენ წარმოიდგინეთ, რომ უკვე შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს, თუ როგორ მოსწყინდათ ჩვენს ამერიკელ ე. წ. ძმებს ექსპერიმენტი, სახელად საქართველო.**

წერილს ამ პესიმისტურ ნოტაზე ნამდვილად არ დავამთავრებ და, მიუხედავად იმისა, რომ გასული კვირის ანალიზი არანაირად არ იძლევა ამის თქმის საშუალებას, მაინც ვიტყვი, რომ რატომღაც მჯერა, ყველაფერი კარგად იქნება.

**გია გაბრიჭიძე**

„ამომრჩევლის ნების თავისუფლებაზე ზემოქმედების, თუ ზეწოლის მექანიზმები ცალსახად გამოიყენა პრემიერმა. მისი განცხადება, მისი რიტორიკა და არჩევნების მეორე ტურში მარგველაშვილის მონაწილეობის დაუშვებლობა აიხსნება იმით, რომ იგი შანტაჟის ენით ელაპარაკება, თუნდაც თავის ამომრჩევლებს, „ოცნების“ მხარდამჭერებს.“

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

დავით ლილუაშვილი:

# გეტყვით, «ოცნებას» მეორე ადგილზე ბაქრაძის გასვლა რატომაც აძლევს ხელს

**„რატომ უნდა ბიძინა ივანიშვილს ჩვენი შევიწროება და არა ჩვენთან თანამშრომლობა და ხელისუფლებაში ყოფნის დროს რატომ არ შეასრულა ის მრავალი დაპირება, რომელსაც გვაძლევდა საპარლამენტო არჩევნებამდე?“ — აი, კითხვა, რომელსაც პრემიერს პირველივე შესაძლებლობისას დაუსვამდა. რით გაანაწყენა ივანიშვილმა არასამთავრობოები, ჩატარდება თუ არა არჩევნების მეორე ტური და რატომ მფარველობს „ოცნება“ ბაქრაძეს? „საქართველო და მსოფლიოს“ არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის — „ჩვენი უფლებებისთვის“ თავჯდომარე დავით ლილუაშვილი ესაუბრა.**



## რით გაანაწყენა ივანიშვილმა არასამთავრობოები?

**— ბატონო დავით, როგორ აფასებთ წინასაარჩევნო გარემოს? და როგორ ფიქრობთ, რა შედეგები დაიდება არჩევნებზე, მარგველაშვილი გაიმარჯვებს?**

— იცით, წინა წლებთან შედარებით მეტ-ნაკლებად ლიბერალური და დემოკრატიული წინასაარჩევნო გარემოა, **საპრეზიდენტო კანდიდატებს თავიანთი შესაძლებლობების თავისუფლად დემონსტრირების საშუალება აქვთ, თუმცა, მაინც დამაფიქრებელი და სამწუხაროა შემდეგი გარემოება — მმართველი კოალიციის ლიდერების რიტორიკა, აგრესიული ინტონაცია და შეურაცხმყოფელი განცხადებები საზოგადოების ცნობილი სახეებისა და ოპონენტების მიმართ.**

წინასაარჩევნო პერიოდში დაცული უნდა იყოს საპრეზიდენტო კანდიდატების უფლებები. ორიოდე დღის წინ, ერთის მხრივ, ძალიან დაუფიქრებელი და მეორე მხრივ, ძალიან სარკაზმული განცხადება გააკეთა პრემიერმინისტრმა, ვგულისხმობ, „ნათელაშვილი არის მასხარა“, ხოლო „თარგამაძე — მოღალატის ეტალონი“. შევახსენებ, რომ ეს ორი ადამიანი არის პრეზიდენტობის კანდიდატი და მისი ფავორიტი გიორგი მარგველაშვილის კონკურენტები არიან. როცა სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირი აკეთებს ასეთ განცხადებებს, აშკარად დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს, შეურაცხყოფას რომ თავი დავანებოთ, არჩევნებში მონაწილე საპრეზიდენტო კანდიდატებს, ეს არასწორია.

ჩემთვის ასევე უცნაურია მისი განცხადება, რომ **თუ არჩევნების პირველ ტურში მისი ფავორიტი მარგველაშვილი 60%-ს ვერ მიიღებს, აზრი არ აქვს მეორე ტურში მის მონაწილეობას. ეს განცხადება გაკეთებული იყო ძალიან იმპერატიულ ტონში, მკაცრი ინტონაციით და აღნიშნულს დაუკავშირა ასევე არაპირდაპირ, მაგრამ ირიბად, ის გარემოება, რომ სავარაუდოდ, მეორე ადგილზე გავა დავით ბაქრაძე.** მხოლოდ ნათელმხილველს ან პოლიტიკურ ნათელმხილველს შეუძლია ასეთი განცხადებების კეთება. სხვათა შორის, მანამდე ორი თვით ადრე „ქართული ოცნების“ სხვა ლიდერებმაც გააკეთეს ანალოგიური განცხადება და ამ განცხადებაში არა მარტო შეფასებითი თუ დასკვნითი ნაწილი იყო, არამედ თავისი სურვილი და განწყობა. შეგახსენებთ, **ბერძენიშვილმა განაცხადა, რომ მისთვის სასურველი იქნება, იხილოს მეორე ადგილზე ბაქრაძე და არა ბურჯანაძე. ვფიქრობ, წინმსწრები და ასეთი კატეგორიული განცხადებების კეთება ყოვლად დაუშვებელია და, თუ „ნაცმოძრაობა“ თავის მკაცრ პოლიტიკას შესაბამისი ხისტი ფორმებით გამოხატავდა, ახლა ხდება ის, რომ რიტორიკაში არის ეს გამოხატული.** დიახ, გამოხატულია მენტალური ფორმით და ასეთი განცხადებები წინასაარჩევნო პერიოდში არის არადემოკრატიული მენტალიტეტისა და ბუნების მაჩვენებელი.

**— აცხადებთ, ივანიშვილი არადემოკრატიულ განცხადებებს აკეთებსო, გამოდის, პრემიერს ევროპის გაოცება გაუჭირდება?..**

— დიახ, მით უმეტეს იმ ფონზე, რომ პრემიერმა ბრძანა, ამ საპრეზიდენტო არჩევნებით გავაოცებ ევროპასო... მინდა გითხრათ, გაოცებულები, ოღონდ არა იმ გაგებით, როგორც მან მოიაზრა, ვართ ჩვენ, არასამთავრობოები და უფლებადამცველები თავისი დამოკიდებულებით ჩვენდამი. **იგივე ექსპერტებთან შეხვედრა გავიხსენოთ, ივანიშვილმა, ფაქტობრივად, გადაუარა, დაკითხვა მოუწყო მათ. ფორმა და დამოკიდებულება იყო ძალიან ცინიკური. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გადაუარა თქვენს კოლეგებს. ვფიქრობ, იმ შეხვედრამ ჟურნალისტები ბევრ რამეზე დააფიქრა, კერძოდ, თვითონ ახალი ხელისუფლების მცირედდემოკრატიულ ბუნებაზე და იმაზეც, რომ შეიძლება თურმე ხელისუფლების წარმომადგენელი მასმედიას ჰყავდეს ცენზორად.** დიახ, გარკვეული მოჯირყვნა განახორციელა პრემიერმა ჟურნალისტების. და აქ არის გარკვეული შეფარული პოლიტიკა, რას შეიძლება ველოდოთ მომავალში, თუ ეს ტენდენცია და ასეთი დამოკიდებულება გაგრძელდა „ოცნების“ წარმომადგენლების მხრიდან.

„ოცნების“ წარმომადგენლებზე იმიტომ ვაკეთებ აქცენტს, რომ პრემიერი, როგორც თავად აცხადებს, გადადის სამოქალაქო საზოგადოებაში, ანუ ჩვენთან გადმოდის. აი, ამ განცხადებასთანაც ჩემი კრიტიკული დამოკიდებულება მაქვს, იმიტომ, რომ ივანიშვილმა განაცხდა, მე გადავდივარ სამოქალაქო საზოგადოებაში, ბევრი ამით შევიწროვდება და მეყოლება ათკაციანი ჯგუფიო. ალბათ, აქ მოიაზრება სწორედ ის, რასაც ჰქვია „შუის გაკრეფვის“ პრინციპი, რაც, სხვათა შორის, წარმატებით განახორციელა პოლიტიკურ სპექტრში. როგორც ჩანს, იგივეს გვიპირებს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და ის, რის განხორციელებასაც აპირებს ჩვენს მიმართ, არის კიდევ მეორე არგუმენტი იმისა, რომ **ეს კაცი ძალის დემონსტრაციაზე არის გადასული. მინდა ვუთხრა პრემიერს, რომ, თუ გაგრძელდება, აი, ასეთი ტენდენციები და ასეთი დამოკიდებულება სამოქალაქო საზოგადოების მიმართ, რომელიც მრავალი წლის მანძილზე ახორციელებდა ბრძოლას სააკაშვილის რეჟიმთან და საკმაოდ უკომპრომისოდ და თავგანწირულად, კარგს ვერაფერს მიაღწევს.** ჩვენ, კარგა ხანია, გამოგვიმუშავდა იმუნიტეტი არასასიამოვნო მოვლენების მიმართ. მაგრამ მე მაინც იმედს ვიტოვებ, რომ ამ დონემდე არ მივა ხელისუფლება და, თუ სურთ, რომ სწორება ჰქონდეთ ევროპულ, დემოკრატიულ და ლიბერალურ ღირებულებებზე, ჩვენს განცხადებებს და რეკომენდაციებს შეისმენენ. სხვათა შორის, წინა, სააკაშვილის მახინჯი მმართველობა ივანიშვილისა და ხაზგასმით ვიტყვი, ქართველი ხალხის ბრძოლის შედეგად დამთავრდა. დიახ, ქართველი ხალხის და არა მხოლოდ ივანიშვილის ბრძოლის შედეგად, მარტო კაცი ამას ვერ მოახერხებდა.

**— და რატომ ჰგონია ივანიშვილს, რომ მისი გადასაწყვეტია სამოქალაქო საზოგადოების შევიწროვება-გაფართოება? რას გერჩით?**

— გინდა თუ არა სამოქალაქო საზოგადოება უნდა შევიწროვდესო და რატომ უნდა შევვიწროვდეთ ის ორგანიზაციები, რომლებიც წლების მანძილზე ან აკადემიური ფორმატით, ან აქტიურად დაპირისპირებული ფორმებით ვებრძოდით სააკაშვილის რეჟიმს და არაფერი ცუდი არ იყო იმაში, რომ ჩვენ ხალხთან ერთად ვიდექით სხვადასხვა აქციებზე, გაუგებარია. და ჩვენ ყოველივე ამისთვის ჯილდოდ უნდა გვერგოს, აი, ასეთი დამოკიდებულება? მე, მის ადგილას პირიქით კონსტრუქციულ განცხადებებს გავაკეთებდი, თანამშრომლობის ხელს გავუწვდიდი სამოქალაქო საზოგადოებას, დიახ, შევიწროვებაზე კი არა, პარტნიორობაზე ვისაუბრებდი. აი, კიდევ ერთი უარყოფითი დამოკიდებულება პრემიერისა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მიმართ. **ჩვენთან „შუის გაკრეფვა“ ვერ მოხდება, ვერც გვერდზე გაგვწევს ვინმე, რადგან მრავალი წელია ჩვენ საქმეს პირნათლად ვაკეთებთ. ჩვენ სააკაშვილის 9-წლიანმა სისხლიანმა მმართველობამ ვერ გაგვკრიფა და მინდა დარწმუნებით ვუთხრა ივანიშვილს, რომ მისი სამოქალაქო საზოგადოებაში გადმობრძანებაც ვერაფერს დაგვაკლებს.**

სხვათა შორის, სულ არ მინდა დავაკნინო მისი საპრეზიდენტო კანდიდატი, მისი ფავორიტი გიორგი მარგველაშვილი, მაგრამ მოდით, გავაკეთოთ ანალიზი მისი ბიოგრაფიიდან გამომდინარე და ვაღიაროთ, რომ პიროვნებას არ აქვს პოლიტიკური ბექგრაუნდი, საერთაშორისო ურთიერთობებში არანაირი გამოცდილება და ა.შ. ასევე მოდით, გავიხსენოთ მარგველაშვილის ლოიალური და მოზომილი განცხადებები, „მე არასდროს შევეწინააღმდეგები ჩემს გუნდს“, „არავითარი დაპირისპირება არ იქნება ჩვენ შორის“. აქედან ჩანს, რომ ივანიშვილმა შეარჩია პრეზიდენტობის კანდიდატად ის პიროვნება, რომლის მართვაც ადვილად შეიძლება. **ვვარაუდობ, რომ მომავალი პრემიერიც ასეთი გვეყოლება. და ამ შემთხვევაში სამოქალაქო საზოგადოებაში იქნება, თბილისში — შუშებიან სასახლეში, თუ ჭორვილაში, არავითარი აზრი არ აქვს, ის მართლა ადვილად გააკონტროლებს ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირებს.**

რაც შეეხება არჩევნების შედეგებს — ყველაფერი მაინც დაკავშირებულია თვითონ კენჭისყრის პროცედურებთან და, რა თქმა უნდა, ამომრჩევლის კეთილ ნებასთან. **ამომრჩევლის ნების თავისუფლებაზე ზემოქმედების თუ ზეწოლის მექანიზმები ცალსახად გამოიყენა პრემიერმა. მისი განცხადება, მისი რიტორიკა და არჩევნების მეორე ტურში მარგველაშვილის მონაწილეობის დაუშვებლობა აიხსნება იმით, რომ იგი შანტაჟის ენით ელაპარაკება, თუნდაც თავის ამომრჩევლებს, „ოცნების“ მხარდამჭერებს.**

**— ფიქრობთ, არჩევნების მეორე ტური ჩატარდება ?**

— ვფიქრობ, არჩევნების მეორე ტურს ვერ ავცდებით. რატომ? იმიტომ, რომ მრავალსუბიექტიანი არჩევნებია, მეტ-ნაკლებად ყველა კანდიდატს თავისი ტრადიციულად ერთგული ელექტორატი ჰყავს და 51% ვერ აცდა მარგველაშვილის პროცენტული მაჩვენებელი (სხვადასხვა გამოკითხვებით). საზოგადოებაში არსებული განწყობა არც თუ ისე დადებითია იმ პიროვნების მიმართ, რომელიც დიდი პოპულარობით და სიყვარულით არ სარგებლობდა ხალხში მანამდე, სანამ ბატონმა ივანიშვილმა დაასახელა. რაც შეეხება მეორე ადგილს, ძალიან ხშირად ლაპარაკობს „ოცნება“, რომ ეს არის ბაქრაძე, არასამთავრობოები და ექსპერტები კი ამბობენ, რომ შესაძლებელია ეს იყოს ბურჯანაძე. ვფიქრობ, **ციხეების, ჯალათებისა და მკვლელების პარტიის ლიდერმა რომ აიღოს მეორე ადგილი, ეს იქნება ერის შეურაცხყოფა. აქედან გამომდინარე, აქ რჩება ბურჯანაძეს რეალური შესაძლებლობები, მაგრამ ვიმეორებ, ყველაფერი დამოკიდებულია ამომრჩეველზე.** ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები და როგორ ჩაივლის კენჭისყრის პროცედურები. თუმცა პირდაპირ გეტყვით ერთ რამეს: „ოცნებას“ აწყობს მეორე ადგილზე ბაქრაძის გასვლა, და იცით, რატომ? ამით აიხსნება ის, რომ თურმე სწორი გადაწყვეტილება ყოფილა კოაბიტაციის პროცესის დაწყება, მართლები იყვნენ თავიანთ რიტორიკაში, როცა აცხადებდნენ, რომ ქვეყანაში ძირითადი ოპოზიციური ძალა არის „ნაცმოძრაობა“, რომ „ნაცმოძრაობაში“ არიან ჭკვიანი და ღირსეული სახეები, ინტელექტუალები და საჭიროა მათი შესაძლებლობების გამოყენება.

**— დაბოლოს, რა კითხვას დაუსვამდით ივანიშვილს? პრემიერი არასამთავრობოებთან შეხვედრასაც აპირებს...**

— რატომ უნდა ბიძინა ივანიშვილს ჩვენი შევიწროება და არა ჩვენთან თანამშრომლობა და ხელისუფლებაში ყოფნის დროს რატომ არ შეასრულა ის მრავალი დაპირება, რომელთაც გვაძლევდა საპარლამენტო არჩევნბდე? და ჩვენი თანამშრომლობის ან შესაძლო პარტნიორობის შემთხვევაში (უკვე როგორც არასამთავრობო სექტორის სხვადასხვა სუბიექტს შორის) გატეხავს თუ არა სხვადასხვა საკითხზე მოცემულ პირობას ისე, როგორც გატეხა ხელისუფლებაში ყოფნის დროს?!

## «ციხეების, ჯალათებისა და მკვლელების პარტიის ლიდერმა რომ აიღოს მეორე ადგილი, ეს იქნება ერის შეურაცხყოფა»

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

გეოპოლიტიკა
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თურქეთისა და საქართველოს სახელმწიფოთაშორისმა კონტრაქტებმა დღეისთვის უპრეცედენტო დონეს მიაღწია, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ მოსკოვისა და თბილისის არცთუ მარტივ ურთიერთობას, ასევე, ანკარის მაღალი ხარისხის დაინტერესებას თავისი გავლენის სფეროში ამიერკავკასიის პარტნიორის ჩართვას ხანგრძლივი დროისთვის გათვლილი ამოცანების სარეალიზაციოდ.**

# თურქეთი — საქართველოს ახალი მფარველი?

**რედაქციისგან:**

**საქართველოს საზოგადოებრივი აზრი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციულ საზღვართან მავთულხლართების გადაადგილების საკითხში ისე გაიხლართა, რომ პრაქტიკულად მეორე პლანზე გადაიტანა პრობლემა, რომელმაც არამარტო გადმოლახა ჩვენი სამხრეთი საზღვარი, არამედ ისე გაიდგა ფესვები ქვეყნის შიგნით, რომ ქართულ იდენტურობას აშკარად დაემუქრა. ლაპარაკია მეზობელი თურქეთის გავლენაზე, რომელიც, კარგა ხანია, ფართო მოხმარების საქონლითა და პროდუქტებით ქართულ ბაზარს დაეპატრონა და ახლა ჩვენს თვითმყოფადობასა და რწმენაზე გავლენის მოხდენას ცდილობს. ამას ამჩნევენ ექსპერტები და, განგაშის არა, მაგრამ გაფრთხილების ზარს შემოჰკრავენ. მათ შორის არის ვლადიმერ ავატკოვი, რომელიც მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობის სახელმწიფო ინსტიტუტში ასწავლის — სამხედრო კათედრის ლექტორია და ამ უმაღლეს სასწავლებელში თურქული კლუბის ჩამოყალიბების ინიციატორი და პირველი თავმჯდომარე იყო (2009-2011). ჩვენი მკითხველისთვის საინტერესო იქნება, გაეცნოს მოსკოვიდან დანახული ქართულ-თურქული ურთიერთობის დღეისთვის ჩამოყალიბებულ სახეს. გთავაზობთ მისი წერილის თარგმანს.**



**თურქები აქტიურად ცდილობენ, ქართველების ეროვნულ შეგნებაზე იმოქმედონ და შექმნან თურქეთის პოზიტიური იმიჯი, საწინააღმდეგოდ აგრესორი რუსეთისა**

საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა ისტორიულად მარტივი ხასიათისა არ ყოფილა. **თურქები აქტიურად ცდილობენ, ქართველების ეროვნულ შეგნებაზე იმოქმედონ და შექმნან თურქეთის პოზიტიური იმიჯი, საწინააღმდეგოდ აგრესორი რუსეთისა.** მაგრამ იმიჯის ტრანსფორმაციის პროცესი ჯერჯერობით ნელა მიმდინარეობს და ქართული საზოგადოებრიობის სხვადასხვა ფენის წინააღმდეგობას აწყდება. ამასთან ერთად, **თურქეთისა და საქართველოს სახელმწიფოთაშორისმა კონტრაქტებმა დღეისთვის უპრეცედენტო დონეს მიაღწია, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ მოსკოვისა და თბილისის არცთუ მარტივ ურთიერთობას, ასევე, ანკარის მაღალი ხარისხის დაინტერესებას თავისი გავლენის სფეროში ამიერკავკასიის პარტნიორის ჩართვას ხანგრძლივი დროისთვის გათვლილი ამოცანების სარეალიზაციოდ.**

სსრკ-ის დაშლისთანავე თურქეთმა საქართველოს მიმართ აქტიური პოზიცია დაიკავა. 1991 წლის 16 დეკემბერს აღიარა მისი დამოუკიდებულობა, 1992 წლის 21 მაისს კი მხარეებმა ხელი მოაწერეს ოქმს დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ. საელჩოების გარდა ამ ქვეყნებმა გახსნეს საკონსულოები: თურქეთმა — ბათუმში, საქართველომ — ტრაბზონსა და სტამბოლში. მოცემულ ეტაპზე ორ ქვეყანას შორის არსებობს შეთანხმება უვიზო რეჟიმის თაობაზე ტურისტული მიზნით 90 დღის ხანგრძლივობით, ასევე, — 2011 წლიდან საზღვრის გადალახვაზე შიდა პასპორტებით, თანაც „ერთი სარკმლის“ პრინციპის მეშვეობით.

**თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საიტზე მითითებულია, რომ თურქეთი ისწრაფის განახორციელოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრის საკითხი საქართველოს საყოველთაოდ აღიარებული საზღვრების შენარჩუნების ჩარჩოებში.**

**ამასთან, ცალკე წინადადებით თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ხაზს უსვამს აჭარის განსაკუთრებულ სტატუსს.**

თურქეთსა და საქართველოს შორის მოქმედებს მთავრობათაშორისი შეთანხმებების მთელი რიგი. ერთ-ერთი ყველაზე უფრო ქმედითი მექანიზმი ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობის სფეროში არის ხელშეკრულება თავისუფალი ვაჭრობის ზონის შესახებ. უკანასკნელ წლებში ორ ქვეყანას სავაჭრო ბრუნვა 1,1 მილიარდი დოლარის ნიშნულს აღემატება, ხოლო თურქეთის წილი საქართველოს საგარეო ვაჭრობაში 20 პროცენტს უახლოვდება.

ორი ქვეყნის თანამშრომლობის მთავარ ასპექტებად გვევლინება ენერგეტიკა, ტრანზიტი, კოოპერაცია უშიშროებისა და განათლების სფეროებში. თურქეთი და საქართველო ერთობლივად განახორციელებენ ნავთობსადენ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის, გაზსადენ ბაქო-თბილისი-ერზრუმის პროექტებს. ამას გარდა, გაიმართა საქართველოსა და თურქეთის ერთობლივი საკომანდო-საშტაბო სწავლება „უსასრულობა-2013“ (Eternity-2013), რომელშიც მონაწილეობდნენ ამ ქვეყნების სამართალდამცავი სტრუქტურებისა და თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები.

**თურქეთისა და საქართველოს სამხედრო თანამშრომლობა მაღალ დონეზეა, ბათუმში ხშირად ტარდება სწავლება ამერიკელებთან და თურქებთან ერთად. ამასთან, საქართველოში განლაგებულია აშშ სამხედრო ბიოლაბორატორია, რომელმაც უკვე გაუჩინა კითხვები „როსპოტრებსოიუზს“ რუსეთის სამხრეთი რეგიონების უსაფრთხოების კონტექსტში.**

**თავის საგარეო პოლიტიკაში თურქეთი ფსონს დებს არა ხისტ ძალაზე ნატოს ჩარჩოებში, არამედ რბილ ძლიერებაზე.** საგარეო საქმეთა მინისტრის ა. დავითოღლუს კონცეფციის მიხედვით — **„ნული პრობლემა მეზობლებთან“ — რესპუბლიკა, რომელიც ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისკენ ისწრაფვის, შეიძლება გახდეს პლაცდარმი არა იმდენად ნატოსი, რამდენადაც თურქეთის, რომელიც უკვე წვრთნის საქართველოს სამხედრო მოსამსახურეებს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პროგრამით, აფართოებს თანამშრომლობას ქვეყნის სამართალდამცავ სტრუქტურებთან.** 2013 წლის აგვისტოს ბოლოს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ეწვია ანკარას, სადაც თავის თურქ კოლეგებს შეხვდა, ერთ-ერთი მათგანი დააჯილდოვა მედლით „განსაკუთრებული დამსახურებისთვის“, განიხილა მათთან ერთად ორი ქვეყნის პოლიციური სტრუქტურების ურთიერთობის საკითხები და მოინახულა ეროვნული პოლიციური აკადემია და ნარკოტიკებთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის აკადემია. ამავე კონტექსტში გაიმართა სექტემბრის ბოლოს შეხვედრა აზერბაიჯანში. საქართველოში განხორციელების აქტიურ ფაზაშია რკინიგზის მაგისტრალის ბაქო-თბილისი-ყარსის მშენებლობა, რომელიც ერთმანეთს დაუკავშირებს ამიერკავკასიის ორ ქვეყანას და თურქეთს, და საქონლის ევროპასა და აზიაში რუსეთისა და სომხეთის გვერდის ავლით გადაზიდვის საშუალება გაჩნდება. ბოლო დროს რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებით ვითარდება კონფლიქტი — პროცესი შენელებულია, ხდება გაფიცვები — კერძოდ, აგვისტოს ბოლოს საქართველოს ქალაქ მარნეულში გზის მშენებლები გაიფიცნენ ხელფასების დაგვიანების გამო.

**(ამასთან დაკავშირებით, უნდა შევნიშნოთ, რომ გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ კვალში უდგას ამ მშენებლობას, მონაწილეობს სამუშაოთა ინსპექტირებაში და აქვეყნებს შესაბამის მასალებს. ამიტომ შეგვიძლია პასუხისმგებლობით განვაცხადოთ, რომ არაფერი ექსტრაორდინალური, რომელზეც ამ პუბლიკაციაშია ლაპარაკი სინამდვილეში არ ხდება, მშენებლები მუშაობენ ისეთი ტემპით, რომელიც უზრუნველყოფს სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში წარმოქმნილი ჩამორჩენის სრულად დაძლევას (იმ დროს შესრულებულმა სამუშაომ საერთო მოცულობის მხოლოდ 31 პროცენტი შეადგინა). ახალი ხელმძღვანელობის განცხადებით, მაქსიმუმ წელიწადსა და 9 თვეში მაგისტრალს გადასცემენ საექსპლუატაციოდ. ამასთან, წლევანდელი ხელფასების ყველა დავალიანება უკვე გასტუმრებულია. — რედ.)**

რიგი ექსპერტებისა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ რკინიგზის მნიშვნელობა მხოლოდ ის კი არ არის, რომ ტვირთები გადაიზიდოს რუსეთისა და სომხეთის გვერდის ავლით, არამედ ის, რომ ამ გზით გამოიყვანონ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის კონტიგენტი ავღანეთიდან, ამისთვის კი ამიერკავკასიაში შექმნან ნატოს საყრდენი პუნქტების მთელი რიგი.

საქართველო თავისი საგარეოპოლიტიკური ვექტორით ყოველნაირად, ყველა მეთოდით — რელიგიიდან და კულტურიდან განათლებამდე — ცდილობს, მიაღწიოს ამ რთულად განსახორციელებელ მიზანს. სწორედ ამ კონტექსტში ღირს მეჩეთების აშენება-აღდგენის (მაგალითად, აჭარაში), აგრეთვე, საგანმანათლებლო კავშირების განხილვა.

ამიერკავკასიაში ყოველთვის ძლიერი იყო თურქოლოგიის სკოლა — უმაღლეს სასწავლებლებში ასწავლიდნენ თურქულ ენას. საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში დღეს მოქმედებს თურქოლოგიის 7 განყოფილება. **სსრკ დაშლის შემდეგ უმაღლესების საგანმანათლებლო სფეროში, სადაც თურქოლოგიის განყოფილებებია, აქტიურად დაიწყეს თურქების ჩანერგვა, ადგილობრივი ლექტორების სამეცნიერო შრომების დაფინანსება დაიწყო საზღვარგარეთიდან.** ამასთან, საქართველოს უმაღლესებში ურთიერთგაცვლის პროგრამით 250 თურქი სტუდენტი სწავლობს, რომელთაც თავიანთ ქართველ კოლეგებთან ერთად, რომლებიც აღზრდილი და განათლებამიღებულები არიან ახალი „თურქული“ ტრადიციებით, გააჩნიათ პოტენციალი, ჩამოაყალიბონ ლობისტური ჯგუფები ქართული საზოგადოების სხვადასხვა ფენებში სამუშაოდ.

საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, 2013 წლის 13 სექტემბერს, მხოლოდ ამ ერთ დღეს მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა თურქეთის 936 მკვიდრს. **საინტერესოა, საქართველოს ხელისუფლებას სურს, იხილოს თავისი ქვეყანა მხოლოდ ნატოსა და ევროკავშირის წევრად თუ მიისწრაფის სხვა ხასიათის შერწყმისა და შთანთქმისკენ? და მთავარი — რამდენად ყურადღებითა და გულდაგულ აქვს გათვლილი საქართველოს ხელმძღვანელობას ასეთი ხასიათის ნაბიჯები?** ცნობილია, რომ პატარა ნაბიჯები ბადებს დიდ ცვლილებებს.

**სსრკ დაშლის შემდეგ უმაღლესების საგანმანათლებლო სფეროში, სადაც თურქოლოგიის განყოფილებებია, აქტიურად დაიწყეს თურქების ჩანერგვა, ადგილობრივი ლექტორების სამეცნიერო შრომების დაფინანსება დაიწყო საზღვარგარეთიდან**

**ვლადიმერ ავატკოვი**
**რუსეთი-საქართველო: ექსპერტთა დიალოგი**
**mgimo.ru**

პრონაცური და შესაბამისად მათგან ფინანსირებული ლუის ნავაროს თუ ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფინანსებული ზურაბ ბიგვავას მიერ ჩატარებული კვლევები, რომლებშიც დავით ბაქრაძეს მეორე ადგილთან დაკავშირებით ტყუპისცალებივით თითქმის ერთნაირი პროცენტები დაფიქსირდა, იმის ნათელი დასტურია, დავით ბაქრაძის მეორე ადგილზე „გათრევის“ საკითხში სრული კოჰაბიტაციური ჰარმონია სუფევდა...

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დროა, შეიქმნას ახალი, ალტერნატიული ეროვნული პოლიტიკური ძალა

**არც ივანიშვილის მეხოტბე ვარ და არც მავანთა მგალობელი, მაგრამ სიმართლეს გაუმარჯოს და, მიუხედავად იმისა, რომ, „ნაცების“ ტერორის დროს ჩატარებული არჩევნებისგან განსხვავებით, ამ წინასაარჩევნოდ ქვებს არ ისვრიან, მაინც უცნაური არჩევნების მოლოდინშია ქვეყანა! ამ „მოლოდინში“ კი ბიძინა ივანიშვილმა მედიასთან ბოლო შეხვედრის დროს, როგორც იტყვიან, „ცეცხლზე ნავთი დაასხა“ და ადვილი შესაძლებელია, საპრეზიდენტო არჩევნებმა ისეთი აბსურდის, ფარსის სახე მიიღოს, რომლის მსგავსი „ნაცების“ ზეობის ჟამსაც არ გვინახავს!..**



**პრემიერი ქართულ საზოგადოებას აშანტაჟებს — ხათრი ბოლომდე შემინახეთ, არჩევნებზე მოდით და, როგორც შარშან ჩემ მიერ მიწაში ჩარჭობილ «სარებს» მიეცით ხმა, მაჟორიტარების თუ საერთო სიის სახით, ახლაც იგივე გააკეთეთ «ქსლისა მბეჭველი პლასტელინის» მიმართო! თუ არა და?..**

თავად განსაჯეთ: მარგველაშვილის გამარჯვება მხოლოდ 60%-იანი ჰანდიკაპით მაძლევს ხელს, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმის კეთების ენთუზიაზმი შემიმცირდებაო და ყველაზე მთავარი — მეორე ტურის შემთხვევაში, მარგველაშვილს ვურჩევ, მასში მონაწილეობა აღარ მიიღოსო! რასაც იმავე საღამოს გამოეხმაურა პლასტელინის კანდიდატი, — მეორე ტურის შემთხვევაში საკუთარ კანდიდატურას მოვხსნიო?!

ასეა, ზოგისთვის ბიძინას „რჩევა“ ბრძანებაა...

და რას ნიშნავს ეს, ერთი შეხედვით, აბრაკადაბრა ამომრჩევლისთვის გასაგებ ენაზე?

რამდენიმე ვარიანტია: პირველი, **პრემიერი ქართულ საზოგადოებას აშანტაჟებს — ხათრი ბოლომდე შემინახეთ, არჩევნებზე მოდით და, როგორც შარშან ჩემ მიერ მიწაში ჩარჭობილ „სარებს“ მიეცით ხმა, მაჟორიტარების თუ საერთო სიის სახით, ახლაც იგივე გააკეთეთ „ქსლისა მბეჭველი პლასტელინის“ მიმართო! თუ არა და?..**

ჰოდა, აი, ამ „თუ არადაშია“ დამარხული, როგორც იტყვიან, „ძაღლის თავი“...

თუ არადა, მაშინ მარგველაშვილი მოხსნის კანდიდატურას და იქნება მეორე ტური მარტოდენ ბაქრაძის მონაწილეობით, ანუ აღსრულდება ის, რაც

აშშ-ში „დაწერილ არს“ — „ნაცმოძრაობის“ კანდიდატი არათუ მეორე ადგილზე გავა და ერთადერთ, მთავარ ოპოზიციურ ძალად ოფიციალურად დარეგისტრირება, არამედ ეროვნული კატასტროფის ტოლფასი ფაქტი დაფიქსირდება — დავით ბაქრაძე გაპრეზიდენტდება!

დიახ, არ მოგჩვენებიათ, **აქამდე ბაქრაძის მეორე ადგილი მიაჩნდა ქართველი საზოგადოების უმეტეს ნაწილს ეროვნულ კატასტროფად და ახლა „მექანიკური თოჯინას“ მეორე ადგილს ვინღა დაეძებს? იმ „რასკლადით“, რომელიც „ოცნების“ მეცადინეობით იქმნება, რუსებთან დანა-ჩანგლით „მეომარი რაინდის“ გაპრეზიდენტებაც სავსებით რეალურია!**

ჭეშმარიტად „შეუცნობელ არს გზანი კოჰაბიტაციისანი“ და მწარედ ცდებოდა „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი, ბატონი დავით თარხანმოურავი, როდესაც „ობიექტივიდან“ სულ ცოტა ხნის წინ გვიმტკიცებდა — **დასავლეთში, ამერიკაში „ნაცების“ მხარდამჭერ ძალებს სურთ დავით ბაქრაძის მეორე ადგილი, თუმცა ისეთებიც არიან, რომელთაც მისი პირველი ადგილიც ეოცნებებათ, რაც ყოვლად უტოპიური, განუხორციელებელიაო** — როგორც ჩანს, არც მთლად უტოპიაა ეს ყველაფერი.

**პრონაცური და შესაბამისად მათგან ფინანსირებული ლუის ნავაროს თუ ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფინანსებული ზურაბ ბიგვავას მიერ ჩატარებული კვლევები, რომლებშიც დავით ბაქრაძეს მეორე ადგილთან დაკავშირებით ტყუპისცალებივით თითქმის ერთნაირი პროცენტები დაფიქსირდა, იმის ნათელი დასტურია, დავით ბაქრაძის მეორე ადგილზე „გათრევის“ საკითხში სრული კოჰაბიტაციური ჰარმონია სუფევდა...**

იმ ძველი საარჩევნო სიების გათვალისწინებით, რომლებიც მიზანმიმართულად „ვერ გაცხრილა“ „ქართულმა ოცნებამ“ (ყვარყვარეს დროშის არ იყოს, რა იცი, როდის გამოგვადგებაო), რადგან იქ, როგორც მინიმუმ, მილიონიანი ლუფტია გაყალბებისთვის, ჰოდა, აკი გამოადგებათ კიდეც. ამ სიებით სულ ადვილად შეიძლება რომანტიკული კოჰაბიტაციური ჰარმონიის პრაგმატულ შედეგში ტრანსფორმირება. მითუმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ ამ არჩევნებზე მისვლის დიდი ენთუზიაზმი არ იგრძნობა ამომრჩევლებში, მსგავსი ტექნიკური მანიპულაციები უმარტივესად არის შესაძლებელი!

მაგრამ, ბიგვავა-ნავაროს „სიაბანდი“ კვლევების გარდა, ხომ იციან ოცნება-ქოცებმა საზოგადოების რეალური განწყობები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ, ოდნავ მაინც ობიექტურად ჩატარებული არჩევნების შემთხვევაში, როგორც მინიმუმ, მეორე ტური თითქმის გარანტირებულია და პლასტელინის მეწყვილედ, უპირველესად, ნინო ბურჯანაძე მოიაზრება, მიუხედავად წარსულში მისი მძიმე ბეგრაუნდისა!

**არც ის არის საიდუმლო, რომ დასავლეთი, აშშ მხოლოდ ბაქრაძის მეორე ადგილის შემთხვევაში ცნობს ამ არჩევნებს ლეგიტიმურად. აქედან გამომდინარე, „ქართული ოცნება“ დილემის წინაშეა — ან მეტ-ნაკლებად ობიექტური შედეგები დადოს, ან „ნაგლად“ გააყალბოს შედეგები და დავით ბაქრაძე მეორე ადგილზე დაასკუპოს — პირველ შემთხვევაში „ქართული ოცნება“ ამერიკელი პატრონების რისხვას დაიმსახურებს, ხოლო მეორეში — ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისას!**

აქედან გამომდინარე, ალბათ, შესაძლებელია, მესამე, კოშმარული ვარიანტის „შემოგდება“ — ბურჯანაძის ჩაძირვა, მარგველაშვილის უარი მეორე ტურზე და დავით ბაქრაძის გაპრეზიდენტებაზე ერთობლივი კოჰაბიტაციური მუშაობა.

მანამდე კი სახეზეა არაკეთილსინდისიერი პოლიტიკური თამაშები — ჯერ ისა ვთქვათ, რომ აქამდე სხვადასხვა ტელევიზიის ე. წ. თოქშოუებში „ოცნების“ ლიდერები არ ჯდებიან ე. წ. არასაპარლამენტო ოპოზიციასთან დებატებში, რადგანაც უფრო კომფორტულად გაკოტრებულ „ნაცებთან“ გრძნობენ თავს!

თუნდაც საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში პირველი საპრეზიდენტო დებატები ავიღოთ „საზმაუწყზე“ — ბურჯანაძეს თავი დავანებოთ და ნუთუ კობა დავითაშვილი უფრო წონადი (პოლიტიკურ წონას ვგულისხმობ) კანდიდატი არ არის, ვიდრე „გალსტუკიანი ხვლიკი“ გიორგი თარგამაძე და არჩევნების ცნობილი გამყალბებელი ზურაბ ხარატიშვილი, რომლებიც მარგველაშვილ-ბაქრაძესთან ერთად ძირითად საპრეზიდენტო კანდიდატებად შერაცხეს, ხოლო კობა დავითაშვილსა და ბურჯანაძეს „მეორე ლიგაში“ მიუჩინეს ადგილი?

**რატომ, ქოცებო? ასე რისი გეშინიათ, მითუმეტეს — ურეიტინგო ბურჯანაძე-დავითაშვილის? დაუჯექით პირდაპირ ეთერში და „მიწაში ჩადეთ“ ეგ პოპულისტები, მაგრამ ვერ იზამთ მაგას, რადგან თქვენც კაი „კოსტაიე-პროსტაიები“ ხართ...**

ვიმეორებ: მე არც ბიძინა ივანიშვილის მეხოტბე ვარ და არც ბურჯანაძე-დავითაშვილის მგალობელი, მაგრამ, როგორც ჰავლაბარში იტყვიან, „ნამუს ჩკაა, ვაფშემც ჩუნეს“, რომ გიორგი თარგამაძეს და განსაკუთრებით ზურა ხარატიშვილს, რომელიც პრეზიდენტობაზე კენჭს იყრიდეს კი არა, არჩევნების გაყალბებისთვის „სროკი“ უნდა ჰქონდეს „გაყრილი“, პრეზიდენტობის ძირითადი კანდიდატების გვერდით ასახელებ?

მოკლედ, ერთი რამ ცხადია: მართლაც საინტრესო მოვლენების მოწმენი გავხდებით. ამ რამდენიმე დღეში გაირკვევა ზემოთ გამოთქმული სავარაუდო ვარიანტებიდან რომელს აირჩევს ქოცების ბელადი!

ბოლო 20 წელიწადია, საქართველო პრაქტიკულად თავისუფლების ინსტიტუტის, ანუ ჯორჯ სოროსის კადრებით იმართება, რომლის პირველი ნაკადი შევარდნაძის ხელისუფლებას „თეთრი მელას“ მეორედ გაპრეზიდენტებისას შეეპარა მცირედი დოზით, მაგრამ სწორედ ამ „მცირე დოზამ“ მოუღო ბოლო ედიკას. **„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ამ ხალხმა სააკოვის მეთაურობით აბსოლუტური ძალაუფლება იგდო ხელთ — ეს თავისუფლების ინსტიტუტის მეორე ნაკადი იყო ხელისუფლებაში. ბიძინა ივანიშვილმა კი შარშან თავისუფლების ინსტიტუტის მესამე, „ნაცების“ მიერ „მიჭირხნული“ ნაკადი მოიყვანა ხელისუფლებაში რესპუბლიკელებ-თავისუფალი დემოკრატების სახით. ამიტომ აღმოჩნდა უტოპია ხალხის იმედი, რომ „ნაცების“ ფაშისტური რეჟიმის გასამართლება მოხდებოდა — „ქოცი“ „ნაცის“ ტყავს არ დახევს, რადგან არც ერთი არის დემოკრატი და არც მეორე — ქართველი, ორივენი ჯორჯ სოროსის ძუძუნაწოვი ხლისტები არიან!**

ამიტომ, „სიტყვა ვინ — ვის, ბებერ გულში ლახვრად მაჩნია“ და, რადგან სხვა სამშობლო მართლაც არ გაგვაჩნია, როგორმე უნდა გადავაგოროთ ეს არჩევნები და ახალი, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნისთვის უნდა ვიმოქმედოთ. დროა, შეიქმნას ახალი, ალტერნატიული ეროვნული პოლიტიკური ძალა, რათა ერთხელ და საბოლოოდ ამოვძირკვოთ თავისუფლების ინსტიტუტის ფესვები საქართველოს პოლიტიკური ნიადაგიდან და მათ მაგივრად ხელისუფლებაში მამულიშვილები მოვიყვანოთ!

აი, მაშინ კი ნამდვილად გვეშველება...

ახალი ალტერნატიული, ეროვნული ძალა და ვადამდელი არჩევნები კი, „ქოცებ“-„ნაცებში“ განფენილო სოროსის ხლისტებო, აუცილებლად იქნება!!!

**დავით მხეიძე**

## სერგო თეთრაძის საქმეში მონაწილე 10 პირი თავდაცვის სამინისტროს კადრების განკარგულებაში გადაიყვანეს

**საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ადასტურებს ინფორმაციას, რომ პოლკოვნიკ სერგო თეთრაძის საქმეში მონაწილეობისთვის სამინისტროს 10 თანამდებობის პირი კადრების განკარგულებაშია გადაყვანილი.**

„ინტერპრესნიუსს“ თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსმა კონსტანტინე ყიფიანმა დაუდასტურა ინფორმაცია, რომ ყოფილმა გამომძიებელმა გიორგი ხევსურიანმა განცხადების საფუძველზე დატოვა თავდაცვის სამინისტრო.

ხევსურიანი გამომძიებლად მუშაობდა იმ პერიოდში, როდესაც სერგო თეთრაძე ჯაშუშობის ბრალდებით დააკავეს.

სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის ინფორმაციით, კადრების განკარგულებაში, ირაკლი ალასანიას გადაწყვეტილებით, გადაყვანილია 10 ადამიანი, მათ შორის მოქმედი სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ლევან გაბუნია, სამინისტროს გენინსპექციის ერთ-ერთი სამმართველოს უფროსი ზაზა მჭედლიძე და გიორგი ხევსურიანი, რომელიც თავდაცვის ატაშეების სამმართველოს სპეციალისტი იყო.

**„ეს არის მინისტრის ერთპიროვნული გადაწყვეტილება“,** — განაცხადა კონსტანტინე ყიფიანმა.

ჰკა მაგათა...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ბრეგვაძე ახალაიას კადრი გახლდათ, რომელიც ჯერ რუსთავში დახურული ტიპის ციხეს ხელმძღვანელობდა და შემდეგ — მე-17 საპყრობილეს. მის სახელს უკავშირდება პატიმრებისადმი ისეთი სადისტური მოპყრობა, როგორიც არის, გაშიშვლება და სიცივეში დაყრა. მის მიერ ჩადენილი სადისტური ქმედების კადრები საერთაშორისო ორგანიზაციებსაც აქვთ. მათ ზუსტად მაშინ ნახეს საკუთარი თვალით ყველაფერი, როდესაც კარცერში ჩაყრილი შიშველი ბიჭები ბრეგვაძეს დაავიწყდა."**

# დაიჭირეთ, თორემ...

**ქვეყნის პრემიერმა ჟურნალისტებთან ბოლო შეხვედრის დროს მოსახლეობას მოთმინებისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდა, დაჰპირდა, რომ ყველაფერი კარგად იქნება და სამართლიანობაც უდავოდ აღდგება, მაგრამ ნათქვამია: „ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო", ამ რამდენიმე დღის წინ თბილისში საპყრობილის ყოფილი უფროსის, ყველასთვის ცნობილი ჯალათის ცემის ფაქტზე ჯალათი კი არ დააკავეს, არამედ ის უდანაშაულო და ნერვებდაგლეჯილი ბიჭები, რომლებთანაც დანაშაულშერჩენილმა ბრეგვაძემ ტრაბახი გაბედა. ხალხი ფიქრობს, რომ ბიჭები ვაჟკაცურად მოიქცნენ, მაგრამ რატომღაც სამართალდამცავები საპირისპიროდ მოქმედებენ, მათი ასეთი საქციელის გამო; კი, ბაჩო ახალაია ბედავს, ბიჭებს ქურდები უწოდოს და იმაზე ილაპარაკოს, ჩემს შეგინებას აიძულებდნენო. კოაბიტაციის პირობებში, ალბათ, ახალაიასა და მერაბიშვილის შეგინებაც აკრძალულია. „საქართველო და მსოფლიო" შეეცადა, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით განსხვავებული პროფესიისა და საქმიანობის ადამიანებს გასაუბრებოდა.**


ლალი მოროშკინა:

## ის ბიჭები, ბრეგვაძე რომ სცემეს, ჩემს თვალში გმირები არიან

**ლალი მოროშკინა, სასჯელაღსულებისა და პრობაციის მინისტრის მრჩეველი:**

**— მე-17 საპყრობილის ყოფილი უფროსის ცემის ფაქტმა ქვეყნის მოსახლეობა კიდევ ერთხელ შეაშფოთა, ყველა ფიქრობს, ხომ არ დაიწყო ის, რისიც გვეშინოდა? დაიღალა შეურაცხყოფილი ხალხი სამართიანობის აღდგენის ლოდინით და თავად დაიწყეს ანგარიშსწორება?**

— დავიწყოთ იმით, თუ ვინ არის ლაშა ბრეგვაძე. ეს გახლავთ ადამიანი, რომელიც წლების მანძილზე სახალხო დამცველის ყველა მოხსენებაში ხვდებოდა და პარლამენტს ამის მოსმენა არ უნდოდა. ტუღუში ყოველთვის ცარიელ დარბაზში კითხულობდა მოხსენებას და ბრეგვაძეც თანამდებობას მაინც არ ტოვებდა. **ბრეგვაძე ახალაიას კადრი გახლდათ, რომელიც ჯერ რუსთავში დახურული ტიპის ციხეს ხელმძღვანელობდა და შემდეგ — მე-17 საპყრობილეს. მის სახელს უკავშირდება პატიმრებისადმი ისეთი სადისტური მოპყრობა, როგორიც არის გაშიშვლება და სიცივეში დაყრა. მის მიერ ჩადენილი სადისტური ქმედების კადრები საერთაშორისო ორგანიზაციებსაც აქვთ. მათ ზუსტად მაშინ ნახეს საკუთარი თვალით ყველაფერი, როდესაც კარცერში ჩაყრილი შიშველი ბიჭები ბრეგვაძეს დაავიწყდა.** გახსოვთ, ერთი პერიოდი ახალაიას სკამი შეერყა კიდეც, რაც სწორედ ამ ფაქტის დაფიქსირებამ გამოიწვია. ამის შემდეგ ცოტა ხნით ბრეგვაძე თვალს მოაშორეს, საყვედური გამოუცხადეს და მერე კვლავ აღადგინეს. აღდგენის შემდეგ მან გააძლიერა თავისი სადისტური მოპყრობა, ფანტაზიებს მოუხმო და უფრო დიდი საშინელებების ჩადენა დაიწყო. **ეს ის ადამიანია, რომელიც სათვალთვალო კამერებს ამონტაჟებდა, ცოლ-ქმრის სქესობრივ აქტს იღებდა და მერე ამით ორივეს აშანტაჟებდა.** მისი საქმე დღეს პროკურატურაშია. იყო ასეთი პატიმარი ილგად მამეზადე, რომლის გადასარჩენადაც ვიბრძოდით. ის სრულიად გაფატრული იყო, ასეთი ადამიანი ბრეგვაძეს სასტიკად ჰყავდა ნაწამები. მამეზადე ამნისტიის შედეგად გამოვიდა და ოთხ თვეში გარდაიცვალა. **ბრეგვაძე პროკურატურაში დაკითხვებზე დადის, თითქოს საქმეს იძიებენ, მაგრამ დაკავებული არ არის. მიჩნდება ლოგიკური კითხვა: თუ ბრეგვაძის ცემისთვის ბიჭები მეორე დღესვე დააკავეს, რა გახდა ამ ნაძირალის დაკავება?!**

ქართველები თავმოყვარე ხალხია, ისინი ამას დიდხანს არ მოითმენენ. თან იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ „ნაცმოძრაობას" ყველა ავტორიტეტული მამაკაცი ჰყავდა დაკავებული, ვგულისხმობ არა ძველბიჭებს, არამედ იმათ, ვინც თავის საქმეს, სადაც იყვნენ, თავკაცობდნენ, **წარმოიდგინეთ თითოეული ამ ადამიანის მდგომარეობა, როდესაც სხედან სუფრასთან და იქ ვიღაც იწყებს იმის მოყოლას, რომ მის დანახვაზე პატიმრები იფსამდნენ. არ მეგულება ქართველი, რომელიც ამას მოითმენს და ეს ლოგიკურია. ის ბიჭები, ბრეგვაძე რომ სცემეს, ჩემს თვალში გმირები არიან.**

ერთი შეხედვით, პროკურატურასაც ვერ ვადანაშაულებ. ძნელია, განსაზღვრო, დასჯა ვისგან უნდა დაიწყო.

მესმის იმ 16 ათასი ადამიანის, მწამებლების დასჯას რომ ითხოვენ, მოთმენა ძალიან ძნელია. მე, ქალმა, ვერ მოვითმინე და სასამართლოს გარეშე გადავწყვიტე ანგარიშსწორება, ამიტომ ვერავის ვეტყვი, დაელოდე სასამართლოს გადაწყვეტილებას-თქო. **მონღოლების მეთოდით აწამებდნენ ხალხს, ყველა პატიმარი ჯოხით დადის, ჯალათები მათ წელში ამტვრევდნენ. ჩვენ არ გვაქვს უფლება, რომ კიდევ ერთი თაობა დავღუპოთ.**

მოგაწვდით ექსკლუზიურ ფოტოებს, თუ სად ცხოვრობდნენ პატიმრები და რა პირობებში იყვნენ, ასეთი ციხის პატრონი მთავრობა აუცილებლად დასასჯელია! საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ კოჰაბიტაციის დასრულების იმიტომ მჯერა, რომ, როდესაც „ნაცებს" თავი აღარ ეყოლებათ, გაქრებიან, ხომ იცით, „თევზი თავიდან ყარს", ეს აყროლებული თავი რომ მოშორდება, ყველაფერი დამთავრდება.

დღეს ციხეში მყოფმა მაყურებლებმა („ნაცების" დროს რომ ადამიანებს დაკვეთით სცემდნენ) გვთხოვეს, ცალკე საკნებში ჩაგვესვა, თვითიზოლაციას ითხოვენ, რადგან ეშინიათ, იციან, რომ შეიძლება არტერია გამოაჭამონ. **მინდა „ნაცების" ზონდერებსა და ჯალათებს ვუთხრა: სახლებიდან ნუ გამოვლენ, რესტორნებში ნუ ივლიან და ნუ ითრაბახებენ, თორემ ყველას ბრეგვაძესავით ან უფრო უარესად გაუსწორდებიან.**

ნუ განვსჯით და დავსჯით იმ ბიჭებს, რომელთაც ნერვული სისტემა დაზიანებული აქვთ. ახლა ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ. **საზოგადოება დაქსაქსულია, ზონდერები და ჯალათები არიან ყველგან, ჟურნალისტებს შორისაც, ჩვენ ვიცით, რომ ბევრი ჟურნალისტი ამ როლსაც ირგებდა.** პირად მაგალითზე შემიძლია ემოციურად ვილაპარაკო. 9 წელი, როგორც ბევრი ადამიანი ამ ქვეყანაში, მეც დასჯილი ვიყავი. ის ჟურნალისტები, რომლებიც ჩემ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაში მონაწილეობდნენ, ყველანი კარგად არიან. ბრძოლა მათ წინააღმდეგ ჯერ არ დამისრულებია. **ვუთვლი ჩემს კოლეგა ჟურნალისტებს, რომლებიც „ნაცმოძრაობის" საქმეებს ათეთრებდნენ, სათითაოდ აგებენ პასუხს. მე, ლალი მოროშკინა, ვეყოფი მარტო იმისთვის, რომ ყველა საქციელისთვის პასუხი აგონ!**

პროცესები ჯერ არ დამთავრებულა, უფრო ზუსტად, არც დაწყებულა. ეს მოთელვა იყო, ამის შემდეგ დაიწყება ანგარიშსწორება სამართლებრივადაც და მორალურადაც. პირადად მე ძალიან ბევრი მასალა მაქვს. ყველაფერს დავდებ, ყველაფერს გამოვააშკარავებ. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ტალღამ გადაიარა, ცდება, ჯერ არც მოსულა, აივაზოვსკის ტალღები ცოტა ხანში წამოვა, თუ უნდათ, მოროშკინას ტალღები დაარქვან.


სოსო მანჯავიძე:

## ახალი ხელისუფლება წინა ხელისუფლებაში მყოფი ოდიოზური ფიგურების სადარაჯოზე დგას

**სოსო მანჯავიძე, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის" გენერალური მდივანი:**

— იმედგაცრუება ძალიან დიდია. ნახეთ, ახალაიას ბრალს ვერ უყენებენ. მისი გამოშვების მცდელობა 19 სექტემბერს ჰქონდათ, მაგრამ ხელი შევუშალეთ. კბილაშვილი აღიარებს, რომ პროკურატურას სიტუაციაზე კონტროლი არ აქვს. ის ამბობს, რომ, რამდენი გოლიც არ უნდა გავიტანოთ, მსაჯი მოსამართლეა და არ გვითვლისო. ახალაიას გამოშვება მძიმე პროცესებს გამოიწვევს, განსაკუთრებით წინასაარჩევნოდ, ეს მათ იციან. ხალხის განწყობამ პროკურატურაზე გავლენა მოახდინა და ხან პროკურორის მიზეზით და ხან რითი ახალაიას სასამართლო პროცესები აქამდე მოიტანეს. დღეს კი კბილაშვილი აცხადებს, სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება არ ემთხვეოდეს საზოგადოებრივ აზრსო, ანუ ახალაიას გამოშვება დღის წესრიგში დგას, მაგრამ ეყოფათ, ალბათ, გონიერება, რომ არჩევნებამდე ეს არ გააკეთონ. არჩევნების შემდეგ გამოუშვებენ. ხალხი ამას ხვდება.

**23-24 ოქტომბერს ამერიკაში კონგრესმენებთან შეხვედრა იგეგმება, ირმა ინაშვილი მათ ისეთ მასალებს წარუდგენს, გარწმუნებთ, რომ თვალს ვერავინ დახუჭავს. ჩვენი მიზანია, ყველას გავაგებინოთ, რომ სააკაშვილის მხარდაჭერა სირცხვილია.**

რაც შეეხება იმას, **დაიწყებს თუ არა ხალხი სამართლიანობის აღდგენას საკუთარი შესაძლებლობებით, დიახ, დაიწყებს და ეს პროცესი დაწყებულიც არის. ქართველი საკმაოდ კანონმორჩილი გამოდგა, ყველა ელოდებოდა კანონიერი გზით პრობლემის მოგვარებას, მაგრამ ბრეგვაძის საქმეს თუ შევხედავთ, ახალი ხელისუფლება წინა ხელისუფლებაში მყოფი ოდიოზური ფიგურების სადარაჯოზე დგას, რაც ხალხში დიდ გაღიზიანებას იწვევს.** ყველა ფიქრობს, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ არავითარი სამართლიანობის აღდგენა არ მოხდება, პირიქით, გათეთრება დაიწყება, ამიტომ ბუნებრივია, რომ აუცილებლად დაიწყება პირადი ანგარიშსწორებები და სახალხო მღელვარება. არ მესმის ხელისუფლების, რატომ არ იღებენ ზომებს დამნაშავეების დასასჯელად? მათი ასეთი საქციელი ნდობის კრიზისს გამოიწვევს.

**ჩვენ უნდა შევეცადოთ და ჩავშალოთ ხელისუფლების მცდელობა, რომ „ნაცები" რებრენდირებული მოძრაობის სახით უკან დააბრუნოს.**


ლალი აფციაური:

## ქუჩაში მიმავალი ადამიანი რომ შეეჩეხება თავის მწამებელს, გამაუპატიურებელს, ოჯახის დამაქცევარს, გამანადგურებელს, ვინ აგებს პასუხს იმაზე, რომ ტყვიას არ დაახლის?!

**ლალი აფციაური, ადვოკატი:**

— ბრეგვაძის მაგალითი ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ რა შეიძლება მოხდეს. დიდი საშიშროების წინაშე ვდგავართ, ხალხი ძალიან გამწარებულია. იმის გარანტიას, რომ ვინმე სიმშვიდეს შეინარჩუნებს და დანაპირებ სამართლიანობის აღდგენას დაელოდება, ვერავინ ვერავის მისცემს. **ქუჩაში მიმავალი ადამიანი რომ შეეჩეხება თავის მწამებელს, გამაუპატიურებელს, ოჯახის დამაქცევარს, გამანადგურებელს, ვინ აგებს პასუხს იმაზე, რომ ტყვიას არ დაახლის?!**

ჩემი დიდი სურვილია და ვფიქრობ, რომ ქართველი გონიერია და ლინჩის წესით გასამართლებას ხელს არ მიჰყოფს, ალბათ, ამ ქვეყანაშიც, ოდესმე სამართლიანი სასამართლო იქნება და მას ყველაფერს მივანდობთ. **მიუღებელია, ქუჩაში ანგარიშსწორება, თუმცა ვთვლი, რომ ყოველი ასეთი შემთხვევა აბსოლუტურად დამსახურებული იქნება. ხანდახან ვფიქრობ, კიდევ კარგი, კაცი არ ვარ...**

მესმის, რომ ეს ქვეყანაა და მის იმიჯს უნდა გავუფრთხილდეთ, მაგრამ ქვეყანა მოსახლეობისგანაც შედგება და ეს არ უნდა დაგვავიწყდეს. სამართლიანობის აღდგენა ჩემთვის მიუღებელი ტერმინია, სამართლიანობა უნდა დამკვიდრდეს. ამ ქვეყანაში სამართლიანობა არ მახსოვს, ჩვენ ის არასოდეს გვქონია, ამიტომ, რაც არ გვქონია, ვერ აღვადგენთ. **თუ სამართლიანობა არ დამკვიდრდება, ქვეყანა ვერ აშენდება და ვერც ერთი ხელისუფლება დიდხანს ვერ გაჩერდება. ჩემი პროგნოზია და გარანტიას ვიძლევი, რომ ეს ხელისუფლებაც გაიზიარებს წინამორბედების ბედს.**

ნახეთ, რა ხდება ახალაიას საქმესთან დაკავშირებით. ციხის ბუნტის თვითმხილველი ვარ. ჩემი სურვილით გამოვცხადდი სასამართლოზე და ყველა დოკუმენტური მასალა წარვადგინე, ჩვენებაც მივეცი, მაგრამ პროკურატურა ძალიან სუსტი გამოდგა. წარმოუდგენელია, ახალაიას ციხის ბუნტთან დაკავშირებით ბრალი ვერ დაუმტკიცო, ეს ხომ დანაშაულის კლასიკური ნიმუშია. როგორც ვიცი, ყველა ბრალდება უდავოა, რაც ნიშნავს, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ ჩვენებებს ეთანხმებიან, ელოდებიან განაჩენს და ელოდებიან სააკაშვილის შეწყალებას.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**საქართველო კვლავ მოწინავე თანამედროვე, ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანა გახდება. ახლო მომავალში ჩვენ გარედან კი არ შემოვიტანთ სოფლის მეურნეობის უხარისხო პროდუქტებს, არამედ ჩვენ თვითონ ვაწარმოებთ მაღალხარისხოვან, კონკურენტუნარიან პროდუქციას არამარტო შიგაბაზრისთვის, არამედ საექსპორტოდაც.**

## არჩევნები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




# აღვადგენ სოფლის მეურნეობის ძირძველ დარგებს!

**ყურადღებით გავეცანი იმ ხუთ შეკითხვას, რომლებითაც სამართლიანად და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის გადასარჩენად მიმართავს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატებს, საქართველოს ენოლოგთა ეროვნული კავშირის თავმჯდომარე, ამ დარგის დიდი ქომაგი და გულშემატკივარი, ბატონი მურმან ქურიძე.**

სოფლის მეურნეობის დღევანდელი მდგომარეობა მართლაც საგანგაშოა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკაში სოფლის მეურნეობის დარგის მნიშვნელობის იგნორირებამ და ჩადენილმა (ხშირად წინასწარ დაგეგმილმა) უამრავმა შეცდომამ სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანა. მოხმარებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების 80 პროცენტზე მეტი გარედან შემოდის, თანაც უმეტესობა სრულიად უკონტროლოდ. არანაირი კომპრომისების დაშვება არ შეიძლება მოსახლეობის ჯანმრთელობის ხარჯზე.

დასმულ შეკითხვებზე არაერთხელ გამიცია პასუხი ამომრჩევლებთან შეხვედრისას. **ჩვენს პროგრამაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ინდუსტრიული სოფლის მეურნეობის, საქართველოს ეკონომიკის ძირძველი დარგის, აღორძინების და სამართლიანობის აღდგენის საკითხებს.**

მე, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატი, საჯაროდ ვაფიქსირებ ჩემს პასუხს დასმულ შეკითხვებზე:

**მე მხარს დავუჭერ საქართველოს ეკონომიკაში თანამედროვე, ინდუსტრიული სოფლის მეურნეობის, საქართველოს ტრადიციული დარგის, პრიორიტეტს, ამ დარგის რეალურ სუფსიდირებას, თანახმად ჩვენ მიერ შემუშავებული პროგრამისა, განსაკუთრებით მთიან, სასაზღვრო ზონებში, რაც ასევე საიმედოს გახდის ჩვენი ქვეყნის საზღვრების დაცვითუნარიანობას;**

**მე მხარს დავუჭერ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გაფართოებას და მის ჩამოყალიბებას სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროდ.** საქართველოს ამ დარგის სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი, დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება, შემორჩენილი კვალიფიციური კადრები იძლევა იმის გარანტიას, რომ ვაწარმოოთ არა მხოლოდ სოფლის მეურნეობის ნედლეული, როგორც ეს ხდება ჩამორჩენილ აგრარულ ქვეყნებში, არამედ გამოვუშვათ კონკურენტუნარიანი მზა პროდუქცია.

**მე მხარს დავუჭერ სოფლის მეურნეობის მიმართულების, ჩვენი ქვეყნისთვის ტრადიციული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დაუყოვნებლივ აღდგენას თანამედროვე, დამოუკიდებელ სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრებად — მათი ექსპერიმენტული ბაზებით, კოლექციებით, სათბურებით, სანერგეებით.** განა შეიძლება ქვეყანაში, რომელიც აღიარებულია ვაზისა და ღვინის სამშობლოდ, არ იყოს მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი? მეჩაიეობის, მეფუტკრეობის, ხეტყის, მეცხოველეობისა და საკვების წარმოების, ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის, მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის და, რაც მთავარია, ნიადაგმცოდნეობისა და მცენარეთა დაცვის ინსტიტუტები? თურმე შეიძლებაო! — ამტკიცებენ ისინი, ვისაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ შეუძლია ამგვარი მოსაზრების დამკვიდრება. საქმე ეხება ყოფილი მთავრობის იმ დანაშაულებრივ გადაწყვეტილებებს, რომელთა მიხედვითაც აგრარული უნივერსიტეტი და მასთან დანაშაულებრივად მიერთებული 14 უნიკალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი უსასყიდლოდ შეიძინა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის დარგის დაუძინებელმა მტერმა, ბატონმა კახა ბენდუქიძემ, ყოველგვარი წესებისა და კანონების დარღვევით. ამ სამეცნიერო ცენტრების აგრარულ უნივერსიტეტში განთავსებით მან დაითხოვა უამრავი აღიარებული მეცნიერი, გააუქმა ყოველგვარი სამეცნიერო-კვლევითი სათბურები, სანერგეები თაღლითურად გაყიდვისა და ელიტარული კორუფციის (სოფლის მეურნეობის ნედლეულისა და პროდუქციის ძირითადად გარედან შემოტანისთვის) ხელშეწყობის მიზნით.

**მე მხარს დავუჭერ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისთვის ყოვლად გაუმართლებელი, შეზღუდული ფუნქციების აღდგენას**. აღდგენილ სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრებს სამეურნეო-ადმინისტრაციული და ფინანსური ადმინისტრირება უნდა გაუწიოს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრომ, ხოლო სამეცნიერო ხელმძღვანელობა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ.

**მე მხარს დავუჭერ ბენდუქიძის მიერ თაღლითურად შეძენილი აგრარული უნივერსიტეტის სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტად აღდგენას, როგორც სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამედიცინო და ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლები, კანონმდებლობის სრული დაცვით, სადაც ძირითადად სოფლის მეურნეობის დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები მომზადდებიან.**

დასახელებული საკითხების კვალიფიციურად და სამართლიანად გადაწყვეტით **საქართველო კვლავ მოწინავე თანამედროვე, ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანა გახდება. ახლო მომავალში, ჩვენ გარედან კი არ შემოვიტანთ სოფლის მეურნეობის უხარისხო პროდუქტებს, არამედ ჩვენ თვითონ ვაწარმოებთ მაღალხარისხოვან, კონკურენტუნარიან პროდუქციას არამარტო შიგაბაზრისთვის, არამედ საექსპორტოდაც.** აღვადგენთ ამოძირკვული ვაზისა და ხეხილის უნიკალურ ენდემურ ჯიშებს, რომელთა ფართობები სამჯერაა შემცირებული; ჯართადაა გაყიდული ჩაის, საკონსერვო და ეთერზეთების ქარხნები; განადგურებულია მეაბრეშუმეობის, მეთამბაქოობის დარგები, მეცხოველეობის ფერმები, სანერგეები. ყველაფერი ის, რაც გარედან შემოჰქონდათ ელიტარული კორუფციით გამდიდრებულ, წინა მთავრობის წევრებს. ყოვლად მიუღებელია მათ მიერ შეგნებულად გამოთავისუფლებული მიწის ნაკვეთების უმოწყალოდ გაყიდვა უცხოელებზე.

**გპირდებით, გეორგიაში აღვადგენთ და განვავითარებთ სოფლის მეურნეობის ყველა იმ დარგს, რომლებიც საქართველოსთვის ძირძველია.** ახლო მომავალში სოფლად უფრო მეტი ადამიანი დაბრუნდება, ვიდრე ამ ბოლო ათწლეულში გაჭირვების გამო აქედან წავიდა — სახლ-კარი მიატოვა, მიაშურა ქალაქებს ან საერთოდ დატოვა ქვეყანა.

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი
**ნინო ბურჯანაძე**

# «ნავერტილეს» დაბრუნება, ანუ კობა და «ნაცები»?!

**საპრეზიდენტო არჩევნებამდე ზუსტად 5 დღე დარჩა. პოლიტიკურ სარბიელზე მთავარი მოთამაშეები გიორგი მარგველაშვილი, ნინო ბურჯანაძე და დავით ბაქრაძე არიან. დანარჩენები საარჩევნო ყუთებთან უბრალოდ „დუბლიორებს" ჰგვანან, რომლებიც ძირითადი მოთამაშეებისთვის სასათბურე პირობების შექმნისა და გარკვეული მოტივაციისთვის იყრიან კენჭს.**



**სქემა, რომელიც „საქართველო და მსოფლიოსთვის" გახდა ცნობილი, „ნაციონალური მოძრაობის" ოფისში დაიგეგმა, პოლიტიკის კულუარებს გასცდა და ჟურნალისტებმაც გაიგეს. საარჩევნო მანიპულაციების სქემაში, წყაროს ინფორმაციით, სხვადასხვა ოპოზიციური სახეებიც მონაწილეობენ.**

პოლიტიკური გარიგება, რომელზეც კულუარული საუბრებია, საპრეზიდენტო კანდიდატ კობა დავითაშვილსაც ეხება. „ხალხის პარტიის" ლიდერი კობა დავითაშვილი, რომელიც „ქართული ოცნების" მძიმე წონა იყო, მოულოდნელად და ცამოწმენდილზე ჯერ ჯანდაცვის მინისტრს გადაეკიდა და მალევე უმრავლესობა ხმაურიანად დატოვა. ეს კომბინაციაც ამავე გათვლილ გარიგებაში ჯდებოდა, **დავითაშვილმა ამით „ოცნების" საოცნებო უმრავლეობის დაშლის ტენდენცია დააფიქსირა და გააფორმა.**

ერთ-ერთი ვერსიით, **ამავე „ნაციონალების" გარიგების სქემაში ჯდება, დავითაშვილს საპრეზიდენტო კანდიდატობა რომ მოუნდა. სხვა თუ არაფერი, დავითაშვილს საამისოდ არც ფული ჰქონდა და არც რეიტინგი ჰყოფნიდა. ამიტომაც, როგორც ამბობენ, ამასაც ჰქონია ქვენა წინაპირობები.** რა თქმა უნდა, ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ, თანაც პოლიტიკური კომბინაციები სასაქონლო ოპერაციები არაა, რომ მისი ფაქტობრივი ანგარიშ-ფაქტურები და მტკიცებულებები ჟურნალისტების სამუშაო მაგიდაზე იდოს, თუმცა ფაქტია, რომ კობას ფული და „ნავერტილე" უყვარს. თუ რეალობასთან ახლოსაა, რომ დავითაშვილის მიერ „ნაციონალების" დაკრულზე ცეკვა" სწორედ მისი ზუთხის მწვადისადმი სიყვარულითაა განპირობებული, მაშინ ვარაუდები მხოლოდ იქითკენ მიდის, რომ **„ნაცებმა" მას ბურჯანაძისთვის ხმების 2 პროცენტის „ახევა" დავით ბაქრაძის სასარგებლოდ სთხოვეს. თუ ეს რეალობაა, მაშინ კობას ნინოს ჩაძირვისთვის და ბაქრაძის აღზევებისთვის უნდა ემუშავა, რომ საარჩევნო მარათონში მეორე ადგილს დავით ბაქრაძე დამშვენებოდა და არა ნინო ბურჯანაძე. თანაც ისე, რომ ხილული თვალისთვის ეს საარჩევნო კლიპებიდან ცხადი არ გამხდარიყო.**

სხვათაშორის, ამ ვერსიის პარალელურად თავად „ოცნების" შიგნით ალაპარაკდნენ ანალოგიურზე. დავითაშვილის ფრაქციიდან წამოსვლისა და შემდგომ საპრეზიდენტო კანდიდატად თავის დაყენების პარალელურად დავით საგანელიძემ მაშინვე აღნიშნა, რომ კობას შიგნით რამე თუ არ მოსწონდა, გარეთ არ უნდა ელაპარაკა და თანაც **საპრეზიდენტო კანდიდატურად მისი წამოყენება უფრო სხვა მიზნებს ემსახურებოდა. რა მიზანი უნდა ყოფილიყო ეს?!**

დავითაშვილი, რომელიც ადრე სხვა ჯიბიდან იკვებებოდა, ივანიშვილის ყულაბიდან აშკარად ველარ ჭამდა და ბენზინისთვის ველარც მილიონებს ხარჯავდა. დავითაშვილი, მართალია, ამას ქრთამს არ უწოდებს და კატეგორიულად უარყოფს გარიგებას. **მართალია, დავითაშვილი ამბობს, რომ „ნავერტილეს" სკანდალის დროს არა პირადი მიზნები ამოძრავებდა, არამედ პარტიული შემოწირულობებისთვის ზრუნავდა, თუმცა ფაქტები მეტყველებენ, რომ დავითაშვილს პოლიტიკა თავისებურ ბიზნესად ესმის.**

საინტერესოა, როგორ შეაფასებდა ის აღნიშნულ კულუარულ ინფორმაციას მისი და „ნაციონალების" გარიგების თაობაზე, რომელიც ბაქრაძის სასარგებლოდ ბურჯანაძისთვის ხმების წართმევას მოიცავს, თუმცა ბატონ დავითაშვილს საკონტაქტო მობილურები გამორთული ჰქონდა და მისი პოზიცია ვერ დავაფიქსირეთ.

**გიორგი გაჩეჩილაძე**

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ოსეთის გაერთიანების იდეა მოცემულ მომენტში რეალური არ არის. ჩემი დაკვირვებიდან გამომდინარე ასეთი გეგმა მოსკოვში არავის აქვს. ამოცანა ის არის, რომ დავეხმაროთ ოსურ საზოგადოებას, დაძლიოს ომისა და იზოლაციის შედეგები, განჭვრიტოს თავისი მომავალი. დღეს ძნელია, წარმოვიდგინოთ, მაგრამ ვფიქრობ, მოსკოვში არიან ადამიანები, რომლებიც მზად იქნებიან, იფიქრონ ამ საკითხზეც.“**

# იძულება აღიარებისკენ

**საქართველოს მოქალაქეთა სიძულვილის ტალღა დღეს თუ ხვალ პირისაგან მიწისა აღგვის „ნაციონალურ მოძრაობას“ და ეს უკანასკნელი, ხავსიც რომ არ დარჩენია მოსაჭიდებლად, თავის სისულელეებს ებღაუჭება — 10 წლის მანძილზე ჩადენილ სახელმწიფოებრივ ბოროტ უაზრობებს. მაგალითად, ცნობილია, რომ მიხეილ სააკაშვილმა ოკუპირებული ტერიტორიების გათავისუფლების მისეული „სტრატეგიის“ განსახორციელებლად ისეთი „ტაქტიკური“ ნაბიჯები გადადგა, რომ მკვდარსაც კი გაეცინებოდა, მაგრამ, ვაი, რომ სატირალ არს: მისი ნოვაციები დღეს ჩვენვე შემოგვიბრუნდა ახალ პრობლემებად, ახალ თავსატეხად და გართულებად. „სამხრეთ ოსეთის“ მის მიერ შექმნილი ადმინისტრაციის ლეგიტიმურობისთვის საფუძვლის შესაქმნელად ამ ავტონომიური ერთეულის ადმინისტრაციული საზღვარი ახალგორს აქეთ გადმოწია და, საერთოდ, ტერიტორია, რომელიც იმ მიჯნას იყო მიმდებარე, ხალიან-ჩასუქებული ჩინოვნიკის, ვინმე სანაკოევის გამგებლობას დაუქვემდებარა. ახლა რუსი მესაზღვრეები(!) საქართველოს პრეზიდენტის მიერ ვოლუნტარისტულად დადგენილ საზღვარს მავთულხლართებით რომ ამაგრებენ, ბიძინა ივანიშვილისკენ და ახალი ხელისუფლებისკენ იშვერს ხელს პატივცემული მიხეილი — სად არიან, რას აკეთებენ, დედას რატომ არ აგინებენ რუსეთს!**



**«ქართულ-რუსული ურთიერთობის ძირითადი ტენდენცია თანდათანობითი, ნაბიჯ-ნაბიჯ სიმეტრიული ნორმალიზაციაა, რომელიც, ამასთან, ფრთხილად უნდა განხორციელდეს ორივე მხრიდან»**

ეს თემა გახდა განხილვის საგანი „ეხო კავკაზა“-ს თოქშოუში, რომელშიც მონაწილეობდა **მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი, ჯორჯთაუნისა და ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტების (აშშ) მოწვეული მკვლევარი, პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ანდრეი სუშენცოვი.** პირდაპირ ეთერში თოქშოუს წამყვანი **დემის პოლანდოვი** წარადგენს მოსკოველ ექსპერტს და შეეკითხება:

**— ანდრეი, მე კარგად მახსოვს 2008-2009 წლები, როცა რიგმა ქვეყნებმა** (ასეა ტექსტში. — რედ.) **აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. მაშინ არ გაჟღერებულა აზრი იმის თაობაზე, რომ ამ რესპუბლიკების ფართო აღიარება რუსეთს არ აინტერესებს. ახლა კი პოლიტოლოგი სერგეი მარკედონოვი ამის შესახებ ლაპარაკობს, როგორც გარკვეულ მოცემულობაზე, იმაზე, რომ რუსეთი შემდეგ მიხვდა, რამდენად მომგებიანია მისთვის ასეთი ექსკლუზიური, ანუ ვიწრო აღარება. მიგაჩნიათ, რომ ფართო აღიარების იდეა, რომელიც 2008-2009 წლების შემდეგ გაჩნდა, საჭირო არ არის? და არსებობს კი საერთოდ საკითხისადმი ამგვარი მიდგომა?**

**ანდრეი სუშენცოვის პასუხი ასეთია:**

— მოდით, განვიხილოთ ის პირობები, რომლებშიც რუსეთმა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი აღიარა. ეს პირობები რუსეთისთვის სულაც არ იყო კომფორტული. ფაქტობრივად, **მოსკოვი იძულებული იყო, გადაედგა ეს ნაბიჯი იმიტომ, რომ მედვედევ-სარკოზის შეთანხმების მსვლელობის დროს მოიხსნა უშიშროების ღონისძიებათა უზრუნველყოფის საკითხი აფხაზეთისა და ოსეთის (SIC!) მიმართ.** რუსეთმა ერთთვიანი პაუზის შემდეგ ცალმხრივად მიიღო გადაწყვეტილება უსაფრთხოების უზრუნველყოფის თაობაზე. იმ მომენტშიც კი გასაგები იყო, რომ ეს ფაქტი დასავლეთის პარტნიორების ყურადღების ღირსი არ გახდებოდა, და მოსკოვი მზად იყო, ამ გადაწყვეტილების დანახარჯები მთლიანად საკუთარ თავზე აეღო, თუნდაც რიგ სფეროებში თანამშრომლობის შეზღუდვის ფასად. მიუხედავად იმისა, რომ ასე არ მოხდა, იმ მომენტში მოსკოვში ესმოდათ — ამ გადაწყვეტილებას ფართო რეზონანსი არ ექნებოდა.

მეჩვენება, რომ **რუსეთის დიპლომატიის რეაქცია ოსეთისა (SIC!) და აფხაზეთის აღიარების თაობაზე ასეთი სერიოზული არ იყო. ვერ ხედავდნენ კოსოვოს ტიპის რაიმე დიდ კამპანიას, როცა ევროკავშირის ცალკეული ქვეყნები საერთაშორისო ორგანიზაციების ტრიბუნებიდან არცთუ უშედეგოდ მოუწოდებდნენ სახელმწიფოებს, ეღიარებინათ კოსოვოს დამოუკიდებლობა.** რუსეთის დიპლომატია ამის მსგავსს არაფერს აკეთებდა და ეს იმდენად ცხადი იყო, რომ რუსეთის ნაბიჯებისადმი ქართული დიპლომატიის ზედმეტად დიდი ყურადღება ამ მიმართებით, იმ ძალისხმევის პროფილობაზე მაღლა ასწია, რაც სინამდვილეში იყო. რუსეთისთვის მთავარი იყო დსთ-ში ჩვენი მოკავშირეების პოზიცია, კერძოდ, ბელარუსის, რადგან ჩვენ ვართ ნაწილები სამოკავშირეო სახელმწიფოსი. მაგრამ ესეც კი, და აქ შემიძლია დავეთანხმო ალექსანდრე ლუკაშენკოს, არ არის ცხოვრებისეულად მნიშვნელოვანი საკითხი. ის, რაც მან თქვა და ისიც, რასაც ყურადღება მიაქცია ჩემმა პატივცემულმა კოლეგამ სერგეი მარკედონოვმა, არის ის, რომ **ბელარუსი მზადაა, აღიაროს ოსეთი (SIC!) და აფხაზეთი, თუ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ხასიათის საკითხად დადგება. მადლობა ღმერთს, ასეთი გარემოება დღეს არ ჩანს. ამიტომ შემიძლია დავეთანხმო, რომ ბელარუსისთვის დღეს მაინცდამაინც ხელსაყრელი არ არის ოსეთისა (SIC!) და აფხაზეთის აღიარება.**

**— ანდრეი, თუ ლაპარაკი არ არის ფართო აღიარებაზე, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საერთაშორისო დონეზე გაყვანაზე, სიტუაციის რაღაცნაირი განვითარების პროგნოზირება ხომ მაინც ხდება? რამენაირად მაინც და არა სამუდამო სტატუს-კვოს პრეტენზიულობით? შევამჩნიე, რომ თქვენ ყოველთვის ამბობთ ოსეთს. შეკვეცილად ასახელებთ სამხრეთ ოსეთს თუ განაზოგადებთ სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთს? როგორ აფასებთ პროექტს, რომელსაც დღეს ძალიან ხშირად იმეორებენ სამხრეთ ოსეთში, რუსეთთან გაერთიანებისა და მის შემადგენლობაში შესვლის შესახებ? რამდენად რეალურია ასეთი ახლო თუ შორეული პერსპექტივა?**

— შეგახსენებთ, რომ უკვე 2008-2009 წლების რაიონში რუსეთის ხელმძღვანელობა, ცალკეული რუსი პოლიტოლოგები, ისეთები, როგორიც ნიკონოვია, მხარს უჭერდნენ რუსეთის მიერ აღიარების იდეას. მაშინ არსებობდა კონტექსტი, რომ საკმარისია ნებისმიერი ერთი დიდი სახელმწიფოს მიერ აღიარება, რათა სახელმწიფო აღიარებულად ჩაითვალოს. როცა მოსკოვი იძულებული იყო, ეღიარებინა, იგი, ფაქტობრივად, დამორჩილდა, ჯერ ერთი, მოსალოდნელ ნეგატიურ საგარეო რეაქციას; მეორე მხრივ, — ხანგრძლივი დროის პარტნიორის, სპონსორის როლს. საეჭვოა, რომ მაშინ ჰქონდათ რამენაირი სტრატეგიული ხედვა იმისა, თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო 20-30 წლის შემდეგ. 2008 წელს არ ჩანდა ისიც კი, რომ სააკაშვილი წავიდოდა ხელისუფლებიდან, არაფერი რომ არ ვთქვათ იმის თაობაზე, რომ რუსეთს აფხაზეთისა და ოსეთის მიმართ რაიმე სტრატეგიული გეგმა გააჩნდა.

**— ახლა არის ასეთი გეგმა თუ ჯერ კიდევ არა?**

— ბევრი დამკვირვებელი ოსეთსა და აფხაზეთში დამეთანხმება, რომ რუსეთის პოლიტიკა ამ ორი სახელმწიფოს(!) მიმართ თანმიმდევრული იყო მათი არსებობის მთელი პერიოდის მანძილზე... მაგალითად, ამჟამად არსებობს ე.წ. ბორდერიზაციის პრობლემა სამხრეთ ოსეთში. პროგრამა ამ მიმართულებით რამდენიმე წლის წინათ მიიღეს, მაგრამ მხოლოდ ახლა დაიწყეს მისი რეალიზება. ეს დაემთხვა ქართულ-რუსული ურთიერთობის ნორმალიზების პროცესს, როგორც გამაღიზიანებელი ფაქტორი. სინამდვილეში ისინი ურთიერთდაკავშირებული არ არის, მაგრამ დაგვიანებით ხორციელდება.

**ოსეთის გაერთიანების იდეა მოცემულ მომენტში რეალური არ არის. ჩემი დაკვირვებიდან გამომდინარე ასეთი გეგმა მოსკოვში არავის აქვს. ამოცანა ის არის, რომ დავეხმაროთ ოსურ საზოგადოებას, დაძლიოს ომისა და იზოლაციის შედეგები, განჭვრიტოს თავისი მომავალი. დღეს ძნელია, წარმოვიდგინოთ, მაგრამ ვფიქრობ, მოსკოვში არიან ადამიანები, რომლებიც მზად იქნებიან, იფიქრონ ამ საკითხზეც.**

**— ანდრეი, უნდა შეგეკითხოთ რუსეთის პოლიტიკაზე საქართველოს მიმართ: ბოლო დროს რაღაც წინააღმდეგობრივი ნაბიჯები იდგმება, თანაც, საკმაოდ ხმაურიანი. მხედველობაში მაქვს რუსეთის გმირის, სამხედრო მფრინავის ჩართვა ოლიმპიურ ესტაფეტაში. ამ კაცმა ეს წოდება 2008 წლის აგვისტოში მიიღო; ან სადემარკაციო სამუშაოები დეფაქტო საზღვარზე, შემდეგ — ონიშჩენკოს განცხადება, რომ ქართული ღვინოები ბოლომდე არ უპასუხებს ხარისხის კრიტერიუმებს და შეიძლება მათზე უარი თქვან. მეორე მხრივ, რუსეთის ბაზარზე ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები დაუშვეს. დიდი ხნის განმავლობაში რუსეთი არავითარ ქმედებას არ განახორციელებდა, ელოდებოდა ხელისუფლების შეცვლას საქართველოში. დღეს დაიწყო ამ ღონისძიებათა განხორციელება, მაგრამ ისინი ძალიან წინაღმდეგობრივია. ხედავთ რაიმე ლოგიკას ამ ქმედებაში ან ეგებ რუსეთს არ აქვს დამუშავებული სტრატეგია ახალი საქართველოს მიმართ?**

— ყურადღება მივაქციე, მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივ საშუალებებში, უწინარეს ყოვლისა, ქართულ მედიაში, ყველა ამ მოვლენას ერთ გროვაში რომ აქცევენ და შეფასება უფრო ხშირად კრიტიკულია. ვფიქრობ, აქ ერთი მეორისგან უნდა გამოვყოთ. აშკარაა, რომ **ქართულ-რუსული ურთიერთობის ძირითადი ტენდენცია თანდათანობითი, ნაბიჯ-ნაბიჯ, სიმეტრიული ნორმალიზაციაა, რომელიც, ამასთან, ფრთხილად უნდა განხორციელდეს ორივე მხრიდან.** ანგარიში უნდა გაეწიროს იმას, რომ ონიშჩენკო შიდარუსულ პროცესებშიც საკმაოდ თავისებური ფიგურაა და ცოტა იუმორისტული რეპუტაცია აქვს, ამიტომ ბევრ მის კომენტარს გარკვეული სკეპტიციზმით აღვიქვამ.

**«მოსკოვი იძულებული იყო, გადაედგა ეს ნაბიჯი იმიტომ, რომ მედვედევ-სარკოზის შეთანხმების მსვლელობის დროს მოიხსნა უშიშროების ღონისძიებათა უზრუნველყოფის საკითხი აფხაზეთისა და ოსეთის (sic!) მიმართ»**

**აუცილებელია დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა ზედმეტი ლაპარაკის გარეშე და სასურველია, დავიწყოთ კვალიფიციური მსჯელობა, საბაჟო კავშირთან დაახლოების თაობაზე. დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა რუსეთთან არ ნიშნავს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობის“ აღიარებას!**

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ორი «ჯადოსნური» წინადადება არჩევნების მოსაგებად

**საქართველოს პრემიერმინისტრის, ბატონი ბიძინა ივანიშვილის დამსახურება დიდია არამარტო სააკაშვილის რეჟიმის დასრულებაში (მავანთა უსაგნო წუწუნს — „ნაცების“ რეჟიმი არ დასრულებულა, რატომ ყველას არ იჭერენო — უპასუხოდ დავტოვებ, მარტო ერთს ვიტყვი: ვანო მერაბიშვილის გარანტირებული პრეზიდენტობა რომ ავიცილეთ თავიდან ბატონი ბიძინას საშუალებით, უკვე დიდი სიკეთეა). ბატონი ბიძინას დამსახურება ასევე დიდია რუსეთთან პოლიტიკურ-ეკონომიკურ დაახლოებაზე საუბრის დეკრიმინალიზაციაში.**

## ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელის — გულბაათ რცხილაძის განცხადება



სააკაშვილის განუკითხავი პარპაშის დროს მისი უწმინდესობის, ილია მეორეს წინააღმდეგ სამარცხვინო სალანძღავი კამპანია სწორედ პატრიარქის მხრიდან რუსეთთან მეგობრული ურთიერთობისთვის გადადგმული ნაბიჯებით იყო გამოწვეული. ბუნებრივია, როდესაც რეჟიმის მსახურნი პატრიარქის ლანძღვას არ ერიდებოდნენ, უბრალო მოკვდავისთვის ბევრად უფრო საშიში იყო რეჟიმის რისხვა. რუსეთთან არა თუ დაახლოება, არამედ ელემენტარულად რუს ხალხთან მეგობრობაზე კრინტის დაძვრაც კი „სამშობლოს ღალატად“ ითვლებოდა. ეს ყოველივე აგვისტოს ომის შემდეგ ბევრად უფრო გამძაფრდა.

ამიტომ პოლიტოლოგიის სფეროში მომუშავე ის რამდენიმე ადამიანი, რომლებიც ვბედავდით რუსეთის ფაქტორზე მსჯელობას, კრიმინალიზებულნი ვიყავით და, სულ ცოტა, მარგინალების პოზიციაში ვიმყოფებოდით, მიუხედავად იმისა, რომ უამრავი ჩვენი თანამემამულე ჩურჩულით გამოხატავდა თავის მხარდაჭერას ჩვენი პოზიციის მიმართ. **რუსეთის თემაზე სააკაშვილის მიერ დაწესებული ტაბუ 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ინერციით გაგრძელდა, რაშიც დიდ როლს მასმედია ასრულებდა. ისევ ბიძინა ივანიშვილმა დაარღვია არსებული ტაბუ და თეორიულად საქართველოს ევრაზიულ კავშირში გაწევრიანება არ გამორიცხა. ეს უდიდეს მოვლენად მიმაჩნია ქართულ პოლიტიკაში, რადგან ბოლო 20-23 წლის მანძილზე რუსეთთან რაიმე სერიოზულ ინტეგრაციულ პროექტში საქართველოს მონაწილეობის თაობაზე საუბარი ისევ და ისევ „სამშობლოს მოღალატეობას“ უტოლდებოდა.** ევრაზიის კავშირი კი არა, გავიხსენოთ, ყოვლად უსახურ და ამორფულ დსთ-ში საქართველოს შესვლა-არშესვლაზე რამდენი ემოცია ამოიფრქვა. ასე რომ, **საქართველოს პრემიერმინისტრმა რუსეთთან პოლიტიკური დაახლოების თემა მარგინალობის მდგომარეობიდან დაიხსნა. რა თქმა უნდა, პრემიერი აცნობიერებს, რომ ხალხის ფართო ფენები მისგან სწორედ რუსეთთან სრულმასშტაბიან დარეგულირებას ელოდებიან, რაც საქართველოს ეკონომიკური წინსვლისა და პოლიტიკური სტაბილიზაციის საწინდარი გახდება.**

მაგრამ არ ჩერდებიან დასავლურ გრანტებზე გამოზრდილი მასმედია და არასამთავრობო სექტორი. ისინი დგანან პრემიერმინისტრსა და ხალხს შორის. ქართველი ხალხის უდიდეს ნაწილს (ამას ყველა გამოკითხვა მოწმობს) რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირება მიაჩნია ქვეყნის პრიორიტეტად, ამას ანგარიშს უწევს და საამისოდ შინაგანადაც განწყობილია პრემიერმინისტრი, მაგრამ ხალხსა და პრემიერს კომუნიკაციაში ხელს უშლიან სწორედ ხსენებული მასმედია და არასამთავრობო ორგანიზაციები. ამას დავუმატოთ „ქართული ოცნების“ პოლიტიკური სიჭრელე, დასავლური ლობის სიძლიერე ამ ორგანიზაციაში და იოლად გავაცნობიერებთ, რა სირთულის წინაშე დგას პრემიერმინისტრი.

მიუხედავად ამ სირთულისა, მიმაჩნია, რომ გარკვეულ ეტაპზე, და ეს ეტაპი, ჩემი აზრით, უკვე დადგა, **პრემიერმა კიდევ უფრო უნდა გააღრმავოს თავისი გონივრული კურსი რუსეთის მიმართ და ხალხის ნება განახორციელოს. ეს ჩემი ახირება არ არის. კარგად უნდა გავიგოთ ყველამ, რომ ქართული ეკონომიკა რუსეთზეა დამოკიდებული, ევროკავშირი კარგა ხანს ვერ გვიშველის.** რუსეთის ბაზარი ქართული პროდუქციისთვის ნაწილობრივ უკვე გაიხსნა, ეს ძალზე სასიხარულო ფაქტია. **მე, როგორც რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე მომუშავე სპეციალისტი, მოვლენების განვითარებას ამ მიმართულებით ყურადღებით ვაკვირდები, ამიტომ სიკეთესთან ერთად ვხედავ ხარვეზებსა და რისკებს, რომლებიც ამ დადებით პროცესს თან ახლავს.** კერძოდ:

— **ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქცია სხვა კავკასიური რესპუბლიკების ანალოგიურ პროდუქციასთან შედარებით ნაკლებკონკურენტუნარიანია, ფასებიდან გამომდინარე.** საქართველო-რუსეთს შორის პოლიტიკური დაურეგულირებლობის პირობებში საბაჟო გადასახადები ჩვენს პროდუქტებზე უფრო მაღალია. მაგალითად, რუსული ბაზარი სავსეა აფხაზური ციტრუსებით. წელს ქართული ციტრუსები ვერ გაუწევს კონკურენციას აფხაზურს, რადგან აფხაზებს საბაჟო გადასახადის გარეშე შეაქვთ თავიანთი პროდუქტები, რუსეთის კეთილი პოლიტიკური ნებიდან გამომდინარე. ამიტომ აფხაზური ციტრუსები უფრო იაფია, ხარისხით კი ქართულს არ ჩამოუვარდება;

— **პოლიტიკური დაურეგულირებლობის პირობებში რუსი ბიზნესმენები გაურბიან ქართულ კომპანიებთან უშუალო ურთიერთობებს და მათთან ხელშეკრულების გაფორმებას.** მათ პოლიტიკური რისკები აშინებთ, რომლებიც რეალურია, რადგან ამ ორ ქვეყანას არ აქვს ერთმანეთთან დიპლომატიური ურთიერთობები;

— **სავიზო რეჟიმის სიმკაცრე რუსეთის მხრიდან ხელს უშლის ბიზნესკონტაქტების გაღრმავებას, რაც ისევ და ისევ დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობით არის განპირობებული.** ჩემთან ბევრი ბიზნესმენი მოდის თხოვნით, როგორმე დავეხმარო რუსეთის ვიზის გაფორმებაში. ბატონმა პრემიერმა უნდა იცოდეს, რომ ახლახან ტელევიზიით გაპიარებული ქართული სატრანსპორტო კომპანიის მიერ რუსეთში მარშრუტის აღდგენა თავისით არ მომხდარა. იყო კარასინ-აბაშიძის პრინციპული შეთანხმება, მაგრამ პრაქტიკულად ქართველი მძღოლები ვიზების გარეშე დარჩნენ. რეალური დახმარების აღმოჩენა მათთვის სწორედ ევრაზიის ინსტიტუტმა მოახერხა და მძღოლები რუსეთში შევიდნენ, მაგრამ ასე უსასრულოდ ვერ გაგრძელდება — საჭიროა სახელმწიფოებრივი დარეგულირება, დიპლომატიური ურთიერთობების დონეზე.

ამიტომ **აუცილებელია დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა ზედმეტი ლაპარაკის გარეშე და სასურველია, დავიწყოთ კვალიფიციური მსჯელობა, საბაჟო კავშირთან დაახლოების თაობაზე.** კიდევ ერთხელ განვმარტავ, რაც უწინაც გამიკეთებია პრესით და ტელევიზიით: **დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა რუსეთთან არ ნიშნავს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობის“ აღიარებას!** საგარეო საქმეთა მინისტრს, ასევე ბატონ ზურაბ აბაშიძეს, კიდევ ერთხელ შევახსენებ სერბეთის პრეცედენტს — კოსოვო აღიარა დასავლეთის დიდმა ნაწილმა, მაგრამ სერბეთს არც ერთ დასავლურ სახელმწიფოსთან (და თუნდაც არადასავლურთან) დიპლომატიური ურთიერთობა არ გაუწყვეტია. ბელგრადში ყველა უცხოური საელჩო ფუნქციონირებს, ისევე, როგორც პრიშტინაში. **ჩვენ რომ ვიძახოთ, საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამი საელჩოს არსებობა დაუშვებელიაო, განა ამით ორი უკვე არსებული საელჩო დაიხურება?! იქნებ სჯობს, რომ მესამე საელჩო თბილისში იყოს, რათა მეტი გავლენა ვიქონიოთ რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე?!**

საბედნიეროდ, ეს ანბანური ჭეშმარიტებები ჩვენი ხალხის დიდ ნაწილს უკვე კარგად აქვს გაცნობიერებული. **ხალხს უნდა ნორმალური ცხოვრება და კეთილმეზობლური ურთიერთობები რუსეთთან. საქართველოს ერთიანობა ამით არ ილახება, პირიქით, პერსპექტივაში მხოლოდ დადებითი ტენდენციები თუ გაჩნდება.** საქართველოს რუსეთთან დაახლოებისა ეშინიათ სეპარატისტებს და კიდევ ვილაც-ვილაცებს დასავლეთში, ამიტომ მეტი ენერგიით უნდა გავაუმჯობესოთ რუსეთთან მეზობლობა. **დღეს რომ საპრეზიდენტო კანდიდატებიდან რომელიმეს გადაელახა მასმედია-არასამთავრობოების კომპლექსი და პირდაპირ გამოეცხადებინა, რომ: 1. მხარს უჭერს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენას; 2. საბაჟო კავშირთან მოლაპარაკებების დაწყებას, მას რეიტინგი თუ არ გაუორმაგდებოდა, სერიოზულად მაინც გაეზრდებოდა.** საინტერესოა, რომ ზოგიერთი პოლიტიკოსი, რომლის მთავარი პოლიტიკური კაპიტალი პრეზიდენტ პუტინის მხრიდან კეთილი განწყობის გამოხატულებაა, ვერ ბედავს ამ ლოგიკური ნაბიჯის გადადგმას და გასაკეთებელს ისევ ბიძინა ივანიშვილი აკეთებს, თუნდაც ეს კურსი მისი მხრიდან ჯერჯერობით არასაკმარისად მყარი და ეფექტურია.

**პირადად მე, როგორც საზოგადოების რიგითი წევრი და პოლიტოლოგი, ჩემ მიერ წარმოდგენილი ევრაზიის ინსტიტუტის სახელით ვთავაზობ ყველა საღად მოაზროვნე პიროვნებას, ასევე პროფილით მომუშავე ორგანიზაციებს, დავსხდეთ მოლაპარაკების მაგიდასთან და დავიწყოთ ხელმოწერების შეგროვება ზემოთ აღნიშნული წინადადებების რეალიზების მოთხოვნით. ამით ბატონ ბიძინა ივანიშვილს კიდევ ერთხელ დავეხმარებით, უშუალო კომუნიკაცია ჰქონდეს ხალხთან და ხელი არ შეუშალონ შუალედურმა რგოლებმა.**

**დღეს რომ საპრეზიდენტო კანდიდატებიდან რომელიმეს გადაელახა მასმედია-არასამთავრობოების კომპლექსი და პირდაპირ გამოეცხადებინა, რომ: 1. მხარს უჭერს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენას; 2. საბაჟო კავშირთან მოლაპარაკებების დაწყებას, მას რეიტინგი თუ არ გაუორმაგდებოდა, სერიოზულად მაინც გაეზრდებოდა**

## რასმუსენი: საქართველო 2014 წელს ნატოს წევრი არ გახდება

**საქართველო არ გახდება ნატოს წევრი 2014 წელს. რუსული საინფორმაციო სააგენტო „რია ნოვოსტის“ ცნობით, ამის შესახებ ნატოს გენერალურმა მდივანმა, ანდერს ფოგ რასმუსენმა, რუს ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.** „საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ დაადასტურა ნატოში გაწევრიანების მისწრაფება, მაგრამ მომავალ წელს ეს ნამდვილად არ მოხდება. ჯერჯერობით ჩვენ ვითანამშრომლებთ საქართველო-ნატოს საბჭოს ფარგლებში“, — განაცხადა ანდერს ფოგ რასმუსენმა რუსეთ-ნატოს საბჭოს სხდომამდე რუს ჟურნალისტებთან საუბრისას.

მისივე თქმით, 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე საქართველოც და ნატოც ალიანსში გაწევრიანების სურვილით წარდგნენ, თუმცა შემდეგ უკრაინამ გადაწყვიტა, იხელმძღვანელოს რაიმე კავშირში შეუსვლელობის პოლიტიკით.

„უკრაინამ გადაწყვიტა, არ გააგრძელოს ალიანსში გაწევრიანების პოლიტიკა. ჩვენ ვითანამშრომლებთ ამ ქვეყანასთან უკრაინა-ნატოს საბჭოს ფარგლებში“, — დასძინა ანდერს ფოგ რასმუსენმა.



პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ძალიან სამწუხაროა, რომ XX-XXI საუკუნეების საქართველოში გაბატონებული უზნეობა და უსამართლობა, ზღვარდაუდებელი კორუფცია და ლაგამაწყვეტილი ძალმომრეობა მარგველაშვილს „პამპულაობის თამაშს“ აგონებს და სხვას არაფერს. ის, ნებსით თუ უნებლიეთ, ამგვარი უკბილო იუმორით ხელს აფარებს იმ თავზარდამცემ სატანისეულ რეჟიმს, რომელიც სააკაშვილებმა, რამიშვილებმა, ბოკერიებმა, მერაბიშვილებმა, ახალაიებმა, კუბლაშვილებმა, ადეიშვილებმა და სხვ. შექმნეს.**

# კაცის კაცი, ანუ პლასტილინის ფარშავანგი

## (გიორგი მარგველაშვილის მცირე ტრაქტატის გამო)

დასასრული. დასაწყისი იხ. №38 (225)

**ვგონებ, თანდათან იკვეთება, თუ საით მიემართება ჩვენი ფილოსოფოსის აზრთა მსვლელობა: მისი თვალთახედვით, ნორმალურ ერად ჩამოყალიბებისა და სახელმწიფოებრიობის აღსადგენად საჭირო ყოფილა ქვეყნიდან გადახვეწა, აზროვნების სტრუქტურისა და ცხოვრების წესის შეცვლა. მოკლედ, ახალი ქართველის ჩამოყალიბება, თუ უფრო დავაზუსტებთ, ამერიკელი ქართველის ჯიშის შექმნა.**

გიორგი მარგველაშვილი არც ისე ბრიყვი ყოფილა, ერთი შეხედვით რომ გვეჩვენება. ის შეფარვით იმას გვაპარებს, რასაც დღევანდელი გლობალისტურ-მასონური მოძღვრება ქადაგებს და რასაც ჩვენი ე. წ. ნეოლიბერასტები შერყვნილი და ყოვლად ანტიეროვნული ტელევიზიების მეშვეობით თავს გვახვევენ. დღესაც ხომ ამ სატანისტურ აზრს თავგამოდებით ავრცელებენ „თავისუფლების ინსტიტუტი“ და თაღლითი მილიარდერის, სოროსის, ფონდი „ღია საზოგადოება — საქართველო“, რომლებთანაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მჭიდრო სულიერი და მატერიალური კავშირი აქვს გ. მარგველაშვილს. ეს ყველაფერი გასაგებია. მაგრამ **ვერ გავიგე, რას ნიშნავს „ძირითადი ვექტორის შეცვლა, რომელიც ორი საუკუნის მანძილზე გარედან შიგნით აზიდინებდა ქართველებს“.** ვერ გავიგე-მეთქი იმიტომ, რომ **სრულიად გაუგებარია, რას ეზიდებოდა ქართველი გარედან შიგნით?!** ღა, ასეთ მნიშვნელოვანსა და უსაშველოს, რომ, თუკი შიგნიდან გარეთ დაიწყებდა ზიდვას, მაშინ ძირითადი ვექტორი შეიცვლებოდა. ვექტორის რა მოგახსენოთ, მაგრამ **ამ ჩვენ ფილოსოფოსს აზროვნების ღერძი რომ გამრუდებული და შეცვლილი აქვს, ეს უდავოა.** მოკლედ, მის ღრმად ფილოსოფიურ მსჯელობას ორი საყრდენი აქვს — შინ და გარეთ, ორი მიმართულება — გარედან შიგნით და შიგნიდან გარეთ და მისით... „მზე შინა და მზე გარეთა“-ო?!

მაგრამ ჩვენ რომ გვეხუმრება, არც ისე კარგად ყოფილა საქმე!.. ფილოსოფოსის გაგებით, ამ ვექტორის შეცვლა, ე. ი. გარედან შიგნით, ადვილი როდია?! რადგან ამის შეცვლით თურმე **„ჩვენ ასე უცებ, ერთ ღამეში ვიქცეოდით ნორმალურ ერად“.** ყველასთვის ცნობილია, რომ **„გამრუდებული ფსიქიკის მორჩენა ერთ დღეში კი არა, პრაქტიკულად, შეუძლებელია“.** ჩვენ კი ორი საუკუნის განმავლობაში გვაკნინებდნენ და ამიტომაც ჩამოვყალიბდით ერად, რომელიც **„ყველას უყვარს და ყველას ეცოდება... მაგრამ, რომელსაც ვერ შველიან საკუთარი სისულელის, სიჯიუტისა და სიჩლუნგის გამო“.** მოკლედ, **დიდი ფსიქოლოგის — გიორგი მარგველაშვილის თვალთახედვით, ქართველი ერი ყოფილა „გამრუდებული ფსიქიკის“, სულელი, ჯიუტი და ჩლუნგი, რომლის განკურნებაც საერთოდ შეუძლებელია. უფრო მეტიც, ფსიქოლოგ-ფილოსოფოსის მიერ დადგენილი დიაგნოზი ამგვარია: „დიაგნოზი ერთმნიშვნელოვანია: გონებრივი სისუსტე, მსუბუქი დებილობის ფორმით, ანუ ფაქტობრივი მდგომარეობა, როდესაც ადამიანის ფსიქიკური განვითარება ჩერდება გარკვეულ ადრეულ ეტაპზე და არ აღწევს ზრდასრულ ფორმამდე: ზრდასრული ადამიანის ტანი და სუსტი, ადრეული ასაკისთვის შესაფერისი აზროვნება — აი, საქართველოს მოსახლეობის, ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა“.**

ქართველ მკითხველს ვთხოვ, ეს დიაგნოზი წაიკითხოს და თავად დაასკვნას ამ დიაგნოზის დამდგენის ფსიქიკური მდგომარეობა. ჩემი „კადნიერი“ აზრით კი, ის ამგვარია: **ეს არის გულბოროტი ადამიანის თვალთახედვა, ფსიქიკური და ნერვული აშლილობის შედეგად ამოფრქვეული!..** მართალია, ის მართებულად ხსნის „დებილობა ინდივიდში და გონებრივი სისუსტე“ ერში განსხვავებულად გამოიხატება და „სხვადასხვა პარამეტრთა ანალიზს გულისხმობსო“, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში საპირისპირო და განსაკუთრებულ მოვლენასთან გვაქვს საქმე. **ეს ის შემთხვევაა, როცა პიროვნება თავის პიროვნულ დაავადებებს, კერძოდ კი დებილობას განაზოგადებს და ნებსით თუ უნებლიეთ (ვგონებ მიზანმიმართულად) მთელ ერს მიაწერს,** ამაზე ქვემოთაც გვექნება საუბარი და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ოღონდ შევნიშნავ, რომ იგი ცალკეულ ინდივიდს,



**ღრმად მოაზროვნე მარგველაშვილმა მრავალსაუკუნოვან ქართველ ერს, ასაკთან შეუსაბამო გონებრივი განვითარებისა გამო, დებილობის დიაგნოზი დაუდგინა**

ქართველს, თავისი თავის ჩათვლით, ინდობს, მაგრამ ზოგადად ერს — არა და აცხადებს: **„სწორედ ეს ცოცხალი ორგანიზმი ჩვენი ერისა არის მძიმედ ავად“.** ამგვარ გამიჯვნას, ვფიქრობ, არა ქართველი კაცის სიყვარულით მიმართავს, არამედ ახალი მსოფლიოს არქიტექტორთა იმ „დემოკრატიულ თეზას“ ეხმიანება, რომლის მიხედვითაც ინდივიდი, როგორც ცალკეული ადამიანი, უნდა დავიცვათ, წინ წამოვწიოთ მისი უფლებები, ერი კი, როგორც ერთ-ერთი წინაღობა პლანეტარული იმპერიისა და გლობალისტური მსოფლგანცდის მიუღებელი ცნება, უნდა დაიგმოს და განადგურდეს. ამიტომაც გაქრა ჩვენი პირადობის მოწმობიდან ეროვნების გრაფა და მამის სახელი. ამიტომაც გაუჩინარდა გენეტიკური წარმომავლობის კოდი და, საერთოდ, ცნება და ყველა ერი ერთ ვეება ქვაბში მოიხარშა!..

სავსებით ცხადია, რომ **ღრმად მოაზროვნე მარგველაშვილმა მრავალსაუკუნოვან ქართველ ერს, ასაკთან შეუსაბამო გონებრივი განვითარებისა გამო, დებილობის დიაგნოზი დაუდგინა.**

ახლა ამ „დიაგნოსტიკოსმა“ ერთხანს ყური მოგვიგდოს: შენ, ყმაწვილო, კალამი ხელთ რომ გიპყრია და ათასგვარ სისულელეს ჩმახავ, თავი კი პლატონად წარმოგიდგენია, რას ფიქრობ, რა არის ამის მიზეზი? ეს ხომ არ არის თავის თავზე ზეწარმოდგენა, ასაკთან შედარებით შეუსაბამო აზროვნება, რაც აშკარად შეიცავს დებილობის სინდრომს?

თუმცა ამ ვაიფილოსოფოსისგან უარესსაც უნდა მოველოდეთ...

აკი თანდათან უფრო გვანცვიფრებს თავისი დაკვირვება-აღმოჩენებით. **მისი ხედვით, ქართველი ერის უმწიფრობა და შეუსაბამობა ვლინდება სახელმწიფოსთან მიმართებაში.** ირკვევა, რომ მარგველაშვილს ძალიან უყვარს ბავშვები. ეს ცუდი როდია, მაგრამ რატომღაც ისინი მაშინ ახსენდება, როცა სურს, ქართველი ერის უდღეურობასა და სიჩლუნგეში დაგვარწმუნოს. **ჩვენი პლატონი გონებამახვილურ კითხვას სვამს: რანაირ სახელმწიფოს ააშენებდნენ ბავშვები, სახელმწიფობანა რომ ეთამაშათ? და იქვე პასუხობს: საქართველოს მსგავსს...** და აგრძელებს: „რა არის ქართული სახელმწიფო, თუ არა სახელმწიფობანას თამაში, რომელიც ბავშვების თამაშის ძირითად წესს ეფუძნება: „არაუშავს“, „მაპატიე, რა“, „არ მინდოდა“ და ა. შ. თუმცა ამ სახელმწიფოში ბევრი ისეთი რამ ხდება, რაც არ უნდა ხდებოდეს — აღმოაჩენს მარგველაშვილი და მისეული სიღრმით გვიხსნის: **„ერთნი მდიდრდებიან, მეორენი ღატაკდებიან... ეს დისბალანსია, რომლის გამოსწორებას უნდა ცდილობდეს ერი... მაგრამ ამას არ იქმს, დისბალანსი არ იცვლება, რადგან ერთი „ჟილკობით“ იგებს, მეორე კი არ ცდილობს, ეს „ჟილკობა“ დაგმოს, არამედ ცდილობს, თვითონაც იხეიროს სხვათა ხარჯზე... მოკლედ, საქართველოს სახელმწიფო „პამპულობის“ თამაშს ჰგავს: თუ წაგართმევენ ბურთს, შენ ხარ პამპულა, თუ შენ წაართვი — სხვა. მაგრამ ბურთი არსად მიდის, იგი მოთამაშიდან მოთამაშესთან გადადის. დღეს შენ გაპამპულებს, ხვალ შენ გაქვს ბურთი“.** ხოლო თუ თამაშისას ერთმა მეორეს ფეხი წამოსდო, ეტყვის: მაპატიე რა, არ მინდოდა. და სხვებიც ეტყვიან: „არა უშავს, თამაშია, რა“...

**ეს ჩვენი არისტო(ტელე) მართლაც მასხრად იგდებს თუ „აპამპულავებს“ ქართველ ხალხს და ქართველ ერს!** ძალიან ბეცი და ახლომხედველი თუ სკლეროტიკი უნდა იყო, რომ არ გახსოვდეს, თუ როგორ ჩამოაყალიბა ქართველმა ერმა ათასწლეულის მიღმა სახელმწიფო და როგორ იცავდა საუკუნეთა განმავლობაში მას, ვითარცა ეროვნების ვინაობისა და ქართველობის დამცველ აბჯარს, რომელიც აუგ ჟამთა ვითარებისა გამო ხანდახან ემსხვრეოდა კიდეც. თუმცაღა, მუდამ ცდილობდა და დღესაც ცდილობს მის გამოჭედვას და აღდგენას. ალბათ, **ქართველი ერის ეს შეუპოვარი და წმიდათაწმიდა ბრძოლა „პამპულაობა“ ჰგონიათ დღევანდელ მართლაცდა „პამპულებს“...**

ეს ერთი და მეორეც: დედამიწის ზურგზე ვერ მოიძიებთ ისეთ სახელმწიფოს, რომელშიც არ არსებობდეს მდიდრებსა და ღარიბებს შორის დისბალანსი და გაჩაღებული არ იყოს მათი ფარული თუ აშკარა ბრძოლა, რომელიც, როგორც წესი, აკრძალული ილეთებით — „ჟილკობით“ მიმდინარეობს. **ძალიან სამწუხაროა, რომ XX-XXI საუკუნეების საქართველოში გაბატონებული უზნეობა და უსამართლობა, ზღვარდაუდებელი კორუფცია და ლაგამაწყვეტილი ძალმომრეობა მარგველაშვილს „პამპულაობის თამაშს“ აგონებს და სხვას არაფერს. ის, ნებსით თუ უნებლიეთ, ამგვარი უკბილო იუმორით ხელს აფარებს იმ თავზარდამცემ სატანისეულ რეჟიმს, რომელიც სააკაშვილებმა, რამიშვილებმა, ბოკერიებმა, მერაბიშვილებმა, ახალაიებმა, კუბლაშვილებმა, ადეიშვილებმა და სხვ. შექმნეს.**

დასასრულს, გ. მარგველაშვილი თავისი ფილოსოფიური ტრაქტატის ბოლოს ცდილობს, კვლავაც განგვიმარტოს, რა არის ქართველი ერის გონებრივი სისუსტის მიზეზი. ზოგადად ამის მიზეზი სხვადასხვაა, — ფიქრობს ის, — შეიძლება იყოს ტრავმული ან თანდაყოლილი. ჩვენ შემთხვევაში კი „უფრო კომპლექსურ, კომბინირებულ მიზეზთა კონგლომერატთან გვაქვს საქმე“. აკი გვარწმუნებს აქიმი, რაღაც მოურჩენელი გჭირსო, ამიტომაც გულდასმით უნდა მივადევნოთ თვალი იმ მიზეზებსაც, რომლებმაც წარმოშვა ჩვენი განუკურნებელი სენი: უპირველესი ყოფილა ჩვენი მძიმე ბავშვობა და არასწორი აღზრდა! ამ შემთხვევაში იგი პასუხისმგებლობას ერთმნიშვნელოვნად რუსეთის იმპერიას აკისრებს, ▶

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ჭაობში გაზრდილი ლერწამივით აწოწილი, ტანსრული, ახოვანი, მაგრამ გონებრივად სუსტი, მსუბუქი დებილობის ფორმით; მისი ფსიქიკური განვითარება და აზროვნება შეჩერდა გარკვეულ, ადრეულ ეტაპზე. მაგრამ, სამწუხაროდ, თავის თავზე ზეაღმატებული წარმოდგენა აქვს და ყოვლისმცოდნე ფსიქოლოგ-ფილოსოფოსად მიიჩნევს თავს.

◀ რომელიც „ლოთი, მფლანგველი, ემოციურად დაუბალანსებელი“ აღმზრდელი გამოდგა, ნებისმიერი ბავშვის ფსიქიკას რომ გაამრუდებდა. ამ ლოთბაზარამ არ მოგვხედა, არ გვიპატრონა და არ გვასწავლა სახელმწიფოდ და ერად ცხოვრება. და არც ჩვენ მოგვცა ჩვენი ღირებულებებისა და უნარების შენარჩუნების უფლება. იმავე დროს გვინერგავდა მუქთახორობას, მექრთამეობას და წაგვგვარა საზოგადოებრივი აზროვნება თუ ღირსების გრძნობა. მოკლედ, ფაქტობრივად, დაგვლუპა, მოგვიშალა ფსიქიკა...

**ჩვენი ფილოსოფოსი ქართველ ერს ხომ მიწასთან ასწორებს, მაგრამ არც რუსეთის იმპერიას ინდობს და ჩვენი ერის ყველა „ცოდვა-ბრალს“ მას ჰკიდებს კისერზე.** მართლაც, რუსეთის იმპერიის გავლენით მრავალი ცუდი ზნე დაინერგა ჩვენ ცხოვრებაში, მაგალითად, მექრთამეობა, სახელმწიფო მოხელეებში დღესაც რომ იფურჩქნება. მაგრამ **რა ვუყოთ იმ დიდ კულტურას და აზროვნების სიღრმისეულ დონეს, ტოლსტოიმ, დოსტოევსკიმ, ტურგენევმა, პუშკინმა, ლერმონტოვმა, ბლოკმა, მანდელშტამმა, ახმატოვამ, ცვეტაევამ, სოლოვიოვმა რომ შექმნეს?! განა ამ კულტურაზე არ აღიზარდნენ თერგდალეულები, ჩვენი კლასიკოსები, ჩვენი სულიერი მამები? ვის შეუძლია ამის უარყოფა, გარდა გონებაჩლუნგი პირისა?** ეს ერთი და მეორეც, ჩვენი საქართველო ხომ გაცილებით უძველესი ქვეყანაა, გნებავთ, რელიგიური და გნებავთ, სახელმწიფოებრივი ტრადიციების თვალსაზრისით. ასე რომ, **რაც უნდა დაუძლურებულნი ვყოფილიყავით, თუნდაც კოლონიის მდგომარეობაშიც, რა გვჭირდა რუსეთის საძიძაო, ანდა მას ჩვენთვის „ერად და სახელმწიფოდ“ ცხოვრება როგორ უნდა ესწავლებინა?!** დასასრულს, **ლოთობა, როგორც სოციალური მოვლენა და ფენომენი, უცხოა ქართველისთვის და მას ვერა ძალა ვერ გაალოთებდა და ვერც გაალოთა. მაგრამ დღეს რომ უსასოობისა და უზნეობის სინდრომი შეეყარა, ეს უკვე ერთობ ფხიზელი და ვერაგი მამის — ამერიკის დამსახურება გახლავთ!**

მაგრამ **ლოთი მამის აჩრდილი იმიტომ მოიხმო მარგველაშვილმა, რომ ქართველი დედა, ქართველთათვის ყველაზე წმინდა და ამაღლებული სიმბოლო, დაემცრო და მთავარ დამნაშავედ გამოეყვანა.** ის მისთვის ჩვეული სარკაზმით წერს: **„მაგრამ, არა მხოლოდ რუსეთი, ლოთი მამის პირობებში მნიშვნელოვნად ამრუდებდა ჩვენ აზროვნებას, ჩვენი დედაც — ქართლის დედა — ერთ ხელში თასი და მეორეში ხმალი... ქართლის დედა აკეთებდა იმას, რაც, პრინციპში, ლოთი მამის პირობებში, ქალისთვის ბუნებრივია — დაიწყო თავისი ბავშვის დაცვა და ზედმეტად მოფრთხილება. ქართლის დედამ გააკეთა ისე, რომ ბავშვი არამც და არამც არ შედგა კაცად. ისიც ლოთი მამასავით ყველაფერს უსრულებდა, გაათავხედა და გაამაიმუნა... მარტო დარჩენილს, ლოთი ქმრის ხელში, სულ ეშინოდა შვილის დაკარგვის და შეეცადა, მისი ბავშვობა მაქსიმალურად გაეწელა ისე, რომ არ მისცა განვითარების შესაძლებლობა“...** მართალია, „მას ეს არ უნდოდა, მაგრამ შედეგად მიიღო — **კაცი ბავშვის ფსიქოლოგიით. კაცი, რომელსაც ზრდასრული ადამიანის ... ძირითადი თვისება — პასუხისმგებლობა და სოციალურად აზროვნება არ გააჩნია.** ასეთია ქართველი, მას არ ეშინია შეცდომის დაშვების, ცუდად მოქცევის, რადგან დედა ყველაფერს აპატიებს“ (ჯარიდანაც იხსნის, მილიციიდანაც გამოიყვანს, უმაღლესში მოაწყობს და სამსახურსაც უშოვნის, ცოლსაც შერთავს...) ასეთ პირობებში, როგორც ფიქრობს აქიმი მარგველაშვილი, „ძალიან მძიმდება კლინიკა და ის შედეგი, რაც დღეს სახეზეა“. გარდაუვალია, ბავშვს, რომელსაც ასეთი მშობლები ჰყავს, ჰქონდეს პრობლემები ზრდასრულობის ასაკში, ისევე, როგორც ჩვენ“!..

და ბოლოს, ჩვენი ფილოსოფოსი, თავის მცირე „ფილოსოფიურ ტრაქტატს“ „დიდი სიბრძნის“ შემცველი ეპილოგით ამთავრებს: **„მაგრამ ასეთ ხალხს, ჩვეულებრივ, გარემო ლმობიერად ექცევა, ისევე, როგორც ჩვენ — ნი-ჩურტა - გვაპატიეთ ვალები, ჩვენ ქართველები ვართ“.**

ამგვარია ამ „დრამატული სკეტჩის“ ფინალი, მისი ავტორი, ალბათ, ელოდება დარბაზის ხორხოცს და აპლოდისმენტებს!..

მაგრამ, ვიდრე საზოგადოება თავის აღტაცებას გამოხატავდეს, თუ არ განგვირისხდებით და არ დაიღალეთ, ჩვენ მოგვისმინეთ, ბატონო გიორგი!

ჯერ ერთი, **დღეს არავინ არის ჩვენი ერის შემბრალებელი, პირუკუ, გლობალიზმის იდეებით შეპყრობილი არქიტექტორების ახალი მსოფლიოს აგების პრინციპი არის, მოსპონ მცირერიცხოვანი და სუსტი ერები. ამიტომაც, რაც უნდა თავი მოვიძახოთ, ვალს არავინ გვაპატიებს, პირუკუ, ამ ვალის მეშვეობით გვიმონებენ ჩვენც და ჩვენ შთამომავლობასაც.** მეორეც, **თანამედროვე ახალგაზრდების ერთი ნაწილის არასრულყოფილებისა გამო „ქართლის დედის“ დადანაშაულება არის ქვეგუდანური ზრახვა, რომლითაც გსურთ, ერთის მხრივ, წარმოაჩინოთ ქართველი ერის ფსიქოლოგიური დავრდომილება, უპასუხისმგებლობა და სოციალური აზროვნების ნულოვანი დონე და, მეორე მხრივ, გწადიათ, შეფუთოთ ის სათავე, რომლიდანაც ეს სატანური აზრი საზრდოობს.**

## თანამედროვე ახალგაზრდების ერთი ნაწილის არასრულყოფილებისა გამო „ქართლის დედის“ დადანაშაულება არის ქვეგუდანური ზრახვა, რომლითაც გსურთ, ერთის მხრივ, წარმოაჩინოთ ქართველი ერის ფსიქოლოგიური დავრდომილება, უპასუხისმგებლობა და სოციალური აზროვნების ნულოვანი დონე და, მეორე მხრივ, გწადიათ, შეფუთოთ ის სათავე, რომლიდანაც ეს სატანური აზრი საზრდოობს

თუმცა თქვენ პირველი არ ხართ, რომელიც ქართველი დედის წინააღმდეგ ილაშქრებს. თქვენმა ძვირფასმა კოლეგამ ჭიაბერაშვილმა უცხო თუ შინაური მეგობრების შეკვეთით, „ფროიდისეული ხედვით“, უკვე გაგვიანალიზა, თუ რას ნიშნავს „ქართლის დედის“ ერთ ხელში ხმალი და მეორე ხელში — თასი. ამ ბაყაყჭამია ქვემძრომმა ამისთვის კარგ ჰონორარსაც გამოჰკრა ხელი. მართლაც დავძაბუნდით ქართველები, თორემ ეს ვიგინდარა ასე ამაყად კი არ უნდა „გუბერნატორობდეს“, არამედ ჭაობში ჩაძირული, ყიყინით შველას ითხოვდეს.

თუმცა ვფიქრობ, „ქართლის დედის“ სიმბოლოს გააზრებისას გ. მარგველაშვილი ჭიაბერაშვილის დონემდე არ დადის. მას სურს, ქართველი ერის განვითარების ავადმყოფური ფსიქიკა „ლოთი მამის“ და ზედმეტად „მზრუნველი დედის“ საქციელით ახსნას. აქვე უნდა დავძინო, რომ **ამ ეპიზოდის გადმოცემისას ქვეცნობიერი შრეც (დონეც) მონაწილეობს, რაც მარგველაშვილის მძიმე ბავშვობის გამოძახილი უნდა იყოს. ვერ გეტყვით, ბავშვის სტრესული მდგომარეობა რამ გამოიწვია. ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც ვიცი, მისი მამაც და დედაც ღირსეული ადამიანები ბრძანდებიან. ასე რომ, უპრიანია, ისევ იმ მსოფლგანცდას მივაწეროთ, „თავისუფლების ინსტიტუტი“ და სოროსის ფონდი რომ გვახვევდა და გვახვევს თავს. მათი იდეოლოგია კი პირდაპირ ებრძვის ილიასეულ გაგებას ქართლის დედისას, რომელიც იყო „ძუძუ ქართლისა“, „უწინ მამულს რომ უზრდიდა შვილსა“ და „უმზადებდა მომავალ გმირსა“.** მაგრამ, სამწუხაროდ, უმთავრესი მოვალეობა ქართველი ვაჟკაცისა, „წინ გაუძღვეს ჭეშმარიტებას, უკან ჰრჩეს კვალი განათლებული“, დღეს მინავლებულია და თითქმის გამქრალი! და ეს არამც და არამც ქართველი დედის მზრუნველობის ბრალი არ არის, არამედ იმისა, რომ **თავად შვილები, კოსმოპოლიტური, გლობალისტური ძუძუთი ნაზარდნი, გაიხრწნენ და გადაგვარდნენ; აღარც დედ-მამა უყვართ და აღარც — სამშობლო. მსოფლიოს ცის კაბადონზე ავისმომასწავებელი ღრუბელივით დაცურავენ, თავი გაზაფხულის მაუწყებელი მერცხლები ჰგონიათ, სინამდვილეში კი ღამურები არიან, ნათელს რომ გაურბიან, ბნელეთს ეტრფიან და ქვეყნიერების წარღვნას წრიპინით გვაუწყებენ.**

სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ მაინც, დასასრულისკენ უნდა შევაჯამო მარგველაშვილისეული დახასიათება-დიაგნოზები ქართველი ერისა:

**გონებრივად სუსტი, მსუბუქი დებილობის ფორმით; მისი ფსიქიკური განვითარება შეჩერდა გარკვეულ ეტაპზე და ვერ მიაღწია ზრდასრულ ფორმამდე. მას აქვს ზრდასრული ადამიანის ტანი და სუსტი, ადრეული ასაკისთვის შესაფერისი აზროვნება; ქართველი ერი ვერ აღწევს ზრდასრული ინტელექტის საფეხურს, გონებრივი განვითარების ეტაპს და ბავშვის ასაკის დონეზეა დარჩენილი, მისი ცნობიერება არ არის იმ სიმაღლეზე, რომელზეც ხდება პიროვნების სრული გამთლიანება. ამიტომაც აშენებს ისეთ სახელმწიფოს, როგორსაც ბავშვები აგებენ თამაშის დროს. მოკლედ, ის „პამპულაობას“ თამაშობს; ქართველი გამოიყურება ემოციურად, იმპულსურად, მაგრამ სინამდვილეში არის ინფანტილური, რადგანაც მას რაციონალური აზროვნების სუსტი საფუძველი აქვს. ჩვენ ბავშვები ვართ, დავრჩით ბავშვებად და ბავშვების გარემოში ვტრიალებთ. შესაბამისად, ჩვენი ხელოვნებაც იმიტაციის დონეზეა. მაინც მთავარი მიზეზი ჩვენი გონებრივი სისუსტისა ყოფილა ლოთი მამა (რუსეთის იმპერიის სახით) და გადაჭარბებულად მზრუნველი ქართველი დედა, რომლის წყალობით მივიღეთ კაცი ბავშვის ფსიქიკით, ზრდასრული ადამიანის ძირითადი თვისებები — პასუხისმგებლობა და სოციალური აზროვნება რომ არ გააჩნია. მოკლედ, ქართველი ერი ისეა დაავადებული, რომ მისი განკურნება ყოვლად შეუძლებელია.**

ქართველი ერის ეს თავზარდამცემი დიაგნოზი თუ ავადმყოფობის ფურცელი ისეთი გულწრფელობით და შინაგანი მრწამსით არის გაწერილი, რომ ძალაუნებურად გაფიქრებინებს, მის ავტორს ყოველივე ეს განცდილი, გაშინაგანებული ხომ არა აქვს. მეტიც, არ იქნება საფუძველს მოკლებული, თუ ვიფიქრებთ, რომ ეს დასკვნა საკუთარი თავის შესწავლით და თვითშემეცნების შედეგად არის მიღებული. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ის საკუთარ თვისებებს განაზოგადებს, ერის ობიექტურ რეალობად აცხადებს. ეს არის საკუთარი გრძნობის ორგანოებით აღქმული რეალობა, ანუ პერცეფცია. ასე რომ, იმ განუკურნებელი სენით, ქართველ ერს რომ მიაწერს, თავად არის შეპყრობილი. ჩემი დიაგნოზი მისი ავადმყოფობისა ამგვარია: **ჭაობში გაზრდილი ლერწამივით აწოწილი, ტანსრული, ახოვანი, მაგრამ გონებრივად სუსტი, მსუბუქი დებილობის ფორმით; მისი ფსიქიკური განვითარება და აზროვნება შეჩერდა გარკვეულ, ადრეულ ეტაპზე. მაგრამ, სამწუხაროდ, თავის თავზე ზეაღმატებული წარმოდგენა აქვს და ყოვლისმცოდნე ფსიქოლოგ-ფილოსოფოსად მიიჩნევს თავს.** ამის მიზეზი, თუ მის მსჯელობას გავითვალისწინებთ, არის ბავშვის და ზრდის მძიმე და რთული პროცესი, რომელიც ჰორმონების რეგულაციით მიმდინარეობს და ხდება მისი სქესობრივი თუ პიროვნული ჩამოყალიბება: თუ იგი ირღვევა, მძიმე კლინიკურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, ჭაბუკობის ასაკში რომ იჩენს თავს. ახლა ძნელი დასადგენია, როგორ მიმდინარეობდა მისი „სეკვესტრაციის“ პროცესი, მაგრამ ერთი უდავოა, მთლად ნორმალურად არ წარიმართებოდა.

ამას გვაფიქრებინებს თუნდაც **გიორგი მარგველაშვილის ფეთქებადი ხასიათი. როგორც ამბობენ, წამიერად კარგავს თავის კონტროლს, სტრესულ მდგომარეობაში რას იქმს, თავადაც არ უწყის. მაგრამ, თუ მას ვერწმუნებით** (და რომ არ ვერწმუნოთ, ამის საფუძველი არ გაგვაჩნია), **იგი უკიდურეს სტრესულ მდგომარეობაში ამოიღებს ჩანთიდან გორგალს, საქსოვ ჩხირებს და ქსოვას იწყებს.** სხვათა შორის, ამ ხერხით სასურველ შედეგსაც აღწევს, ქსოვა რომ ნერვებს აწყნარებს, ეს ცნობილია ფსიქოლოგიაში. მაგრამ ამგვარი ქმედება, ვგონებ, არ ეგების საქართველოს პრეზიდენტს. **ერთმა უკვე თავი მოგვჭრა მთელ „დუნიაზე“. დაძაბულ სიტუაციაში მიწაზე იფორთხიალა და მერე ჰალსტუხის ჭამა დაიწყო. ამ საქციელმა განსაკუთრებით „დააფრთხო“ რუსი ჯარისკაცები. ახლა ჩვენი „მომავალი“ პრეზიდენტი თუ დაძაბულ ვითარებაში გორგალს ამოიღებს და საქსოვი ჩხირებით ქსოვას დაიწყებს, ამას ექნება უზარმაზარი ფსიქოლოგიური ეფექტი!** ჩვენი მტრები ისე დაფრთხებიან, რომ უმალ იარაღს დაყრიან და უკან მოუხედავად გაქუსლავენ... ვგონებ, ეს უფრო ეფექტური თავდაცვა იქნება, ვიდრე მისი კონკურენტის, ბაქრაძის, სტრატეგიული რჩევა, დანებითა და ჩანგლებით დავგეცვა ჩვენი სამშობლო... მართლაცდა, ძნელად შესაცნობია ადამიანის ფსიქიკის სიღრმისეული შრეები.

და ბოლოს, მთელი სერიოზულობით გეკითხებით თქვენ, **ბატონო გიორგი, მარგინალური ფსიქოლოგიის მკვლევარო, თავად მარგინალო, ნუთუ თქვენ გსურთ ამ დაავადებული, გონებასუსტი, ნახევრადდებილი, განუკურნებელი სენით შეპყრობილი, „მარგინალი“ ერის პრეზიდენტობა?! ეს ხომ თქვენივე დასმული დიაგნოზია და განა ისეთი რა ჯადოქარი აქიმი ბრძანდებით, რომ შეგიძლიათ დაქცეული ქვეყანა და დაავადებული ერი ფეხზე წამოაყენოთ?!** და თუ ეს არ შეგიძლიათ, გვერდზე გადექით და გიჯობთ, წინდების ქსოვას მიჰყოთ ხელი. ვგონებ, ასე უფრო უპრიანი იქნება ქვეყნისთვისაც და ქართველი ერისთვისაც! ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობს ქართველი ხალხის დიდი ნაწილი!..

თუ რამე შემეშალა, არ გეწყინოთ, მომიტევეთ, ნი-ჩურტა, მეც ქართველი ვარ!

**ელიზბარ ჯაველიძე,**
**5 ოქტომბერი, 2013 წ.**

## ლოთი მამის აჩრდილი იმიტომ მოიხმო გიორგი მარგველაშვილმა, რომ ქართველი დედა, ქართველთათვის ყველაზე წმინდა და ამაღლებული სიმბოლო, დაემცრო და მთავარ დამნაშავედ გამოეყვანა

საქართველო და მსოფლიო
მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვაშინგტონის ცენტრში ლეგენდარული ქუჩა კეისტრი ლობიზმის ცენტრია. სწორედ აქ, შეუხედავ, ნაცრისფერ შენობებში, ფასადებზე აბრების გარეშე, საქმიანობენ კომპანიები, რომელთა სახელწოდებაც საქმეში ჩაუხედავ ადამიანებს არაფერს ეუბნება. მაგრამ სწორედ ეს კომპანიები ამ პოლიტიკურ სისტემაში გაცილებით მეტ პრობლემებს წყვეტენ, ვიდრე რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიებიც კი. ამას შეიძლება ვუწოდოთ ლეგალიზებული კორუფცია, ან ამერიკული დემოკრატიის თავისებურებანი. მაგრამ, თუ გსურს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შენი ქვეყნის ინტერესები გაითვალისწინოს, პირველი, რაც უნდა გააკეთო, ფული უნდა მოიტანო მაინცდამაინც აქ.**

# ამერიკის შეერთებული შტატები — სხვა ქვეყნებში გადატრიალებების ორგანიზატორი

ოცდაათი წლის წინათ აქსიომად იყო მიჩნეული, რომ ამერიკა ჯოჯოხეთის ნაშობია, დამპალი დასავლეთია. გაზეთები და ტელევიზია მას რეგულარულად და გააფთრებით ამხელდა, მაგრამ თანდათან, რაც საკუთარი ქვეყნის ხელისუფლებისადმი ნდობა და რწმენა ნელდებოდა, საბჭოთა ადამიანებს გაეღვიძათ თავდაპირველად დაფარული, შემდეგ კი აშკარა სიმპათია გუშინდელი მოწინააღმდეგის — ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ.
ასე იყო საქართველოშიც.
90-იანი წლების ეპოქაში სიმპათია უსაზღვრო სიყვარულის გრძნობად იქცა, სამწუხაროდ, უპასუხო, ცალმხრივ სიყვარულად.



გაგრძელება. დასაწყისი იხ. №38 (225)

**დროა, სიტყვა მივცეთ ნეოკონსერვატორებს. „ამერიკან ენტერპრაის ინსტიტუტში“ არიან ისინი ამჯერად შეკრებილები, მცირე პრეზენტაციაზე, რომელსაც ატარებენ ცენტრალური სადაზვერვო სასამართლოს ექსდირექტორი ჯეიმს ვულსი და ვინმე მაიკლ ლედინი — ამერიკის ადმინისტრაციის ფარული მრჩეველი.**

— ჩანს, ჩვენ უნდა გავაკეთოთ არჩევანი ბომბიან ირანსა და ირანის დაბომბვას შორის, — **ამბობს მაიკლ ლედინი,** — თუ მივხვდებით, რომ საქმე ჩვენს გადარჩენას ეხება და მათ სურთ, თავს დაგვესხან, ჩვენ მათ დავბომბავთ, რა თქმა უნდა. ნებისმიერი პრეზიდენტი ასე მოიქცევა.

— ზოგიერთი ამას მეოთხე მსოფლიო ომს უწოდებს, — **განაგრძობს ჯეიმს ვულსი,** — ყველა მოთქვამს, — მოლაპარაკება და მოლაპარაკებაო. არადა, იყო მოლაპარაკებები დაუსრულებელი. დღეს ჩვენი მტრებია ირანი და სირია, მაგრამ ირანი მდიდარია — მას აქვს ნავთობი.

**ერაყში ომი რომ დაიწყეს, ნეოკოსერვატორებს ერთბაშად რამდენიმე მიზნის მიღწევა ჰქონდათ განზრახული, მაგრამ ყველა მათგანის შესახებ საჯაროდ არ განუცხადებიათ.** მათ შორის ერთ-ერთი, **ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის — სტივენ ვოლტის** აზრით, იყო **დემოკრატიის ძალადობითი გავრცელება და უსაზღვრო ერთგულება ისრაელის ინტერესების,** რასაც კვერს უკრავს **მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორი**

**ნოამ ჩომსკი:**

— აშშ საოცრად რელიგიური საზოგადოებაა, სადაც, არსებული მონაცემებით, მოსახლეობის რაოდენობა, რომელიც რადიკალურ რელიგიურ მრწამსს მისდევს, წარმოუდგენლად დიდია. პირველი ამერიკელი კოლონისტები ფანატიკურად მორწმუნენი იყვნენ და ასევე ფანატიკურად ხოცავდნენ „ველურებს“.

— 80-იანი წლებიდან ულტრამემარჯვენე ორგანიზაციებმა ისრაელში შეკრეს ალიანსი ამერიკელ მემარჯვენეებთან, — **ამბობს პოლიტმიმომხილველი მაქს ბლუმენტალი,** — იმათთან, ვისაც თეთრკანიან ამერიკელ პროტესტანტებს უწოდებენ. ამ ადამიანებს ბრმად სჯერათ, რომ მალე დადგება განკითხვის ჟამი, დაბრუნდება ქრისტე და მოხდება საყოველთაო გაქრისტიანება. არმაგედონამდე, მათი აზრით, კაცობრიობა მარტივი არჩევანის წინაშე დგას — ირწმუნოს, ან დაიღუპოს.

**2007 წლის ივლისში ვაშინგტონში გაიმართა კერძო ღონისძიება, რომელზეც 5 ათას კაცზე მეტი შეიკრიბა. მათი მთავარი ამოცანა შემონაწირის შეგროვება იყო, მთავარი თემა — მოსალოდნელი მეორედ მოსვლა და ირანთან ომი. სტუმრებს შორის ბუშის ადმინისტრაციის ათობით ცნობილი წევრი იყო, მაგალითად, სენატორი ჯონ ლიბერმანი და კონგრესში რესპუბლიკური პარტიის ყოფილი ლიდერი ტომ დილეი.**

ჟურნალისტის შეკითხვას, აქ რამ მოგიყვანათ და რა გავლენა ექნება თქვენს პოლიტიკაზე, რომელიც ისრაელი მხარდაჭერას გულისხმობს, შეკრებას, ასევე, ქრისტეს გამოცხადებას, ამ უკანასკნელმა უპასუხა, რომ იგი ამისთვის ცხოვრობს,

„იმედი მაქვს, რომ ეს მოხდება ხვალ, ამიტომ ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ“.

ეს რწმენა თამაში არ არის, ესაა უზარმაზარი მექანიზმი, რომელმაც ბუში ხელისუფლების სათავეში მოიყვანა.

ცნობილია, რომ აშშ-ში პრეზიდენტის არჩევნებზე ხმას აძლევს მოსახლეობის 50 პროცენტზე ნაკლები და ეს რელიგიური ფენა — უკიდურესად მემარჯვენე ქრისტიანები, შეიძლება, 13 პროცენტიც არ იყოს, მაგრამ ისინი ყოველთვის მონაწილეობენ არჩევნებში, თითოეული მათგანი ძალიან აქტიურია.

— ეს ადამიანები არამარტო მომხრენი არიან ირანის დაბომბვის, არამედ ამ ქვეყანაზე ბირთვულ თავდასხმას უჭერენ მხარს, თანაც დაუყოვნებლივ. ეს, შესაძლოა, ეფარდება მათ რელიგიურ მრწამს, — **მიიჩნევს მაქს ბლუმენტალი.**

**ვილიამ ენგლადი, ეკონომისტი და მწერალი** პირდაპირ ამბობს, რომ ისინი პროპაგანდას უწევენ ირანის, ერაყის, სირიის წინააღმდეგ ომის გაჩაღებას, საუდის არაბეთის წინააღმდეგაც კი. მათ ეს სურთ იმიტომ, რომ ბოლო ბრძოლაში არმაგედონის დროს, როცა მუსლიმთა წინააღმდეგ ომში ჩაებმებიან, ყველაზე უფრო თავდადებული ქრისტიანები მოულოდნელად ზეცაში აღევლინებიან.

— ეს აშშ-ში ყველაზე უფრო გავრცელებული მითია, — **ადასტურებს მხატვარი ჯოელ პელეტიე,** — სერიოზულად სჯერათ ამისი, აბსოლუტურად. ფლორიდაში ადამიანები მანქანების საბარგულებს აწებებენ სტიკერებს — „თუ ზეცად აღვევლინები, გაუფრთხილდით ჩემს მანქანას“. არსებობს ამერიკის ავიახაზების მფრინავების ასოციაცია, რომლის წევრებს სჯერათ, რომ რეისის შესრულებისას ზეცად აღევლინებიან და თვითმფრინავი უმართავი გახდება. მგზავრები კი მიწას დაენარცხებიან და დაიღუპებიან. მაგრამ ეს ნორმალურადაა მიჩნეული.

— ეს ყველაფერი ბოდვასავითაა, — **განაგრძობს მაქს ბლუმენტალი,** — ნამდვილი ბოდვაა. როცა ამ ადამიანებიდან ვინმეს დაელაპარაკები, გეგონება, რომ ისინი ნარკოტიკების გავლენას განიცდიან. პრობლემა ის არის, რომ მათი რაოდენობა მილიონობითაა.

**ჟურნალისტს ერთ-ერთმა დაბეჯითებით უპასუხა, რომ იგიც და მისი მეგობრებიც ელოდებიან ქვეყნის დასასრულს, რომელიც ეს-ესაა მოხდება და ისინი შეებრძოლებიან ანტიქრისტეს.**

**ხანდაზმული ცოლ-ქმარი იმდენად დარწმუნებულები არიან ამ მოვლენის გარდუვალობაში, რომ ხუმრობაგაშვებით ეუბნებიან ჟურნალისტს, უკვე გამზადებული გვაქვს ჩემოდნებიო.**

ჟურნალისტი ირონიულად ჩაურთავს:

— მაშინ მე თქვენს მანქანას წავიყვან.

— სიამოვნებით, — მიიღებს პასუხად, — წაიღეთ ყველაფერი, რაც გაგვაჩნია.

რწმენა თუ სხვა რამ? მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ ეს არის იმ მოვლენის მოულოდნელი მხარე, რომელსაც ამერიკაში პოლიტიკური ლობიზმი ეწოდება.

— **ამერიკის პოლიტიკა ეყრდნობა ლობისტურ ჯგუფებს,** რომლებიც შეიძლება იყვნენ ფერმერები, მონადირეები, ფარმაცევტული კომპანიები, ან სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები — კუბელები, სომხები, ინდოელები. ერთნი ლობირებენ პოლიტიკას, რომელიც კუბისკენაა მიმართული, მეორენი — აზერბაიჯანის მიმართ, მესამენი — პაკისტანის მიმართ, — **ამბობს პროფესორი სტივენ ვოლტი.**

**პროფესორი ნოამ ჩომსკი** აკონკრეტებს:

— სომხურ ლობის შეუძლია კონგრესში განსახილველად დააყენოს საკითხი სომხების გენოციდის შესახებ, რაც ძალიან ართულებს აშშ ურთიერთობას თურქეთთან. უკრაინულ-პოლონური ლობი ძირითადად პასუხისმგებელი იყო კომუნიზმთან და საბჭოთა კავშირთან ბრძოლის პრობლემაზე.

**ვაშინგტონის ცენტრში ლეგენდარული ქუჩა კეისტრი ლობიზმის ცენტრია. სწორედ აქ, შეუხედავ, ნაცრისფერ შენობებში, ფასადებზე აბრების გარეშე, საქმიანობენ კომპანიები, რომელთა სახელწოდებაც საქმეში ჩაუხედავ ადამიანებს არაფერს ეუბნება. მაგრამ სწორედ ეს კომპანიები ამ პოლიტიკურ სისტემაში გაცილებით მეტ პრობლემებს წყვეტენ, ვიდრე რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიებიც კი. ამას შეიძლება ვუწოდოთ ლეგალიზებული კორუფცია, ან ამერიკული დემოკრატიის თავისებურებანი. მაგრამ, თუ გსურს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შენი ქვეყნის ინტერესები გაითვალისწინოს, პირველი, რაც უნდა გააკეთო, ფული უნდა მოიტანო მაინცდამაინც აქ.**

პოლიტიკა აქ დიდ სათამაშო ავტომატსა ჰგავს. რომ ითამაშო, საკმარისი არ არის, იყიდო ჟეტონები, უნდა იცოდე, სად უნდა ჩატენო, თუმცა მოგების გარანტიას მაინც ვერავინ მოგცემს. შეიძლება დახარჯო მილიარდები და არავითარი შედეგი არ მიიღო. თუ რამის მიღწევა გსურს, მოგიწევს, ითამაშო და ეს თამაში ათეულობით წელიწადია, რაც გრძელდება. თამაშობენ უცხოეთის ქვეყნები, კორპორაციები, პარტიები და პროფკავშირები, არმიები, სპეცსამსახურები, ლტოლვილები, დისიდენტები და ოპოზიციონერები, ყველანი ერთ მოედანზე თამაშობენ.

რა წესებით?

ერთ-ერთი ლობისტური კომპანიის დირექტორი **ჯეიმს ჯატრასი** შეეცდება, ცოტათი მაინც გაგვარკვიოს თამაშის წესებში:

— აი, მაგალითად, ალბანური ლობი აშშ-ში ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავლენიანია. ათწლეულებია, რაც კონგრესში მუშაობს. სერბები კი, პირიქით, ერთმანეთს ძალიან მოწყვეტილები არიან. მათ სჯერათ, რომ სიმართლე, თვითონ გაიმარჯვებს. მაგრამ ეს ასე არ არის. სიცრუე, თუ მისთვის ფულს გადაიხდი, გაიმარჯვებს.

**ჟურნალისტი ეკითხება:**

— გამოდის, მილოშევიჩს დროზე რომ გადაეხადა საკმარისი თანხა ლობისტური ფირმისთვის, ბელგრადს არ დაბომბავდნენ?

**პასუხი:**

— შეიძლება აქ განწყობილება ცოტათი შეცვლილიყო, მაგრამ ომის დაწყების წინ ლობისტურ კომპანიებს კანონით აუკრძალეს აეღოთ ფული სერბებისგან.

**ეთნიკურ ლობის შეუძლია გავლენა იქონიოს ამერიკის მთავრობაზე, — თუ დამკვეთის პოზიცია მეტნაკლებად ემთხვევა ადმინისტრაციის პოლიტიკას. მაგალითად ისრაელის ლობი ძლიერია იმიტომ, რომ მხარს უჭერს იმ კურსს, რომელიც ისედაც არსებობს. თუ ლობის ინტერესები სახელმწიფოს ინტერესებს არ დაემთხვა, ლობი ვერაფერს გააკეთებს.**

მაშ, ვინ მართავს ამ დიდ ავიამზიდს, დემოკრატიის გავრცელების ამ მანქანას? ვინ დგას საჭესთან, რომელი ძალები წყვეტენ ნატოში მიღება-არმიღების საკითხს? სად განლაგდება ახალი რაკეტები და ვისზე იქნება ისინი დამიზნებული?

რით ხელმძღვანელობს იმპერია — მატერიალური გამორჩენით თუ რაღაც უზენაესი იდეით?

— იდეოლოგია უნაცრი სიტყვაა, — **ლაპარაკობს სპეცსამსახურის ყოფილი ოფიცერი რეი მაკჰოვენი,** — ერთის მხრივ ჩვენ ვამბობთ, რომ ვისწრაფით ვმართოთ ყველაფერი, მაგრამ ადამიანებს აღარ ახსოვთ, როცა ბუში აირჩიეს, პრობლემა ნომერი პირველი იყო არა ტერორიზმი, არამედ დაბრკოლებები ენერგომომარაგებაში, ბლოკაუტი დასავლეთ სანაპიროზე, ახალ ინგლისში, ლონდონში. და ამ დროს აშშ-მ დაიწყო ნავთობის იმპორტირება იმის ნახევარზე მეტი მოცულობის, რომელსაც ჩვენ თვითონ მოვიხმართ. პირველი, რაც ბუშმა გააკეთა, დიკ ჩეინის დაავალა შეექმნა მუშა ჯგუფი ამ პრობლემის გადასაწყვეტად. იცით, როგორ გადაწყვიტეს ეს საკითხი? იყო ასეთი ქვეყანა, ერაყი...

**ამერიკის პროვინცია, პენსილვანია. აქ სილამაზე და სიმშვიდეა. ცხოვრება დუნედ მიმდინარეობს, კეთილდღეობა უზრუნველყოფილია. ნახევარი საუკუნეა და ცოტა მეტიც, რაც სერიოზულ ძვრებს აქ ადგილი არ ჰქონია. აქაურებმა არ იციან, სად არის, მაგალითად, საფრანგეთი ან ჩინეთი, ან ერაყი. მაგრამ აქ ფუნქციონირებს სუპერმარკეტი, სადაც ყოველთვის შეიძლება იყიდოთ ფრანგული ღვინო, ჩინური ტანსაცმელი. აქვეა ორი ბენზინგასამართი სადგურიც.**

**ნავთობის ყოველდღიური მოპოვება მსოფლიოში 80 მილიონ ბარელს უდრის. აქედან 20 დაუყოვნებლივ მიდის აშშ-ში. ამ მოცულობიდან ამერიკა მხოლოდ მეოთხედს მოიპოვებს, დანარჩენს ყიდულობს. ყოველ-** ▶

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოში პოლიტიკოსები ინტერვენციას ერთსულოვნად ემხრობიან. ამ ქვეყნის ორი მთავარი პოლიტიკური მოწინააღმდეგე, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და პრემიერმინისტრი ბიძინა ივანიშვილი, ერთ პოზიციაზე არიან. ამ წლის აგვისტოში ორივემ დაუჭირა მხარი ამერიკულ ინტერვენციას. ეს შეიძლება უჩვეულოდ ჩანდეს ქართულ-ირანული ურთიერთობის ფონზე, რომელშიც შეიმჩნევა დათბობის ტენდენცია.**

◀ **დღიურად ამერიკის გზებზე გადის 200 მილიონი ავტომობილი. ეს მსოფლიოში ამ სატრანსპორტო საშუალების ერთი მესამედია. ერთ დღე-ღამეში ამერიკელი შოფრები წვავენ იმდენ ბენზინს, რამდენსაც 20 დიდი ქვეყანა ერთად აღებული. აბსოლუტურ ციფრებში ამერიკა მოიხმარს მსოფლიოში გამომუშავებული ენერგიის 26 პროცენტს. ერთი ამერიკელი მოიხმარს იმდენ ენერგიას, რამდენსაც ორი იაპონელი, ექვსი მექსიკელი, ან ოცდათერთმეტი ინდოელი.**

**რით ანაზღაურებენ ასეთ გიგანტურ ენერგიას?**

— 1971 წლიდან, როცა პრეზიდენტმა ნიქსონმა უარი თქვა დოლარის ოქროს სტანდარტისთვის მიბმაზე, ეს მდგომარეობა მხარდაჭერილია მხოლოდ აშშ-ის სამხედრო მანქანის მიერ, — **ამტკიცებს ვილიამ ენგდალი, ეკონომისტი,** — ამერიკის ეკონომიკა დალპა. იგი მხოლოდ ვირტუალურ საქონელს აწარმოებს. უზარმაზარი საწარმოები გადატანილია ჩინეთში, მექსიკაში, აღმოსავლეთ ევროპაში. ქვეყანა, რომელიც მსოფლიო წარმოების ლიდერი იყო, გაკოტრების პირას არის მისული.

— აშშ იაპონიისა და ჩინეთის ცენტრალურ ბანკებზე ხდება დამოკიდებული, — **აღნიშნავს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი კონსულტანტი ჩელმერს ჯონსონი,** — რომლებიც ყოველდღიურად გვიგზავნიან უზარმაზარი ოდენობის ფულს, რათა შევძლოთ შევინარჩუნოთ მოხმარების ჩვეული დონე. ხვალ რომ მოსწყინდეთ? რა მოხდება, მაგალითად, საუდის არაბეთის მთავრობამ ხვალ რომ მოითხოვოს მასთან ანგარიშსწორება ევროთი? ამერიკის ეკონომიკა იმავე დღეს შეწყვეტს არსებობას.

**კორპორაციები აკონტროლებენ ყველაფერს: ისინი ნიშნავენ პოლიტიკოსებს, ირჩევენ კონგრესს, ყიდულობენ არჩევნებს. მათი გავლენა უსაზღვროა.**

ავიღოთ მაგალითად ნავთობი.

— ბუნებაში არ არსებობს ნავთობის ლობი. რადგან ყველა ეს კორპორაცია ამერიკის მთავრობის ნაწილია, — **ამტკიცებს პროფესორი ნოამ ჩომსკი,** — მაგალითად, აშშ სახელმწიფო მდივანს ძალიან ხშირად ამ კორპორაციების ხელმძღვანელებიდან ირჩევენ.

— აშშ-ში ბატონობს რწმენა, — **აცხადებს ჟურნალისტი რობერტ დრეიფუსი,** — რომ ეკონომიკის კერძო სექტორი, სამეწარმეო თავისუფლება არის ფასეულობა ნომერი პირველი. იგი პოლიტიკურ ფასეულობაზე უფრო მეტია. და **თუ რომელიმე ქვეყანა ცდილობს, კონტროლი დააწესოს სტრატეგიულ დარგებზე, აშშ თავის ამოცანად თვლის, ნებისმიერი საშუალებით დაუბრუნოს ეს დარგები დასავლეთის კორპორაციებს.**

**მაგრამ ყველა მთავრობა როდი ეგუებოდა ამ მდგომარეობას.**

**ამის თაობაზე მომდევნო ნომერში ვისაუბრებთ.**

**დასასრული იქნება**

# სირიის სამოქალაქო ომმა შეიძლება კავკასიაში დესტაბილიზაცია გამოიწვიოს

**თითქოს უცნაურია ის, რომ სირიის სამოქალაქო ომს შეიძლება გამოხმაურება ჰქონდეს ამ ქვეყნის საზღვრებიდან ასე მოშორებით — სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოებში. მართალია, მათ სირიასთან საერთო საზღვრები არ აქვთ, მაგრამ უამრავი რამ აკავშირებთ ახლო აღმოსავლეთთან და, კერძოდ, სირიასთან.**


The AMERICAN INTEREST
Home Subscribe Via Meadia Fukuyama Berger
Syria's Civil War Could Destabilize the Caucasus
SERGEY MARKEDONOV
The situation in Syria today, now occupying the top slot on the international agenda, is about more than just the U.S.-Russia political compromise on chemical weapons. It is also about the interethnic and sectarian tensions driving Syria's civil war. These tensions are echoing well beyond Syria itself, into the countries of the Greater Caucasus region, where it could easily create new risks and challenges for the United States, Russia and the world.
http://www.the-american-interest.com/article.cfm?piece=1506

სამხრეთ კავკასიის ქვეყნები ესაზღვრებიან ირანს და თურქეთს. ირანს საზღვარი აქვს სომხეთთან და აზერბაიჯანთან (მათ შორის, გასასვლელი მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკაში), რომლის სიგრძეც 600 კილომეტრს აჭარბებს. თურქეთის საზღვრების საერთო მანძილი სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებთან დაახლოებით 500 კილომეტრია და დღეს ამ ქვეყანაში ცხოვრობს 2,5-დან 7 მილიონამდე კავკასიური ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელი. დემოგრაფიული და გეოგრაფიული კავშირების გარდა, ირანისა და თურქეთის მთავრობები აქტიურად მონაწილეობენ სირიის საქმეებში. ირანი თანმიმდევრულად უჭერს მხარს ბაშარ ალ-ასადის რეჟიმს, ხოლო თურქეთი აქტიურად ემხრობა რეჟიმის დამხობას და მზადაა, აშშ-ის მეთაურობით მონაწილეობა მიიღოს ინტერვენციაში, საკუთარი ინტერვენციაც კი განახორციელოს.

**სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს და მათ მეზობლებს შორის ურთიერთობებში რთული დინამიკაა. თურქეთი აზერბაიჯანის სტრატეგიული მოკავშირეა. ის ბაქოს მხარს უჭერს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში და არ აქვს დიპლომატიური ურთიერთობა სომხეთთან. სერიოზული დაძაბულობით გამოირჩევა აზერბაიჯან-ირანის ორმხრივი ურთიერთობებიც, მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ ქვეყანას შორის მაღალი რელიგიური სოლიდარობაა, ოფიციალური ბაქო მუდმივად აკრიტიკებს ირანს აზერბაიჯანში რადიკალური ისლამისტური ძალების მხარდაჭერის გამო. ორმხრივ ურთიერთობებში მტკივნეულია სამხრეთ (ირანული) აზერბაიჯანის საკითხი.**

თეირანი ყველაზე დიდ საფრთხედ აფასებს ამერიკელების ყოფნას კასპიის და სამხრეთ კავკასიის რეგიონში. თეირანს არ მოსწონს სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა აზერბაიჯანსა და ისრაელს შორის, განსაკუთრებით კი, ირანზე ან სირიაზე სამხედრო დარტყმისთვის აზერბაიჯანის ტერიტორიის გამოყენების შესაძლებლობა.

**დიდ კავკასიას და ახლო აღმოსავლეთს ამერიკის სამხედრო თანამშრომლობა ამ რეგიონის ბევრ ქვეყანასთან აკავშირებს. აღსანიშნავია, საქართველო-აშშ-ის სტრატეგიული თანამშრომლობა. დღეს ქართული სამხედრო კონტინგენტი ავღანეთში 1500 სამხედრო მოსამსახურეს მოიცავს, რაც ყველაზე მსხვილი წარმომადგენლობაა ნატოს არაწევრ ქვეყნებს შორის. საქართველო მონაწილეობდა ასევე ერაყის საბრძოლო მოქმედებებში.**

კავკასიის ქვეყნები, უკვე 20 წელიწადზე მეტია, დამოუკიდებლები არიან, მაგრამ ზოგადი ვითარება რეგიონში სტაბილური არ არის. პოსტსაბჭოთა სივრცის რვა ეთნოპოლიტიკური კონფლიქტიდან, ექვსი ამ რეგიონში მოხდა. მკვლევარები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ გეოპოლიტიკურ სიტუაციას კავკასიაში, მაგრამ ძირითადად ისინი მას ამერიკულ-რუსული კონკურენციის პრიზმაში განიხილავენ.

**საქართველოში პოლიტიკოსები ინტერვენციას ერთსულოვნად ემხრობიან. ამ ქვეყნის ორი მთავარი პოლიტიკური მოწინააღმდეგე, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და პრემიერმინისტრი ბიძინა ივანიშვილი, ერთ პოზიციაზე არიან. ამ წლის აგვისტოში ორივემ დაუჭირა მხარი ამერიკულ ინტერვენციას. ეს შეიძლება უჩვეულოდ ჩანდეს ქართულ-ირანული ურთიერთობის ფონზე, რომელშიც შეიმჩნევა დათბობის ტენდენცია. 2010 წელს, პროამერიკელი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის, ძალისხმევის წყალობით, თბილისი და თეირანი უვიზო რეჟიმზე შეთანხმდნენ, მაგრამ საქართველო ისრაელის ურთიერთობები, განსაკუთრებით ფუქსი-ფრენკელის საქმის შემდეგ, სერიოზულად გაუარესდა.**

**აზერბაიჯანის პოზიცია სირიასთან დაკავშირებით ფრთხილია. თუკი აზერბაიჯანი სირიასთან დაკავშირებით საბოლოო და შეუქცევად პოზიციას დაიკავებს, ეს ირანთან მის დაძაბულობას კიდევ უფრო გაამწვავებს.**

**სომხეთს ახლო აღმოსავლეთთან დაკავშირებით განსაკუთრებული ინტერესი აქვს. იმიტომ, რომ სირიაში სომეხთა თემი ცხოვრობს.** სექტემბერში სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა განაცხადა, რომ მისი ქვეყნის უსაფრთხოება პირდაპირ არის დაკავშირებული სირიის მოვლენებთან. სხვა მნიშვნელოვანი საკითხი – სირიის ინტერვენციაში თურქეთის მონაწილეობის მზადყოფნაა. რაც ცუდ პრეცედენტს ქმნის სომხეთისთვის, რომელსაც არ აქვს თურქეთთან დიპლომატიური ურთიერთობა. ამგვარმა დინამიკამ დაარწმუნა სომხეთის ხელისუფლება, გაწევრიანებულიყო საბაჟო კავშირში იმის ნაცვლად, რომ ევროკავშირთან ინტეგრაციის კურსი შეენარჩუნებინა.

**რუსეთი განსაკუთრებული შემთხვევაა. მოსკოვისთვის სირია გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ კავკასიის ფაქტორი. რუსეთი ეწინააღმდეგება უცხოურ სამხედრო ინტერვენციებს და სტატუსკვოს შენარჩუნება იდეალურად არა, მაგრამ მაინც საუკეთესო ვარიანტად მიაჩნია.** მიუხედავად ამისა, კავკასია რუსეთის სირიულ პოლიტიკაში მოტივაციის მნიშვნელოვანი ნაწილია. მოსკოვის აზრით, ეს ყველაფერი კიდევ უფრო გაზრდის დესტაბილიზაციას რუსეთის არასტაბილურ კავკასიურ ნაწილში. კატარი უკვე ეხმარება სირიის ოპოზიციას; **რუსეთი ვერ დატოვებს უყურადღებოდ იმ ფაქტს, რომ სირიული რეჟიმი, რომელშიც ალავიტები დომინირებენ, მრავალი წლის განმავლობაში აკავებდა რადიკალურ ისლამისტურ დაჯგუფებებს.**

დღეს უამრავი დებატი მიმდინარეობს იმის თაობაზე, თუ ვინ არის ყველაზე მეტად დამნაშავე სირიულ კრიზისში, მაგრამ პოლიტიკური კურსი, რომელიც ამ დებატების საფუძველზე შეიძლება ჩამოყალიბდეს, უნდა გატარდეს იმის გათვალისწინებით, რომ **ასადის რეჟიმის მარცხი სერიოზულად აისახება სირიის საზღვრებიდან მოშორებით — კავკასიასა და მის მიმდებარე რეგიონებზე.**

**სერგეი მარკედონოვი**
The American Interest

# მე, ერთ რიგით მოქალაქეს, ძალიან მომწონს...

**მომწონს, მომწონს ის, რაც დღეს საქართველოში ხდება. მომწონს, რომ ამ მრავალწლიანი უსასოობიდან გამოგვიყვანა კაცმა, რომელიც სიტყვას არ ტეხს, კაცმა, რომელმაც თავი არ დაზოგა, არაფერს შეეპუა, უშიშრად და ყველა წესისა და ადამიანურ მცნებათა დაცვით შეასრულა დანაპირები, არაფერი მოუტყუებია, უანგაროდ გააკეთა ის, რაც საჭიროდ ჩათვალა. ვთვლი, რომ საქართველოში მართლაც სასწაული მოხდა.**

თუ ვინმე გულუბრყვილობად ჩათვლის ასეთ შეფასებას, მისი ნებაა, შეუძლია გაიცინოს, მაგრამ ის, რაც ამ სიცილის მიღმა იმალება, სასოწარკვეთაა, სასოწარკვეთამ კი, შესაძლოა, სავალალო შედეგებამდე მიიყვანოს ადამიანის სული და მისი ფსიქიკა. დიახ, სასოწარკვეთილია ადამიანი, რომელიც იმ სამყაროში არსებობს, რომელშიც არავინ, სრულიად არავინ ეგულება ისეთი, ვისაც შეიძლება ენდოს, არავინაა კეთილი ან ბოლომდე უანგარო. რამხელა სასჯელია, როგორ იტანჯება კაცი, როცა ვერაფრით იჯერებს, რომ არიან, იქნებ ცოტანი, მაგრამ მაინც არიან ადამიანები, რომლებიც უსასყიდლოდ, მხოლოდ სიყვარულის სახელით მოქმედებენ და იღვწიან... როგორი მარტოსული და მიუსაფარი ხარ, როდესაც ცხოვრობ გამუდმებული ეჭვებისა და თავდაცვის რეჟიმში.

**მე, ერთ რიგით მოქალაქეს, მომწონს, ბიძინა ივანიშვილის ეს ღია გამოსვლები და შეხვედრები ექსპერტებთან თუ ჟურნალისტებთან, რადგან საკუთარი თვალით შემიძლია დავინახო და თვითონ განვსაზღვრო, ვინ იმსახურებს მეტ სიმპათიას; საქმის კურსში ვიყო, რას აკეთებენ ეს ადამიანები, რა პრეტენზიები და ამბიციები გააჩნიათ, რას ითხოვს მათგან პრემიერმინისტრი და მე თვითონ გადავწყვიტო — ეს მოთხოვნა მისაღებია თუ არა. ასეთი ფუფუნება არასდროს გვქონია.**

**მომწონს ის, რომ ბიძინა ივანიშვილს საჯაროდ შეუძლია საყვედურის თქმაც და მოსმენაც... ეს ადამიანი მართალია.**

**ამასთან, ისიც მომწონს, რომ ბიძინა ივანიშვილი მიდის პოლიტიკიდან, რადგან ესეც დასტურია, რომ იგი სიტყვის კაცია, დასტურია იმისა, რომ მას არ სჭირდება ფსევდოდიდება და ძალაუფლება, მისი პატიოსნების დასტურია.**

**მომწონს ისიც, რომ „საძულველ" ადამიანებზე სიყვარულით ლაპარაკი შეუძლია, მათი მანკიერების გარდა, მათი დადებითი მხარეების დანახვა და დაფასება შეუძლია, შურისგების სურვილზე გამარჯვება შეუძლია, ბოლოს და ბოლოს, მიტევება და მტრის სიყვარული შეუძლია.**

მის მიერ შემოთავაზებული პრეზიდენტობის კანდიდატი (და დარწმუნებული ვარ — მომავალი პრეზიდენტი) **გიორგი მარგველაშვილი** ჭკვიანი, საქმის მცოდნე, უნარიანი ორგანიზატორი, თავმდაბალი ადამიანია. ყველაზე მეტად კი ის მახარებს, რომ ის ჩვეულებრივი მოკვდავია და არ არის იმ „ქარიზმატულ შარავანდედში" გახვეული, რომელმაც არაერთხელ დაგვაბნია და ბევრჯერ საბედისწერო შეცდომამდე მიგვიყვანა ქართველები. **გიორგის ერთი ყველაზე მთავარი — სათნოება გააჩნია, რაც პირადად ჩემში სიმყარის განცდას ბადებს, ის პატიოსანი და მართალი ადამიანია. საზოგადოების უდიდესი ნაწილი მიხვდა, — დღეს საქართველოს აღარ სჭირდება გულზე მჯიღის ცემით მოსული დემაგოგი, მას ისეთი მეთაური სჭირდება, რომელიც გვერდით დაუდგება საკუთარ ხალხს და მის ინტერესებს დაიცავს.**

დანარჩენი ჩვენზეა დამოკიდებული. მგონი, დადგა დრო, გავაცნობიეროთ, რომ ერთი კაცის იმედად ვერ ვიქნებით...და თითოეულმა ჩვენი საქმე ვაკეთოთ. უწინარეს ყოვლისა, თავი დავანებოთ ამ გაუთავებელ კაზუისტიკას, ერთმანეთის სიტყვების ამაო გამოდევნებას და მათ დამახინჯებულ ინტერპრეტაციას. ნუ მოვწამლავთ ერთმანეთს ზიზღითა და აგრესიით, არამედ გავუფრთხილდეთ იმ ღვთიურ არსებას, ადამიანი რომ ჰქვია სახელად.

**მაკა ჩარკვიანი**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების თანდაყოლილი პრობლემა ისაა, რომ ის მოწოდებულია პლუტოკრატიის დასაცავად, მდიდართა ბატონობის დასაცავად და ამას აკეთებს ნაწილობრივ იმ ბიზნესმენებისა და ადვოკატების დახმარებით, რომლებიც საკმაოდ არიან წარმოდგენილნი საკანონმდებლო ორგანოებში.**

# უთანასწორობა დემოკრატიას შეუძლებელს ხდის



**ზოგიერთი აშშ-ის ხელისუფლებას უძლურს უწოდებდა. ის ფანატიკური, არაეფექტური და იმ ადამიანების სურვილებისა და მოთხოვნილებების მიმართ უემოციოა, რომელთა მსახურებაც უნდა იყოს მისი მოწოდება.**

ამერიკა გულისხმობს ხალხისგან მინიჭებულ ხალხის ძალაუფლებას ხალხისვე სასიკეთოდ. მაგრამ, ნაცვლად ამისა, ახლა ამერიკელებს ჰყავთ ბიზნეს-ლობისტები კორპორაციებისთვის, გენერალური დირექტორებისთვის და მაღალანაზღაურებადი ადვოკატებისთვის. **ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების თანდაყოლილი პრობლემა ისაა, რომ ის მოწოდებულია პლუტოკრატიის დასაცავად, მდიდართა ბატონობის დასაცავად და ამას აკეთებს ნაწილობრივ იმ ბიზნესმენებისა და ადვოკატების დახმარებით, რომლებიც საკმაოდ არიან წარმოდგენილნი საკანონმდებლო ორგანოებში.** ძალიან ბევრი ფული — ეს არის ის, რაც სისტემას წამლავს. ხშირად პოლიტიკოსები უერთდებიან უკვე არსებულ კომპანიებს ან ქმნიან საკუთარს, რათა პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ თავიანთი ახალი სიმდიდრე კონგრესში დარჩენილ ძველ მეგობრებზე ზეგავლენისთვის გამოიყენონ. **სისტემა ისეა აწყობილი, რომ უზრუნველყოფილია პლუტოკრატების და არა ადამიანების მმართველობა.**

ფული მთელი კორუფციის საფუძველია და ზოგიერთების ხელში მისი დიდი რაოდენობით კონცენტრაცია არის ის, რამაც დიდი დეპრესია, მისი მომდევნო ათწლეული და კატასტროფის ის ახალი ფორმები განაპირობა, რომელთაგანაც ამერიკელებს ჯერაც არ მოუთქვამთ სული.

**პარლამენტის რიგითი წევრის ან კონგრესმენის ახლანდელი ხელფასი დაახლოებით 175 ათას დოლარს შეადგენს. ამას ემატება მსუყე დახმარებები, როგორც პენსია და სამედიცინო დაზღვევა.** მაღალანაზღაურებადი ჩინოვნიკისთვის, რომელიც გარშემორტყმულია ადამიანებით, რომლებიც ასევე ბლომად ფულს შოულობენ, წარმოუდგენლად ძნელია, გაიგოს, როგორ ცხოვრებენ ადამიანები, რომლებსაც მასზე ბევრად ნაკლები შემოსავლით უხდებათ ოჯახების რჩენა. **ამერიკაში მოსახლეობის საშუალო შემოსავალი შეადგენს წელიწადში დაახლოებით 50 ათას 500 დოლარს, რაც ბევრად უფრო ცოტაა, ვიდრე კონგრესმენის ან წარმომადგენელთა პალატის წევრის საშუალო წლიური შემოსავალი.**

ამ უდიდესი უთანასწორობისა და საშუალოსტატისტიკურ ამერიკელზე მისი გავლენის ნაწილი ასახულია გადასახადების გადახდის სისტემაში. გადასახადების გადახდა არავის მოსწონს, მაგრამ **უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში მდიდრებისთვის გადასახადები მნიშვნელოვნად შემცირდა, მათი საშუალო შემოსავალი კი მკვეთრად გაიზარდა.**

თეორია „კეთილდღეობის გაჟონვა ზემოდან ქვემოთ“, რაც რეიგანომიკის ერთ-ერთი დებულება იყო, დიდი ხანია უკუგდებულია — მდიდრების ხელში მოხვედრილ ფულს ახასიათებს ტენდენცია, განაპირობონ სტაგნაცია. **რამდენად მდიდარიც უნდა იყოს მოსახლეობის ერთი პროცენტი, ისინი ვერ შეძლებენ დახარჯონ იმდენი ფული, რამდენიც ეკონომიკის საარსებოდაა აუცილებელი.**

ეკონომიკა მხოლოდ ოქროს უნიტაზებსა და საფონდო სპეკულაციებზე არ არის აგებული — ის აგებულია ადამიანებზე, რომლებიც ძაღლებისთვის ყიდულობენ საკვებსა და შამპონს, რომლებიც ერთკვირიან შვებულებას თავიანთ ბავშვებთან ერთად ატარებენ დისნეილენდში, რომლებიც ყიდულობენ წიგნებსა და სახელმძღვანელოებს... ეკონომიკა იზრდება ჩვეულებრივი ადამიანების ხარჯზე, იმ ადამიანების, რომლებიც თავიანთ ძველ მანქანას ახლით ცვლიან, იპოთეკურ სესხს იღებენ და აიფონებს ყიდულობენ.

**მაშინ, როდესაც მდიდრებს შეუძლიათ, მხარი დაუჭირონ, იმპულსი მისცენ და გააძლიერონ ეკონომიკა, ამას ჩვეულებრივი ადამიანები აკეთებენ — ისინი უზრუნველყოფენ ეკონომიკის გამართულ მუშაობას. ხშირად კონგრესის მრავალი ფუფუნებასა და სიმდიდრეში ჩაფლული პოლიტიკოსი ვერ აღიარებს უთანასწორობასა და პლუტოკრატიის საფრთხეებს.**

გადასახადების სამართლიანი და ეფექტური დაწესების გარეშე ფედერალურ ხელისუფლებას ძალზე მცირე შესაძლებლობები რჩება ვალის გადასახდელად, განათლების სისტემაში ინვესტირების ან ინფრასტრუქტურის აღორძინებისთვის.

**ადამიანთა მცირე ჯგუფის ჯიბეებში დაგროვილი დიდი სიმდიდრის გამო შეუძლებელია ყოველდღიური ცხოვრებისათვის აუცილებელი მიმართულებების განვითარება. პოლიტიკოსთაგან ცოტას თუ ესმის, თუ რა ეფექტს იძლევა მათ ჯიბეში ფულის კონცენტრაცია მათთვის, ვინც ქვედა ფენაზეა და ყველაზე ცოტას გამოიმუშავებს.** შესაბამისად, ისინი არ აქცევენ ყურადღებას მათ პრობლემებს ახალი კანონების მიღებისას ან ლობისტებთან ურთიერთობისას. ეს ძალიან რთულია პოლიტიკოსისთვის — გაიგოს ის, რასთანაც არასდროს ჰქონია შეხება — სიღატაკის შედეგები.

**ახლა აშშ მსოფლიოში თითქმის ყველაზე უთანასწორო ქვეყანაა.**

The Nation

# იაფი ფული — ამერიკული ეკონომიკის ოპიუმი

**ამერიკული ეკონომიკა ნარკოტიკივით შეეჩვია ფედერალური სარეზერვო სისტემის „იაფ“ ფულს. ფინანსური კრიზისის დროიდან ფედერალური სარეზერვო სისტემა ბანკებში და ფინანსურ ბაზრებზე ტრილიონობით დოლარს გზავნიდა, უპირველესად, ბანკების პრობლემური იპოთეკური კრედიტების შეძენის გზით, ასევე გრძელვადიანი სახაზინო ფასიანი ქაღალდების შეძენით და სხვა მეთოდებით. ამან უოლ-სტრიტის ბანკები კლინიკური სიკვდილისგან იხსნა მაშინ, როდესაც ფედერალურმა საკონტროლო ორგანოებმა 480-ზე მეტი შედარებით მომცრო ზომის ბანკი დახურეს.**




ვერ გაუძლეს რა მკაცრ რეგლამენტირებას, მრავალი რეგიონული ბანკი ბაზრის უფრო მსხვილ მოთამაშეებს მიჰყიდეს.

ბანკების შერწყმა ამცირებს ანაბრებზე ბანკებს შორის კონკურენციას და სადეპოზიტო სერთიფიკატის პროცენტს ამცირებს. ამერიკელებმა პენსიაზე უდიდესი დანაკარგები განიცადეს. ახლა მრავალი მანამდე შეძლებული ხანდაზმული ამერიკელი საკურორტო სასტუმროებში ბარმენად ან ოფიციანტად მუშაობს.

**შემოსავლებს მოწყურებული ინვესტორები შეესივნენ პრობლემური კომპანიების გაიაფებულ ობლიგაციებს. თუ ფედერალური სარეზერვო სისტემა საპროცენტო განაკვეთს გაზრდის საშუალებას მისცემს, ფინანსური კრიზისის განმეორების შემთხვევაში ინვესტორები დეფოლტებზე ხელს დაიწვავენ.**

სახლების მყიდველებმა, ფერმერებმა და სპეკულიანტებმა, რომლებიც აღჭურვილნი იყვნენ იაფფასიანი იპოთეკური კრედიტებით, სახლების და სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების ფასები გაზარდეს და თუ ფედერალური სარეზერვო სისტემა იპოთეკური კრედიტების საპროცენტო განაკვეთებს გაზრდის, უამრავი ადამიანი ვერ შეძლებს საჭიროების შემთხვევაში ქონების გაყიდვას და ბოლოს და ბოლოს კრედიტის დაბრუნებას.

შედარებით წვრილი კომპანიები კრედიტს ვერ იღებენ გაქრობის პირას მყოფი რეგიონული ბანკებისგან. წვრილმანი მშენებლები თავიანთ ბიზნესს მსხვილ ნაციონალურ სამშენებლო ორგანიზაციებზე ყიდიან, ამ უკანასკნელთ კი შეუძლიათ მიმართონ ფინანსური ვალდებულებების ბაზარს საკუთარი პროექტების დასაფინანსებლად. კონკურენციის შემცირება ზრდის ახალ სახლებზე ფასებს, მაგრამ, როდესაც „იაფი“ ფული გათავდება, ეს მეგა-მშენებლები ვერ შეძლებენ კრედიტებით დამძიმებული სახლების გაყიდვას, ზოგიერთები კი საკუთარი ობლიგაციების გამო გამოაცხადებენ დეფოლტს.

**იაფმა ფულმა ეკონომიკას საშუალება მისცა, დროის მოკლე მონაკვეთში გარკვეულწილად უკეთ ემუშავა. ეკონომიკის გამოცოცხლებიდან გასული წლის სექტემბრამდე საერთო შიდა პროდუქტი მოკრძალებული 2,2%-ით გაიზარდა.**

მაგრამ, როგორც ნარკომანების შემთხვევაში ხდება ხოლმე, მას სულ უფრო მეტი დოზა სჭირდება მუშაობის გასაგრძელებლად. **გასული წლის სექტემბერში ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ თითქმის გააორმაგა გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდების შეძენა, მაგრამ იმ დროიდან ეკონომიკური ზრდა 1%-მდე შენელდა.**

ივნისის დასაწყისში ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელმა ბენ ბერნანკემ პანიკა გამოიწვია მხოლოდ იმის თქმით, რომ, ვინაიდან ეკონომიკის მდგომარეობა გაუმჯობესდა, ფედერალური სარეზერვო სისტემა შეამცირებდა ფასიანი ქაღალდების შეძენას. ორი კვირის შემდეგ იგი იძულებული გახდა, განეცხადებინა, რომ იაფი ფულის დინება გაგრძელდება მანამ, ვიდრე საჭირო იქნება, ეს კი შესაძლოა დაუსრულებლად გაგრძელდეს.

**თეთრმა სახლმა და კონგრესმა თითქმის არაფერი გააკეთეს იმის გამოსასწორებლად, რამაც დიდი ეკონომიკური კრიზისი განაპირობა: ჩინეთთან მზარდი საგარეო სავაჭრო დეფიციტი, რაც ანადგურებს ამერიკულ საქონელზე მოთხოვნას და ანადგურებს სამუშაო ადგილებს; ფედერალური ხელისუფლების არაადეკვატური პოლიტიკა, რაც ალტერნატიული ენერგიის ტყუილ პროგრამებში ინვესტირებასა და ნავთობის ჭაბურღილების შეზღუდვაში გამოიხატება; სამეწარმეო საქმიანობის მძიმე რეგულირება, რაც ზრდის ახალი პროექტების ღირებულებას, და საბანკო რეფორმები, რომლებიც ამდიდრებენ უოლ-სტრიტის ბანკებს და ამ დროს კრედიტებს ართმევენ ამერიკაში ყველაზე მეტი სამუშაო ადგილის შემქმნელ მცირე ბიზნესს.**

**იაფი ფული ამერიკის ეკონომიკის ნარკოტიკია. ნამდვილი გაჯანსაღებისთვის მას მცირე პერსპექტივა აქვს, ვიდრე პრეზიდენტი ობამა უკიდურესად მემარცხენე პოლიტიკურ კურსს ატარებს, კონგრესმენები წარმომადგენელთა პალატაში ფანტაზიორობენ იმის შესახებ, რომ თავისუფალ ბაზარს შეუძლია, განკურნოს კაცობრიობის ნებისმიერი დაავადება, თავად კი იდგებიან ოლიმპოს მთაზე თამაშის მაყურებელი არისტოკრატების პოზაში.**

იმის მიხედვით, თუ როგორ მცირდება ეკონომიკური ზრდის ტემპი, ფედერალურ სარეზერვო სისტემას, შესაძლოა, ეკონომიკაში კიდევ უფრო მეტი ნაღდი ფულის ჩადება დასჭირდეს კლებადი შედეგით. ადრე თუ გვიან კი ეკონომიკის გაჯანსაღება საერთოდ შეჩერდება.

**პიტერ მორიჩი,**
ამერიკის საერთაშორისო სავაჭრო კომისიის ყოფილი მთავარი ეკონომისტი, მერილენდის უნივერსიტეტის სმიტის ბიზნესის სკოლის პროფესორი

UPI.com

**როგორც ვარაუდობენ, წელს მიგრანტები სახლში, განვითარებად ქვეყნებში, საერთო ჯამში 255 მილიარდ ევროს, ანუ 414 მილიარდ დოლარს გაგზავნიან. კვლევების თანახმად, ეს ციფრი 2016 წლისთვის 308 მილიარდ ევროს, ანუ 500 მილიარდ დოლარს გადააჭარბებს. ამის გამო განვითარებადი ქვეყნებისთვის საფოსტო ფულადი გზავნილების ფონდები გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ოფიციალური დახმარება სხვადასხვა ხელისუფლებისგან, რომელიც, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია აცხადებს, წელიწადში დაახლოებით 77 მილიარდ ევროს, ანუ 126 მილიარდ დოლარს შეადგენს.**

მსოფლიო

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მსოფლიო მიგრანტები თავიანთ ოჯახებს 255 მილიარდ ევროს უგზავნიან

**მთელი მსოფლიოს მასშტაბით მიმოფანტული მიგრანტები სახლში, საკუთარ ოჯახებთან 255 მილიარდ ევროს გზავნიან, უცხოური დახმარება კი მხოლოდ 77 მილიარდ ევროს შეადგენს. ეს ციფრი, სავარაუდოდ, გადააჭარბებს 308 მილიარდ ევროს, ანუ 500 მილიარდ დოლარს დაახლოებით 2016 წლისთვის. ფულადი გზავნილები თითქმის ოთხჯერ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ოფიციალური უცხოური დახმარება.**







ფული, რომელსაც მომუშავე მიგრანტები გზავნიან საკუთარ ოჯახებში, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და ღირებული დახმარებაა განვითარებადი ქვეყნებისთვის, ვიდრე უცხოური დახმარება და, როგორც ვარაუდობენ, ამ გზავნილების რაოდენობა მიმდინარე წელს 6,3 პროცენტით გაიზრდება. ამის შესახებ მსოფლიო ბანკმა ჩატარებული კვლევების საფუძველზე გააკეთა დასკვნები.

როგორც ვარაუდობენ, **წელს მიგრანტები სახლში, განვითარებად ქვეყნებში, საერთო ჯამში 255 მილიარდ ევროს, ანუ 414 მილიარდ დოლარს გაგზავნიან. კვლევების თანახმად, ეს ციფრი 2016 წლისთვის 308 მილიარდ ევროს, ანუ 500 მილიარდ დოლარს გადააჭარბებს.**

ამის გამო **განვითარებადი ქვეყნებისთვის საფოსტო ფულადი გზავნილების ფონდები გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ოფიციალური დახმარება სხვადასხვა ხელისუფლებისგან, რომელიც, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია აცხადებს, წელიწადში დაახლოებით 77 მილიარდ ევროს, ანუ 126 მილიარდ დოლარს შეადგენს.**

ფულადი გზავნილების მიმდინარე გლობალური საერთო რაოდენობა ყველა ქვეყანაში ერთად 338 მილიარდ ევროს შეადგენს.

ინდოეთი 43 მილიარდი ევროს ოდენობით იღებს ფულად გზავნილებს, რაც მას ამგვარი ფონდების ყველაზე მსხვილ მიმღებად აქცევს.

ჩინეთმა 37 მილიარდი ევრო მიიღო, ფილიპინებმა — 16 მილიარდი, მექსიკამ — 13 მილიარდი, ნიგერიამ — 12 მილიარდი ფუნტი სტერლინგ, ხოლო ეგვიპტემ — 12 მილიარდი ფუნტი სტერლინგი.

მიგრანტების მიერ სახლში გაგზავნილი ფული ზოგიერთი ქვეყნისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა.

ტაჯიკეთის საერთო შიდა პროდუქტის თითქმის ნახევარი ფულადი გზავნილების ხარჯზე იქმნება. ყირგიზეთი მთელი საერთო შიდა პროდუქტის 31 პროცენტს იღებს ფულადი გზავნილებიდან, ლესოტო და ნეპალი — 25 პროცენტს, მოლდოვა — 24 პროცენტს.

ფულადი გზავნილების ზრდა მთელს მსოფლიოში სტაბილურია, გარდა ლათინური ამერიკისა და კარიბის აუზისა.

**საჭიროა ფულადი გზავნილების ოფიციალური არხებით დინების წახალისება, განაცხადა მსოფლიო ბანკმა, მაგრამ მიგრანტების დიდი ნაწილი სახლში ფულის გასაგზავნად არაფორმალურ მეთოდებს ანიჭებს უპირატესობას.**

ეს ნაწილობრივ 2001 წლის ტერაქტების შედეგია, რადგან მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე ტერორისტული შეტევის შედეგად აშშ-მა დახურა მრავალი ოფისი, რომლებიც ფულად გზავნილებზე მუშაობდა, ვითომდა ტერორისტებისთვის პოტენციური ფინანსირების გზების გადასაჭრელად. აშშ ასევე მთელ მსოფლიოში მუშაობდა სხვა ქვეყნებთან მსგავსი სატრანსფერო სააგენტოების დასახურად.

მსოფლიო ბანკის განცხადებით, დღეს ფულის გადაგზავნის ღირებულება გარიგების თანხის საშუალოდ 9%-ს შეადგენს და საჭიროა ამ პროცენტის შესამცირებელი გზების გამონახვა ოფიციალური არხებით მუშაობის გზით.

გაერო იტყობინება, რომ **მიმდინარე წელს 232 მილიონი საერთაშორისო მიგრანტია დაფიქსირებული, 2000 წელს კი ეს რაოდენობა მხოლოდ 175 მილიონს შეადგენდა.**

მსოფლიო ბანკის კვლევა დასრულდა გაეროს გენერალურ ასამბლეაში მიგრანტებისა და განვითარების პრობლემებისადმი მიძღვნილი ორდღიანი უმაღლესი რანგის შეხვედრის წინ.

რამდენიმე დღის წინ გაეროს გენერალური მდივნის მოადგილემ იან ელიასონმა განაცხადა, რომ კონფერენციაზე განიხილება ზომები, რომლებიც მერყეობენ ყველა მიგრანტისთვის ადამიანის უფლებების დაცვიდან და მიგრანტების ექსპლოატაციის აღმოფხვრიდან მიგრაციაზე ხარჯების შემცირებამდე, მუშა-მიგრანტების სავალალო მდგომარეობის პრობლემების მოგვარებამდე, მიგრანტებს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის განმტკიცებამდე.

DailyMail

# გესტაპოს შემშურდებოდა!

**ერთმა გერმანელმა Facebook-ის საშუალებით მიმართა თავის მეგობრებს, რომლებიც მასავით აღშფოთებულნი იყვნენ ამერიკის საიდუმლო სამსახურების ოპერაციებით, და შესთავაზა, მასთან ერთად გაესეირნათ მის სახლთან ახლოს მდებარე ამერიკის არმიის სადაზვერვო ცენტრის ირგვლივ. მეორე დღეს ამ გერმანელმა საკუთარი სახლის ზღურბლთან აღმოაჩინა იგივე საიდუმლო სამსახურის თანამშრომლები, რომლებიც იმისთვის გამოცხადდნენ, რომ მისი პოლიტიკური „გემოვნება“ შეესწავლათ.**




28 წლის დანიელ ბანგერტი ხშირად ხუმრობდა ხოლმე ამერიკელი ჯაშუშების შესახებ, რომ ეს უკანასკნელნი კითხულობდნენ მის ნაწერებს და მეგობრებს ეუბნებოდა, რომ ერთ დღესაც იგივე ჯაშუშები სახლის კარზე დაუკაკუნებდნენ. ხუმრობა არ გამოუვიდა — ერთ მშვენიერ დღეს ასეც მოხდა.

**„ჯერ კიდევ მეძინა, როდესაც ტელეფონმა დარეკა, 8-ის 17 წუთი იყო, პოლიციელმა დაიწყო შეკითხვების დასმა იმასთან დაკავშირებით, თუ რის გაკეთებას ვაპირებდი დღეს. ამ საუბრისას ზარი კარებზეც გაისმა და ფანჯრიდან დავინახე, რომ სახლის წინ პოლიციის მანქანა იდგა. ოფიცერმა, რომელიც ტელეფონით მესაუბრებოდა, მითხრა, რომ პოლიციისთვის კარი უნდა გამეღო“,** — იხსენებს დანიელი.

მან ჩაიცვა მაისური წარწერით Team Edward და NSA-ს გამშიფრავი ედვარდ სნოუდენის პორტრეტი და საკუთარი გეგმების შესახებ უამრავ კითხვას უპასუხა.

ბანგერტი ფრანკფურტში Blockupy-ის საპროტესტო გამოსვლების ვეტერანია, მან შექმნა ჯგუფი, რომელიც საკუთარ თავს „ NSA-ს ჯაშუშთა დაცვის ლიგას“ უწოდებს, თითქოს ამერიკელი ჯაშუშები გადაშენების პირას მყოფ სახეობას წარმოადგენდნენ.

მისი განცხადებით, **სურდა, მეგობრებთან ერთად გაესეირნა დაგერ-კომპლექსში, დარმშტადტის ახლოს მდებარე გრისხაიმში, რათა ჯაშუშებს „მათთვის ბუნებრივ საარსებო გარემოში დაკვირვებოდა“. ეს არის ერთ-ერთი იმ ბაზებთაგანი, საიდანაც, როგორც ამბობენ, მუშაობს ამერიკის ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო (NSA) — ორგანიზაცია, რომელსაც ბრალს დებენ გერმანიის ინტერნეტ-ტრაფიკის უდიდესი ნაწილის კონტროლირებას.**

როგორც ბანგერტმა განაცხადა, პოლიციელები, სავარაუდოდ, კმაყოფილნი იყვნენ მისი პასუხებით ადამიანთა მოსალოდნელი რაოდენობის შესახებ — გასეირნებაში მონაწილეობის სურვილი 32-მა ადამიანმა გამოთქვა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა არანაირი განსაზღვრული დღის წესრიგი და არ იგეგმებოდა არანაირი მიტინგი და სიტყვით გამოსვლა, მას მაინც მოსთხოვეს ღონისძიების დარეგისტრირება.

„დამნაშავემ“ ითხოვა, აეხსნათ მისთვის, რა განსხვავებაა სასეირნოდ შეხვედრასა და ფეხბურთის სათამაშოდ შეხვედრას შორის და რატომ სჭირდება დარეგისტრირება გასეირნებას, თუ ამგვარი მოთხოვნა არ ეხება ფეხბურთის თამაშს.

რამდენიმე საათის შემდეგ მისმა ტელეფონმა კვლავ დარეკა და ერთ-ერთმა იმ პოლიციელთაგანმა, რომელიც დილით მას სტუმრობდა, უთხრა, რომ სახელმწიფო უშიშროების სამსახურს მასთან გასაუბრება სურს.

**„მან მითხრა, რომ უნდა დამერეკა მათთვის და რომ ეს მნიშვნელოვანია. დავრეკე. იგივე კითხვები დამისვეს, რომელთაც უკვე ვუპასუხე პოლიციასთან საუბრისას, შემდეგ კი მითხრეს, რომ ან მივსულიყავი მათთან, ან თავად მოვიდოდნენ გასასაუბრებლად“.**

საბოლოო ჯამში **სახელმწიფო უშიშროების აგენტი ადგილობრივი პოლიციის ოფიცერთან ერთად მივიდა და უამრავი შეკითხვა დაუსვა პოლიტიკური შეხედულებების შესახებ, საკუთარი მოღვაწეობის შესახებ და ბოლოს იმის შესახებაც, ჰქონდა თუ არა კავშირი აქტივისტებთან, რომლებიც მზად არიან, ძალა გამოიყენონ.** მათი განმარტებით, სოციალურ ქსელში განთავსებული მისი განცხადება შეიძლება სხვადასხვაგვარად იქნეს გაგებული და ზემოხსენებული გასეირნების შესახებ ინტერნეტში არ უნდა დაეწერა.

საბოლოოდ გასასეირნებლად, სასაუბროდ და ამერიკული ბაზისთვის თვალის შესავლებად 80 ადამიანი შეიკრიბა.

**„NSA-ს ჯაშუშთა დაცვის ლიგა“ შემდეგ ინტერნეტში წერდა, რომ NSA-ს სადაზვერვო კომპლექსისკენ მიმავალმა შეკრებილებმა განიხილეს NSA-ს ჯაშუშებზე დაკვირვების მეთოდები და მათი ქცევის შესაძლო ვარიანტები. ცოცხალი ჯაშუში იმ დღეს თვალით არავის უნახავს.**

thelocal.de

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დღევანდელი ბრიტანელი ახალგაზრდობა იმაზე განათლებული არ არის, ვიდრე უფროსი თაობა, ბრიტანელი ახალგაზრდები მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან თავიანთ უცხოელ თანატოლებს. უფროსი თაობის ადამიანთა წარმატების ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ ისინი მუდმივად სწავლობენ და ივითარებენ ახალ უნარ-ჩვევებს, ახალგაზრდობა კი ბრიტანეთში სერიოზულად ჩამორჩება მათ იმაში, რაც ძირითადი უნარ-ჩვევების ფლობას შეეხება“.**

# ბრიტანეთის პარლამენტში წელიწადში 300 ათასჯერ შევიდნენ პორნოსაიტებზე



**ბრიტანეთში პარლამენტარები და პარლამენტის სხვა თანამშრომლები მთელი წლის განმავლობაში დღეში 800-ჯერ შედიოდენ პორნოსაიტებზე. ყველაზე მეტად ამ მხრივ მომხმარებლები 2012 წლის ნოემბერში აქტიურობდნენ. კრიტიკოსები თავს იმტვრევენ, რატომ ათვალიერებენ პარლამენტის თანამშრომლები საეჭვო ვებსაიტებს.**

**ოფიციალური მონაცემებით, საერთო ჯამში ბრიტანეთის პარლამენტში დღეში 820-ზე მეტ პორნოსაიტს ხსნიდნენ. ეს ინფორმაცია თავისუფალი საინფორმაციო მოთხოვნის საპასუხოდ ვესტმინსტერის სასახლის IT-სპეციალისტებმა გამოაქვეყნეს.**

აღნიშნული რაოდენობა მოიცავს პორნოკატეგორიის საიტებზე დაშვების მოპოვების მცდელობებს. მიუხედავად ამისა, პარლამენტის პერსონალი ირწმუნება, რომ ამ რაოდენობაში ჩათვლილია ავტომატურად ამონათებული ფანჯრებიც და ამიტომ მოცემული ციფრები არ ასახავს სექსუალური შინაარსის მიზანმიმართული ძებნის ძალისხმევას.

**ყველა შემოწმებული კომპიუტერი დაკავშირებული იყო საპარლამენტო ქსელთან, რომელსაც პარლამენტის წევრები და მათი შტატის თანამშრომლები 2012 წლის ზაფხულიდან 2013 წლის ზაფხულამდე იყენებდნენ.**

დაფიქსირდა წარმოუდგენელი სხვაობებიც თვეების მიხედვით დახარისხებული მცდელობების რაოდენობებს შორის: **114 ათას 844 — ნოემბერში და 15 — თებერვალში.**

გადასახადების გადამხდელთა ალიანსის ხელმძღვანელმა მეთიუ სინკლერმა განაცხადა: **„ეს ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ პარლამენტში მომუშავე უამრავი ადამიანი ძალზე ბევრ დროს ატარებს ვებგვერდებზე, რომლებსაც მათ საქმიანობასთან საერთოდ არ აქვს შეხება. ინტერნეტი შეიძლება სასარგებლო ინსტრუმენტი იყოს პარლამენტის წევრებისა და მათი შტატისთვის, როდესაც საქმე სახელმწიფო კანონმდებლობის საგულდაგულო შესწავლას ეხება. მაგრამ გადასახადების გადამხდელები ელიან, რომ მათი პარლამენტარები და მათ ოფისებში მომუშავე ადამიანები განაგრძობენ ამ მნიშვნელოვან საქმეს, ნაცვლად იმისა, რომ საეჭვო ვებსაიტებზე დაკარგონ დრო“.**

თემთა პალატის წარმომადგენელმა დაიჟინა, რომ ანგარიშით ვერ მტკიცდება, სურდათ თუ არა მომხმარებლებს პორნოგრაფიასთან დაშვების მოპოვება და განაცხადა, რომ თემთა პალატა არ მიიღებს წესებს, რომლებიც შეზღუდავს „გამოძიების ჩატარების“ მცდელობას.

მისივე თქმით, მონაცემები არ ასახავს მიზანმიმართული მოთხოვნების ზუსტ რაოდენობას, რადგან ქსელის მომხმარებლების მიერ გაკეთებული მოთხოვნების რაოდენობაზე მოქმედებს ვებსაიტების აგებულების თავისებურებები და მათი ქმედება, რეაგირება და ურთიერთობა სხვადასხვა მწარმოებლის პროგრამული უზრუნველყოფის პოტენციურ ოპერაციებთან მიმართებაში.

მიმდინარე წლის დასაწყისში ცნობილი გახდა, რომ **დეპუტატები და მათი თანამშრომლები წელიწადში ათასობით საათს ატარებდენ FACEBOOK-ის, კომპიუტერული თამაშებისა და ონლაინ-ფსონების გვერდებზე.** ოფიციალური მონაცემები ადასტურებს, რომ **პარლამენტის შენობაში მდებარე კომპიუტერებიდან FACEBOOK-ზე თვეში 3 მილიონჯერ შედიან. ეს 300-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე BBC NEWS-ზე შესვლების რაოდენობა ამავე ქსელიდან.** ▶

# ინგლისში ახალგაზრდობის განათლების კრიზისია

**ბრიტანელმა მოსწავლეებმა მათემატიკა და ინგლისური უფრო ცუდად იციან, ვიდრე მათმა ბებია-ბაბუებმა იცოდნენ: 24 განვითარებული ქვეყნიდან ინგლისი 22-ე ადგილს იკავებს განათლების დონით და 21-ე ადგილს — არითმეტიკის ცოდნით.**



გაერთიანებულ სამეფოში ახალგაზრდები სერიოზულად ჩამორჩებიან დასავლეთის ქვეყნების უმეტესობაში მათივე თანატოლების დონეს წერის, კითხვის და კომპიუტერული პროგრამების ცოდნის მხრივ. ამის შესახებ რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნებული კვლევის შედეგები იუწყება.

**ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანგარიშში ნათქვამია, რომ ახლანდელი 16-24 წლის ადამიანებსა და 55-65 წლის ადამიანების განათლების დონეებს შორის რაიმე სასიკეთო ცვლილებები არ შეინიშნება.**

ამასთან, **ბრიტანელი ახალგაზრდობა დასავლურ სამყაროში ერთადერთია, რომელმაც ძირითად საგნებში საკონტროლო საკუთარ პაპებზე უარესად დაწერა.**

კვლევის შედეგები მომავალში, შესაძლოა, სერიოზულად აისახოს მსოფლიო ბაზარზე ბრიტანეთის კონკურენტუნარიანობაზე და შესაძლოა განაპირობოს ძირითადი საგანმანათლებლო უნარ-ჩვევების მქონე ადამიანების უკმარისობა, — ამბობს ჩატარებული კვლევის კოორდინატორი ანდრეას შლაიხერი.

**კვლევამ ასევე მსუყე კითხვის ნიშანი დაუსვა ბრიტანეთში ერთიანი გამოცდების ვითომდა გაუმჯობესებად შედეგებს და დაადასტურა განათლების მინისტრის — მაიკლ გოუვას განცხადება, რომელიც ერთიანი გამოცდების შეფასებათა ინფლაციაზე საუბრობდა.**

**„დღევანდელი ბრიტანელი ახალგაზრდობა იმაზე განათლებული არ არის, ვიდრე უფროსი თაობა,** — ამბობს შლაიხერი. — **ბრიტანელი ახალგაზრდები მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან თავიანთ უცხოელ თანატოლებს. უფროსი თაობის ადამიანთა წარმატების ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ ისინი მუდმივად სწავლობენ და ივითარებენ ახალ უნარ-ჩვევებს, ახალგაზრდობა კი ბრიტანეთში სერიოზულად ჩამორჩება მათ იმაში, რაც ძირითადი უნარ-ჩვევების ფლობას შეეხება“.**

ანგარიშის დასკვნით ნაწილში აღნიშნულია: **„ინგლისში 55-დან 65-წლამდე ასაკის ადამიანები უკეთეს შედეგებს აჩვენებენ, ვიდრე 16-24 წლისანი როგორც წერილის კითხვის, ასევე ანგარიშის მხრივ. ინგლისი აღმოჩნდა ერთადერთი ქვეყანა, სადაც უფროსმა ასაკობრივმა ჯგუფებმა წერა-კითხვისა და მათემატიკის ცოდნის მხრივ უკეთესი მომზადება აჩვენეს, ვიდრე ახალგაზრდებმა“.**

ციფრები ადასტურებენ, რომ ინგლისსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში (კვლევაში ბრიტანეთის მხოლოდ ამ ნაწილის მოსახლეობა მონაწილეობდა) 16-24 წლის ახალგაზრდებმა წერა-კითხვის ტესტში 266 ქულა მოაგროვეს და 24 ქვეყნისგან შემდგარ სიაში ბოლოდან მესამე ადგილი დაიკავეს. მათზე გაუნათლებელი ახალგაზრდობა მხოლოდ ესპანეთსა და იტალიაში აღმოჩნდა. პირველ ადგილზე იაპონია აღმოჩნდა 299-ქულიანი მაჩვენებლებით.

**არითმეტიკაში 16-24 წლის ბრიტანელებმა 257 ქულა მოაგროვეს და ქვეყნების იმავე სიაში ბოლოდან მეოთხე ადგილზე აღმოჩნდნენ. არითმეტიკა განვითარებულ ქვეყნებს შორის მათზე ცუდად მხოლოდ ესპანელმა, იტალიელმა და ამერიკელმა ახალგაზრდებმა იციან. ამ უკანასკნელთ სიაში ბოლო ადგილი ერგოთ.**

იმავე ტესტებში ბრიტანეთის ხანდაზმულმა მოსახლეობამ საშუალოდ 272 და 262 ქულა დააგროვა.

გარდა ამისა, შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ **ბრიტანეთში ახალგაზრდების მხოლოდ 4%-მა აჩვენა ყველა ქვეყნის ახალგაზრდებს შორის საუკეთესო შედეგი, უფროს თაობას შორის იგივე მაჩვენებელი 8%-ს შეადგენდა.**

კონსერვატორებმა უმალ გამოიყენეს ეს ციფრები თავიანთი თეზისის დასამტკიცებლად, რომ ლეიბორისტების უკანასკნელი მმართველობისას განათლებამიღებული ახალგაზრდობა ყველაზე ნაკლებად განათლებულია ყველა განვითარებული ქვეყნის ახალგაზრდობას შორის.

მეთიუ ჰენკოკი, პროფტექნიკური განათლების სისტემის ხელმძღვანელი ამბობს: **„ეს შოკისმომგვრელი ანგარიში აჩვენებს, რომ განვითარებული მსოფლიოს ქვეყნებს შორის ყველაზე გაუნათლებელი უფროსი თაობა ინგლისშია. ისინი ლეიბორისტული პარტიის შვილები არიან, რომლებმაც ამ პარტიის მმართველობისას მიიღეს განათლება. ისინი გამოსაშტერებელ დიეტაზე დასვეს და მათგან კარგს არაფერს ელოდნენ. ჩვენ პრობლემას ვაგვარებთ უფრო მკაცრი სასწავლო გეგმებით, სწავლების მეთოდების გაუმჯობესებით, მეტი მოთხოვნებით და უფრო მკაცრი დისციპლინით“.**

დირექტორთა ინსტიტუტის თანამშრომელმა მაიკ ჰერისმა კი დასძინა: **„ანგარიში ხაზს უსვამს გარღვევას უკანასკნელ ათ წელიწადში დახატულ სურათსა და იმას შორის, რასაც რეალური დამსაქმებლები აწყდებიან მომავალ პოტენციურ თანამშრომლებთან გასაუბრებისას. ძალიან ხშირად გამოცდებზე მიღებული შთამბეჭდავი შეფასებები რეალური მიღწევებისა და ცოდნის მცდარი ბარომეტრია“.**

ანგარიშის დასკვნები ასეთია: **„ინგლისსა და ირლანდიაში მომავალ ათ წელიწადში შემცირდება განათლებული ადამიანების რაოდენობა, თუ ახალგაზრდობაში განათლების დონის ასამაღლებლად მნიშვნელოვანი ზომები არ იქნება მიღებული“.**

საკონტროლო სამუშაოები არითმეტიკაში, მშობლიურ ენასა და კომპიუტერულ უნარ-ჩვევებში ყველა ქვეყანაში 5000-მა ზრდასრულმა ადამიანმა დაწერა. ტესტების მიზანი იყო, გაერკვიათ, თუ რამდენად აქტიურად იყენებენ ზრდასრული ადამიანები სკოლაში მიღებულ განათლებას მუშაობის პროცესში. ▶

**საბანკო საიდუმლოების შესახებ საკუთარი კანონებით ცნობილი შვეიცარია ხშირად ხდება კრიტიკის ობიექტი იმის გამო, რომ მის ბანკებში გახსნილი ანგარიშების უცხოელი მფლობელები საკუთარი ხელისუფლებებისგან მალავენ სიმდიდრეს და თავს არიდებენ გადასახადებს.**

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მონაცემებმა ასევე აჩვენა ინტერნეტსუპერმარკეტების მოხმარების მაღალი დონე, კომპიუტერული თამაშებისა და მუსიკალური საიტების ფართო გამოყენება.**

მაგალითად, **გასული წლის მარტში დაფიქსირდა ფსონების ინტერაქტიულ ერთ-ერთ ბირჟაზე 83 ათასი შესვლა. აქედან ყველა შესვლა განხორციელდა დოლზე ფსონების დასადებ გვერდზე. კიდევ 5461 შესვლა დაფიქსირებულია სპორტის სხვა სახეობებზე ფსონების დასადებ გვერდებზე.**

სხვა ანალოგიურ საიტებზე დაფიქსირდა კიდევ 4665, 3803 და 4126 შესვლა.

პარლამენტის რამდენიმე წევრი ამ ყველაფერზე თვეში დამატებით რამდენიმე ათასჯერ შედიოდა საკუთარ საიტზეც.

**დაახლოებით 50 ათასი შესვლა დაფიქსირდა ისეთ სადავო საიტზე, როგორიცაა OUT OF TOWN AFFAIRS, რომელიც მომხმარებლებს სთავაზობს „გართობას ყოველგვარი პირობების გარეშე და მოულოდნელ ეროტიულ შეხვედრებს".**

ამ მონაცემების გამოქვეყნების შემდეგ ბრიტანეთის პარლამენტის კომპიუტერულ ქსელში ეს უკანასკნელი საიტი დაიბლოკა.

**DailyMail**

კვლევამ, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი შედეგებისა, აჩვენა ისიც, რომ შედეგებსა და სოციალურ მდგომარეობას შორის ინგლისსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში ყველაზე ძლიერი დამოკიდებულებაა. ზრდასრული ადამიანები, რომელთა თუნდაც ერთ-ერთი მშობელი უნივერსიტეტში სწავლობდა, ტესტებზე აგროვებდნენ 26,7 ქულით მეტს, ვიდრე ისინი, ვის მშობლებსაც უმაღლესი განათლება არ მიუღიათ. სხვა ქვეყნებში ეს სხვაობა საშუალოდ 18 ქულას შეადგენდა. მათემატიკურ ტესტებში იგივე მაჩვენებლები ბრიტანეთისთვის 31,1 ქულას უტოლდებოდა, სხვა დანარჩენი ქვეყნებისთვის კი — 19,5 ქულას.

**„საგანგაშოა, რომ ჩვენს ახალგაზრდობას არ აქვს უფრო მაღალი განათლების დონე, ვიდრე მის მშობლებს",** — ამბობს უმაღლესი და საშუალოტექნიკური განათლების პროფკავშირების გენერალური მდივანი სელი ჰანტი. — **„თუ გვსურს, მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანები ვიყოთ, გვესაჭიროება მაღალკვალიფიციური მუშაკების დიდი ნაკადი. კვალიფიკაციის დაბალი დონე ბრიტანეთში გამოწვეულია 16 წელზე მეტი ასაკის ადამიანთა განათლებაში ინვესტირების დაბალი დონით, ასევე კულტურის თავისებურებებით, რაც განათლებას რთულსა და ძვირს ხდის მათთვის, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება".**

ერთადერთი, რაც კვლევაში ბრიტანეთისთვის დამამშვიდებელ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს, ისაა, რომ ბრიტანეთი სხვა ქვეყნებზე ეფექტურად იყენებს თავის განათლებულ მოსახლეობას.

**The Independent**

# შვეიცარიული სამხედრო თამაშები გაკოტრებული ფრანგების თავდასხმას ითვალისწინებს

**გაკოტრებული ფრანგების ურდოები შეიჭრებიან შვეიცარიაში, რათა დაიბრუნონ თვიანთი „მოპარული" ფული — ასეთი წარმოსახვითი სცენარი მოიფიქრეს შვეიცარიელმა სამხედროებმა სწავლებებისთვის, რომლებიც რამდენიმე დღის წინ გაიმართა. არმიის მანევრები აგებული იყო ფინანსური ურთიერთობებით დაზარალებული, რეგიონებად დახლეჩილი საფრანგეთის თავდასხმაზე.**



სცენარის მიხედვით, ერთ-ერთი რეგიონი Saფnia, რომელიც რეალურად არსებულ რეგიონ Jura-ს შეესაბამება, ამზადებდა შვეიცარიაზე თავდასხმას, რათა დაებრუნებინა ფული და საფრანგეთის მხრიდან ძლიერი დარტყმა განახორციელა.

ოპერაცია „Duplex-Barbara" იქამდე მივიდა, რომ წარმოიდგინა სამასპექტიანი შეჭრა ნიოშატელის, ლოზანისა და ჟენევის სიახლოვეს მდებარე წერტილებიდან. ეს ყველაფერი ასახული იყო რუკაზე, რომელიც ადგილობრივმა პრესამ გამოაქვეყნა.

რეიდის უკან იდგა გასამხედროებული ორგანიზაცია BLD — დიჟონის თავისუფალი ბრიგადა, რომელსაც სურდა, ხელში ჩაეგდო და სამშობლოში დაებრუნებინა წარმოსახვითი რეგიონიდან შვეიცარიის მიერ გატაცებული ფული.

**„საკუთარი ავტორიტეტის შესანარჩუნებლად შვეიცარიის არმიამ 21-ე საუკუნის საფრთხეების თავიდან ასაცილებლად უნდა იმუშაოს",** — განაცხადა ინტერვიუში Hauate-Savoie-ს მრჩეველმა ანტუან ვიელიარდმა. მაგრამ დანიელ ბერგერმა, შვეიცარიის ჯავშანბრიგადის კაპიტანმა, სცადა, საფრთხეების სპეციფიკა შეემცირებინა.

**„სწავლებებს კატეგორიულად არ აქვს რაიმე კავშირი საფრანგეთთან, რომელსაც ვაფასებთ",** — უთხრა მან შვეიცარიის პრესას. — **„ეს სწავლებები 2012 წელს მომზადდა, მაშინ, როდესაც ორ ქვეყანას შორის ფინანსური ურთიერთობა ნაკლებად დაძაბული იყო და საფრანგეთი მაშინაც მხოლოდ იმიტომ დასახელდა მტრად, რომ ჯარისკაცებისთვის რეალური მასშტაბები გვეჩვენებინა".**

**საბანკო საიდუმლოების შესახებ საკუთარი კანონებით ცნობილი შვეიცარია ხშირად ხდება კრიტიკის ობიექტი იმის გამო, რომ მის ბანკებში გახსნილი ანგარიშების უცხოელი მფლობელები საკუთარი ხელისუფლებებისგან მალავენ სიმდიდრეს და თავს არიდებენ გადასახადებს.**

მაგრამ ეს არაგამჭვირვალე კანონები კრიტიკის მზარდი ცეცხლის ქვეშაა, რადგან საფრანგეთი და აშშ ეკონომიკური პრობლემების დროს გადასახადებისთვის თავის არიდებასთან ბრძოლას ცდილობენ.

ეს შვეიცარიის არმიის მიერ გამოგონილი პირველი წარმოსახვითი სცენარი არ არის. გასულ წელს იმავე არმიამ ჩაატარა მანევრები, რომელთა შინაარსის მიხედვითაც ერთიანი ევროპული ვალუტის განადგურებისა და მთელ კონტინენტზე თანმდევი ქაოსის შედეგად ქვეყანას უამრავი დევნილი მიაწყდა.

მაშინ, 2010 წელს შექმნილი რისკების რუკა გამოიყენეს და გაითვალისწინეს შიდა ფრაქციებს შორის დაპირისპირებაც და საბერძნეთიდან, ესპანეთიდან, იტალიიდან, საფრანგეთიდან და პორტუგალიიდან დევნილების დინებებიც.

მაშინ ევროპაში ძალადობის მასშტაბების ზრდასთან დაკავშირებით თავდაცვის მინისტრმა უელი მაურერმა განაცხადა: **„არ შემიძლია გამოვრიცხო, რომ უახლოეს წლებში არმია დაგვჭირდება".**

**შეიარაღებული ძალები შვეიცარიაში ცხელი თემაა. იქ იძულებითი სამხედრო სამსახურის პრინციპი მოქმედებს. შვეიცარიის კანონთან შესაბამისად, ყველა ჯანმრთელი მამაკაცი 19 წლის ასაკში ვალდებულია, გაიაროს ხუთთვიანი სწავლება, რასაც მომდევნო ათი წლის მანძილზე კვალიფიკაციის ასამაღლებელი რამდენიმეკვირიანი კურსები მოსდევს.**

ორიოდე კვირის წინ ჩატარებული რეფერენდუმის შედეგებმა აჩვენა, რომ შვეიცარიელი ამომრჩევლის უმეტესობა არ ეთანხმება ამ წესების გაუქმების გეგმებს.

ამჟამად შვეიცარიაში ახალწვეულთა რაოდენობა 155 ათასს შეადგენს და ეს ევროპაში უდიდესი არმიაა მოსახლეობის რაოდენობასთან თანაფარდობის გათვალისწინებით.

**შვეიცარიელთა დაახლოებით 73,2 პროცენტმა „არა" უპასუხა ანტისაომარი ჯგუფის შეთავაზებას, ააშენონ შვეიცარია არმიის გარეშე, რაც მხოლოდ პროფესიონალურ არმიას ან მხოლოდ მოხალისეებისგან შემდგარ ჯარს გულისხმობდა.**

ნეიტრალურ შვეიცარიაში არავინ შეჭრილა მე-19 საუკუნის დასაწყისის ნაპოლეონის ომების შემდეგ.

თანამედროვე მეცნიერები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ რწმენას, რომ შვეიცარიაში მიწისქვეშა ბუნკერების ქსელის არსებობამ შეაშინა ნაცისტები და უარი ათქმევინა მეორე მსოფლიო ომის დროს ამ ქვეყანაში შეჭრაზე.

ზოგიერთი ისტორიკოსი ირწმუნება, რომ ადოლფ ჰიტლერმა შვეიცარია მხოლოდ იმიტომ დატოვა ხელუხლებლად, რომ მისი ბანკების გამოყენებას აპირებდა.

**The Telegraph**

# შარშან ყოველ მეხუთე ამერიკელს საჭმელი არ ჰყოფნიდა

**რეცესიის დასრულებიდან ოთხი წლის შემდეგ ამერიკაში უამრავი ადამიანი ჯერ კიდევ ცდილობს საკუთარი ფინანსური სტაბილურობის აღდგენას და ზოგიერთ შემთხვევაში იმდენად წარუმატებლად, რომ პირდაპირი მნიშვნელობით შიმშილობს.**

ყოველი ხუთი ამერიკელიდან ერთი Gallup-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვისას აცხადებდა, რომ გასულ წელს დროდადრო არ ჰყოფნიდა ფული, რათა თავისთვის და ოჯახისთვის საკვები ეყიდა.

ეს დაახლოებით იმდენივე მშიერ ამერიკელს ნიშნავს, რამდენიც 2008 წელს იყო, როდესაც ქვეყანა დიდი დეპრესიის შემდგომი თითქმის 80 წლის მანძილზე ყველაზე ღრმა ფინანსურ კრიზისში ჩაეფლო.

ეს შედეგები აჩვენებს, რომ **ეკონომიკის აღდგენა, შესაძლოა, არაპროპორციული აღმოჩნდეს მაღალი შემოსავლების მქონე პირების სასარგებლოდ და არა მათ სასარგებლოდ, ვინც მთელი ძალით ცდილობს, თავისი ძირითადი მოთხოვნილებები დაიკმაყოფილოს.**

**იმ ოჯახებისთვის დახმარების სასურსათო ტალონების მომავალზე, რომელთაც დაბალი შემოსავალი აქვთ ან საერთოდ არ აქვთ შემოსავალი და ხელფასი, ამერიკაში ისედაც ბრძოლაა,** კვლევის ავტორები კი აცხადებენ, რომ **უახლოეს მომავალში, შესაძლოა, ამერიკელთა კიდევ დიდ რაოდენობას მოუხდეს ფულისა და, შესაბამისად, საკვების უკმარისობასთან ბრძოლა.**

გამოკითხვამ აჩვენა, რომ **კვების პროდუქტები, საცხოვრებელი და სამედიცინო მომსახურება ამერიკელებისთვის აგვისტოში კიდევ უფრო ხელმიუწვდომელი გახდა და მიუახლოვდა იმ რეკორდულ მინიმუმს, რომელიც 2008-2009 წლების ეკონომიკური კრიზისისას დაფიქსირდა.**




კიდევ ერთმა გამოკითხვამ, რომელიც ორგანიზაცია Pew Research Center-მა ჩაატარა, აჩვენა, რომ, ზრდასრული ამერიკელების 54 პროცენტის აზრით, ვარდნის შემდეგ მათმა შემოსავლებმა ახლალა მოითქვა სული. **გამოკითხულთა 63% მიიჩნევს, რომ ამერიკის ეკონომიკური სისტემა ახლა სულაც არაა უფრო უსაფრთხო, ვიდრე ბოლო ვარდნისას იყო.**

**The Independent**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსეთს კი პუტინის სახით ძლიერი ხელი მართავს, ვისაც ამის არ სჯერა, წაიკითხოს „უცნობი პუტინი“ და დაუწყნარდება მის წინ წერას ატანილი წინწკარა ჩიტივით ბოლოქანქარი. მეგობარს მტრად მხოლოდ ვინმე ჭკუასუსტი, ოხრის და თაღლითის მიერ წაქეზებული თუ მოეკიდება.**

# ავიწყდებათ, რომ ხელისუფლების ძალა ხალხის მხარდაჭერაშია

**რაც უფრო პატარაა ქვეყანა, მით უფრო ძალიან ძვირი უჯდება მცირე შეცდომაც კი, ამიტომ დიდი სიფრთხილეა საჭირო ხელმძღვანელთა არჩევისას. ბოროტების დამანგრეველი ძალა უფრო საზარელია, როცა ამგვარ არსებას უცხო ქვეყანა წამოგასვამს, მეგობრის ნიღბით რომ გიპირებს გადაშენებას.**
**ძარცვის, რბევისა და აოხრების დამანგრეველი ძალის შემოქმედება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყველაზე მძლავრად განიცადა საქართველომ. ამ უბედურების უკან კი მტაცებლის ბრჭყალებიანი დღევანდელი „მეგობრები“ იდგნენ, ასე ენერგიულად რომ მიგვათრევენ ბატონყმობის განუკითხაობისკენ.**



ნახეთ, როგორი მაღალი ხელფასები დაინიშნეს ხელისუფალთ მაშინ, როდესაც საქართველოში ბავშვები შიმშილით იხოცებიან და პენსიონერებს მხოლოდ შიმშილით ტანჯვის გზას უგრძელებენ. ამ პირობებში თავისი ქვეყნის და ერის გულშემატკივარი მამულიშვილი განა ასეთი ფუფუნების უფლებას მისცემდა თავს, სახელმწიფო ბიუჯეტის ვირთხად ქცეული, ქვეყანას წურბელასავით გამოსწოვდა სისხლს და მერე უსირცხვილოდ ტელევიზორის ეკრანიდან გაზულუქებულ ნაპატივები პოლიტიკაზე იყბედებდა და თავისი უმარილო იუმორით თვითონვე სიცილით გაიჭაჭებოდა?!

არა და არ დამთავრდა საქართველოში ვნებათაღელვის დუღილი. ვერ დაწყნარდა ცხოვრება.

**როგორც დასუსტებულ ფუტკრის სკაში მომრავლებული ფუქსავატი მამალი ფუტკრები, ისე დაგვჩხავიან თავიანთ დამსახურებაზე პოლიტიკოსებად წოდებული მუქთახორა ყბედი გრანტიყლაპიები. თანაც დიდ წყალსგაღმა იყურებიან, ხომ კარგად ვასრულებთ თქვენ შეკვეთილ ავკაცობას, ხელისუფლებაში გასვლაზე მოგვეხმარეთ, რომ უფრო ენერგიულად აგილოკოთ დასვრილი ადგილებიო.** არადა, თავისი ხალხის ღალატს და ამერიკელთა ქვეშაგებად დაგებას „ნაციონალებზე“ უკეთესად ვერავინ შეძლებს, თუმცა ამგვარი დამსახურების მქონე არანაკლები სულები გვეთვლება დღევანდელ მთავრობასა და პარლამენტში. ამიტომაა ხალხის უპირობო მოთხოვნის გათვალისწინება, რომ აუცილებლად უნდა დაინიშნოს პარლამენტის ვადამდელი არჩევნები და, ვინც ამის წინააღმდეგია ქართველთა მაოხარის სიფათს ვერავითარი ნიღბით ვერ დაფარავს.

**„ნაციონალების“ დამღუპველი საქმიანობა ჯერ კიდევ გრძელდება. მათი ცრუპენტელა პრეზიდენტის არარსებული ობიექტების საზეიმოდ გახსნა და ყვარყვარეს მარილმოყრილი ლაქლაქი რომ იყო, ახლა აღარავინ უსმენს და გარდასულ ძალაუფლებაზე ნოსტალგიური წუწუნის ჰარიქა შეეყარა.** იმდენად გაუცვდა თავმოყვარეობის სიმი, რომ მის ნათქვამ აჯაფსანდალში სიმართლის მყარ ადგილს ვერ მოძებნი. რომელი ევროპული სახელმწიფო არ ინატრებდა ასეთ ტაკიმასხარა კლოუნს ცირკის არენაზე და არა პრეზიდენტად, რომლის ხსენებაც ასე სასაცილოდ აქცია ამ უცხოეთის ლაქია საცოდაობამ, საქართველოს დაქცევა-დაქუცმაცებისკენ რომ მიათრევდა, ამის დასტურად ქუთაისის პარლამენტიც კმარა. **დღეს ყველა ნორმალურმა ქართველმა იცის, რომ საქართველოს ყველა უბედურება მისი ღალატიდან იღებს სათავეს. დღევანდელი ხელისუფლება თუ მას და ყველა დამნაშავე „ნაციონალს“ დამსახურებისამებრ პასუხს არ მოსთხოვს, ნუ დაივიწყებს, რომ კოჰაბიტაციით „ნაციონალების“ გადარჩენის მცდელობა ამ მომაკვდავი უბედურების კუბოში ჩაწოლის ტოლფასია.**

ხალხის დამსახურებაა „ქართული ოცნების“ უმრავლესობა პარლამენტში და გამარჯვებულთა მიერ დაკომპლექტებული მთავრობა, მათი ძალა ხალხის მხარდაჭერაშია, რაც ხელისუფლებაში წამოსკუპების შემდეგ ავიწყდებათ. არ არსებობს ხალხის ნდობადაკარგულთა დიდხანს ბოგინი, თორე აგერ გვაქვს მაგალითად გაპანღურებული „ნაციონალების“ წკავწკავი. თითქმის ყველა მათი მინისტრი დანაშაულში იმხილება და ბრალი აქვს წაყენებული. აქედან ზოგი გაქცეულია, ზოგი საპატიმროშია, ზოგი კი გარეთ არის და განაჩენს ელოდება, რათა მათმა თავქარქაშა პრეზიდენტმა მაშინვე შეიწყალოს, რომელიც ახლა საქართველოს რეგიონებში დაძრწის, ლანძღვა-გინებას და ლაყე კვერცხებს იმკის. აქა-იქ პოულობს თავგზააბნეულ მოქალაქეებს და თავის დაკოჭლებულ გარდასულ დიდებაზე წუწუნებს.

**ძალაუფლება კი ისევ „ნაციონალების“ სამსახურს ვერ იშლის სასამართლოს და პროკურატურის იმ მუშაკთა სახით, რომლებმაც უდანაშაულო ადამიანები აწამეს და ციხეში ჯდომისთვის გაწირეს. ახლაც ინარჩუნებენ ცოდვიან სკამებს და ისევ იმათ უნდა გამოიძიონ უსამართლოდ ჩატუსაღებულთა საქმე?!**

**დღეს დემოკრატიის ნიღბით ძალადობა ცდილობს ხალხთა იმ დონეზე დაბეჩავებას, რომ ბოროტებამ სიკეთე, უზნეობამ ზნეობა, გარყვნილებამ პატიოსნება ისე დააბეჩავოს, რომ ცხოველთა სამყაროს დასაცინად აქციონ ადამიანთა მოდგმა. სადაც ერთსქესიან ქორწინებას აკანონებენ, მათთვის პირუტყვის შერქმევა ცოდვაა, რამეთუ ზნეობით პირუტყვი ამგვარ ზნედაცემულ ადამიანთა მოდგმის სირცხვილზე მაღლა დგას.**

ახლა მოდაშია რუსეთის ლანძღვით თავის მოწონება, რამეთუ საწინააღმდეგო აზრის გამოთქმა მოღალატედ და კრემლის აგენტად მონათვლის ტოლფასია. ერთ სამეფოში მდინარე ჩამოდიოდა, რომელსაც სასმელად იყენებდნენ. ერთხელ ორაკულმა გააფრთხილათ, ჭურჭელში წყალი მოიმარაგეთ, თორემ, ვინც მდინარის წყალს დალევს, გაგიჟდებაო. ხალხს ჭურჭელი არ ეყო, მდინარის წყალი დალიეს და გაგიჟდნენ. მეფეს რაკი ბევრი ჭურჭელი ჰქონდა, გადარჩა. ხალხი გიჟური როკვით და ღრიანცელით მეფისკენ დაიძრა. რა ვქნაო, შეშინებულმა ჰკითხა მრჩეველს. ახლა შენც გიჟური როკვა დაიწყე, თორემ, თუ ჭკვიანად მიგიღეს, გაგგლეჯენო. მიიღო რჩევა. **ამდენი ხნის ანტირუსული ისტერიის შედეგად დამახინჯდა ახალგაზრდების შეგნება, ბევრს დაუბნელდა საღი აზრი,** თითქოს იმ მდინარის გიჟობად მოწამლული წყალი დალიესო; **არაფრის გაგება არ უნდათ, გარდა რუსეთზე ავისა და ბოროტის ხსენებისა. რას მივაღწიეთ ამით? რუსების დახმარებით მოსპობის გზაზე მდგარნი აყვავებას და გამძლავრებას ვეზიარეთ; რუსებთან მტრობით და ლანძღვით ჩვენივე ფეხით მივდივართ საქართველოს გადაყლაპვის მსურველთა ყბაში.**

ისტორია კი მეორდება. რუსეთის ღვარძლი ვერ იქნა და ვერ მოინელა დასავლეთმა. არადა, რა დაგიშავა, შე უმადურო?! ნაპოლეონის ძალადობისგან რომ გიხსნა, შენ კიდევ ისევ რუსეთს დაუწყე ღრენა. ჰიტლერული ნაციზმის სტომაქიდან რა არსებად გამოყოფდი თავს, თვითონ სატანამ თუ იცის. **ავიწყდებათ, რუსეთმა რამდენჯერ იხსნა ევროპა იმავე ევროპაში გამოჩეკილი ურჩხულებისგან. ყველაზე სავალალო კი ის არის, რომ რუსეთის გასაღიზიანებელ თავხედ გოშიად საქართველოს პრეზიდენტად წოდებულ ტუტუც არსებას იყენებენ, რაც საბოლოოდ ქართველი ხალხის უბედურების ნაყოფს ისხამს.** სტრატეგიულ პარტნიორებად გასაღებული „მეგობრები“ კი ავღანეთიდან საქართველოს დაცვის ილუზიით გვიბავენ თვალებს, რამეთუ ვერ იქნა და ვერ გველირსა მაღალ პოსტზე სამშობლოსთვის თავდადებული მამულიშვილის ხილვა და მისი გაბრძოლებით დაჩაგრული ქართული სიამაყის ზეიმი. **განა გული არ დაგწყდება პრეზიდენტობის კანდიდატების და სხვა პოსტის მაძიებელთა სირბილზე ამერიკაში, როგორც ერთ დროს ირანში დარბოდნენ?!**

**ქართველი ხალხის უბედურება ყველაზე ახლობელი, ერთმორწმუნე რუსეთის ლანძღვით და მტაცებელთან ჩახუტებით დაიწყო. არადა, რუსეთმაც საბჭოთა კავშირის დაშლით ისეთი საშინელი რბევა განიცადა, როგორიც დიდ ომსაც კი არ შეუძლია.** ლოთი ელცინის თავქარიანობით მთელი რუსეთის სიმდიდრე დაიტაცეს და გაანიავეს; მალე რუსეთის დაშლის მსურველების მოლოდინიც ახდებოდა, თუ არა პუტინის გამოჩენა.

**ახლახან „ისტორიული მემკვიდრეობის“ მიერ გამოცემულ წიგნში „უცნობი პუტინი“ აღწერილია, როგორი რუსეთი ჩაიბარა მან და დღეს მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ქვეყანაა, რომელსაც თითს ვერავინ დაუქნევს. ამ რუსეთის პრეზიდენტი აცხადებს, რომ ქართველები ჩვენთვის ყველაზე ახლობელი ხალხიაო. ეს მაშინ, როცა ჩვენი თავქარიანი პრეზიდენტი რუსეთის ლანძღვის მეტს არაფერს აკეთებს და მის გასაღიზიანებლად ყოველგვარ სიბინძურეს კადრულობს.** იგი შევარდნაძის საქმიანობის ღირსეული გამგრძელებელია, რომელმაც რუსეთი იძულებული გახადა საქართველოსთან სავიზო რეჟიმი შემოეღო. შევარდნაძის დროს აგორდა სამარცხვინო სიყრუე, თითქოს პუტინი საქართველოში მცხოვრები ვიღაც რუსი ქალის შვილი იყო, აღზევებული პუტინი კი ყურადღებას არ აქცევდა. პასუხის ღირსადაც არ ჩაუგდია შევარდნაძის დროინდელი ცილისწამება, ვითომ იგი ვიღაც ქართველი გლეხის გერი იყო. ლენინგრადში დაბადებული ღირსეული მშრომელი ოჯახის შთამომავალი ნაბიჯ-ნაბიჯ მიარღვევდა გზას ცხოვრების ლაბირინთებში, პრინციპული და მტკიცე ნებისყოფით აღწევდა საწადელს. იგი, სააკაშვილისა და მისი დამქაშების პირდორბლიან შეურაცხყოფათა კასკადის მიუხედავად, მსოფლიოს გასაგონად აცხადებს, რომ ქართველები მისთვის ყველაზე ახლობელი ხალხია. ამას რწმენით ამბობს, რამეთუ იცის, ქართველთა და რუსთა მეგობრობას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს, რომელსაც საერთო მტრის წინააღმდეგ ერთად დაღვრილი სისხლი ადუღაბებს. ისიც ღრმად სწამს, რომ **საქართველოში ბედის უკუღმართობით გაბატონებული უცხოეთის ლაქია ხელისუფლება, იმავე უცხოეთის დავალებით უყეფს რუსეთს ცხიმიანი ლუკმის მონადირებაზე დახარბებული გოშიასავით და ამგვარი საქციელი ქართველ ხალხში მხოლოდ ღრმა გულისწყრომას რომ იწვევს.**

წაიკითხავ ამ წიგნს და თვალწინ დაგიდგება რუსეთის მძლავრი ნაბიჯებით წინსვლა. დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე მდგარი მრავლდება და ადამიანთა ყოფა ყოველწლიურად უმჯობესდება.

წაიკითხავ ამ წიგნს და, თუ კიდევ არსებობს შენში ცილისმწამებელთა მიერ შემოგდებული ღვარძლის მარცვალი, დარწმუნდები, რომ რუსეთს მართავს პრიცნიპული, გონიერი და ძლიერი ხელმძღვანელი, რომელიც ქართველ ხალხს ყველაზე ახლობლად თვლის და გული დაგწყდება, რომ უგნური და უცხოეთის ლაქია ხელისუფლების მოღალატეობრივი ფაფხურის გამო მისი მტრების ბანაკში, სიცრუისა და ძალადობის ტყვეობაში საწუწნი კანფეტივით რომ თვალწინ გიდნება სამშობლო.

ძმა რომ ძმაა, ის არ გაპატიებს ამდენ შეურაცხყოფას. არადა, ყველა ხვდება, რომ **საქართველოს პრეზიდენტი ქართველი ხალხის უბედურებად უყეფს რუსეთს.**

დღეს მსოფლიოში ძალის პოლიტიკის აღვირახსნილობაა. ამერიკელები ერაყში შეიჭრნენ და სისხლის აბანოები გამართეს. ისეთი მიზეზი მოიგონეს, კაცობრიობას გაკვირვებით თვალები გაუფართოვდა. საჯაროდ ყველას დასაცინი გახდებოდნენ, მისი მუშტის რომ არ ეშინოდეთ, ასეა, როცა ძალა გაქვს, ტყუილს სიმართლედ შეაჭმევ ურწმუნოებს.

**საქართველოს ერთიანობა და გამძლავრება ყველაზე უფრო რუსეთს აძლევს ხელს, მაგრამ ვის რად უნდა ისეთი მეზობელი, ყოველდღე ხრიკებს რომ ბლანდავს და სახალხოდ გლანძღავს. არადა, რუსეთისთვის ამერიკული მეთოდით საქართველოს დაშოშმინება რა პრობლემაა, მაგრამ კარგად იცის, რომ დასავლეთის სტომაქში შემძვრალ „ნაციონალთა“ ბანდა ხალხის ნების წინააღმდეგ, უცხოელ მფარველთა საამებლად ყიდის საქართველოს აღორძინებისა და გამძლავრების შესაძლებლობას.**

გონზე მოსასვლელად მავთულხლართების გაბმა დაიწყო. ღავღავებენ არასამთავრობო გრანტიყლაპიები და გადარევის წყალდალეული პიარს აყოლილები. ვითომ აქციებს აწყობენ, რათა შემდეგ ტელევიზიის ეკრანებიდან იღავღავონ. შედეგი რაა? აღშფოთდებიან, აჭყლოპინდებიან, ევროატლანტიკურ „მეგობრებს“ მოახსენებენ რუსეთის ამ აგრესიის შესახებ; ტუტუცი პრეზიდენტიც გამოვა და უშიშროების საბჭოს მოწვევას მოითხოვს, რომელსაც ყუდროზე გამოსული დედაბერის დაფრთხობა თუ შეუძლია. საგარეო საქმეთა მინისტრის აღშფოთებულ კნავილზეც ამცნობს ქვეყანას ყოვლისმხილველი ტელევიზია. ისე კი, მაგ ქალბატონის ცოდვით არ მოისვენოს იმან, ვინც ამგვარი მაღალი პოსტის მძევლად აქცია და პატარა ინსტრუქცია მაინც არ ჩაუტარა, — როცა არაფერი გაგეგება, გაჩუმდი მაინცაო. მაგანაც ბალტიისპირეთში ისეთი რამ ააფრინა, კინაღამ ამიერკავკასიაში უნდობლობის ქარბუქი დაატრიალა. ხან სტალინის აუგად მოხსენიებით შეირცხვინა თავი და ხან ტუტუც მიშას სულელურ გამოსვლაზე ტაშის დაკვრით. მალე ისევ ჩადგება ყავის მომდუღებელ თანამშრომელთა რიგში, მაგრამ შვილიშვილებთან ბუხრის პირას მისი მინისტრობის პერიოდს სირცხვილით არ გაიხსენებს.

**რუსეთში, ეტყობა, ელოდებიან საქართველოს ახალი ხელისუფლების გონივრული ნაბიჯის გადადგმას, თუ არადა, მავთულხლართებს გორში გაგიტარებს და ავღანეთიდან საქართველოს დაცვის ღრმაშინაარსიან სტრატეგიაზე თავდაცვის მინისტრის მეურმის მამალივით ყივილი შემაღლებული ადგილიდან განთიადს ვერ გვაღირსებს.**

**რუსეთს კი პუტინის სახით ძლიერი ხელი მართავს, ვისაც ამის არ სჯერა, წაიკითხოს „უცნობი პუტინი“ და დაუწყნარდება მის წინ წერას ატანილი წინწკარა ჩიტივით ბოლოქანქარი. მეგობარს მტრად მხოლოდ ვინმე ჭკუასუსტი, ოხრის დათაღლითის მიერ წაქეზებული თუ მოეკიდება.**

ქართველი ხალხი ბრძენია და იმას ამოუდგება მხარში, ვინც ქვეყანას გამთლიანების, აღორძინებისა და აყვავების სწორი გზით წაიყვანს.

**გივი სომხიშვილი**

**ლურჯი ფანქრით ნასწორებიდან წარმოდგება ხასიათი, განსხვავებული იმისგან, როგორიც წარმოგვედგინა: ფრთხილი, რაციონალური, ფხიზელი. იგი ამოშლიდა ხმამაღალ, იდეოლოგიით სავსე პასაჟებს, გადახაზავდა მისდამი მიძღვნილ მლიქვნელურ სიტყვებს, დასცინოდა რიტორიკულ ქედმაღლურ მტკიცებას ირონიული „ჰა-ჰა“-თი, სძულდა მაღალფარდოვანი ზედსართავი სახელები.**

ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სტალინის ლურჯი ფანქარი

## როგორ დაიწუნა სტალინმა ლენინის 47 სტატია

**ამ ისტორიულ ფაქტს იხსენებს იტალიური გაზეთი La Stampa და სტალინის, როგორც გაზეთის რედაქტორის, პორტრეტს ამ საინტერესო შტრიხს უმატებს — რედაქტორისა, რომელიც ავტორიტეტებს არ ერიდება და წუნდებულ პროდუქციას გაზეთის გვერდებისკენ გზას უკეტავს.
მაგრამ წერილი მარტო ამის შესახებ არ არის.**

La Stampa წერს:

იგი არასოდეს განშორებია თავის ლურჯ ფანქარს. ამ ფანქრით ხელში უნახავს ჩერჩილს სტალინი, როცა ომისშემდგომ ევროპას ინაწილებდნენ; ჟუკოვს, როცა ისინი ალყაში მოქცეული სტალინგრადის რუკას შეისწავლიდნენ. მისი ენერგიული ხელწერა კვლავ ემჩნევა დოკუმენტებს ნახევარ საუკუნეზე მეტი დროის გასვლის შემდეგაც...

**იოსებ სტალინი მიჩვეული იყო ლურჯი ფანქრით მოშაობას იმ დროიდან მოყოლებული, როცა ჯერ კიდევ ჯუღაშვილის გვარით იყო ცნობილი და გაზეთ „პრავდას“ რედაქტორობდა. იმ დროს სტამბაში გაგზავნამდე გამზადებული მასალის ფოტოგრაფირება ხდებოდა, ლურჯი ფანქრით ჩანასწორები ფოტოზე მკრთალად ჩანდა. იგი შეუბრალებელი რედაქტორი იყო და ლენინს 47 წერილი დაუბრუნა. ლენინი აღფრთოვანებული იყო თავისი მოწაფის ჟურნალისტური ნიჭით.** შემდგომში სტალინი თავის ავადმყოფ ლიდერს, რომელიც განმარტოებით ცხოვრობდა აგარაკზე ქალაქგარეთ, უგზავნიდა გაზეთ „პრავდის“ ასლებს, რომლებიც სპეციალურად მისთვის იბეჭდებოდა, რათა ლენინი არ ყოფილიყო რეალურად მიმდინარე მოვლენების საქმის კურსში.

ბევრი დიქტატორი თავიანთი კარიერის დასაწყისში ჟურნალისტობდა და სტალინმაც შეისწავლა **რედაქციის უპირველესი საიდუმლოება: მას, ვინც ასწორებს და რედაქტირებას აკეთებს, უფრო მეტი ძალაუფლება აქვს, ვიდრე მას, ვინც წერს.** ისტორიკოსების მთელი რაზმები სწავლობ-



დნენ სტალინის შენიშვნებს და ჩასწორებებს, რომლებითაც ულვაშა აჭრელებდა მის ხელში მოხვედრილ ნებისმიერ ნაბეჭდ ფურცელს: თავისი ბიბლიოთეკის წიგნებიდან დაწყებული პარტიულ დოკუმენტამდე და საგაზეთო სტატიებამდე... **ლურჯი ფანქრით ნასწორებიდან წარმოდგება ხასიათი, განსხვავებული იმისგან, როგორიც წარმოგვედგინა: ფრთხილი, რაციონალური, ფხიზელი. იგი ამოშლიდა ხმამაღალ, იდეოლოგიით სავსე პასაჟებს, გადახაზავდა მისდამი მიძღვნილ მლიქვნელურ სიტყვებს, დასცინოდა რიტორიკულ ქედმაღლურ მტკიცებას ირონიული „ჰა-ჰა“-თი, სძულდა მაღალფარდოვანი ზედსართავი სახელები.** მანიაკალურად ასწორებდა, აკეთებდა კორექტურას, რედაქტირებას ნებისმიერი დოკუმენტის: პოლიტბიუროს დადგენილებების პროექტებიდან დაწყებული და საგაზეთო სტატიებით, ნებისმიერი დარგის სამეცნიერო მოხსენებებით დამთავრებული; საერთაშორისო შეთანხმებები იქნებოდა თუ მსჯავრდებულთა სიები.

**„ლურჯი ფანქარი მისი საიდუმლო იარაღი იყო, რომლის მეშვეობითაც იგი ქმნიდა ქრონიკას, ისტორიას, მითს“,** — წერს კორნელის უნივერსიტეტის პროფესორი ჰოლი კეისი თავის შესანიშნავ ესეში, რომელიც რედაქტორ სტალინისადმია მიძღვნილი.

**ნაყოფიერი მწერალი და უმაღლესი ცენზორი ავტორობით არ იყო დაინტერესებული და მის ნაშრომს „საკ. კპ (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, რომელიც სტალინიზმის ბიბლიად იქცა, თავისი სახელი არ მოაწერა.** ტექსტის სრულყოფილი ვერსიის შექმნით დაინტერესებული, იგი მოითხოვდა, ყველა საბჭოთა მოქალაქეს პარტიის ისტორია შეესწავლა არა პროპაგანდისტიქურუმების შუამავლობით, არამედ — პირადად. ამას კომუნისტური პროტესტანტიზმი შეიძლება ვუწოდოთ. იმ დროს წიგნი იყო რწმენის ძირითადი, თუ ერთადერთი არა, წყარო.

**„მოკლე კურსის“ კრიტიკულ ვერსიას სტალინის ჩასწორებებით მალე გამოაქვეყნებს იელის უნივერსიტეტი.**

## უმკაცრესად ასწორებდა თავის ნაწერებს

**სტალინი განსაკუთრებულად მომთხოვნი და მკაცრი რედაქტორის პოზიციიდან კითხულობდა თავის ნაწერებს თუ გამოსაქვეყნებლად გამზადებულ თავის საჯარო გამოსვლებს.
რუსულ ინტერნეტსივრცეში გამოჩნდა ამის დამადასტურებელი საბუთები, რომლებიც სტალინისა და ვიაჩესლავ მოლოტოვის პირად არქივებში ინახებოდა. მათ შორისაა ორი იდენტური ტექსტი სტალინის ცნობილი სადღეგრძელოსი რუსი ხალხის შესახებ, რომელსაც საფუძვლად დაედო ერთი და იგივე სტენოგრაფიული ჩანაწერი.**

მათგან პირველი, სტალინის ჩასწორებებით, ადრეც იყო გამოქვეყნებული: 1945 წლის 25 მაისს დაიბეჭდა საბჭოთა კავშირის გაზეთებში, შემდეგ არაერთხელ იქნა ტირაჟირებული და ინტერპრეტირებული მკვლევარების მიერ. მაგრამ თვით სტენოგრაფიული ჩანაწერი დაინტერესებული მეცნიერებისთვის მიუწვდომელი რჩებოდა, და განსაიდუმლოვდა მხოლოდ 1990-იანი წლების ბოლოს.

მეორე დოკუმენტში რადიკალური ჩასწორება არ ჩანს — სტალინმა მხოლოდ შეცვალა გამოთქმა **„მე ვსვამ“ (Я пью)** სხვა, უფრო ამაღლებული, არა სუფრული, არამედ საზეიმო სიტუაციას უფრო მორგებული გამოთქმით — **„მე წარმოვთქვამ სადღეგრძელოს“ (Я подымаю тост).**

ახლა, როცა მკვლევართა განკარგულებაშია პირველწყაროს ამოსავალი ვარიანტი — სტენოგრაფიული ჩანაწერიც და საბოლოო ვერსიაც — ოფიციალური საგაზეთო პუბლიკაცია, ანალიტიკოსებს საშუალება მიეცათ კვლავ გადახედონ ბელადის სადღეგრძელოს რუსი ხალხის შესახებ.

ამთავითვე ვთქვათ, რომ **იმ ჩასწორებებით, რომლებიც სტალინმა გააკეთა, მთელი სისავსით გამოჩნდა ის პატივისცემა და დაფასება რუსი ხალხის მიმართ, ნიუანსებშიც კი, რაც ომგადახდილ ბელადს ჰქონდა ამ ერის მიმართ.**

ანალიტიკოსები თანმხდებიან იმაშიც, რომ **სტალინმა არ დამალა შეცდომები, რომლებიც სამამულო ომის დროს დაუშვა საბჭოთა მთავრობამ და პირადად მან. თუმცა ეს აღიარება, რომელსაც გამოქვეყნებისთანავე, რა თქმა უნდა, მსოფლიო განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდა, დაპირისპირებული იდეოლოგიის მქონე მხარე საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგოდ, დიად გამარჯვებაში მისი როლის დასაკნინებლად რომ არ გამოეყენებინა, ერთგვარ დიპლომატიურ ჩარჩოებში მოაქცია.**

მკვლევარები ასე განსჯიან: **წარმოთქმულ სადღეგრძელოში სტალინი აღიარებს მთავრობისა და მის მიერ დაშვებულ შეცდომებს „სასოწარკვეთილი მდგომარეობის“ ჟამს, რასაც ადგილი ჰქონდა 1941-1942 წლებში.** ასეთი აღიარება მიკიბ-მოკიბვის გარეშე არის დაფიქსირებული სიტყვის ჩაუსწორებელ ვარიანტში — ანუ ისე და იმგვარადაა გადმოცემული, როგორც სტალინმა საზეიმო მიღებაზე თქვა — პირდაპირ და შეულამაზებლად. სტალინმა ხაზგასმით განაცხადა, რომ იმ შეცდომებისთვის, რომლებიც მთავრობამ დაუშვა, ხალხს შეეძლო ეს მთავრობა (მაშასადამე თვით სტალინიც) გზიდან ჩამოეცილებინა, განედევნა. **„ეს შეიძლება მომხდარიყო, იქონიეთ მხედველობაში“,** — შეახსენებდა ბელადი. იმეორებდა, რათა გონებაში ჩაეჭედა გამარჯვების ეიფორიაში მყოფი სარდლებისთვის. სტენოგრამის ტექსტი ამას ადასტურებს: **„ვიმეორებ, ჩვენ გვქონდა შეცდომები, პირველ ორ წელიწადს ჩვენი არმია იძულებული იყო უკან დაეხია. გამოდის, რომ ვერ დავეუფლეთ მოვლენებს, ვერ დავეუფლეთ შექმნილ მდგომარეობას“.**

ასე იყო ნათქვამი. მაგრამ, როგორც ჩანს (რაც მხოლოდ ვარაუდია, თუმცა ლოგიკას მოკლებული არაა), სტალინმა საჭიროდ არ ჩათვალა ომის დასაწყის ეტაპზე თავისი პასუხისმგებლობის ამგვარი აფიშირება, გაითვალისწინა არაერთგვაროვანი მსოფლიოს რეაქცია და გამოსაქვეყნებელი ტექსტიდან ამოშალა სიტყვები **„ჩვენი საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელი“,** რაც მის პერსონაზე ყურადღების ფოკუსირებას უეჭველად გამოიწვევდა.

შემდეგ. ბელადმა, ალბათ, ჩათვალა, რომ რუსი ხალხის დასახასიათებლად ნახმარი მრავალსიტყვაობა, შესაძლოა, ნაკლებ ეფექტიანი და აღსაქმელადაც ერთგვარი გაფანტულობის შემცველიც იყო და ამიტომ **„სალი გონების, საერთო-პოლიტიკური სალი გონების“** ნაცვლად ტექსტში ჩაწერა **„ნათელი გონება“.**

პასიურობისა და მომლოდინეობის ელფერი, რომელიც რუსი ხალხის შეფასებაში ჩანდა, რომელსაც **„სჯეროდა, ითმენდა, ელოდა და იმედოვნებდა“,** სანამ საბჭოთა ხელმძღვანელობა **„დაძლევდა მოვლენებს“,** სტალინმა იმთავითვე არასასურველად ჩათვალა. სტენოგრამაში შესაბამისი ჩასწორების შემდეგ გამოვიდა, რომ მას (ხალხს) ომის დასაწყისში დაშვებული შეცდომებისა და წარუმატებლობის მიუხედავად არა მხოლოდ **„სჯეროდა თავისი მთავრობის პოლიტიკის სისწორის“,** არამედ აქტიურად მხარს უჭერდა საომარ მოქმედებათა მსვლელობისას და გაიღებდა უდიდეს მსხვერპლს გერმანიის დამარცხების უზრუნველსაყოფად.

**„რუსი ხალხის საბჭოთა მთავრობისადმი ნდობა“, სტალინის მიერ ჩასწორებული ტექსტით, აღმოჩნდა გადამწყვეტი ძალა, რომელმაც უზრუნველყო ფაშიზმზე გამარჯვება.**

კიდევ ერთი საინტერესო ნიუანსური ჩასწორება, რომლის გარეშე დაირღვეოდა, ანალიტიკოსების აზრით, გულდაგულ რედაქტირებული და მიზნობრივად აწყობილი ტექსტის ერთიანი სხეული და მწყობრი სტრუქტურა.

**რუსი ხალხისთვის დამახასიათებელი თვისებების ჩამოთვლისას სტალინმა ჩაწერა სიტყვები „მაგარი ზურგი“.** მაგრამ, როგორც მკვლევარები ფიქრობენ, გადაწყვიტა, რომ ეს არა მარტო ამოვარდნილი იქნებოდა კონტექსტიდან, არამედ დაამცირებდა რუსი ხალხის ღირსებას, მიუხედავად იმისა, რომ ამ გამოთქმაში შეურაცხმყოფელი არაფერი იყო. **სტალინი რუს ხალხს განიხილავდა მთავარ ღერძად — СТАНОВОЙ ХРЕБЕТ, თავისებურ საფუძვლად, რომელზე დაყრდნობითაც საბჭოთა ხელმძღვანელობამ შეძლო არა მარტო დაეძლია საკუთარი საბედისწერო შეცდომები, რომელთაც შედეგად მოჰყვა 1941-42 წლების დრამატული მოვლენები, არამედ, გამარჯვებამდე მიეყვანა საბჭოთა ქვეყანა.**

ამასთან დაკავშირებით ზოგიერთი მეცნიერი იხსენებს ერთ საინტერესო ფაქტს. 1946 წელს საბჭოთა ეკრანზე დაიწყო დემონსტრირება მხატვრული ფილმისა „ფიცი“, რომლის სცენარი დაწერეს პეტრე პავლენკომ და მიხეილ ჭიაურელმა. ფილმი სტალინისადმი იყო მიძღვნილი. აქ არის ერთი სცენა — სტალინის (რომლის როლს ასრულებს მიხეილ გელოვანი) და „რუსი მშრომელი დედის“ ვარვარა პეტროვას (სოფია გიაცინტოვა) დიალოგის, როცა პეტროვას შეკითხვას, **იქნება თუ არა ომი,** სტალინმა უპასუხა: **„ყველაფრიდან ჩანს, რომ ომი იქნება და მას თავიდან ვერ ავიცილებთ.“** ნიშანდობლივია, დედის რეაქცია სტალინის პასუხზე: **„უკეთესიც კია, იოსებ ბესარიონის ძევ, თუ ომი ჩვენ დროს იქნება. ჩვენ გამოცდილი ხალხი ვართ, მივეჩვიეთ სიძნელეებიდან გამოსვლას. რა არ გადავიტანეთ! ჩვენ მაგარი ზურგი გვაქვს. ჩვენს ზურგზე გადავიტანთ ამ ომსაც“.**

ანალიტიკოსები არ მიიჩნევენ, რომ ეს გამოთქმა — **„მაგარი ზურგი“** სტალინმა „ფიცის“ სცენარიდან ისესხა. უფრო პირიქითაა: მიხეილ ჭიაურელისადმი სტალინს მეგობრული, თბილი დამოკიდებულება ჰქონდა, ბატონი მიშა ხშირად ხვდებოდა ბელადს, განსაკუთრებით, ფილმის გადაღებისას და გამორიცხული არ არის, რომ სწორედ მისგან გაიგონა ცნობილმა რეჟისორმა ეს გამოთქმა.

ეს მხოლოდ ნიუანსია.

დაბოლოს, საერთო დასკვნა: **წითელი არმიის სარდლების წინაშე გამოსვლისას, სტალინი, უეჭველია, თავს ტრიუმფატორად გრძნობდა.** გამარჯვებულებს რომ არ ასამართლებენ, ცნობილია, ლოგიკურად — არც გამარჯვებულები ასამართლებენ თავიანთ თავს. **„თავისი ვარსკვლავური საათის ჟამს,** — ნათქვამი სტალინისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ უახლეს პუბლიკაციაში, — **გამარჯვებული სტალინისათვის ნათელი გახდა, რომ აღსარების თქმა უადგილო იქნებოდა და ამიტომ თავისი სიტყვა, რომელიც ომის დამთავრებიდან მეორე კვირის თავზე, 1945 წლის 24 მაისს წარმოთქვა წითელი არმიის სარდლების პატივსაცემად გამართულ მიღებაზე კრემლში, მკაცრი რედაქტირების ქურაში გაატარა“.**

ლურჯმა ფანქარმა აქაც სერიოზულად იმუშავა.

მოამზადა
**არმაზ სანებლიძე**

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ქურდებმა ციხის დირექტორის კაბინეტიდან სეიფი მოიპარეს

**ჩრდილოეთ იტალიაში, ქალაქ პავიაში ქურდებმა ციხის დირექტორის კაბინეტიდან სეიფი მოიპარეს.** დამნაშავეები ღამით კამერებისა და სათვალთვალო სისტემების გვერდის ავლით ციხის დირექტორის ოთახში შეიპარნენ და სეიფი გამოიტანეს. ციხის ადმინისტრაციის ინფორმაციით, მოპარულ სეიფში დაახლოებით 5 000 ევრო იდო. იტალიის პოლიციამ ინციდენტის გამოძიება დაიწყო.



## რამდენი საათის ძილს პარავენ ბავშვები მშობლებს



**ოჯახში ბავშვის გაჩენის შემდეგ მშობლები 1 წლის განმავლობაში, დაახლოებით 6 კვირის ხანგრძლივობის ძილს „კარგავენ“. ყველაზე ხშირად ძილის დარღვევა ხდება ბავშვის ტირილის, ღამით ბავშვის გამოკვების ან მშობლების პირადი განცდების გამო. უძილობა და საოჯახო საქმეების დაუსრულებელი ჯაჭვი დედას ასევე ართმევს ძილის საათებს.**

მეცნიერებმა გამოიკვლიეს, პროცენტულად რა უფრო არღვევდა მშობლების ძილს. მშობლების 62% ღამით ბავშვის გამოსაკვებად იღვიძებდნენ, 58% ბავშვის ტირილის გამო, 45% მათივე პირადი მღელვარების გამო, ხოლო შემთხვევათა 27%-ში მშობლების ძილი სახლის საქმეების გამო დაირღვა.

ბრიტანელი მეცნიერების მონაცემებით, ბავშვის გაჩენიდან 1 წლის განმავლობაში მშობლებს ღამეში 5.1 საათი სძინავთ. ზოგადად მოზრდილებისთვის 8-საათიანი ძილია რეკომენდირებული.



## მამაკაცს კუჭში «ლუდსახარში» აღმოაჩნდა

61 წლის ტეხასელი მამაკაცი მუდმივი სიმთვრალით იტანჯება. საქმე ისაა, რომ მამაკაცი ალკოჰოლს არ მიირთმევს, ალკოჰოლს მისი ორგანიზმი თავად გამოიმუშავებს.

მას ავტო-ლუდსახარშის სინდრომი აქვს. მისი კუჭნაწლავი დიდი ოდენობით საფუარს შეიცავს, რის გამოც სხეულში მოხვედრილი სითხე ლუდად გარდაიქმნება.

სანამ ამ დიაგნოზს დაუსვამდნენ, პაციენტის მეუღლე ხშირად გამოთქვამდა უკმაყოფილებას ქმრის ლოთობის გამო. პროფესიით ექთანი, ქმარს ხშირად უტარებდა ალკოტესტს, რომელიც ხშირად რეკორდულ ნიშნულს აღწევდა.

ექიმმა ბარბარა კორდელმა და გასტროენტეროლოგმა ჯასტინ მაკარტიმ პაციენტი საფუძვლიანად გამოიკვლიეს.

პაციენტს 24-საათიანი იზოლაცია მოუწყვეს და დარწმუნდნენ, რომ ალკოჰოლი არ მიუღია. ამ დროს კი ალკოჰოლის შემცველობა სისხლში 0,12% იყო.

ექიმებმა მოგვიანებით დაადგინეს, რომ მისი კუჭი ინფიცირებულია საფუარის სოკოთი, რომელიც ალკოჰოლის წარმოებაში გამოიყენება. საუბედუროდ, პაციენტს ანტიბიოტიკებით ვერ მკურნალობენ, რადგან წამლებმა, შესაძლოა, კუჭნაწლავის ყველა ბაქტერია გაანადგუროს.



# სპლიყვური დედაშვილობა

**ჩინეთის ზოოპარკის თანამშრომლები გახდნენ გულისამაჩუყებელი და მძიმე სურათის მომსწრენი: სპლიყვი, რომელიც აგრესიულ დედას უსაფრთხოების გამო დააშორეს, 5 საათის განმავლობაში განუწყვეტლივ ტიროდა.**

2013 წლის 30 აგვისტოს, ჩინეთის ზოოპარკში მოხდა სასიხარულო ამბავი, სპილომ ცოტათი ნაადრევი, მაგრამ ჯამთელი სპლიყვი მოიგო. თუმცა, ეს მოვლენა არ გამხდარა ზარზეიმის მომტანი, რადგან დაბადებისთანავე სპილომ თავის ახალშობილს დააბიჯა. ყველას ეგონა, ქვეყანას ახლახან მოვლენილი სპლიყვი მოკვდებოდა.

ზოოპარკის თანამშრომლები შევარდნენ გალიაში და გამოიყვანეს სპლიყვი, იმის იმედად, რომ რითიმე გაუწევდნენ დახმარებას. მართლაც, შეძლო ზოო-პერსონალმა სპლიყვისთვის მეორე სიცოცხლის მიცემა. ძლიერი დაზიანების მიუხედავად, ვეტერინარებმა იყოჩაღეს და პატარა ფეხზე დააყენეს.

ამის შემდეგ ისევ დედასთან დააბრუნეს, ახლა უკვე მხოლოდ დედა ანუგეშებს და დაამშვიდებსო. თუმცა, მომხდარმა ყველა გააოგნა. როცა დედას შვილი მიუახლოვდა, სპილო გაავდა და, რომ არა მომთვინიერებლების სიმარჯვე, სპლიყვს უკვე ნამდვილად ველარავინ უშველიდა. დედამ უარყო თავისი შვილი.

ამის შემდეგ კი პატარა მართლაც საყვარელმა არსებამ იმდენად განიცადა დედისგან იგნორირება, რომ ლამის ცრემლად დაიღვარა. ის მთელი ხუთი საათის განმავლობაში ტიროდა.

რა და რა ხერხს არ მიმართეს ზოოპარკის თანამშრომლებმა: მიეფერნენ, შეახვიეს, აჭამეს, მაგრამ ვერა და ვერ დაამშვიდეს — ის ისევ ცრემლს აფრქვევდა.





**„ის შეუჩერებლად ქვითინებდა,** — ამბობს ექსკურსიამძღოლი. — **იმის გამო, რომ დედას მისი მოკვლა უნდოდა“.**

„შესაძლებელია რამდენიმე ხანში მათ შორის შემდგარიყო კავშირი, — განაცადა ზოოპარკის უროსმა ჟურნალისტებთან საუბრისას. — მაგრამ ჩვენ არ შეგვეძლო გაგვერისკა ახალშობილის სიცოცხლით და მივიღეთ მძიმე გადაწყვეტილება, ის მშობელთან ვერ იქნება უსაფრთხოდ, მისთვის პირველ საშიშროებას დედა წარმოადგენს“.

ამ ფაქტს გამოეხმაურა ინგლისის ზოოპარკის ადმინისტრაცია და ამ მდგომარეობიდან გამოსავლის მშვენიერი საშუალება მონახა. მათ ანალოგიური სიტუაცია ჰქონდათ შველთან დაკავშირებით. ინგლისელმა კოლეგებმა დეპრესირებული ახალშობილის დასახმარებლად დიდი ზომის სათამაშო დათუნია მოიტანეს, რომელსაც ძლიერ დაუახლოვდა და მასთან ერთად იძინებდა.



## ბავშვი-თოჯინები ბავშვების დასაცავად

**იმისთვის, რომ სკოლის მოსწავლეები გზებზე დაცულნი იყვნენ, ინგლისის ქალაქ ლესტერში მდებარე სკოლასთან ბავშვი-თოჯინები განათავსეს.** თოჯინები გზაზე არიან განლაგებულნი და მძღოლს ხანდახან თავი საშინელებათა ფილმის პერსონაჟი ჰგონია. მანეკენებს სკოლის უნიფორმა აცვიათ და შორიდან მომავალი ავტომობილიდან ისე ჩანს, თითქოს გზაზე ცოცხალი ადამიანი გადადის. ამ პროექტმა შედეგი უკვე გამოიღო — მძღოლები სკოლის მონაკვეთზე სიჩქარეს ანელებენ.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95





# ნიჭიერი ცაციები

**ხელის განვითარება ადამიანის ტვინზეც მოქმედებს, ამიტომ ფიქრობენ, რომ მემარცხენეებს და მემარჯვენეებს ნიჭი და გონებრივი მონაცემებიც განსხვავებული აქვთ.**



არსებობს მოსაზრება, რომ ცაციები უფრო ნიჭიერები არიან. ამის ერთ-ერთი მტკიცებულება ისაა, რომ მათ ისტორიაში ბევრი წარმატება თუ მიღწევა აქვთ. ასევე ფიქრობენ, რომ ის გენი, რომელიც ადამიანში ცაციობას განაპირობებს, ასევე დაკავშირებულია და გავლენას ახდენს ტვინში არსებულ მეტყველების ცენტრზე. ამის გამო ცაციების უმრავლესობა კარგი ლინგვისტი და ორატორია, კარგად ფლობს ენას.

ამასთანავე, ამერიკასა და ბრიტანეთში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ მემარცხენეები 1 ქულით მეტს იღებენ IQ-ტესტებში, ვიდრე მემარჯვენეები. ეს კი ყურადღების გამახვილებას ნამდვილად არ იმსახურებს. (სხვათაშორის, ცაციები მთელი მოსახლეობის დაახლოებით 10%-ს შეადგენენ).

მოკლედ, რომელი უფრო ჭკვიანია, ამას დაზუსტებით ვერავინ ამბობს, მაგრამ ის კი უეჭველია, რომ მათ გონებრივ მიდრეკილებებში განსხვავება არის. არსებიბენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც ორივე ხელს ერთნაირად იყენებენ, მაგრამ ეს ძალიან იშვიათი მოვლენაა. ამბობენ, რომ ასეთი იყო და ვინჩი.

**ცაციებს ძალიან ხშირად, მათემატიკისა და მუსიკის ნიჭი ერთდროულად აქვთ. კონსერვატორიებში საკმოდ დიდი პროცენტია ცაციების, თანდაც უმეტესობა ისეთ ინსტრუმენტზე უკრავს, რომლებიც წერსით მემარჯვენეებისთვის უფრო მოსახერხებელი უნდა იყოს, მაგალითად ვიოლინოზე.**

ცაციები ხასიათდებიან როგორც ძალიან შემოქმედებითი, კომუნიკაბელური და აქტიური ხალხი. ამასთანავე ისინი ემოციურები არიან და დიდხანს ერთი საქმის კეთება უჭირთ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფულის შოვნაში განსაკუთრებულ ფხას იჩენენ.

თუმცა, ყოველთვის როდი იყო საუბარი მათ ნიჭიერებაზე. წინათ მემარცხენეობა სათაკილო იყო.

ნებისმიერი ენა საკმაოდ დიდ ისტორიულ მასალასაც შეიცავს და მისგან გამომდინარე ადვილად შეგვიძლია დავასკვნათ, ამა თუ იმ ეთნოსს რა დამოკიდებულება ჰქონდა რაღაც საგნის თუ მოვლენის მიმართ. „gauche" ფრანგულად ნიშნავს მარცხენასაც და მოუქნელსაც, (ტლანქს), ინგლისურშიც right – მართებულს, სწორს ნიშნავს, ხოლო სიტყვებს, რომლებიც left-ს შეიცავს, ძირითადად უარყოფითი მნიშვნელობა აქვს.

და ბოლოს, ცაციების საერთაშორისო დღე 13 აგვისტოა.

# გარდაიცვალა Bentley

**ძლიერ შეძლებულმა წარმოშობით იატლიელმა მამაკაცმა, რამდენიმე ხნის წინ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ის აპირებდა თავის ინოვირებული და ძვირადღირებული Bentley-ის დამარხვას, რათა სიკვდილის შემდეგ დარწმუნებული იყოს, რომ მიღმურ სამყაროშიც კომფორტი არ მოაკლდება.**

მას უნდა, რომ თავისი მოძრავსახურავიანი 450 000 დოლარად ღიებული bentley თავის ეზოში დაკრძალოს, ზედ შავი მიწაც მიაყაროს.

თავის წერილში 62 წლის აპენინელმა მამაკაცმა განაცხადა, რომ ის აპირებს ფარაონთა პრაქტიკას მიბაძოს და თავის სიმდიდრეს მიჯრით საკუთარ ეზოში მარხავს, რათა მის მიწიურ ყოფიერებაში სიღარიბე არ იგემოს. **„მე ეგვიპტელთა ტრადიციას გავაგრძელებ და ჩემს მთელ სიმდიდრეს, ჩემს სასახლეში დავმარხავ!"** — განაცხადა მან.

მამაკაცმა თავის „ფეისბუქზე" გამოაქვეყნა, რომ მან უკვე გათხარა სამარხი და რამდენიმე დღეში დაკრძალავს თავის „სიყვარულს". ეს ამბავი ყველამ ირონიით მიიღო და დასცინეს კიდეც, მაგრამ, როცა მან თავის „ფეისბუქის" გვერდზე ატვირთა სურათი, რომელზეც უზარმაზარი ორმო და ბენთლია აღბეჭდილი, ყველა გააოგნდა. „ნონსენსი!" აი, ასეთი კომენტარი გაუკეთეს მის ქმედებას.

აიკიდოში შავი ქამრის, ბიზნესში დიდი პატივისცემის და ცხოვრებაში ბევრი დადებითი თვისების პატრონმა განაცხადა, რომ ამგვარ ქმედებამდე ის მიიყვანა დოკუმენტალურმა ფილმა, ეგვიპტელი ფარაონების შესახებ. გრაფ სკარპა ცხოვრობს სან პაულოს ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ უბანში, სადაც მას 14 000 მ/კვ ფართობი მიწა უკავია, უდგას ვეებერთელა სასახლე და ჰყავს უკანასკნელი გამოშვების მანქანები. გრაფის წოდება მან მამისგან მიიღო, ამ უკანასკნელმა კი ის ქველმოქმედებისთვის მიიღო იტალიის ხელისუფლებისგან 1945 წელს.





# ჩიფსები გონებრივ მონაცემებს აქვეითებს

**ბავშვებს, რომლებიც ჩიფსებს ხშირად ჭამენ, გონებრივი განვითარების დონე უქვეითდებათ. ამ დასკვნამდე ბრისტოლის უნივერსიტეტის მეცნიერები მივიდნენ.**

მკვლევარები აკვირდებოდნენ ბავშვებს, რომლებიც 3-4 წლის ასაკში თითქმის ყოველ დღე ჭამენ ჩიფსებს.

ამ ბავშვებს მეხსიერების დარღვევები და დაბნეულობა აღენიშნებოდათ, შემოქმედებითობა კი თანატოლებთან შედარებით ნაკლებად ახასიათებდათ. შესაბამისად, ასეთ ბავშვებს დაბალი აკადემიური მოსწრება და ქცევის პრობლემები ჰქონდათ. **ანალიზმა აჩვენა, რომ პრობლემის მიზეზი ჭარბი ცხიმია, რომელსაც ეს პროდუქტი შეიცავს. ის ბავშვის ტვინის სწორ მუშაობასა და მის ჰარმონიულ განვითარებას აფერხებს.**

ყველაზე შემაშფოთობელი კი ისაა, რომ 3-4 წლის ასაკში ჩიფსების გადამეტებული გამოყენების შედეგები შეუქცევადია. სწორედ ამიტომ მეცნიერები მშობლებს ურჩევენ, 4 წლამდე ბავშვის რაციონიდან ეს პროდუქტი საერთოდ ამოიღონ. უფროსი ასაკის ბავშვის ორგანიზმზე ჩიფსების გავლენის კვლევას მსგავსი შედეგები არ მოუცია.



ბავშვისთვის მავნე მთავარ ქიმიურ ნაერთად სახელდება აკრილამიდი, რომელსაც ყველა ჩიფსი შეიცავს. ეს ნივთიერება მუტაგენი და კარცეროგენია.

სწორედ ამიტომ მომავალი დედებიც რისკის ზონაში არიან, მათთვის ჩიფსების ჭამა რეკომენდირებული არაა.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მაგნიტურ-რეზონანსური თერაპიის დაკვირვებით გაირკვა, რომ იმ ადამიანთა ტვინის ფუნქციონირებამ საგრძნობლად იმატა, რომლებიც მეგობრების თანდასწრებით ყვებოდნენ საკუთარ პიროვნებაზე. ხოლო კონფიდენციალური საუბრების შემთხვევაში ეფექტი უცვლელი დარჩა. თურმე, საკუთარ თავზე საუბარი მონოლოგის რეჟიმში დიდი სიამოვნებაა, მაგრამ უფრო დიდი ეფექტი სხვების თანდასწრებით „ლაქლაქს“ ჰქონია.**

# ატლანტის ოკეანის გადალახვა 375 საჰაერო ბუშტით

**ჯონათან ტრაპი ამერიკის შეერთებული შტატებიდან ცდილობდა, გადაეკვეთა ატლანტის ოკეანე 375 საჰაერო ბუშტით, რომელიც სავსე იყო ჰელიუმით. ფრენა შედგა. ჰაერბურთის კალათის ფორმა უჩვეულო იყო — ის სწრაფად გარდაიქმნებოდა გასაბერ ნავად წყალში დაშვების შემთხვევაში.**







ატლანტის ოკეანე დედამიწის სიდიდით მეორე წყლის აუზია და მისი ზედაპირის ერთ-მეხუთედს ფარავს.

ოკეანის სახელი წარმოშობით ბერძნული მითოლოგიიდან არის და „ატლასის ზღვას“ ნიშნავს.

ამერიკელი ჯონათან ტრაპი ავიდა ჰაერში 375 საჰაერო ბუშტით, რათა გადაელახა ატლანტის ოკეანე. ფრენა ხელსაყრელ პირობებში, შესაძლოა, გაგრძელდეს დაახლოებით ერთი კვირა.

**გაბედულ ამერიკელ მამაკაცს ჯონათან ტრაპს უკვე ეკუთვნის რეკორდი საჰაერო ბუშტებით ლამანშის სრუტეზე გადაფრენისთვის, რაც 2010 წელს გააკეთა, ხოლო გადაფრენა ალპებზე 2011 წელს წარმატებით განახორციელა.**

ჩრდილოეთ კაროლინის 39 წლის მკვიდრი, ჯონათან ტრაპი, 2 წელიწადს ემზადებოდა ამ ფრენისთვის. ადრე ჰაერნაოსანი გაფრინდა ოფისის სავარძლით (გონდოლას ნაცვლად), ასევე აეროსტატის კალათის მაგივრად გაფრინდა სახლით, რომელიც აგებული იყო ფოლადისა და ალუმინისგან.

ჯონათან ტრაპის სურვილი, რომ გადაეკვეთა ატლანტის ოკეანე ჰაერბუშტებით, წარმოადგენდა ყველაზე ამბიციურს, რადგან ასეთი უჩვეულო გზით ატლანტის ოკეანეზე ჯერ არავის გადაუფრენია. ფრენისთვის მზადებაში ჯონათანს დახმარებას უწევდა დაახლოებით 150 მოხალისე.

აღჭურვილობის შერჩევას რეკორდსმენი მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდა, რათა შეემცირებინა რისკი. რამდენიმე თვის განმავლობაში მან საბოლოოდ შეარჩია იდეალური გონდოლა.

**ფრენის დაწყებიდან დაახლოებით 14 საათის შემდეგ ავანტიურისტი დაეშვა დაუსახლებელ, უკაცრიელ ტყის ტერიტორიაზე. ღამე გაატარა ე. წ. ნავში, ხოლო პარასკევს იგი იპოვა ვერტმფრენმა, რომელიც ტელეკომპანია CBC-ის (კანადა) ეკუთვნოდა; ტრაპის თქმით, იგი არასოდეს ყოფილა ასე ბედნიერი და სიხარულით აღსავსე, როგორც იმ დღეს, ჟურნალისტებთან შეხვედრისას.**

უკვე კუნძულ ნიუფაუნდლენდთან მიახლებისას, ამერიკელი მიხვდა, რომ გამოელია ბალასტის (სამძიმის) დიდი ნაწილი და ევროპამდე ვერ ჩაფრინდებოდა. ჯონათანის წინაშე დადგა არჩევანი: დაშვებულიყო კუნძულზე ან ბალასტი გამოეზოგა. არავინ იცოდა, მერე რა მოხდებოდა.

**„დიახ, ჩემმა მცდელობამ განიცადა დიდი კრახი, წარუმატებელი აღმოჩნდა,** — წერს თავის საიტზე 39 წლის ამერიკელი. **— მაგრამ ეს ყველაფერი ჩაფიქრებული იყო თავგადასავლის გამო და ეს თავგადასავალი მე დიდი სიამოვნებით მივიღე“.**

**„ამ მგზავრობისთვის 2 წელიწადი ვემზადებოდი,** — განაცხადა **ჯონათან ტრაპმა.**

**— ბოლოს, როდესაც ატლანტის ოკეანე ამერიკის შეერთებული შტატებიდან ევროპაში გადალახეს საჰაერო ბუშტებით, 1984 წელი იყო. ეს გამბედავი ადამიანი იყო ჯო კიტინგერი, ამერიკის საჰაერო ძალების პოლკოვნიკი. სამწუხაროდ, მის შემდეგ ვერავინ შეძლო ამის გამეორება“.**

1970 წლიდან დაწყებული ბევრი ცდილობდა ატლანტის ოკეანეზე გადაფრენას, რის შედეგადაც 5 ადამიანი დაიღუპა.

ჯონათანი მცდელობის გამეორებას აპირებს.

# მხატვარმა მაიმუნმა 10 000 დოლარი მოიგო



**აშშ-ში ადამიანის მსგავს მაიმუნებს შორის ხატვის კონკურსი მოეწყო. გამარჯვებულად შტატ ლუიზიანაში მცხოვრები 37 წლის შიმპანზე ბრენტი აღიარეს და ჯილდოდ 10 000 დოლარი გადასცეს. მისი ნახატი ენით იყო შესრულებული.**

მეორე ადგილი ფლორიდელი ჩიტას ნამუშევარს მიაკუთვნეს, რომელსაც 5 000 დოლარი გადაეცემა. ჩიტა პარალელურად „ჟიურის სიმპათიაც“ გახდა. მესამე ადგილი და 2 500 დოლარი მაიმუნს, სახელად რიპლის ერგო.

არტ-პროექტი ცხოველთა დაცვის ამერიკულმა ორგანიზაციამ განახორციელა. გამარჯვებული ამავე ორგანიციის შიმპანზეთა ცენტრში ცხოვრობს. მოგებული 10 000 დოლარი ცენტრის ბინადრების კეთილდღეობას მოხმარდება.

კონკურსში იყო წარმოდგენილი ათობით ნამუშევარი, რომლებიც აშშ-ის ტერიტორიაზე ცხოველთა დაცვის სხვადასხვა ცენტრების ბინადრებმა შეასრულეს. მომდევნო ეტაპზე ნამუშევრების ღია შეფასება მოეწყო, რაშიც 27 000 ადამიანი მონაწილეობდა.

# ისაუბრეთ საკუთარ თავზე

**ყველაზე თავმდაბალ ადამიანსაც კი გაუცნობიერებლად იტაცებს საკუთარ თავზე ლაპარაკი. ასკეტსა და ყოველ რიგით ენატლიკინა ქალს ერთნაირად იზიდავს საკუთარი თავის დახასიათება და საუბარი საკუთარ ესთეტიკურ თუ შინაგან მხარეზე. ალბათ, ეს თქვენთვის აღმოჩენა არ იყო. ამას ნებისმიერი ხვდება, მაგრამ იმას, თუ რა ხდის საკუთარ თავზე საუბარს ესოდენ სასიამოვნოს, ამას მხოლოდ ამერიკელმა მეცნიერებმა მისცეს აკადემიური სახე. მათ აღმოაჩინეს „რაღაც“, რაც ჩვენს ამ „ხასიათზე“ მოქმედებს.**



მეცნიერებმა ჰარვარდის უნივერსიტეტიდან გამოიკვლიეს, თუ რატომ უყვართ ადამიანებს საკუთარ თავზე საუბარი და დაასკვნეს, რომ ამ „მაგიურ“ ქმედებას, მონოლოგის რეჟიმშიც კი, სექსზე არანაკლები სიამოვნება მოაქვს.

თურმე, ზრდასრული ადამიანი დროის 20%-ს ხარჯავს საკუთარ თავზე საუბარში. ეს მოვლენა კი ჰარვარდის ბინადართ წვრილმანად არ მოეჩვენათ და გადაწყვიტეს, გამოეკვლიათ მიზეზი.

**ექსპერიმენტმა 195 მოხალისეს მოუყარა თავი და დაიწყო მეცნიერული კვლევა-ძიება. ამ ადამიანებს სთხოვეს, ესაუბრათ საკუთარ თავზე, დაეხასიათებინათ საკუთარი გარეგნობა, საკუთარ ღირსებებსა და ნაკლოვანებებზე გაემახვილებინათ ყურადღება. მეცნიერებმა მაგნიტურ-რეზონანსური თერაპიის დახმარებით შეძლეს ტვინის უჯრედების რეაგირების დაკვირვება-გაანალიზება. გაირკვა, რომ რაც უფრო მეტს საუბრობს ადამიანი საკუთარ თავზე, მით უფრო მეტი დოპამინი გამოიყოფა ორგანიზმში.**

ნეირომედიატორი დოპამინი ჩვენს ენაზე, რომ ვთქვათ, არის ორგანიზმში შემავალი ქიმიური ელემენტი, რომელიც ჩვენს განწყობაზე ზრუნავს.



ადამიანის ორგანიზმში ეს აქტიური ქიმიური ნივთიერება გამოიყოფა ინტიმური ურთიერთობების დროს, ასევე გემრიელი საჭმლისა და ტკბილეულობის მიღებისას.

ასე რომ, მეცნიერების დასკვნა შემდეგნაირია: **საკუთარ თავზე საუბარი ადამიანს მასიურ სასიამოვნო შეგრძნებას უტოვებს. ინდივიდი კი, თავის მხრივ, ცდილობს, ეს შეგრძნება, რაც შეიძლება ინტენსიური და ხანგრძლივი გახადოს, ამიტომაც სულ იმის ცდაშია, საუბარი საკუთარი პიროვნებისკენ წარმართოს.**

მაგრამ ეს ექსპერიმენტი ასე ცალსახად არ დაუტოვებიათ ჰარვარდელებს. მათ მოინდომეს გაერკვიათ, იქონიებს თუ არა ამ შედეგზე ზეგავლენას ის ფაქტი, რომ საუბარს ოჯახის წევრები ან მეგობრები დაესწრონ. მოხალისეთა ერთ ნაწილს უთხრეს, რომ მათი საუბრის მოსმენას შეძლებდნენ ნათესავები, მეორე ნაწილი კი დაარწმუნეს, რომ მათი საუბარი კონფიდენციალური იქნება.

**მაგნიტურ-რეზონანსური თერაპიის დაკვირვებით გაირკვა, რომ იმ ადამიანთა ტვინის ფუნქციონირებამ საგრძნობლად იმატა, რომლებიც მეგობრების თანდასწრებით ყვებოდნენ საკუთარ პიროვნებაზე. ხოლო კონფიდენციალური საუბრების შემთხვევაში ეფექტი უცვლელი დარჩა. თურმე, საკუთარ თავზე საუბარი მონოლოგის რეჟიმში დიდი სიამოვნებაა, მაგრამ უფრო დიდი ეფექტი სხვების თანდასწრებით „ლაქლაქს“ ჰქონია.**

„თვითგამხსნელობა“ დიადი სიამოვნების მომტანია, ის ერთადერთია, რომლის ინტენსიური მოხმარება გარდა დადებითი უკუქმედებებისა, ცუდს არაფერს უქადდის ადამიანს.

ქრონოგრაფი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



### სანტა

Google Earth-მა კიდევ ერთი დიდი აღმოჩენა გააკეთა, რომლითაც ბავშვების გულიც მოიგო. გამგზავრება მოხდა „ear1grey“ სახელწოდებით და სულ მალე გავრცელდა ინფორმაცია სენსაციურ აღმოჩენაზე: ნაპოვნია ულამაზესი სანტა, რომელიც წარმოუდგენელი სიმაღლისაა. მისი სიმაღლე 36 მილზე მეტია და ამაყად დგას ფინეთის მთებში. აი, თურმე, სად ემალება ცნობისმოყვარე ბავშვებს კეთილი სანტა.

# Google Earth-ის 10 ყველაზე საოცარი აღმოჩენა

**ყველას, ვისაც ინტერნეტთან აქვს კავშირი, ადვილად შეუძლია მოიძიოს მსოფლიოს საინტერესო ადგილების ფოტოები, რუკები და ასე შემდეგ. მისი დახმარებით აღმოაჩინეს ზოგიერთი ყველაზე უცნაური, ყველაზე უნიკალური და ულამაზესი ადგილი მთელს მსოფლიოში.**
**მას დიდი წვლილი მიუძღვის მრავალ მეცნიერულ თუ არქეოლოგიურ აღმოჩენაში და წარმატებით ეხმარება პოლიციელებსაც. Google Earth-ის 10 ყველაზე საოცარი აღმოჩენის სტატუსი კი შემდეგმა მიგნებებმა მოიპოვეს:**



### გულის ფორმის კუნძული

ეს გულის ფორმის კუნძული ნაპოვნია Google Earth-ის მიერ და იგი იქცა უდიდეს ჰიტად ვალენტინობის დღესთან დაკავშირებით. იგი მდებარეობს ადრიატიკის ზღვაში, ხორვატიის სანაპიროსთან და ამჟამად უკაცრიელია. 130 000 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი ეკუთვნის ერთ-ერთ ფირმას.



### ზღვაში დაკარგული გემი

SS Jassim იყო ბოლივიური სატვირთო ბორანი, რომელიც მეჩეჩზე წამოედო და ჩაიძირა სუდანის სანაპიროსთან. ეს ცნობა 2003 წელს გავრცელდა. Google Earth-მა კი დააფიქსირა ეს კადრი. ფოტოზე კარგად ჩანს, როგორ წამოედო ხომალდი მეჩეჩს, რაც ჩაძირვის მიზეზი გახდა.



### ატლანტიდა

ამ ფოტოს შემდეგ Google Earth-მა ძებნა დაიწყო კითხვაზე პასუხის გასაცემად, არსებობდა თუ არა დაკარგული ქალაქი – ატლანტისი. აღფრთოვანებულმა მკვლევარებმა მაშინვე მიაშურეს აფრიკის სანაპიროს, სადაც აღმოჩნდა ნიშნები და ნახაზები. არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ჯერათ ატლანტიდას არსებობის, ამიტომ Google Earth-ის ინჟინრები არ აუქმებენ თავიანთ მონაცემებს და მომავალშიც გვპირდებიან ამ რუკების მასშტაბების გამოკვლევას.






### ერაყის სისხლიანი ტბა

ამ სისხლის წითელმა ტბამ ერაყში საშინელი ჭორების აგორება გამოიწვია. ვარაუდობდნენ, რომ ტბა მიმდებარე ტერიტორიაზე სისხლისმღვრელი ბრძოლისას წარმოუდგენელი რაოდენობით დაღვრილმა სისხლმა გააწითლა. ოფიციალური განმარტება არ არსებობს, თუმცა, სკეპტიკოსები თვლიან, რომ, სავარაუდოდ, მიზეზი საკანალიზაციო წყალი გახდა და ტბასაც ამის გამო აქვს დაბინძურებული ფერი.



### თიხის სახე

ეს საოცარი კადრი გადაღებულია ალბერტაში (კანადა). საკმაოდ მკაფიოდ ჩანს სახე, რომელსაც მშობლიური, ამერიკული თავსაბურავი აფარია. ეს სახე დღემდე ცნობილია „Badlands Guardian“ მეტსახელით. სახე მდებარეობს ხეობაში, სადაც იგი თიხაზეა ამოკვეთილი. ზოგიერთი ადამიანი მას უფროსს ამსგავსებს, რომელსაც ყურსასმენები უკეთია.





### სვასტიკა

კორონადო აშენდა საზღვაო სადესანტო ბაზაზე სან დიეგოში 1967 წელს. არქიტექტორისა და მშენებლებისაგან ცნობილი იყო მისი ფორმა, მაგრამ საჰაერო კადრი გადაღებულ იქნა Google Earth-ის მიერ 2007 წელს. სამწუხაროდ, მან ცხადყო, რომ ოთხი ცალკეული შენობების ერთიანობა ქმნის სვასტიკას. შოკისმომგვრელი ფოტოს გავრცელების შემდეგ საზღვაო სადესანტო კორპუსმა 600 000 დოლარი უნდა გამოყოს ამ შენობების შესანიღბად.




### უცნაური ლაბირინთი

ერთმა გულშემატკივარმა გადაწყვიტა, პატივი მიეგო Oprah-ის სტატუსისთვის და საკუთარი დიზაინით შექმნა ლაბირინთი სიმინდის ყანაში 2004 წელს. რა დრო და ძალისხმევა დაჭირდებოდა ამ ადამიანს, წარმოუდგენელია, მაგრამ მისი წვალება შეუმჩნეველი არ დარჩენილა და ის Google Earth-ის აღმოჩენილ უცნაურობების ათეულშია.



### Firefox ბრაუზერის ლოგო

2006 წელს ორეგონის სახელმწიფო უნივერსიტეტის Linux-ის მომხმარებელმა ჯგუფმა მიზნად დაისახა გიგანტური Firefox ლოგოს გაკეთება მოსავლის ყანაში. მოსავლის ეს უზარმაზარი წრე მოიცავს 45000 კვ ფუტს და შეიქმნა ვებ ბრაუზერის 50 000 000 ჩამოტვირთვასთან დაკავშირებით.

### გამანადგურებელი ავტომობილების პარკში

Google Earth-მა დააფიქსირა გამანადგურებელი, რომელიც გაჩერებული იყო ავტომობილების პარკინგის ადგილას. გაჩნდა კითხვა, თუ რა უნდოდა გამანადგურებელს იმ ადგილას? იქნებ ახლოს ცხოვრობს პატრონი? ზოგიერთი ადამიანი ამბობს, რომ ეს არის სრულფასოვანი მოდელი Mirage 2000 წლის უნივერსიტეტის კამპუსიდან, ზოგი კი თვლის რომ უფრო ძველი მოდელია, მაგრამ მაინც აუხსნელი რჩება, რა უნდოდა გამანადგურებელს პარიზის ავტოსადგომზე.

# «საქართველოს სჭირდება დასავლეთი, მაგრამ არ უნდა შეიქმნათ ილუზიები, რომ დასავლეთისთვისაც მნიშვნელოვანია თქვენი ქვეყანა»

**ბრიტანელი ისტორიკოსი და მკვლევარი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრი, სტივენ ჯონსი, საქართველოს ახალი ხელისუფლების საგარეოპოლიტიკურ კურსზე საუბრისას აცხადებს:**



— ქვეყნის ახალ მთავრობას კარგად ესმის, რომ რუსულ-ქართული ინტერესები შეუსაბამოა ოსეთსა და აფხაზეთთან დაკავშირებით, მაგრამ საქართველო მაინც დიპლომატიურად უნდა მიუდგეს თავის ძლევამოსილ მეზობელს და თავიდან აიცილოს ომის საფრთხე. **შეუძლებელია, თქვენმა ქვეყანამ რუსეთთან ომში გაიმარჯვოს და აქტიური ანტირუსული რიტორიკა მხოლოდ ხელს უშლის ქვეყანას რეალური პრობლემების მოგვარებაში — ეკონომიკური სტაგნაციისა და სიღარიბის დაძლევაში, ეფექტური ჯანდაცვის სისტემის შექმნაში და სხვა სფეროებში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრაში.** პირადად მე სულაც არ მიმაჩნია, რომ საქართველომ რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების მცდელობით ევროპულ კურსს გადაუხვია. პირიქითაც კია, **ევროატლანტიკური კავშირი აქეთ აქეზებს თქვენს ქვეყანას რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის აღდგენისკენ. საქართველო უნდა ეცადოს რუსეთთან ძველი ურთიერთობის აღდგენას...**

...როგორც აღმოჩნდა, ისეთი ძლიერი ქვეყანა, როგორიც ამერიკაა, არ ყოფილა შეუზღუდავი შესაძლებლობების მქონე. **როგორც 2008 წლის მოვლენებმაც დაგვანახა, არც აშშ-ს ძალუძს თქვენი ქვეყნისთვის ყოველგვარი საფრთხის აცილება.**

საქართველოს სჭირდება დასავლეთი, მაგრამ არ უნდა შეიქმნათ ილუზიები, რომ დასავლეთის მთავრობისთვისაც მეტად მნიშვნელოვანია თქვენი ქვეყანა. **მოცემულ მომენტში ვაშინგტონი საერთოდ აღარ ამჟღავნებს კავკასიისადმი ინტერესს. იგი ახლა ერაყზე, სირიასა და ავღანეთზეა კონცენტრირებული.** პრობლემები ეკონომიკაში, პოლიტიკაში, საგარეო ურთიერთობებში ამერიკის მთავრობას ქვეყნის შიგნითაც ახსენებს თავს. მით უმეტეს, **ახლანდელ თქვენს მაღალჩინოსნებს საერთოდ არაფერი გაუკეთებიათ თქვენი ქვეყნისადმი აშშ-ის მზარდი ინდიფერენტული დამოკიდებულების შესაცვლელად.**

როცა საქართველო ცდილობს რუსეთთან დიალოგის დაწყებასა და თბილისსა და მოსკოვს შორის ურთიერთობებში ყველაზე რთული, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემების გადაჭრას, რა პოზიტიური როლის შესრულება შეუძლია ვაშინგტონს რუსეთსა და საქართველოს შორის დაწყებულ დიალოგში? მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ სოხუმი და ცხინვალი ჟენევის ფორმატში დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობაზე უარს ამბობენ და ჟენევის ფორმატის შეცვლას ითხოვენ...

**ჟენევას შეუძლია, ხელი შეუშალოს პრობლემების კონფლიქტებში გადაზრდას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ მჯერა, რომ ჟენევა რამე მნიშვნელოვან ცვლილებამდე მიგვიყვანთ.**

აფხაზები მართლები არიან, ჟენევის ფორმატი უნდა შეიცვალოს. ვფიქრობ, უკეთესი იქნებოდა, თუ უფრო პრაქტიკულ საკითხებზე გააკეთებდით აქცენტს, რაც დაგეხმარებოდათ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მთავრობის წარმომადგენლებთან თანამშრომლობაში, ერთობლივი ეკონომიკური და უსაფრთხოების პროექტების შემუშავებაში. მაგრამ უნდა აღვნიშნო, ამ ყველაფრის სისრულეში მოყვანა რუსეთზეა დამოკიდებული და შესაბამისად, ნაკლებად შესაძლებელიც.

**...საქართველოს მთავრობამ აშშ-ის პოლიტიკოსები მაინცდამაინც ვერ დაარწმუნა იმაში, რომ მათი ეს ნაბიჯები სამართლიანობის აღდგენის და არა უბრალო პოლიტიკური შურისძიების სურვილით იყო ნაკარნახევი. თუკი მთავრობას, მერაბიშვილის გასამართლება სურს, სასამართლო პროცესი აუცილებლად ღია და გამჭირვალე უნდა იყოს და, რაც მთავარია, სწრაფად ჩატარდეს.“**

სტივენ ჯონსი საქართველოს პრემიერმინისტრის პოლიტიკიდან წასვლასთან დაკავშირებითაც გამოთქვამს მოსაზრებას, ის ამბობს, რომ ივანიშვილის გადაწყვეტილება წასვლასთან დაკავშირებით შეცდომაა, თუმცა უპრეცედენტო შემთხვევაა:

„რაც შეეხება ივანიშვილის გადაწყვეტილებას პოლიტიკიდან წასვლის თაობაზე, ამ საკითხთან დაკავშირებით ამერიკაში ორი შეხედულება გამოიკვეთა: ერთის მხრივ, ივანიშვილისთვის პოლიტიკური არენის დატოვება ძალიან ადრეა. **ერთ წელიწადში შეუძლებელია, მას თავისი მისია შეესრულებინა და საქართველოში დემოკრატიის დამკვიდრება და ქართველი ხალხის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა მოეხერხებინა.**

მეორე მხრივ, **ივანიშვილის ეს გადაწყვეტილება ძალაუფლების თავისი სურვილით დათმობის უპრეცედენტო მაგალითია. ეს ჯანსაღი გადაწყვეტილებაა და კიდევ უფრო ღირებული გახდება, თუკი ივანიშვილი თავისი დანაპირების შესრულებას და სამოქალაქო სექტორის განვითარებას შეძლებს.** მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ის, თუ როგორ აპირებს ამ მიზნის მიღწევას. ძვირადღირებული პროექტები ქართველ ხალხს დემოკრატიული განვითარების კუთხით კარგს ნამდვილად ვერაფერს მოუტანს“, — **განმარტავს მკვლევარი.**

**სტივენ ჯონსს უყურადღებოდ არ დაუტოვებია, არც მომავალი საპრეზიდენტო არჩევნები:**

„საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატებმა ისეთ პრობლემებზე უნდა გააკეთონ აქცენტი, რომელთა მოგვარებაც მთავრობის სტაბილურობის გარანტია იქნება. დასავლურმა მთავრობებმა, უმეტეს შემთხვევაში, ქართველ „რეფორმატორ“ პრეზიდენტებს ვერ გაუგეს. **დასავლელი დიპლომატები ყოველთვის ერთი ნაბიჯით უკან არიან ქართველ მოქალაქეებზე, რომლებიც მათზე გაცილებით ადრე აანალიზებენ, რომ ზოგი რეფორმა შეიძლება დემოკრატიისა და ადამიანის თავისუფლებისთვის საზიანო იყოს.**

...დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ სააკაშვილის ეკონომიკურ პოლიტიკას, უმეტეს შემთხვევაში, რეფორმასთან არაფერი საერთო არ ჰქონდა, ვინაიდან ამ პოლიტიკამ ქართველი ხალხი ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკური ცხოვრებიდან სრულიად გამოთიშა“, — **აცხადებს მკვლევარი.**


სიმაღლეში მომატება!



გაქვთ კომპლექსი სიდაბლის გამო?

დარეკეთ ახლავე!

574 47 39 04

0790 30 94 35


## უცნობი პუტინი




**არასამთავრობო ორგანიზაციამ „ისტორიული მემკვიდრეობა“ გამოსცა წიგნი „უცნობი პუტინი“. წიგნში მოთხრობილია რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პირადი ცხოვრების და სახელმწიფოს უმაღლეს თანამდებობებზე მუშაობის დროს მის მიერ განხორციელებული პროექტების, ქვეყნის გაძლიერებისკენ მიმართული ღონისძიებების, აგრეთვე, ბოლო ათი წლის განმავლობაში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ცალკეული მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ.**

**ვლადიმერ პუტინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი წიგნის შეძენა შეგიძლიათ „ბიბლუსის“ და „ბესტსელერის“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, წიგნების მაღაზია „სამშობლოში“ (ყაზბეგის გამზ. №4).**




**არასამთავრობო ორგანიზაციამ „ისტორიული მემკვიდრეობა“ გამოსცა ცნობილი პოლიტოლოგის, პროფესორ ალექსანდრე ჭაჭიას წერილების, გამოსვლებისა და ინტერვიუების კრებულის მეორე ტომი. პირველი ტომი 2002 წელს გამოიცა. მეორე ტომი ორი ნაწილისგან შედგება, პირველ ნაწილში წაიკითხავთ ალექსანდრე ჭაჭიას 2012-1013 წლების პუბლიკაციებს, ხოლო მეორე ნაწილში — 2001-2011 წლების ინტერვიუებს, წერილებს და გამოსვლებს.**

**ათეული წლის წინათ გამოქვეყნებული ინტერვიუები და წერილები, სამწუხაროდ, დღევანდელობას ისე ესადაგება, თითქოს არც დრო შეცვლილა და არც ხელისუფლება.**

**კრებულის შეძენა შეგიძლიათ „ბიბლუსისა“ და „ბესტსელერის“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, წიგნების მაღაზია „სამშობლოში“ (ყაზბეგის გამზ. №4)**


## ძვლის პრობლემები

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრული ართრიტის, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე ზედმეტი წონის კორექცია თვეში 5-დან 15 კგ-მდე ჯანმრთელობისთვის უვნებლად, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება, მადის რეგულირება, ცხიმების აქტიური წვა, მიღებული შედეგის სტაბილური შენარჩუნებით — მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით.

ტელ. 218-46-08 (ოფისი)
555-62-09-01 ექიმი ქალბატონი მეგი

## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისაგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

პროგრამა შედგენილია ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

ტელ. 558-15-63-87;
218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა



საქართველო და მსოფლიო — ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge
მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894